



იბრძოლე როგორც  
ქალმა  
ქალურობის ძალა

ტიზა ბუვირი

# იბრძოლე როგორც ქალმა

ქალურობის ძალა

ლიზა ბევირი

თბილისი  
2012

Fight like a girl by Lisa Bevere, Georgian

© 2012 Messenger International

[www.MessengerInternational.org](http://www.MessengerInternational.org)

Originally published in English as Fight like a girl

Additional resources in Georgian by John & Lisa Bevere  
are available for free download at :[www.ResourceLibrary.org](http://www.ResourceLibrary.org)

To contact the author: [LisaBevere@ymail.com](mailto:LisaBevere@ymail.com)

იბრძოლე როგორც ქალმა, ლიზა ბევერი, ქართულად

© 2012 Messenger International

[www.MessengerInternational.org](http://www.MessengerInternational.org)

ორიგინალი დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე სახელწოდებით:  
„იბრძოლე როგორც ქალმა“

ჯონ და ლიზა ბევერების დამატებითი რესურსები ქარ-  
თულ ენაზე ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:

[www.ResourceLibrary.org](http://www.ResourceLibrary.org)

To contact the author: [LisaBevere@ymail.com](mailto:LisaBevere@ymail.com)

## სარჩევი

1. რა გოგოსავით ჩხუბობ?!.....	4
2. იქნებ მე არ მომწონს ქალები?.....	15
3. მაგრამ მე მამაკაცი არ ვარ.....	29
4. „ოქროს შუაღედის“ აღმოჩენა.....	42
5. ვინ არის ნამდვილი კაცი?.....	58
6. როდის აყენებენ ქალები საპასუხო დარტყმას?.....	73
7. ბრძოლა სიბრძნისთვის.....	91
8. შეიმოსეთ მაღლით და დიდებით.....	107
9. რა არის სიყვარულის ძალა?.....	119
10. ორნი ერთი გულით.....	138
11. ბრძოლა სილამაზისთვის.....	160
12. არასრულყოფილი, სამაგიეროდ განუმეორებელი.....	175
13. ბრძოლა სამკაულებისთვის.....	193
14. ბრძოლა გავლენისთვის.....	204
15. მომენტის მნიშვნელობა.....	220
16. შენ გაკვირდებიან!.....	232

## თავი პირველი

### რა გოგოსავით ჩხუბობ?!

ჰეი, შენ ქალივით იბრძვი! ამ ფრაზაში, რა თქმა უნდა, ხშირად შეურაცხყოფა იგულისხმება. მნიშვნელობა არა აქვს ამას კაცი ეუბნება კაცს, ბიჭი — გოგოს, თუ ქალი კაცს, მასში არ არის კომპლიმენტი. პირიქით, მას ესვრიან საპასუხოდ სუსტი დარტყმისა, გაკანვრისა, ან სუსტი ტყორცნისა. მაშ რატომ უნდა მოვუწოდებდე ვინმეს, რომ გოგოსავით იბრძოლოს? პირველი, ის, რაც მამაკაცებისთვის და ბიჭებისთვის შეურაცხყოფაა, იგივენაირად არ უნდა იყოს გაგებულნი ქალებისთვისაც. ქალები ქალებით უნდა იბრძოდნენ, მაგრამ რაღაც უცნაური მიზეზის გამო, ჩვენი უმრავლესობისთვის უმჯობესი იქნებოდა მოვისმინოთ, რომ მამაკაცებით ვიბრძვი. შესაძლოა ეს იმ მიზნით იყოს, რომ გოგოებს ჩამოუყალიბდათ უხეშად ბრძოლის ჩვევა?

სანამ დავინწყებდეთ, არ მინდა იფიქროთ, რომ განაზებულნი ქალი ვარ, რომელიც იცავს დაზარალებულ ხალხს ფურფუშებიანი ვარდისფერი ბაფთებით. არ ვარ ასეთი. მე მიყვარს სერფინგი, თხილამურით სრიალი და ნადირობა (ასეთი თანმიმდევრობით). ვცხოვრობ ხუთ მამაკაცთან ერთად და ვმოგზაურობ მთელს მსოფლიოში, გაცილებით ხშირად, ვიდრე საკუთარ თავთან ვრჩებოდე. გადავურჩი კიბოს, ვარ დედა და ცოლი, მაგრამ მანამდე მშობლების ქალიშვილი ვიყავი. მე არ ვემხრობი იმას, რომ ვაუბრალოვებდეთ ყველაფერს ან ვიბრალებდეთ იმას, რაც არ ვართ. ვფიქრობ, ჩვენ უნდა ვსვამდეთ კითხვას, თუ რატომ არის შეურაცხყოფა, რომ ვიბრძოდეთ როგორც ქალი. მეტიც, მინდა გოგონებმა და ქალებმა კომპლიმენტად მიიღონ, როცა ეტყვიან, რომ ქალივით იბრძვიან.

სავსებით შესაძლებელია დაგვეინწყებოდა, თუ როგორ უნდა იბრძოლო როგორც ქალი. ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ვცდილობდით კაცებით ბრძოლას, და თუ არ გამოგვიოდა, იაფ დარტყმებს ვაყენებდით და ვიტყუებოდით კიდევაც! სხვა ჩვენთაგანნი უბრალოდ დავემალეთ კონფლიქტის ქარიშხალს, რომელიც ჩვენს ირგვლივ მძვინვარებდა და ვფიქრობდით, რომ

## რა გოგოსავით ჩხუბობ?!

ასე ქალურად და ქალის მსგავსად ვიქცეოდით. დანარჩენებს დაგვა ვინცდა, რომ ის, რაც სისუსტედ არის მიჩნეული ერთ სქესში, ხშირად ძლიერი მხარეა მეორეში. მე იმის თქმა მინდა, რომ განა მამაკაცით ძლიერი დარტყმის არ ქონა უნდა განიხილებოდეს ყოველთვის როგორც არასწორი?

ბიჭები თანატოლების პატივისცემას იმსახურებენ, როცა ბიჭებივით იბრძვიან. ისინი მიჩნეულნი არიან მამაცებად და ძლიერებად, როცა იბრძვიან იმისათვის, რაც მამაკაცებისთვის მნიშვნელოვანია. უფრო მეტიც, ალტაცების საგნები ხდებიან, როცა წინაღუდგებიან ჩხუბისთავეებს, იცავენ უმცროს ბავშვებს და იცავენ თავიანთი ოჯახის სახელს. იმ შემთხვევაში, თუ ბიჭები არ იბრძვიან იმისათვის რაც სწორია, მათ დასცინიან და ზედმეტ სახელებსაც არქმევენ. ბიჭმა შეიძლება გაიგონოს „აზიზი!“ ან „დედიკოს ბიჭი!“ თავის მიმართებაში, როცა იგი ვერ შეესაბამება თავისი თანატოლების წარმოდგენებს მამაკაცზე. ეს დინამიკა არ იცვლება ასაკთან ერთად; მამაკაცი, რომელიც პასუხობს და იბრძვის ქალივით სუსტებად ან ნაზებად არიან მიჩნეულნი. მამაკაცი და ბიჭი უნდა იბრძოდეს ძალაუფლებითა და ძალით, რომელიც მათში დაბადებიდანვე არის ჩადებული. მამაკაცები ფიზიკურად უფრო ძლიერნი არიან და შესაბამისად გააჩნიათ უპირატესობა, როცა საქმე ეხება ფიზიკურ გამირობას. ეს ასეა, მაგრამ რა არის ქალის სიძლიერე? სხვადასხვა პრობლემები და კონფლიქტები იწვევენ მამაკაცის გაღიზიანებას. რა ანაღვლიანებს ქალს? და როგორი დასაანახი იქნებოდა ქალივით ბრძოლა, თუ იგი სწორად იქნებოდა შესრულებული?

## ქალი და ბრძოლა

სანამ მეტად ჩავულრმავდებოდეთ და ვუპასუხებდეთ ამას, შესაძლოა თქვენ კითხვა დაგებადათ: ქალებს რა კავშირი უნდა ჰქონდეთ ბრძოლებს კონფლიქტებთან? ამაზე პასუხის გასაცემად, უნდა დავუბრუნდეთ თავდაპირველ განაზრახს ანუ ჩვენი წარმოშობის მიზეზს. თავდაპირველად ქალები არ იყვნენ ბრძოლისათვის შექმნილნი, არამედ სიცოცხლისათვის, აღზრდისათვის და ურთიერთობებისათვის. შესაძლოა ამიტომაც არის, რომ ხშირად ჩვენ კარგად ვერ ვუმკლავდებით კონფლიქტებს. თუ ეს ასეა, არასწორია ქალისთვის, რომ იბრძოდეს? არა, იმაზე მეტად არა, ვიდრე მამაკაცებისთვის. არცერთი არ იყო შექმნილი ნგრევისთვის — ორივენი გაჩენილნი იქნენ ზრდისთვის, წესრიგისთვის და გამრავლებისთვის. დადგება დღე, როცა იარაღებს

## იბრძოლე როგორც ქალმა

გვერდზე გადადებენ მათი დანიშნულების სანაცვლოდ. ბიბლია ამბობს, რომ მახვილებს გადაადნობენ სახნისებად (იხ. ესაია 2:4). შემდეგ მამაკაცებიც და ქალებიც დაუბრუნდებიან თავიანთ საწყის მდგომარეობას და შესაბამის დინამიკას დედამიწაზე. მაგრამ ახლა არსებობს პრობლემა, მტერი და ბრძოლა.

ეს უმთავრესი პასუხისმგებლობა და პრივილეგია გააჩნდათ ადამსა და ევას, რომელთაც მიანდეს დედამიწა და მისი სისავსე. მათ გააჩნდათ ყოველი საჭირო რესურსი ზრდისა და წესრიგისათვის, ისე, რომ ყოველ ცოცხალ არსებას შეძლებოდა აყვავება. ადამიანის დაცემით ყოველივე შეიცვალა; ბატონობა გადაიქცა დომინირებად, გამრავლება — გაყოფად, ხოლო წესრიგი გარდაიქმნა ქაოსად. აყვავებამ გზა დაუთმო ხრწნას, როცა ნაყოფის მომტან მცენარეებსა და ხეებს შორის გამოჩნდა ეკლები და ნარშავი. სიცოცხლის მიმცემი თესლი იბრძოდა სივრცისთვის ნიადაგში არსებულ სარეველასა და ბუჩქნართან. ჯერ კიდევ მანამ, სანამ ეს გადატრიალება მოხდებოდა დედამიწაზე, უკანასკნელი ქმნილება იქცა პირველად კონფლიქტურ იარაღად. სცენა ბრძოლისთვის მზად იყო.

### **„და ჩამოვაგდებ მტრობას შენსა და დედაკაცს შორის.“ (დაბადება 3:15)**

იმისათვის რომ გავიაზროთ ბრძოლის სიდიდეც და სიმძიმეც, ჯერ უნდა განვსაზღვროთ თუ რა არის *მტრობა*. ადრე სიტყვას *მტრობა* ვცვლიდი სიტყვა *სიძულვილით*. იმის თქმა მინდოდა, რომ სიტყვა *მტრობას* არ ვიყენებთ ყოველდღიურ საუბრებში. პრობლემა ჩემს ჩანაცვლებაში იყო ის, რომ მიუხედავად ამ სიტყვების მსგავსებისა, აზრი არ იყო ერთი. უნგერის ბიბლიის ლექსიკონი განსაზღვრავს სიტყვა *მტრობას* როგორც „ღრმად ფესვგადგმულ სიძულვილს და შეურიგებელ მტრობას.“<sup>1</sup> *მტრობა* არ არის იგივე, რაც ტერმინი „შეურიგებელი განსხვავებები“, რომელიც ხშირად გვესმის ხოლმე განქორწინების პროცედურებზე, არამედ „შეურიგებელი *მტრობა*.“ ეს მეტყველებს იმაზე, რომ სიძულვილი იმდენად ძლიერია, რომ იგი განწირულია რომ არა მხოლოდ მუდმივად არსებობდეს, არამედ კიდევ ღრმავდებოდეს და ფართოვდებოდეს უსასრულოდ. იმისათვის, რომ დავინახოთ ეს მათემატიკური ენით, წარმოიდგინეთ ერთი ნერტილი, რომლიდანაც გამოდის ორი სხივი ან ისარი. ერთი მიმართულია დასავლეთისკენ, მეორე აღმოსავლეთისკენ. ორივე მიმართულია საპირისპირო მიმართულებით და შეუძლებელია,

## რა გოგოსავით ჩხუბობ?!

რომ ოდესმე გადაკვეთონ ერთმანეთი. ეს ისრები არ მოიცავს დედამიწის მრუდეს; ისინი მიუყვებიან დროის წრფივ გზებს. ეს იმას ნიშნავს, რომ მუდმივი მტრობის პოპულარულობა იზრდება დროსთან ერთად, რადგან ორივე მხარე ფართოვდება და მრავლდება სიგრძეშიც და რიცხოვნობაშიც. თაობებთან ერთად მტრობა ღრმავდება.

მტრობა არის საკმაოდ მძაფრი სიტყვა, იგი მხოლოდ რვა-ჯერ არის გამოყენებული ბიბლიაში. მისი პირველად გამოჩენის შემდეგ დაბადების წიგნში, მტრობა ინვლის წინ თავის ბნელ მკლავს ქალის თესლის დასაპყრობად და გასანადგურებლად. ჩვენ ვხედავთ თუ როგორ იზრდება მისი გავლენა გამოცხადების წიგნამდე.

**„განრისხდა გველეშაპი დედაკაცზე და წავიდა, რათა შებრძოლებოდა დანარჩენებს მისი მოდგმიდან, რომლებიც იცავენ ღვთის მცნებებს და რომელთაც აქვთ იესოს მონობა.“ (გამოცხადება 12:17)**

ვინ აწარმოებს ამ უსასრულო ომს ევას, მისი ქალიშვილების და ყოველი ადამიანის წინააღმდეგ, რომლებიც კი იბადებიან? გველი, ჰაერში გაბატონებული ბატონი. ომი, დაწყებული ცბიერი გველის მიერ, მოიცავს დიდ გველეშაპს და ყველა მის მომხრეს (იხ. დაბადება 3:15; იოანე 8:44). ბაღში, მან მოხერხებულად გამოიყენა თავისი იარაღი — ტყუილი და ეფექტურად მოპარა ბატონობა დედამიწაზე ორს, რომელნიც ერთნი იყვნენ.

გამარჯვებისთვის მტერს უნდა დაეყო რათა ებატონა. მან ამას ქალის მხარდაჭერის მოპოვებით მიაღწია. იმისათვის, რომ აეძულებინა ადამი დაეთმო საკუთარი პოზიცია, მას ტყუილზე უფრო მეტი სჭირდებოდა. ეშმაკმა გამოიყენა ქალის გავლენის ძალა. მისი გავლენის გარეშე, სავსებით შესაძლებელია, რომ მამაკაცი არ აყოლილიყო გველის რჩევას. იგი დაემორჩილა ცოლის ხმას. დაინახა, როგორ ჭამდა ქალი და როცა თითქოს არაფერი შეიცვალა, გაიწოდა ხელი, გამოართვა და შეჭამა.

**„და მოწყვიტა მისგან ნაყოფი და შეჭამა და მისცა აგრეთვე თავის კაცს, და მანაც შეჭამა.“ (დაბადება 3:6)**

მჯერა, რომ როგორც ქმნილების გვირგვინს, ევას სილამაზე და გავლენის ძალა იმდენად დიდი იყო, რომ საკმაოდ შესაძლებელია, რომ დაუძლეველი ყოფილიყო. სრულყოფილი სამყარო



## იბრძოლე რომორც ძალმა

სრულყოფილი ქალით შეიცავდა სრულყოფილ მოწინააღმდეგეს. განა ადამი არ იყო გაფრთხილებული დაეცვა ხე?

რატომ გამოიყენა მშვენიერმა ევამ, ყოველივე ცოცხალის დედამ, თავისი უნარი, რომ შეერყია თავისი ქმარი ორივეს საზიანოდ? ვფიქრობ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მან არ იცოდა, რომ მას გზიდან აცდენდა. იგი, ამკარაა, ფიქრობდა, რომ კარგ რჩევას იძლეოდა. მაგრამ ჩვენ არასოდეს არ ვართ ბრძენები, როცა ღმერთის სიბრძნის მიღმა ვმოქმედებთ. რა შესთავაზა ისეთი ამ მაცდურმა, რომ მათ ნებით ჩაიგდეს თავი საფრთხეში?

**„და იხილა დედაკაცმა, რომ ხე კარგი ჩანდა საჭმელად და საამო იყო თვალისთვის და მიმზიდველი იყო შესაცნობად...“  
(დაბადება 3:6)**

დარწმუნებული ვარ, რომ ბაღში მრავალი ხე იყო კარგი საჭმელად და საამო თვალისთვის. მაგრამ ხე, რომელსაც გააჩნდა ძალა აემალღებინა ადამიანის სტატუსი ღმერთამდე, სულ სხვა რამ იყო. ევა ფიქრობდა, რომ იყო რაღაც იმაზე მეტი, რაც მას ჰქონდა მიღებული. საკვირველია, რომ ქალი ჩაეჭიდა ისეთ რაღაცას, რაც არ ჰქონდა (ღმერთთან თანასწორობა), და ამ პროცესში დაკარგა ის, რასაც იგი უკვე ფლობდა (სიბრძნე). ამასთან ერთად გველმა მიიზიდა ადამის და ევას სურვილით ყოფილიყვნენ ღმერთივით მისი (ღმერთის) გავლენის და ძალაუფლების სფეროს მიღმა. კაცმაც და ქალმაც ხელი ჩაჭიდეს იმ როლს, რომელიც მათ არ ეკუთვნოდათ. საუკუნეების შემდეგ ევას თესლმა, იესომ, სრულიად შეცვალა მათი უგუნურება.

**„რომელიც ღვთის ხატება იყო და, მიტაცებულ არ თვლიდა ღვთის თანასწორად ყოფნას...“ (ფილიპელთა 2:6)**

ისინი, ფაქტობრივად, ღმერთის ხატად იყვნენ შექმნილნი, მაგრამ არ იყვნენ მისი თანასწორნი. რაიმეს „ხატება“ ნიშნავს ანარეკლს, და არა წყაროს თავისი არსით. თავისი მაცდური რიტორიკით გველმა აიძულა ორივე, ეფიქრათ, რომ რაღაცას ღებულობდნენ, მაშინ როცა სინამდვილეში ორივემ დაკარგეს. მან არ გაანათა ისინი, არამედ დააბნელა მათი აზროვნება, თუმცა ეგონათ რომ ეს სიბრძნე იყო. გველი არ ცდილობდა მათთან დამეგობრებას – მას სურდა მათი დაუძღურება და დაცემა. შემოედარცვა რა მანამდე თავისი პოზიცია, მას სჭირდებოდა მათი. ძალიან ხშირად, როცა ცდუნება საუბრობს, გავიწყდებათ თუ ვინ ხარ შენ და ვინაა ნამდვილი მოკავშირე.

## რა გოგოსავით ჩხუბობი?

### დაკარგული დანიშნულება, დაკარგული ადგილები

ჩვენ გამუდმებით ვკარგავთ იმას, რაც გვაქვს, რადგან გვაინყვდება თუ რატომ მოგვეცა. ადამს და ევას დაავინყდათ თავიანთი დანიშნულება და დაკარგეს საკუთარი ადგილი. მათ იცოდნენ, რომ შეიქმნენ ბატონობისთვის, მაგრამ დაავინყდათ რატომ. დაკარგულზე ყურებით, მათ არასწორად დაიწყეს საკუთარი ძალების გამოყენება, და ნაცვლად იმისა, რომ გამოეყენებინათ საკუთარი ბატონობა ერთმანეთისთვის, გამოიყენეს იგი ერთმანეთის საწინააღმდეგოდ. ფაქტობრივად, ადამიანის დაცემამ გამოიწვია სქესებს შორის დაპირისპირება. ასე დაიწყო ბრძოლა.

ვსწავლობდით კი რამეს ტკივილის წლების განმავლობაში? რამდენმა მშობელმა დაკარგა თავიანთი შვილების გულები იმის გამო, რომ დაავინყდათ რატომ ჰყავდათ ისინი? მიზეზი არ იყო ის, რომ ეკონტროლებინათ, არამედ უზრუნველყოთ მათთვის ისეთი გარემო, სადაც ისინი აყვავდებოდნენ. რამდენმა წყვილმა დაკარგა ქორწინება იმის გამო, რომ დაავინყდათ თუ რატომ იყვნენ ერთად? ისინი ებრძვიან ერთმანეთს, ნაცვლად იმისა, რომ იბრძოლონ საკუთარი სიყვარულისთვის. იმიტომ ხომ არ ვეჭვიდებით და ვებრძვით სხვებს მათი როლებისთვის, რადგან ჩვენი დაკარგეთ მხედველობიდან? ჩვენ ყველანი ვმარცხდებით, როცა სხვებს ვართმევთ იმას, რაც არ გვეკუთვნის. რატომ არ ვკმაყოფილდებით რომ ვიაროთ იმ ძალაუფლებასა და მდგომარეობაში, რომელიც მოგვენდო ზრუნვისთვის?

მამაკაცის მდგომარეობა არ არის მისაცაცებელი და არც მისი საკუთრებაა, რომ შეეძლოს მისი გაცემა. ქალის ადგილი არ არის მამაკაცისთვის, ისევე როგორც არც ქალისაა, რომ დაკარგოს მასზე უფლება. ორივე უნდა იდგნენ მათ შესაბამის როლში. ის, რაც დასაცავად მოგვეცა, არასოდეს არ უნდა დავეთმოთ სხვას. მამაკაცმა და ქალმა გასცეს ის, რაც მათ მიენდოთ დასაცავად და მეთვალყურეობისთვის ედემის ბაღში. მთელი ეს დრო ჩვენ გავატარეთ მცდელობაში გვეპოვა უკან დასაბრუნებელი გზა ედემისკენ, ღმერთის სამოთხეში, სადაც მისი ქმნილება კვლავ ყვავის. ეს, ოდესღაც მიწის პირიდან ალგვილი ბაღი, დიდი ხანია აღარ არის, თუმცა ჭეშმარიტების თესვები და პრინციპები რჩება. ჩვენ ვილტვით რომ აღვადგინოთ დაკარგული სამოთხე. ეს იყო ახლის პროტოტიპი და აჩრდილი, რომელსაც საბოლოოდ გავიაზრებთ. სულში, იესო ქრისტემ, ევას თესლმა, უზრუნველყო ეს გამარჯვება ჩვენთვის.

**„ის თავს გაგიჭყყყავს და შენ მას ქუსლს დაუგესლავ.“  
(დაბადება 3:15)**

სად არის გამარჯვება? სად არის ჩვენი მტრის დამარცხების მტკიცებულება? როდის ვიხილავთ სიბნელის შემცირებას და შევიწროებისგან გათავისუფლებას? როდის დაინყებენ ევას შვილები სიარულს გამარჯვებაში, რომელიც მისმა თესლმა მოიპოვა? მე მჯერა, რომ ვიხილავთ შემობრუნებას, როცა შევწყვეტთ ჩვენი ძალის და ძალაუფლების არასწორად გამოყენებას. რა მოხდება თუ ქალები გამოიყენებენ თავიანთი გამჭრიახობის ძალას და გავლენას განკურნებისა და აღზრდისთვის? რა მოხდება თუ მამაკაცები გამოიყენებენ თავიანთ ძალას ჭეშმარიტებასა და სიმართლისთვის? რა იქნება მამაკაცები მამაკაცებივით რომ იბრძოდნენ? რა იქნებოდა ქალები ჭეშმარიტად ძალით რომ ყოფილიყვნენ შემოსილები რათა ებრძოლათ როგორც ქალებს? ჩვენ ყველანი გავიმარჯვებდით.

მამაკაცები მოიპოვებდნენ იმ პატივისცემას, რომელიც დაკარგეს, და ქალები აღიდგენდნენ სიყვარულის ძალას. იცოდეთ, რომ რაც დაიკარგა აღდგენის პროცესშია. ის თუ რა დემომარეობაშიც არის ყველაფერი, ვერ შეედრება იმას, რაც უნდა იყოს. მომყევით და მივიდეთ ერთად ჭეშმარიტების ადგილამდე. ქალბატონო, დაე ეს სიტყვები დაგელაპარაკოს შენ, და დაგეხმაროს რომ იყო ის, რისთვისაც შეიქმენი.

**„უფალი იძლევა სიტყვას მახარობელთა, დიდი გუნდია მახარობელ ქალთა! ჯარების მეფენი გარბიან, გარბიან, შინ მყოფი ქალი ნადავლს გაიყოფს.“ (ფსალმუნი 67:12-13)**

ღმერთი აცხადებს გამარჯვებას, და დროა ასულებისთვის რომ სიხარულით გამოაცხადონ ჭეშმარიტება იმისა, რაც მოიგეს. ეს ტრიუმფი ძალიან დიდია, რომ ერთმა ხმამ შეძლოს ამის გაკეთება. ჩვენ გვჭიდება მრავალის ხმა, რომლებიც ილაპარაკებენ როგორც ერთი. ტყუილები შორს აღწევდა, მაგრამ ჭეშმარიტება მეტად ძლიერია. თუ ჩვენ მხოლოდ ჭეშმარიტებას გავაცხადებთ, მტრის მეფენი და ჯარები გაიქცევიან. მათ წასვლასთან ერთად ჩვენ აღმოვაჩინთ სიმდიდრეს და საგანძურს, რომლებიც ასე დიდი ხნის განმავლობაში დაკარგული იყო და აღდგება.

რა გოგოსავით ჩხუბობ!?

## სრულიად თავისუფალი, სრულიად ღმერთის

**„თავისუფლებისთვის გაგავათავისუფლა ქრისტემ.“  
(გალატელთა 5:1)**

ღმერთი დაინტერესებულია თავისუფლებით. მისთვის მას დიდი მნიშვნელობა აქვს. მას სურს რომ სრულიად გაგათავისუფლოთ, რათა მთლიანად მისი იყოთ. წლების მანძილზე დავინახე, რომ ღმერთს ფაქტობრივად სიამოვნებს, როცა გვაყენებს იმ მდგომარეობებსა და სიტუაციებში, რომელთაც გააჩნიათ პოტენციალი, რომ ნამდვილად შეცვალონ მონობის სფეროები ჩვენს ცხოვრებაში. ვფიქრობ, მას მოსწონს როცა აკვირდება თავის შვილებს კომფორტისა და კონტროლის მიღმა სფეროში მყოფთ. შესაძლოა მისი თვალთახედვიდან გამომდინარე, ეს იგივეა, როგორც, მაგალითად, როცა მე ვუყურებ ჩემს შვილებს ტალღებს შორის მონავარდეთ და მოცეკვავეებს.

მნიშვნელოვანია გესმოდეთ, რომ ადრე ძალიან მშობარა ადამიანი ვიყავი. ისეთი წიგნის წერაც კი, რომელშიც საუბარი იქნებოდა კონფლიქტზე, მაშინებდა. მაგრამ შემდეგ დადგა დრო, როცა ჩემს უსაფრთხოების სურვილს გადააჭარბა თავისუფლების სურვილმა. მივალწიეთ ჩვენ უკვე ამას? ჩემთვის ეს მაშინ მოხდა, როცა დავინახე ჩემი შიშების ანარეკლი შვილებში. მხოლოდ მე მეხებოდეს საქმე, წრფელად რომ თქვა, არც კი ვიცი შევიცვლებოდი თუ არა. გაცილებით უფრო ადვილი იქნებოდა დაფარულში დარჩენა.

ერთ მაგალითი მინდა მოვიყვანო. საშუალო სკოლაში საგამოცდოთ ან სიტყვით გამოსვლა, ან დებატების გამართვა მომეთხოვებოდა. სხვა ვერაფერი შემეშინებდა ასე ძლიერ. მე ძლიერ მეშინოდა ხალხის წინაშე დგომის. დაეკარგე თვალი კიბოს ისეთი ფორმის გამო, რომელსაც ეწოდება რეტინობლასტომა, როცა ხუთი წლის ვიყავი. ერთ ღამეში ჩემი ჩვეული ცხოვრება შეიცვალა. მანამდე ვიყავი თავდაჯერებული და მეგობრული, ხოლო ამის შემდეგ გავხდი შუბლშეკრული და გულჩათხრობილი. ვგრძნობდი, რომ ხალხი აღარ მამჩნევდა. ვხედავდი როგორ ცდილობდნენ ისინი დაედგინათ თუ რომელ თვალში უნდა შემოეხედათ, როცა მესაუბრებოდნენ. სკოლაში, კომპლიმენტები შეიცვალა ლანძღვით. მე მეძახდნენ „ცალ თვალას“ და „ციკლოპს.“ ვცდილობდი ძლიერი ვყოფილიყვი და მათ სიტყვებს ჩემზე ზეგავლენა არ მოეხდინათ. იგნორირებას გავუნევედი მათ კომენტარებს და შევინარჩუნებდი სიმშვიდეს იქა-

## იზრძოლე როგორც ძალმა

მდე, სანამ სახლამდე არ მივიდოდი; შემდეგ უნუგეშოდ ვტიროდი ჩემს ოთახში. რატომ არ შემეძლო რომ სხვების მსგავსი ვყოფილიყავი?

ახლა უნდა გამოვსულიყავი მთელი კლასის წინაშე სიტყვით. დებატები არ იქნებოდა კარგი არჩევანი. ვერანაირად ვერ წარმოვიდგენდი რომ რაიმე არგუმენტში გავიმარჯვებდი სხვების წინაშე. მე გადავიტანე გაკვეთილების პირველი კვირა; შემდეგ დადგა სიტყვით გამოსვლების დროც. მოვემზადე, მაგრამ აზრი არ ჰქონდა. როცა დანიშნული დღე დადგა, არ შემეძლო საუბარი. მასწავლებელმა მომცა შესაძლებლობა გავსულიყავი კლასიდან და ხელახლა დამეწყო, მაგრამ არ შემეძლო. შევხედე თანაკლასელებს და არაფერი გამომდიოდა. მოვიბოდიშე და გავიქეცი დაბლა მეთოდისტის ოფისისკენ. ავუხსენი თუ რა შეუძლებელი იყო ჩემთვის, რომ წარმატებულად დამესრულებინა მეტყველების საგანი. როგორ მივიღებდი 3-იანს, მით უმეტეს 4 და 5? ბოლოს და ბოლოს, მე ინვალიდი ვიყავი! კონსულტანტმა მითანაგრძნო. მან რამდენიმე კითხვა დამისვა, მათ შორის: „აპირებ შენი ცხოვრების ისე წარმართვას, რომ დაგჭირდეს საჯარო გამოსვლები?“ სრულიად არა! მე დავარწმუნე იგი, რომ არანაირი სურვილი არ მქონდა მელაპარაკა ორზე მეტი ადამიანის წინაშე ცხოვრების ბოლომდე.

„გეტყვი რა უნდა ქნა, აირჩიე ენის ხელოვნების სხვა ნაწილი, და ჩვენ გამონაკლისს დავუშვებთ მეტყველების გაკვეთილის მოთხოვნებში.“ არ მჯეროდა მოსმენილის!

მაშინვე ჩავენერე კურტ ვონეგუტის კურსზე.

რადგანაც კონსულტანტი ასე გამგები იყო, მე მისი ყურადღება მეორე საგანზეც მივაპყარი, რომელიც ჩემთვის მთავარი პრობლემას წარმოადგენდა — ბეჭდვა. თითქმის შეუძლებელი იყო რომ წუთში ოცდახუთ სიტყვაზე მეტი ამეკრიფა. იგი მოთმინებით მისმენდა.

„მიმაჩნია, რომ ბეჭდვის გაკვეთილზეც შეგვიძლია გამონაკლისის დავებება. ყოველთვის შეგიძლიათ ვინმეს გადაუხადოთ კოლეჯში თქვენი საბუთების დაბეჭდვისთვის.“

მე გავმხნევედი! ვიგრძენი თითქოს დიდი ტვირთი მომეხსნა მხრებიდან. მოვაგროვე ჩემი ნივთები მეტყველების საგნის საკლასო ოთახში და წარვუდგინე წერილი ჩემს ახალ მასწავლებ-

## რა გოგოსავით ჩხუბობ!?

ელს იმის ნიშნად, რომ შევეუერთდებოდი მის კლასს. ბეჭდვა გადაიქცა სწავლის დარბაზად. ცხოვრება მშვენიერი იყო.

მაგრამ ღმერთი ზეცაში ალბათ იცინოდა. შემიძლია წარმოვიდგინო როგორ მიუბრუნდებოდა ანგელოზებს და ეტყოდა: „საწყალი ლიზა. მოდი დავასვენოთ. მესმის, რომ მას ძალიან ეშინია გამოვიდეს თორმეტი თანაკლასელის წინაშე. მოდი, უბრალოდ დავიცადოთ და რეალურად შევაშინოთ და ასეა, შემდეგ ათასებად გადავაქციოთ ეს ხალხი და ამასობაში ტელევიზიაც გამოვიყენოთ, რათა სრულიად ზღვარს გადავაცილოთ. მას არ სურს ბეჭდვა, ეს ძნელია მისთვის. კარგით, ახლა მან უნდა დაისვენოს, რადგან ცხოვრების ბოლომდე ბეჭდვა მოუწევს.“

ორი კლასი, რომლებიდანაც გამოვედი საშუალო სკოლიდან, სწორედ ისინია, რომლებსაც დღეისათვის რეგულარულად ვიყენებ. იცით, კონსულტანტები, მასწავლებლები და სხვადასხვა ორგანიზაციები შეიძლება დაგეთანხმონ, რომ ინვალიდი ხართ, მაგრამ ღმერთი არასოდეს დაგეთანხმებათ.

მას უყვარს თქვენთვის იმ შესაძლებლობის მოცემა, რომლისაც გეშინიათ, რადგან როცა იმას უპირისპირდები, რისიც გეშინია, უშიშარი ხდები.

სად არიან უშიშარი ასულები, რომლებიც მზად არიან იბრძოლონ ქალებივით?

ამ წიგნის გვერდების გადაფურცვლისას გახსენით თქვენი გული. დაიჯერეთ, რომ თქვენ ერთერთი ასეთი ხმა ხართ, უზენაესი ღმერთის ერთერთი ის ქალიშვილი, რომელიც ისწავლის თუ როგორ იბრძოლოს როგორც ქალმა. დროა ყველაფერი დაიბრუნოთ გველისგან, დადექით მაღალ ქუსლებზე და გაუჭეყეთ მას თავი.

## ზეციერო მამა,

მე მსურს ვიარო ჭეშმარიტებასა და სინათლეში. მინდა საკუთარი თავი გამოვამჟღავნო ქალად, როგორადაც შემქმენი. მომიტევე, რომ ვიმალებოდი მამაკაცის ზურგს უკან. მჯერა, რომ ბოლოს და ბოლოს მეტი ძალაა ჩემს, როგორც ქალის გამოცხადებაში. სულონმიდავ, იმოქმედე ჩემს ცხოვრებაში. მინდა ვიბრძოლო ჩემს ბრძოლებში იმდენი ძალით რამდენადაც

## იბრძოლე როგორც ძალმა

ძალმიძს. არ დავიხვე უკან შიშში, არამედ გაბედულად წარვადგენ ჩემს მოთხოვნებს რათა შევებრძოლო ყველაფერს, რაც დადგება ჩემს პატივს, ჩემს უფალსა და ოჯახს შორის. ამინ.

## თავი მეორე

### იქნებ მე არ მომწონს ქალები?

ასე ვამბობდი ხოლმე. სინამდვილეში ახლა მიყვარს ქალები. რამდენადაც შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, იყო დრო როცა ძალიან არ მიყვარდა ისინი. არა მარტო სხვა ქალები არ მომწონდა, არამედ საკუთარი ქალურობაც მძულდა. შესაბამისად, არ ვიყავი გაკვირვებული ქალთა-საწინააღმდეგო ხასიათის გამოსვლებით ჩემი თანაკოლეგები დებისგან. გამიგია ამ გრძნობების ერთი ან მეორე გამოხატულება სხვადასხვა ასაკის და საზოგადოების ჯგუფების ქალების მხრიდან. ფაქტობრივად, რაც მე ვმოგზაურობ და ვსუბრობ, ეს იქცა მთავარ შემაერთებელ წერტილად. ჩემს გამოსვლას ვინცებ მაგალითად ასეთი რამის თქმით:

„რამდენი თქვენთაგანი არ ხართ დარწმუნებულები რომ არ მოგწონთ ქალები?“

„წრფელად გეკითხებით, ვფიქრობ, მე უფრო მამაკაცი ვარ ვიდრე ქალი.“

„ბიჭები გოგოებზე გაცილებით უფრო მეტად მომწონს.“

„მამაკაცები ამბობენ იმას, რასაც გულისხმობენ და გულისხმობენ იმას, რასაც ამბობენ. ქალთან ერთად არასოდეს იცი სად დგახარ!“

„ბიჭებს უფრო უგებ; ქალებთან ურთიერთობისას უფრო მეტი ენერჯია იხარჯება!“

„ქალები პატარა ჭორიკნები არიან, რომლებიც ერთს გეუბნებიან პირში, ხოლო მეორეს ამბობენ თქვენს ზურგს უკან.“

სავსებით დარწმუნებული ვარ იმაში, რომ საჯაროდ ან პირადად გამოვხატე ყველა ეს განცდა და იმედგაცრუება. მაგრამ, როცა რეალურად ვფიქრობ ამ დინამიკაზე, ცოტა სა-



## იზრძოლე როგორც ძალმა

შიშად მეჩვენება. მოდით სხვანაირად გამოვხატოთ ეს. ვერც კი წარმოვიდგენ, რომ მამაკაცების ჯგუფი ეთანხმებოდეს სხვა ძმას, როცა იგი ღიად აცხადებს თავის ზიზლს მამაკაცების მიმართ. ან წარმოიდგინეთ რომ შავკანიანი ძმა ან და იდგნენ და აცხადებდნენ თავიანთი საზოგადოების წინაშე: „მეგობრებო, იცით რა? სინამდვილეში არ მომწონს შავკანიანები.“ ასე მათი საქმე კარგად არ დამთავრდება. ჩასვით აქ ნებისმიერი ხალხთა ჯგუფი, იტალიელები, არაბები, ბავშვები და ა.შ., და ყოველთვის უცნაურად იყურებს. ვერცერთ შემთხვევაში ვერ მიიღებთ თანხმობას გარდა ქალების შემთხვევაში.

რატომ არის ქალთა უმრავლესობა ერთ აზრში, როცა გამოხატავენ ზიზლს და იმედგაცრუებას ქალებთან დაკავშირებით? მინახავს რომ ეს ამბავი ზოგს უხარია კიდევ: „არ მოგწონს ქალები? მშვენიერია, არც მე!“ თითქოს რაღაცნაირად უსაფრთხოდ გვაგრძნობინებდა თავს ის, რომ ჩვენს ირგვლივ ისეთი ქალები არიან, ვისაც არ მოსწონთ ქალები. რა თქმა უნდა, ჩვეულებისამებრ ჩვენ მოგვწონს ცალკეული ქალბატონები, მაგრამ ვებრძვით ქალების საერთო ცნებას. საუბრის მსვლელობისას გამოვხატავთ ჩვენს მიდრეკილებებს იმით, რომ დავდივართ მაგიდის ირგვლივ და ვამტკიცებთ ჩვენს მამაკაცურ მიდგომას ცხოვრებისა და ურთიერთობებისადმი.

„ქალები ძალიან ემოციურები არიან!“

„ბევრს წუნუნობენ!“

„ისინი ძალიან პასიურ-აგრესიულები არიან!“

„მათ ვერ ენდობი!“

არაერთხელ მითქვამს, რომ მერჩივნა წარმემართა საუბრები მამაკაცებით სავსე ოთახში, ვიდრე საქმეებზე მელაპარაკა რამდენიმე ქალთან. ეს საშინელებაა, მაგრამ ძალიან ხშირად სიმართლეა.

## რა მოუვიდათ ქალებს?

ვფიქრობ, ეს ეპიდემიური ქალების სანინააღმდეგო სენტიმენტი საჭიროებს გარკვეულ განმარტებას, და ყველაზე უკეთ

## იქნებ მე არ მომწონს ქალები?

შეგვიძლია ეს დავინყოთ კითხვის დასმით: „რატომ არის რომ ქალებს არ მოსწონთ ქალები?“ რას შეეძლო გამოენვია რომ ქალების დიდი რაოდენობა უარყოფს თავიანთ სქესს? ეს ყველგან მინახავს სადაც კი მიმოგზაურია, და შედეგები ძალიან დიდია. სამწუხაროდ, ბევრ ჩვენთაგანს არ გვესწავლა დაფასება იმისა, რანიც ვართ, როგორც ქალები. საკვირველია ამის შემდეგ, რომ ვშორდებით ჩვენს როლს მაშინ, როცა არასოდეს გვესმოდა რეალურად თუ რას ნიშნავს იყო ქალი?

ქალური ფასეულობების გაცნობიერების ნაკლებობას უნდა დავუპირისპირდეთ ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში, თუ გვინდა ვიხილოთ დიდი ცვლილებები. ღმერთი აღვიძებს ჩვენს ინდივიდუალურობას რათა შეგვაძლებინოს გაცნობიერება იმისა, თუ რანი შეგვიძლია გავხდეთ როგორც ქალიშვილები, ცოლები, დედები, დები, ლიდერები და მეგობრები. ქალებმა უნდა შეიტანონ მნიშვნელოვანი წვლილი თავიანთი გავლენის უნიკალურ სფეროებში და ეს სრულიად არასოდეს იქნება გაცნობიერებული თუ საკუთარ სქესთან მიმართებაში ზიზღი გვექნება.

მე მახსოვს შემთხვევა, რომელიც ჩემი და ჯონის ნიშნობის შემდეგ მალევე მოხდა. ჩვენ ვიჯექით პარკში და ვმსჯელობდით მომავალ ერთობლივ ცხოვრებაზე. ამ დროს სრული მარცხი განვიცადე. დავინყე გააზრება, რომ ქალი ვიყავი. ჩვენი ქორწინების მომავალი პერსპექტივა ამას ცხადს ხდიდა. მე უნდა მეთამაშა ქალის როლი ცხოვრების ბოლომდე. ჯონი უკიდურესად გახარებული იყო, როცა ხატავდა ჩვენს მომავალს, რომელიც მის წინაშე იშლებოდა. როცა იგი ლაპარაკობდა, მე დავინყე ნერვიულობა. სანამ გავიაზრებდი იმას, თუ რას ვაკეთებდი, ნამოვაყრანტალე: „მძულს რომ ქალი ვარ!“

ჯონი გაოგნებული იყო. რას ამბობდა მისი საცოლე? შემდეგ ამიტყდა ტირილი (ჩემი სამარცხვინო რეაქცია იმედგაცრუებაზე), როცა სრულიად გავიაზრე თუ რა საშინელი და შემზღვეველი იყო ქალად ყოფნა. მეშინოდა, რომ ქორწინებაზე თანხმობით ვკარგავდი კონტროლს საკუთარ ცხოვრებაზე, და ხელს გაცილებით მეტ რამეზე ვაწერდი, ვიდრე მოველოდი. დაახლოებით თხუთმეტი წუთიანი დისერტაციის შემდეგ, ჯონის შიშის დრო დადგა. საბედნიეროდ, ჩვენ ღვთისმოსავი წყვილის სამეზობლოდ ვიყავით, რომლებიც ჯონისთვის მშობლებივით იყვნენ. მან იფიქრა, რომ კარგი აზრი იქნებოდა, რომ გაგვესეირნა და მივსულიყავით მათთან, რათა მესაუბრა იმ ქალბატონთან. ჯონი

## იბრძოლე როგორც ძალმა

გულმოდგინედ ცდილობდა გაეკეთებინა რაც შეეძლო, მაგრამ ერთხელ რომ ავფეთქდებოდი, ადვილად ველარ ვწყარდებოდი.

ამ ქალბატონმა გულმხურვალედ მიგვიღო და შეგვიპატიჟა. შეუმჩნევლად შევედი და პირდაპირ სტუმარტა აბაზანისკენ გავემართე, რომ დავწყნარებულყავი. სანამ მათ შევუერთდებოდი, ჯონმა საჭიროდ ჩათვალა აეხსნა ჩემი აწენილი გარეგნობა და ცრემლიანი თვალები.

„ლიზამ თქვა რომ სურს, რომ მამაკაცი ყოფილიყო და რომ სძულს ქალები,“ უთხრა მან, თან არ იყო დარწმუნებული თუ რა რეაქცია მოყვებოდა ამას. ამ ბრძენმა ქალბატონმა თავი დაუქნია, და კომენტარისგან თავი შეიკავა, სანამ არ დავბრუნდი. გამოვედი ცოტა მორცხვად. რას იფიქრებდა იგი ჩემს უგუნურ ცრემლების ღვრაზე? ნეტა ხომ გააფრთხილა მან ჯონი: „არ მოიყვანო იგი ცოლად!“? თითქმის მყისვე მან გააქარწყლა ჩემი შიშები. მიმიზიდა თავისკენ, შემომხედა თვალებში და უბრალოდ თქვა: „მესმის.“ ღრმად ჩავისუნთქე და გადავხვიე. იმ მომენტისთვის, თითქოს საკმარისი იყო რომ სხვა ქალი მიგებდა, რომელიც მეტად ასაკოვანი იყო და თან ბრძენი.

აღბათ უფრო ზუსტი იქნებოდა ვთქვათ, რომ სინამდვილეში განა ქალები არ მოგვწონს, არამედ ის იმიჯი, რომელიც ქალებს ჩამოუყალიბდათ ან მოერგნენ. სხვა დროს მაინტერესებს ხოლმე, რაიმე გადამწყვეტი ხომ არ გვაკლია, რის დაკარგვასაც ვგლოვობთ, რასაც ვერ გამოვხატავთ. შესაძლოა არ მოგვწონს აღქმული შეზღუდვები ან სისუსტეები, რომლებიც ჩვენს სქესს უკავშირდება. უბრალოდ ნახეთ თუ როგორ ექსპლუატირებს მედია ქალებს და ამცირებს მამაკაცებს. ჩვენ ვითხოვთ თანაბარ დაფასებას, შემდეგ კვადრულობთ რომ დავმცირდეთ უბრალო სექსუალურ შესახედაობებად, რომლებიც სხვებს ეთამაშებიან. როგორც ჩანს, ჩვენ რალაცნაირად ავცდით გზას, და სულ რამდენიმე ჩვენთაგანი, საკმაოდ დაგვიანებულად, სასონარკვეთილად ცდილობს ზოგი ამ ჭეშმარიტების გატარებას ცხოვრების თამაშში. ვშიშობ სასწრაფოდ უნდა დავიბრუნოთ მდგომარეობა იქამდე, სანამ ძალიან გვიანი არ იქნება.

## შთამავონებელი ხილვა

ვერც კი დავითვლი რამდენჯერ იყო, რომ ახალგაზრდა ქალები მისვამდნენ სააზროვნო, კვლევით კითხვებს: რატომ არის

## იქნებ მე არ მომწონს ქალები?

კარგი ქალად ყოფნა? რაშია ჩვენი ფასეულობა? რა არის ჩვენი როლი? რა შემიძლია გავაკეთო? როგორ შემიძლია ამის გაკეთება? რას ამბობს ღმერთი ჩვენს ქალურ გარეგნობაზე? შეიძლება ჩემს ცხოვრებას რეალურად ჰქონდეს აზრი მამაკაცთან ურთიერთობის გარეშე? მე ვგრძნობ ღმერთის მონოდებას, მაგრამ არ ვიცი როგორია იგი, როგორც ქალისთვის. შეგიძლიათ მითხრათ როგორ ვიყო ისეთი ქალი?

იმისათვის, რომ წარმატებულად განიხილოთ და გამოიკვლიოთ საკუთარი ქალური ხვედრი (და იგი მართლაც ძლიერი რამაა), ნება მომეცით წარგიდგინოთ პერსპექტივაც და სურვილიც.

წარმოიდგინეთ დიდებული ქალაქი. ეს არ არის ჩვეულებრივი ადგილი, რადგან იგი ჩნდება მხოლოდ განთიადზე, სადაც დედამიწა ხვდება ცას, ისე, თითქოს მზის ამოსვლასთან ერთად იზადება. თქვენ ხედავთ მის კონტურებს გამოკვეთილს ცეცხლოვანი მარჯნის ნათებისგან, იმდენად რეალურად, იმდენად ცხადად, რომ ფიქრობთ, რომ შეგიძლიათ მონყვიტოთ იგი ჰორიზონტიდან და დაიჭიროთ ხელში. შემდეგ უეცრად ქრება, რადგან როცა მზე ამოდის, საიდუმლო ქალაქი ქრება თვალთახედვიდან.

ჩვენ ვთქვით, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქალაქი რეალურია, იგი შორს არის. ამ ქალაქის მცხოვრებნი ძალიან განსხვავდებიან ჩვენგან, რადგან ყველა ძლიერი, ლამაზი, კეთილი და ბრძენია. ამ ქალაქის კულტურა და ჩვეულებები სრულიად უცხოა ჩვენი ქალაქისთვის. ჭიშკარი ყოველთვის ღიაა, და ლეგენდა ამბობს, რომ ვინც შედის ქალაქში იშვიათად სურს მისი დატოვება. სამეფო გულუხვად ჩუქნის საჩუქრებს ყველას, ვინც ესტუმრება მას, მიუხედავად ამისა მისი ფართო საზღვრები არასოდეს ივსება. ადგილი არის ყველასათვის. თუმცა ყველა ვერ უთმობს ადგილს ამ ქალაქს.

სამწუხაროდ, ბევრს არ სურს გაემგზავროს იმ ადგილისკენ რომელსაც თვალის მოკვრით ხედავენ დარიან დილას. ისინი, ვინც მიემგზავრებიან ამ სამყაროსკენ, იშვიათად ბრუნდებიან.

ყოველდღიურად თქვენი ფიქრები უბრუნდება ამ ქალაქს, მაგრამ სხვა ქმედებები და საქმეები ცდილობენ თქვენი ყურადღების მოპარვას. ფიქრები და დარდები ავსებენ თქვენს

## იბრძოლე როგორც ძალმა

გონებას და ეფექტურად გადააქვთ თქვენი ყურადღება. კონფლიქტური უწყებები იბრძვიან ქალაქის სუფთა სილამაზის წინააღმდეგ. თუმცა, როცა მშვიდად ხართ, უძლეველ მიზიდულობას გრძნობთ, თითქოს გეძახდეთ. დრო და დრო იღვიძებთ და თითქოს ვიღაც გეჩურჩულებათ. გესმით საკუთარი სახელი, მაგრამ რალაცნაირად განსხვავებულად ჟღერს... რეზონანსში ცხოვრებასთან. ისეა თითქოს თქვენი პიროვნების მხოლოდ მცირე ნაწილია რეალიზებული, ხოლო იქ სრულყოფილი იქნებით. ზოგმა შეიძლება იფიქროს მე აღვწერ მხოლოდ ზეცას — არა. მე ვსაუბრობ მომავალი სამეფოს აღთქმებისა და ჭეშმარიტების მიღებაზე.

**„მოვიდეს სუფევა შენი, იყოს ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ვგრეცა ქვეყანასა ზედა.“ (მათე 6:10)**

მჯერა, რომ რადგანაც ზეცის სამეფოს ჭეშმარიტება არა მარტო ესმით ხალხს, არამედ გულმოდგინედაც ცხოვრობენ მის მიხედვით, ჩვენ ვიხილავთ რომ აღდგება ჩვენი ძალის და სილამაზის ნაწილი. ეს ქალაქი მეტყველებს იმაზე, თუ როგორ უნდა იყოს ყველაფერი და არ არის. იგი წარმოადგენს კულტურას, სადაც ყველას გააჩნია უნიკალური ფასეულობა და პატივი. იგი წარმოადგენს განსხვავებას დიდებულ ზეცასა და აწყობ დედამიწას შორის. ეს დიდი განსხვავება მეტყველებს ხვედრზეც და ლტოლვაზეც. მჯერა ხილვა ძლიერი ფაქტორია ხვედრის გამოსაღვიძებლად.

**„ხილვათა გარეშე თავს აიშვებს ხალხი.“ (იგავები 29:18)**

რას უნდა წარმოადგენდეს ეს ხილვა ზეცასთან დაკავშირებით სიკვდილის შემდეგ? დიახ, ხილვას გააჩნია ძალა აგვამაღლოს და შეგვახსენოს, რომ საბოლოოდ ჩვენ შექმნილები ვართ სხვა ადგილისა და დროსთვის. იქ ყველა შეცდომა გამოსწორებული იქნება და აღმოვაჩინთ, რომ ყველანი საყვარელი ადამიანები ვიქნებით. ეს არის ჩვენი სასოება, მაგრამ რა ვთქვათ აწმყოზე?

**სილამაზე — ყოველი ქალის უნიკალური საჩუქარი**

ამ წლის დასაწყისში, ვიგრძენი თითქოს ხილვა ცეკვავდა ჩემს წინაშე. ვიყავი ავსტრალიაში ქალთა მშვენიერ კონფერენ-

## იქნებ მე არ მომწონს ქალები?

ციაზე. ღონისძიების ბოლოს მოზარდი გოგოების ჯგუფმა შეასრულა ლამაზი ცეკვა. მოხიბლული ვიყავი როცა ვუყურებდი მათ როგორ იკრიბებოდნენ. ისინი ყველა ზომის და ფორმის იყვნენ — მაღალი, დაბალი, მომხიბვლელი და ტანადი — თუმცა როცა მუსიკა დაიწყო საერთო ტაქტით ამოდრავდნენ. სიმღერაც უხდებოდათ და ცეკვაც. ცრემლებმა ჩამირბინეს ლოყებზე როცა ისინი თავიანთ საცეკვაო პას დემონსტრირებდნენ. ერთი შავგვრემანი გამუდმებით იპყრობდა ჩემს მზერას. გავიფიქრე: „რა საყვარელია.“ გავიფიქრე ეს თუ არა, გავიგონე სულის ჩურჩული: „შენც ასე გამოიყურებოდი მის ასაკში, მაგრამ ამას არასოდეს ამჩნევდი.“ კვლავ შევხედე. მისი აღნაგობა ჩემი ანარეკლი იყო მის ასაკში, თუმცა საკუთარი თავი ყოველთვის მიმაჩნდა უშნოდ და უხეშად. რატომ ვხედავდი ამას ახლა განსხვავებულად? შევხედე ჩემს ძვირფას მეგობარ ლეის, რომელიც ჩემს გვერდით იჯდა და გაფულიმე. მისი თვალებიც სავსე იყო ცრემლებით. ახლა სხვანაირად იყო საქმე. ჩვენ ვიყავით დედები, რომლებიც ქალიშვილების ცეკვას უყურებდნენ.

საოცარია თუ დროს და შეხედულების შეცვლას რა შეუძლია. წლების შემდეგ მე აღარ მიჭირს საუთარი თავის სხვა ქალთან შედარება. ღმერთმა განკურნა ის დამტვრეული ადგილები. მე რაღაც მეტს ვეძებ. ვეძებ იმას, რასაც იმ დღეს თვალი მოვკარი. ვილტვი იმ დღისკენ, როცა ჩვენი გოგოები დაიწყებენ ამ სამოსის ქსოვას და აღიდგენენ უნიკალურ მშვენიერებას, სიყვარულს და სილამაზეს და მხოლოდ ამას შეუძლია ქალურობის გამოხატვა. ვუყურებ ქალებს, რომლებმაც იციან როგორ მართონ არა მხოლოდ საკუთარი ცხოვრება, არამედ სხვებისაც ზეცის სიკაშკაშის ნაწილით. ეს მომენტი გამოხატავს იმას, რასაც მინდა რომ ამ წიგნმა მიაღწიოს. მსურს, რომ ქალიშვილები ცეკვავდნენ უშიშრად მაშინ, ხოლო დედები იღიმოდნენ და ბებიები კი კმაყოფილებით სუნთქავდნენ.

მსურს ვიყო დედის ხმა ახალგაზრდისთვის, მეგობარი ჩემი დებისთვის და შვილი მათთვის, ვინც ისვენებს მრავალი წლის ცეკვის შემდეგ. მსურს დავეხმარო ქალებს, რომ დაინახონ მათი ცხოვრების პერიოდების სილამაზე და ძალა. მიუხედავად ჩვენი აწმყო პერიოდისა და შეხედულებისა, ეს ვერ მოხდება იქამდე, სანამ ჯერ არ ვისწავლით რომ გვიყვარდეს ერთმანეთი და თუ ვინ ვართ როგორც ქალები.

## იბრძოლე როგორც ქალმა

### კრიტიკის დამარცხება

არ ვფლობ ყველა პასუხს, მაგრამ რაც ვისწავლე ის მინდა გაგიზიაროთ. ჭეშმარიტება ხშირად მელაპარაკებოდა, მაგრამ მე არ მესმოდა. საკმაოდ დაკავებული ვიყავი ტყუილების მოსმენით. სამწუხაროდ თუ დიდი ხანი უსმენთ ტყუილებს, როცა ჭეშმარიტება ლაპარაკობს ვერ გაიგებთ ან ვერ აიტანთ. სხვა დროს კი, უბრალოდ არ მესმოდა ნათქვამი დაბრკოლებების და არეულობის გამო ჩემს ცხოვრებაში.

წლების მანძილზე გამიგია მრავალი სხვადასხვა და შერეული ამბები ქალებზე. როცა უფრო ახალგაზრდა ვიყავი მოვისმინე ფემინისტი ლიდერების საუბარი, მაგრამ ამას ყოველთვის მოყვებოდა მათი გულის წყრომის კრიტიკა. როცა გავიზარდე მესმოდა განქორწინებული ქალების ხმა, რომელშიც ჩანდა იმედგაცრუება, ტკივილი, სიმწარე და ღალატი. კოლეჯში მოვისმინე ჩემი სოციოლოგიის მასწავლებლის ფილოსოფია, მაგრამ მასში გარეული იყო მისი გადაწყვეტილებებიც. ეკლესიაში მესმოდა ლიდერების შეხედულებები და ხშირად მას ახლავდა რელიგიური სისტემების ხმაური. ყოველი ხმა შეიცავდა ჭეშმარიტების ნაწილს. ეს იყო სიძნელების და უსამართლობის, ბატონობის და დანაკარგის რეალური ისტორიები. როცა ერთად ვაწყობ ამ ნაწილებს, არ მომწონს შედეგად მიღებული სურათი ან არჩევანი, რომელსაც ისინი მთავაზობენ. მე რაღაც უფრო მეტი მსურდა. მსურდა ცეკვა. მსურდა ლიმონი. მსურდა ჰორიზონტზე მდებარე ქალაქი.

როცა მივემგზავრებით იმისკენ, თუ როგორც უნდა გამოიყურებოდეს ყველაფერი, თითოეული ჩვენთაგანი ვმოგზაურობთ სხვადასხვა ადგილიდან ანუ პერსპექტივიდან, მაგრამ აუცილებელია, რომ როგორც ქალები მივიდეთ იქამდე. ჩემი გულწრფელი ლოცვაა, რომ დავფართოთ ეს მანძილი და მსვლელობაში ავაგოთ ხიდი გადასაკვეთად ჩვენი ახალგაზრდა და ასაკოვანი ქალებისთვის. და ასე, ჩვენი მსვლელობა ჭეშმარიტების საძებნად იწყება.

იმისათვის, რომ ვიპოვოთ საკუთარი გზა, ჯერ უნდა გამოვრთოთ განუყრელი კრიტიკა, რადგან იგი სახიფათოდ ახშობს და ამახინჯებს ყველაფერს რაც გვესმის. ეს ჩარევა მუდმივი გახდა ჩემს ცხოვრებაში. მე გავიგონე მისი დაჟინებული დამახინჯებაც

## იქნებ მე არ მომწონს ქალები?

წმიდა წერილის კითხვისას. მესმოდა იგი ოჯახური ურთიერთობების დინამიკაშიც. გამიგონია იგი კომიკურ სიტუაციებში, წესდებებსა და პროცედურებში. გამიგონია იუმორში. მომისმენია ეკლესიაში, სკოლაში. რას გაიძახდა კრიტიკა? „ქალები — პრობლემა.“

ოდესმე გასმენიათ ეს კრიტიკა? ალბათ შენიშნეთ, მე არ მითქვამს, რომ ქალებმა შეიძლება გამოიწვიონ პრობლემები, რადგან რა თქმა უნდა შეუძლიათ, მაგრამ თავად ქალები არ არიან პრობლემა. ერთია იყო პრობლემის მიზეზი, მაგრამ სულ სხვაა რომ აიგივებდე საკუთარ თავს და ბუნებას ყველა პრობლემასთან დედამიწის ზურგზე. საბედნიეროდ, წლების მანძილზე აღმოვაჩინე, რომ ყოველ ტყუილზე არსებობს დამძლეველი ჭეშმარიტება: *ქალები არ არიან პრობლემა... ისინი პასუხი არიან.*

დაუფიქრდით ამ მომენტს. მიეცით საშუალება, რომ მისმა სილამაზემ და ძალამ დაფარონ ხმაური და შეაღწიონ თქვენს არსებაში. როდესაც გააგრძელებთ კითხვას, გამუდმებით უნდა დაამუშაოთ ყველაფერი რასაც მოისმენთ ამ მარტივი, თუმცა ღრმა აზრით: *შენ ხარ პასუხი.*

## ჩაეჭიდე შენს ძალას

„არა“, შეიძლება თქვათ, „არ ვარ. მე პრობლემა ვარ. შენ არ იცი როგორი იყო ჩემი ცხოვრება.“ დამშვიდდით, მომისმინეთ, მე არ ვსაუბრობ თქვენს წარსულზე; მე ვსაუბრობ თქვენს მომავალზე. თუ დაიჯერებთ რომ პასუხი ხართ, ცხოვრებას და ურთიერთობებს სრულიად განსხვავებულად მიუდგებით, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ დაჯერებული იქნებით, რომ პრობლემა ხართ. პრობლემები ნეგატიურია, კრიტიკული და კატეგორიული. პრობლემები აწვალენ თქვენს ცხოვრებას თავიანთი დარდებითა და შიშებით. ო, მაგრამ გამოსავალი სხვადასხვანაირად ჟღერს. ისინი პოზიტიურია, იმედიანი და სიცოცხლის მიმცემი თავის სიბრძნეში. პასუხები ანუგეშებენ და კლავენ შიშს სიყვარულის ძალით. თუ გჯერათ რომ პრობლემა ხართ, ადრე თუ გვიან დაინყებთ შესაბამისად მოქმედებას. ასევე, თუ დაიჯერებთ რომ სინამდვილეში არ ხართ პრობლემა, არამედ გამოსავალი, დაინყებთ ამის შესაბამისად მოქმედებას. წარმოიდგინეთ რა შეიძლება მოხდეს ქალების მთელმა თაობამ რომ გაითავისოს ეს. ყოველ დღე სარკეში რომ ჩაეხედათ და ეთქვათ: „მე პასუხი ვარ. მე მაქვს ძალა იმისათვის, რომ შე-



## იბრძოლე როგორც ძალმა

ვარყო ეს სამყარო. მე შევიქმენი კარგისთვის და არა ზიანისთვის. არ მჭირდება ღრიალი, რადგან გამაჩნია ჩურჩულის ძალა. არ მჭირდება ვიყო შავი ან თეთრი... რადგან მე ვარ ქმილების ფერი და სილამაზე!“

პასუხი იყო სწორად ჩვენი არსებობის მიზეზი და მოტივაცია ჩვენი შექმნის მიღმა. სამოთხეს გააჩნდა პრობლემა და ჩვენ ვიყავით ღმერთის პასუხი. იფიქრეთ ამაზე! თქვენ ვილაცის პასუხი ხართ. თქვენ რაღაცის პასუხი ხართ. არსებობს პრობლემა, რომელსაც მხოლოდ თქვენი თანდასწრება გადაჭრის. არსებობს გატეხილი და დაჭრილი გული რომელთანაც მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ მიიტანოთ კურნება. თქვენ ხართ ხმა მუნჯისთვის. თქვენ ხართ სილამაზე ნანგრევების შუაგულში. თქვენ არ ხართ მსხვერპლი; თქვენ ხართ პასუხი. წარმოიდგინეთ რა ძალაა ამ შეხედულების ცვლილებაში. ქალები არ არიან კაცები, მაგრამ ხშირად არიან მამაკაცის პასუხი.

**„არაა კარგი ადამის მარტოობა! შევუქმნათ მას შესაფერისი შემწე.“ (დაბადება 2:18)**

ადამს სჭირდებოდა დახმარება. ევა იყო მისი პასუხი. პასუხს და გამოსავალს არ სჭირდება ბრძოლა იმისათვის, რომ შემჩნეული იყოს როცა სცენაზე გამოდის. ბრძენებმა იციან ეს. ადამმაც რა თქმა უნდა იცოდა.

**„და თქვა ადამმა: „ეს ძვალი ჩემს ძვალთაგანია, ეს ხორცი ჩემს ხორცთაგანია. და ეწოდოს მას დედაკაცი, რადგან კაცისგანაა გამოღებული იგი.“ (დაბადება 2:23)**

ისევე, როგორც ადამის შემთხვევაში, როცა ხალხი ხედავს რომ ქალები განასახიერებენ ჭეშმარიტებას, ისინი მიატოვებენ პრობლემურ აზროვნებას და ჩაეჭიდებიან როლს, როგორც პასუხს. მჯერა, რომ ქვეყნიერება გიყურებთ და გელოდებათ, რომ იყოთ პასუხი.

ამასთან, ჩვენ ვცხოვრობთ წუთისოფელში და ხშირად ეკლესიის კულტურაში, რომლებიც შეუწყვეტილად იძახიან, რომ ქალები ერთგვარი „ზიანია ძრავში.“ სუსტი რგოლი, ასე ვთქვათ. ო, მაგრამ ეს არ არის სიმართლე!

## იქნებ მე არ მომწონს ქალები?

ქალი შეიქმნა იმისათვის, რომ პასუხი ყოფილიყო. ის საგანძური იყო, ვისაც ადამი ეძებდა, ღმერთის სრულყოფილი ქმნილება. როცა მას (ქალს) უყვარს, იგი ზეთია რომელიც პოხავს და ცხოვრებაც ადვილად მიდის. როცა ის თავისუფალია, იგი არ არის უსუსტესი რგოლი; იგი არის ლალის თვალი ჩამოკიდებული ოქროს მძივზე.

**„მიჩვენე პირი შენი, მასმინე ხმა შენი! რადგან ტკბილია ხმა შენი და პირი შენი მშვენიერი.“ (ქებათა ქება 2:14)**

ქვეყნიერებას სწყურია თქვენი ნახვა და მოსმენა. ევას ქალიშვილებმა უგუნურად დაიჯერეს ტყუილი და მას საშუალება მისცეს შეეცვალა მათი შეხედულებები და სახე. იმ ტყუილის მიღებით, რომ ჩვენ პრობლემას წარმოვადგენთ, დროის გასვლის შემდეგ ჩვენ მართლაც შევიქმენით ასეთებად. დავივიწყეთ რა, რომ საყვარლები ვიყავით, დავკარგეთ ჩვენი სილამაზის წილი. სიმართლეა, რომ ბევრი ჩვენთაგანი არ ვუცრუებთ იმედებს მათ, ვინც აკვირდება ჩვენს მარცხს. მაგრამ ქარი იცვლის მიმართულებას და ჭეშმარიტება უბერავს თავისუფლად და ახლებურად ყველას, ვისაც ყური გააჩნია იმის სასმენად, რასაც ჭეშმარიტება ილაპარაკებს და გამოაღვიძებს. ქვეყნიერებას სურს რომ კვლავ მოისმინოს ჩვენი ხმების მშვენიერება.

## ქალები არ წარმოადგენენ პრობლემას

საქმე იმაში კი არ არის, რომ არ მოგწონთ ქალები... თქვენ არ მოგწონთ ცეკვა, რომელსაც ჩვენ ახლა ვასრულებთ. ტანსაცმელი არაკომფორტულია და სიმღერა დაულაგებელი. თქვენ ცდილობდით მოგეშორათ ფუქსავატობა, სისუსტეები და წარუმატებლობები, და ეს არ არის სინამდვილეში ცუდი რამ. მაგრამ ეს როდია საკმარისი. ჩვენი სქესის უარყოფა ვერასოდეს მიგვიყვანს პრობლემის დინამიკიდან პასუხამდე.

მეც ვასამართლებდი საკუთარ თავს უბრალოდ იმის გამო, რომ ქალი ვიყავი. ჩემი საკუთარ თავთან საუბარი ასეთნაირად მიმდინარეობდა: „მძულს ის, რომ ქალი ვარ... ნეტა კაცი ვყოფილიყავი! კაცები თავისუფლები არიან აკეთონ მეტი. რა უნდა ქნა, ისინი უფრო ძლიერები არიან. მძულს რომ ჩემზე დომინირებენ და ვემორჩილები! მინდა ვიყო თავისუფალი, რომ ვუფლობდე საკუთარ თავზე.“ დროთა განმავლობაში მივხვდი, რომ ეს აზრები ჩამომიყალიბდა კრიტიკის საპასუხოდ. ხმაურმა დაამახინჯა ჩემი წარმოდგენები ყველაფერზე.

## იზრძოლე როგორც ძალმა

წარმოიდგინეთ პროცესი როგორც ჯი-პი-ეს სისტემის მაგვარი რამ მანქანაში. სატელიტურ რუკას უფრო მეტი სარგებელი გააჩნია, ვიდრე მოძრაობის გადაკვეთა ან მანქანის შიდა გასართობი (მაგალითად ხმაურიანი ბავშვებისთვის). ჩემს მეუღლეს აქვს ასეთი სისტემა თავის მანქანაში და ერთხელ ვცაადე გამომეყენებინა იგი, როცა გავრისკე გასვლა დენვერის ჩემთვის უცხო ნაწილში. ერთადერთი პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ იგი არასწორად იყო დაპროგრამებული; მასში ჩემი გამოსვლის ადგილი დანიშნულების ადგილად იყო შეყვანილი.

მთელი მგზავრობის პერიოდში ჩემი ნავიგაციის სისტემა ცდილობდა დავებრუნებინე სახლში. გადაუხვეიე ახლავე და მოატრიალე! შემდეგ შესახვევში გადაუხვეიე. შეჩერდი, არასწორი გზით მიდიხარ! ამ ყველაფრის გაგონებაზე, ზოგჯერ ვგრძნობდი, რომ ჩემი მიდგომა სქესობრივ საკითხებთან იგივე იყო. მე შემთხვევით დაპროგრამებული ვიქენი არასწორი მიზნით. დანიშნულების ადგილი: მამაკაცის ბუღვარი, გასვლის ადგილი: ქალთა გზატკეცილი. შეიძლება თქვენც ასე გრძნობთ; თქვენი სანავიგაციო სისტემა გაჰკივის, მაგრამ თქვენ არ იცით სად უნდა შეუხვიოთ. დროა ეს შერეული მაღალჩქაროსნული გზატკეცილი დავტოვოთ და დავბუნდეთ უსაფრთხო გზაზე, რომელიც მიგვიყვანს ჰორიზონტზე მყოფ სამეფოში. იქ შეგვიძლია ვიზეიმოთ არა მარტო ქალებმა როგორც მეგობრებმა, არამედ გადავიზარდოთ გაცილებით უფრო მეტში, ვიდრე ოდესმე გვიოცნებია.

## სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ღმერთის გეგმისთვის

ნუ იფიქრებთ, რომ მე მხარს ვუჭერ დათმობის ან „ჩვარად“ ყოფნის აზროვნებას. თქვენ კაცობრიობისთვის ღმერთის პასუხის სასიცოცხლო ნაწილს წარმოადგენთ. ჩვენმა ზეციერმა მამამ განსაკუთრებულად შეგქმნად თქვენ ისეთი საქმის გასაკეთებლად, რომელსაც ვერ მიაღწევს ვერცერთი ქალი ჩვენს სივრცესა და დროში. ამასობაში, როცა ვაგრძელებ საუბარს ქალებსა და იმ პრობლემებზე, რომლებსაც ისინი ეჯახებიან, იმედი მაქვს დაგუაზლოვდე ჩემს მკითხველებს იმის თქმით, რასაც ღმერთი ამბობს მათ შესახებ: „მე მომწონს ქალები; ისინი პასუხს წარმოადგენენ მრავალ პრობლემაზე.“

## იქნებ მე არ მომწონს ქალები?

ქალები ძალიან ძვირფასები არიან, მაგრამ ხშირად ამას არ გამოვხატავთ ერთმანეთისადმი. შესაძლოა საკმარისად არ გვსმენია არც მედიაში, არც ეკლესიაში, არც საკუთარ სახლებში, არც სექსუალობის სფეროში, არც ჩვენს ურთერთობებში. როცა დავინახავთ და დავეთანხმებით ჩვენს ბუნებრივ ფასეულობას, ჩვენი ძალები გაიზრდება. ის, რაღაც გავხდებით, მეტად და მეტად ცხადი იქნება. ბნელი, დაჩრდილული სარკე გაინმინდება და ჩვენი თავდაპირველი როლი და სილამაზე, რომელიც მას გააჩნია, გაცხადებული იქნება.

**„ვინაიდან ახლა ჩვენ ვხედავთ სარკით, ბუნდოვნად, მაშინ კი პირისპირ.“ (1 კორინთელთა 13:12)**

მომდევნო გვერდებზე ჩვენ განვიხილავთ თუ როგორ გამოიყურება ეს. ვლოცულობ, რომ იპოვოთ თქვენი ადგილი სამეფოში და დაიწყოთ იმის გაგონება, თუ როგორ გეძახით იგი სახელით.

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე კითხვა ფიქრისთვის:

რანაირად აძლევთ კრიტიკას საშუალებას დაგაჯეროთ, რომ პრობლემას წარმოადგენთ?

როგორ ფიქრობთ, რა ასაკში ხდებით ყველაზე დაუცველი ჩარევების წინააღმდეგ?

რატომ დაიწყეთ ამის დაჯერება?

რა მოხდა თქვენს ცხოვრებაში რამაც გააძლიერა ეს დამახინჯებული აზრი?

რა სფეროებია, რომლებშიც თქვენი წარმოდგენა საკუთარ თავზე, როგორც პრობლემაზე, ყველაზე ძლიერად იზრდება თქვენს წინააღმდეგ?

რა უნდა გააკეთოთ დაჯერებისთვის, რომ პასუხი ხართ?

რა სფეროებში შეგიძლიათ დაიწყოთ იყოთ პასუხი სხვებისთვის?

## იზრძოლე როგორც ძალმა

### ზეციერო მამა,

მოვდივარ შენს წინაშე იესოს სახელით. მჯერა, რომ შენ მიყურებ მე, როგორც საყვარელ შვილს. მწამს, რომ შენ შემქმენი და გამომძევენი დედაჩემის მუცელში სიკეთისთვის და არა საზიანოდ. მე მიტევდნენ როგორც პრობლემას; მინდა გავთავისუფლდე, როგორც პასუხი. აღვაპყრობ ჩემს სახეს შენსკენ; აღადგინე ჩემი ხმის სინაზე. მსურს მიმქონდეს კურნება და იმედი დაკარგულებისა და მომაკვდავებისთვის, მაგრამ ჯერ მჭირდება, რომ პირადად შეეხო და განკურნო ჩემი ცხოვრება. შეცვალე ჩემი შეხედულებები. აღადგინე ჩემი სამშვიინველი. დამიძახე მშვენიერი. ახლოს მამყოფე შენთან. ვიცილებ უხემ სამოსს და მოვდივარ შენს წინაშე მზადყოფნაში, რომ ხელახლად შემოსო ჩემი სანყისი მშვენიერებით. სულოწმიდავ, შთაბერე სიცოცხლე ყოველ მკვდარ და დახშულ ადგილას. ამიხილე თვალები, რათა დავინახო, თუ რა შეიძლება იყოს და გამიხსენი ყურები, რათა მოვისმინო, რომ სახელით მეძახი.

ამინ.

## თავი მესამე

### მაბრამ მე მამაკაცი არ ვარ

რაც დრო გადის, გენდერული დინამიკა მეტად საკვანძო და მნიშვნელოვანი გახდება. მსმენია, რომ გენდერულ დისკრიმინაციას მიიჩნევენ უკანასკნელ მოსაგვარებელ აკვიატებულ აზრად, მაგრამ ვგრძნობ შეცდომას ვუშვებთ, როცა აღვწერთ სქესს, როგორც აკვიატებული აზრის საკითხს. ეს არის სიცოცხლის და სიკვდილის საკითხი. ამის თქმით არანაირად არ ვუარყოფ ზენოლის და აკვიატებული აზრების საკითხების მოგვარების მნიშვნელობას თავიანთი სხვადასხვა ფორმით. სინამდვილეში, რასობრივი აკვიატება აგრძელებს ზიანის მოტანას უცოდინრებისა და ამპარტავანთა მეშვეობით ჩვენს თანამედროვე სამყაროში. არსებობს მრავალი ბრწყინვალე რესურსი, ორგანიზაცია და ინდივიდი, რომლებიც უპირისპირდებიან ამ საკითხებსა და ტყუილებს. ჩემი მიზანია არსებული უსამართლობის გამოსწორება სქესებს შორის, რომელიც აღწევს ყოველ კულტურაში და ამა თუ იმ ფორმით არსებობდა დასაწყისიდანვე. შესაძლოა სქესების განკურნებით ჩვენ აღმოვაჩინოთ განკურნებას სხვა სფეროებშიც.

რასა და ეთნიკური კუთვნილება გვაძლევენ შესაძლებლობას ვიზიემოთ ყოველი კულტურისა და ეროვნების განსხვავებულობა და მრავალფეროვნება. ღმერთს მოსწონს გამოხატულების ეს დიდი სიმრავლე, რომლებიც ხაზს უსვამენ ჩვენი კაცობრიობის ასპექტებს. ერთ დღეს, ყოველი კულტურა შეიკრიბება მის წინაშე და წარადგენს თავიანთ მუსიკას, ცეკვას და უნიკალურ ნიჭებს მისი დიდებისათვის. როცა მამა ღმერთი საუბრობს კაცებსა და ქალებზე, ეს განსხვავებული რამაა. იგი ხარობს არა მათი დაყოფით, არამედ ერთობით. იგი მოუწოდებს რომ ორნი გახდნენ ერთი.

ამ მოწოდებას შეიძლება მივაკვლიოთ დავდაპირველ ბალის ჩანაფიქრში, სადაც ეთნიკური კუთვნილება და რასა გამოჩნდა დაცემის შემდეგ და ჩვენი გამოძევების შემდეგ ბალიდან. შესა-

## იზრძოლე რომორც ძალმა

ძლია ყველა სხვადასხვა კულტურის განსხვავებული არომატი განვითარდა სიცოცხლის საპასუხოდ ბალის გარეთ. მაგრამ სქესი ყოველთვის არსებობდა. სქესი იყო ღმერთის ერთერთი შემოქმედებითი გზა მრავალფეროვნების გამოსახატავად ერთობაში. ეს უპირატესობაა, რომელიც ამკვიდრებს ჩვენს პოზიციას და პერსპექტივას.

წლების მანძილზე, ჩვენი კულტურა ცდილობდა შეემცირობინა ან უერყო სქესის არსებობა და ძალა, რომელიც მას გააჩნია ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში. შესაძლებელია რომ ეს იყოს მიზეზი რატომაც დავკარგეთ ამდენი ძალა და ძირითადი ურთიერთობები? ეს მარყუჟი ხომ არ არის, რომელმაც დატოვა ჩვენი კულტურები, ეკლესიები, ოჯახები, შვილები და ქორწინებები ამკარა და სერიოზულ მერყეობაში? ისტორია გამუდმებით გვაჩვენებდა კითხვის გარეშე, რომ როცა ქალები არ არიან დაფასებულნი, სიყვარულის ობიექტები, და პატივდებულნი, არსებობს თვალხილული ან სულ მცირე, მოსალოდნელი კულტურული მარცხი.

## ჩვენ მტრები არ ვართ

მამაკაცები და ქალები მთელს მსოფლიოში დიდად საჭიროებენ მთლიანობას და განკურნებას. რადგან ძალიან დიდი ხანია, ტკივილი ორივე სქესის წილი იყო. რადგანაც გენდერული პრობლემები გამუდმებით იყო ტკივილის წყარო, ჩვენ შეცდომით შევეცადეთ განკურნების მიტანას მამაკაცების და ქალების არევიით. თეორია იმაში მდგომარეობდა, რომ თუ განსხვავებებმა გამოიწვიეს ჭრილობები, შეიძლება მათმა შემცირებამ განკურნება მოიტანოს. თუ რამენაირად შესაძლებელი გახდება რომ უსქესონი გავხდეთ, მაშინ სქესობრივი განსხვავებები დაკარგავენ ძალას და აღარ იქნებიან ჩვენთვის საშიში. იმედი კარგი იყო, მაგრამ პასუხი – არაადეკვატური. ვერასოდეს ვიპოვეთ გამოსავალს რომელსაც ვეძებთ ამ ჰიბრიდში... ჩვენ გვჭირდება რაღაც ცალკეული, მაგრამ ერთი. ორი უკიდურესობის შერევას არ მოაქვს სიცხადე, ისევე როგორც შავის და თეთრის შერევა იძლევა ნაცრისფერ და ბუნდოვან ტონებს. არა, პასუხი, რომელსაც ვეძებთ, მოვა მეტად ჭეშმარიტი, სუფთა კეთილშობილი სანყისის თესლში; და როცა ჭეშმარიტება დაითესება, მჯერა მოიტანს ნაყოფის თაობებს.

დღემდე მოვედით და მაინც ცოტა ვისწავლეთ? განსხვავება

## მაგრამ მე მამაკაცი არ ვარ

ადამიანის სქესებს შორის არის დინამიური, რომელიც ანიჭებს ძლიერ მხარეებს მამაკაცსაც და ქალსაც. ეს მრავალფეროვნება არ იყო ცუდისთვის, არამედ სასიკეთოდ. სიცოცხლის წარმოქმნისას ეს ცხადი იყო. თავად ღმერთმა გააცხადა, რომ არ იყო კარგი როცა მისი დიდებული კაცი, ადამი, მარტო იყო. ასევე, არ არის კარგი, რომ ქალი შეუმჩნეველი იყოს კაცის ხატებაში. დადგა დრო, რომ ქალი გათავისუფლდეს, რათა შეძლოს საკუთარი უნიკალური ნიჭების და ტალანტების გამოყენება. ევა ქმნილების აუცილებელი დანამატი იყო. მის გარეშე ქალის ქალური ხატება ვერ იარსებებდა. ქალის პასუხი ვერ შეისხავს ხორცს სანამ იგი დამალული დარჩება.

ღმერთმა იცოდა ეს ადამამდე (იხ. დაბადება 2:18, 20). მან ნება მისცა, რომ თანამგზავრის ძიების სურვილი თავად გაჩენოდა ადამს, სანამ ედემის წესრიგს იცავდა და სახელებს არქმევდა ქმნილებას. შესაძლოა ღმერთმა თქვა რომ არ არის კარგი, შემდეგ დაავალა ადამს კარგი გაეხადა იმით, რომ წესრიგს იცავდა და ქმნილებას მიმათულებას აძლევდა იმის ძიებაში რაც აკლდა.

წარმოიდგინეთ ეძებდეთ იმას, რაც არასოდეს გინახავთ. როგორ იცნობდით იმას, რაც არასოდეს არსებობდა? არ გეცოდინებოდათ თუ რა გჭირდებოდათ, რადგან არასოდეს არც ნანახი და არც განცდილი არ გექნებოდათ იგი. ადამმა შინაგანად იცოდა, რომ ყველაფერი არ იყო ჯერ დასრულებული. სიტყვები არ არსებობდა ქალის არყოფნის აღსაწერად; ვერანაირი სურათი ვერ აღწერდა მის ფორმას; არანაირი მელოდია ან სიყვარულის სიმღერა არ იყო ჯერ გაჟღერებული. მხოლოდ შემანუხებელი ნაკლებობა უპირისპირდებოდა ადამს, როცა ეძებდა თავის მსგავს ქმნილებას.

თუმცა, ცალკედ მყოფნი, ეს ორნი შეავსებდნენ ერთმანეთს. თითოეული აირეკლავდა მეორეს არყოფნას ან ნაკლს სრულყოფილი ძალისა. ერთად ისინი შეერთდებოდნენ და მთლიანი იქნებოდნენ.

წარმოიდგინეთ მისი სიხარული, როცა მას მიუყვანეს ევა. იგი (ევა) იყო ლამაზი ანარეკლი იმ ყველაფრისა, რაც მას აკლდა. ევა იყო ადამის ძალა სრულყოფილ სისუსტეში, რადგან ორივემ ერთმანეთს შესძინეს ძალა, რომელიც აკლდათ. ერთი (ადამი) იქცა ორად (ადამი და ევა) რათა ორივეს ისევ შეძლებო-



## იბრძოლე როგორც ძალმა

დათ გამხდარიყვნენ ერთი (თავიანთ თესლში). ამ შემთხვევაშიც კი, დღეს ქალები მამაკაცების შემავსებელი ანარეკლი არიან ცხოვრების ყოველ სფეროში. და მათ წვლილს გააჩნია პოტენციური ნამოსწიოს ყოველი ასპექტი, რომელსაც ისინი შეეხებიან.

მამაკაცი უკეთესი იქნებოდა ვიდრე ორივენი ცალკედ ალებულნი, მაშინ ქალი არასოდეს შეიქმნებოდა. იგი ნეკნად დარჩებოდა ადამში, დაფარული და გამოხატული იქნებოდა მხოლოდ საიდუმლო სწრაფვით. თუ ეს ყველაფერი სიმართლეა, მაშ რა მოხდა? როგორ აირია ყველაფერი?

## ღმერთის ხატება დამახინჯდა

ჩვენ არ დავამახინჯეთ მამაკაცის და ქალის ძლიერი და ერთიანი ხატება და ვაქციეთ ამოუცნობ სახედ მისი წარსული სილამაზისა და ძალისა? ბრალდება ამ დანაკარგისთვის შორს მიმავალია: ჩვენი კულტურა ცდება, ჩვენი შიშები გვაშორებენ ერთმანეთს, ყველაზე უფერულმა რელიგიებს შორის ბრალი დაგვდო, მედია საშუალებები გვაცდუნებენ — მაგრამ ყველა ეს სიმპტომი მოდის უფრო ღრმა, ბნელი ბრძოლიდან.

ჩვენ ჩათრეულნი ვართ დაუსრულებელ ბრძოლაში ჭეშმარიტებისა და საბოლოო ძალაუფლებისთვის. ტყუილები და ძველი მტრის მინიშნებები ჩაქსოვილი იქნა ჩვენი არსების ქსოვილში და შთაბეჭდილებას ახდენდნენ ჩვენზე ჩვენი კულტურის ყოველ ასპექტში. ქალბატონებო, გაიგეთ, რომ კაცმა კი არ დაარღვია ჩვენი ცხოვრება, არამედ გველმა. მან გაგვქურდა. დაცემით, ჩვენი ხედავ დაბნელდა. სიბნელეში ადვილია შეგეშალოს მტრები მეგობრებში და პირიქით. ჩრდილების სფეროში ჩვენ ხშირად განსხვავებებს აღვიქვამთ საშიშროებად. კაცები და ქალები ებრძოდნენ ერთმანეთს დიდი ხნის მანძილზე. გამოღვიძების დრო ახლოსაა. ჩვენ არ ვართ მტრები... ჩვენ საყვარელი მოკავშირეები ვართ.

ძველი ტკივილის პრობლემებით არეული, ჩვენი კულტურა მოუწოდებდა მამაკაცებს კავშირი დაემყარებინათ თავიანთ ქალურ მხარესთან. ამასობაში ქალები იწვრთნებიან რომ იყვნენ მეტად აგრესიულები და მამაკაცურები ცხოვრებასთან მიმართებაში. მამაკაცებს გამუდმებით სთხოვენ იყვნენ მეტად ფაქიზები ან დაუცველები, როცა ქალებს აჯერებენ რომ განიმტკიცონ

## მაგრამ მე მამაკაცი არ ვარ

თავები. არ შემიძლია ვუარყო რომ ასევე სხვა უკიდურესობაც არსებობს. არეული რელიგიები მოუწოდებენ ქალებს რომ გაიძარცვონ მეობის და ფასეულობის ყოველი არსი და დაკარგონ საკუთარი პიროვნება კვლავ მამაკაცებისთვის. ჩვენს სასირცხვილოდ, ძალიან ხშირად ევანგელური ეკლესიებიც ვერ ახერხებდნენ ჯანსაღი დინამიკის ან სტანდარტების შექმნას მამაკაცებისთვის, ქალებისთვის და ოჯახებისთვის, რათა ემოქმედათ და ურთიერთკავშირი ჰქონოდათ.

ქალისთვის, რომ კვლავ დაიკარგოს მამაკაცში, არაჯანსაღიც არის და შეუძლებელიც. ფაქტობრივად, ამის მისაღწევად, მამაკაცის გვერდი ხელახლად უნდა გაიხსნას და ქალი ნეკნის სახით ხელახლად ჩასმული იქნას. რა აბსურდია! ადამს გვერდი გაეხსნა და ქალი ევა შეიქმნა ისევე, როგორც იესოს გვერდი გაუხსნეს და ეკლესია იშვა. დადგება დღე როცა ქრისტე და მისი საპატარძლო შეერთდებიან და კვლავ ერთნი იქნებიან. ახლა იმის დროა, რომ ამ ურთიერთობის წარმომადგენელი (მამაკაცი და ქალი) იყვნენ ერთნი ჯანსაღი გზით. (იხ. ეფესელთა 5:32.)

## თამაშის შეწყვეტა

თუ ჩვენ ერთი წამით გავთავისუფლდებოდით ყოველგვარი კულტურული ხმაურისგან, შევძლებდით უკან გადგომას და აღმოვაჩინდით სამინელ შეცდომას. როგორც ჩანს არის გარკვეული მცდელობა მხარეების გათანასწოლებაში და სათამაშო მოედნის გასწორებაში გოლიათი „ბიჭების“ „გოგოების“ წინააღმდეგ თამაშისთვის მოსამზადებლად.

სამწუხარო სიმართლე ის არის, რომ ამგვარი აზროვნება აზიანებს ორივე მხარეს თავიანთ მცდელობაში ყოველივე გაათანაბრონ და მიუკერძოებელი გახადონ. ორივე მხარის ცენტრისკენ სვლისას, ყოველი კარგავს თავის უნიკალურ ძალაუფლების და ძალის პოზიციას და აღწევს ნაცრისფერის გაურკვეველ ტონს. როცა ეს ხდება, ვერცერთი ვერ ართმევს თავს მოვალეობებს და არცერთს არ ხვდება გამონვევა ზრდისთვის. და ვინ მსაჯობს ამ თამაშში? ვინ გამოაცხადებს გამარჯვებულს? ვშიშობ, რომ ეს მტერი იქნება, რომელმაც მოაწყობა თამაში და მასში გამარჯვებული არ იქნება.

## იბრძოლე როგორც ძალმა

მხარეების გათანაბრების სრული აზრი არასწორია დასაწყებად, რადგან კაცები და ქალები არ შექმნილად იმისათვის რომ ეთამაშათ ან გამოსულიყვნენ მონინაალმდეგე მხარეებში. ჩვენ ერთად უნდა შეგვესრულებინა ცხოვრების ცეკვა! ღმერთს არასოდეს სურდა რომ ორმო ამოეთხარათ ქალებისთვის და პირიქით. ფაქტობრივად, მიწა იძვრის და კანკალებს ამ უგუნურების გამო. ღმერთის გეგმის მიხედვით ისინი ერთობლივი მემკვიდრეები და გაერთიანებული დამცველები უნდა ყოფილიყვნენ და არა მონინაალმდეგეები.

## გენდერული უნდობლობის ზრდა

ყოველსმომცველი ტკივილის საპასუხოდ, რომელსაც ქალები განიცდიდნენ, მრავალი გამოსავალი გამოჩნდა. წლების წინ ფემინისტები ფიქრობდნენ მოენესრიგებინათ გენდერული შეუსაბამობები. მაგრამ ის, რაც დაიწყო როგორც უსამართლო დანინაურების, გადასახადის, ანაზღაურების გამოსწორების მცდელობა, გადაიქცა სულ სხვა რამედ. აღარ უკავშირდება იგი თანაბარ გადასახადს ერთნაირი საქმისთვის; იგი გადაიქცა დამლელ მამოძრავებელ ძალად მამაკაცის გადასაწევად. ქალებს დაჟინებით მოუწოდებენ მიიღონ ის, რასაც მანამდე ერქვა გავრცელებული მამაკაცური შოვინისტური ქცევები. ქალებს მოუწოდებენ მიატოვონ თავიანთი ოჯახები განქორწინებით, დაუტოვონ თავიანთი შვილები სხვებს მოსავლელად, და ჩაეჭიდონ სქესებს შორის ბრძოლას ყველანაირი ფორმით. აბორტს ზეიმობენ როგორც დამოუკიდებლობას! ჩვენ უნდა დავამარცხოთ მამაკაცები თავიანთი თამაშით და დავამტკიცოთ ჩვენი უპირატესობა მათზე. მერე ველარაფერი ვერ შეაჩერებს ქალებს თავიანთი დამოუკიდებლობის მიღწევაში მამაკაცებისგან.

ფემინისტები იმედოვნებდნენ, რომ ეს ტაქტიკები უზრუნველყოფდნენ ქალებისთვის ძალის პოზიციებს ყოველ ფრონტზე: სექსუალურზე, პროფესიონალურზე და ურთიერთობითზე. წლების მანძილზე, ყველაფერი ცალსახად ქალური იყო კარიკატურულად გამოსახული და შედარებული იმ ქალებს, რომლებიც სუსტები იყვნენ, გაუნათლებლნი ან აკლდათ ფასეული და საქმიანი უნარები. ესენი იყვნენ ქალები, რომელთაც არ შეეძლოთ სამსახურის შენარჩუნება ან თავისით ფიქრი. 1970-იანი წლების დასაწყისში, საომარი მოქმედებები გაჩაღდა როცა მაშინდელი „სტეპფორდის ცოლების“ სახეებმა იერიში მიიტანეს ერის სულზე. მახსოვს როცა ფილმს ვუყურებდი მოზარდო-

## მაგრამ მე მამაკაცი არ ვარ

ბის პერიოდში და დავინახე მათი ისტორია ღრმად შევწუხდი. შეიძლებოდა ქმრების და მამების ნდობა? ყველა ქალი რისკის ქვეშ იმყოფებოდა? დავინყე ფიქრი, მამაკაცებს მართლა სურდათ თავიანთი ცოლების მოკვლა და მათი სრული ჩანაცვლება დამყოლი რობოტი სექს მონებით? სამყაროს მართლა უნდა ეტრიალა მამაკაცების ირგვლივ?

რეკლამებმა და სტატიებმა ყველგან გააძლიერეს გენდერული უნდობლობის ეს უწყება. აზრი, რომ აუცილებელია ერთი მამაკაცის სიყვარული ერთგულად და თავდაუზოგავად, სისულელედ იქცა ერთ დღეში. არა მხოლოდ უგუნური იქნებოდა ეს, არამედ საბოლოოდ დაუცველად გაგხდიდათ. სახლში ბავშვებთან დარჩენა ჰგავდა პროფესიონალურ თვითმკვლევლობას. ორსულობას გააჩნდა პოტენციური დამონებულისაგან საკუთარ შვილს. ამასთან ერთად, თქვენ მიჩნეული იყავით გონებაჩლუნგად და მოსაწყენად თუ ირჩევდით სახლში დარჩენას. როგორ შეიძლება ისევე აღტაცებული ყოფილიყავით, როგორც ოფისში მყოფი ქალბატონი? იგულისხმებოდა, რომ ქალებს პარავდნენ მათ საკადრის „იქ“ თუ ისინი იმისთვის იყვნენ, რომ სახლში დარჩენილიყვნენ და მოევლოთ შვილებისთვის. ქალები ყველგან ყვიროდნენ! ამან გამოიღო ის შედეგი, რომ ქალების მთელი თაობა წამოვიდა, რომელთაც არა მხოლოდ მამაკაცების ნდობის ემინოდათ, არამედ ქალად ყოფნისაც კი.

## „ქალის“ ხელახალი განსაზღვრება

პირველი ვაცნობიერებ, რომ არსებობს ამ შიშების მიზეზები. ქალები დაუცველნი არიან როცა ეკლესიაც და საზოგადოებაც არ აფასებს ქორწინების ალტემატებს. რატომ უნდა ენდობოდნენ ქალები თავისუფლად თავიანთ ქმრებს თუ ცხოვრების ალტემატ უბრალო სიტყვები იყო? როცა განქორწინება მძაფრად იმატებს, ყოველთვის ქალები და ბავშვები დგებიან ყველაზე დიდი რისკის ქვეშ. ძირითადად ქალებთან რჩებიან შვილები და მათ უნდა იზრუნონ მათზე შეზღუდული ფინანსებით და შესაძლებლობებით. მაგრამ ჩვენ არ აღმოვაჩინებ პასუხებს ან უსაფრთხოებას გარკვეული ტიპის მამაკაც-ქალებად გარდაქმნით.

ჩვენი ქალად ყოფნის არსი არ უნდა იყოს გადმოცემული მამაკაცის დამახასიათებელი ფაქტორებით. ადამი არ ღებულობდა მონაწილეობას ევას შექმნაში; მას ეძინა. მან გასცა ნედლი მასალა, მაგრამ არა დიზაინი ან სხვა წვლილი. თუმცა, ღმერთს

## იბრძოლე რომორც ძალმა

უნდა ემუშავა მის (ადამის) უბასუხო ლტოლვაზე. ადამი არ ეძებდა საკუთარ ასლს... არამედ უფრო რალაც მეტს. ადამი არ ეძებდა ისეთ ვინმეს, ვისზეც იბატონებდა. იგი ისედაც უკვე იყო ყოველივეს ბატონი, რასაც თვალყურს ადევნებდა. მას სჭირდებოდა ვინმე, ვისთანაც იგი გაინანილებდა თავის მფლობელობას და ერთად იზვიებდა; ბრძენი და ნაზი სანდო ვინმე, ვისაც ეყვარებოდა და აღტაცებული იქნებოდა მისით. ვინმე, ვინც აყვავდებოდა მისი სიყვარულის და მზრუნველობის ქვეშ და გაიზიარებდა მის სიხარულს. მას სურდა დამატებითი ვილაც ერთად ცხოვრებისთვის. იგი ეძებდა თავისი ბალის დედოფალს.

შესაბამისად, ქალები, რომლებიც მამაკაცებივით იქცევიან, ვერასოდეს გამოასწორებენ ამ შეცდომებს. ჩვენს პასუხებს ვერც ქალის სქესის გარდაქმნით ან უარყოფით შევძლებთ. *ჩვენ ვერ გავხდებით ის, რადაც შექმნილნი ვიყავით იქამდე, სანამ არ გავიხსენებთ თუ ვინ ვართ ჩვენ.* შესწორებები, რომლებიც ასე ძლიერ გვინდა, მოვა უფრო ფაქიზი რამიდან, მაგრამ არანაკლებ ძლიერი: მჯერა, კვლავ უნდა მოვიდეს გამოცხადება ქალის შესახებ.

ალარ დავუწყებთ ამ ქალიშვილს ძებნას ტიპიური მამაკაცის სათამაშო მოედანზე. წარსულში, ქალებს მოუწოდებდნენ დაემტკიცებინათ საკუთარი თავი მამაკაცთან ბრძოლით, ცდუნებით ან მისი გადაადგილებით, რათა მათი ძალის ნაწილს დაუფლებოდნენ; მაგრამ მამაკაცის სუსტად გამოჩენა არასოდეს გვაჩენდა ძლიერებად. არა, ეს გამოცხადება და აღდგენა მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხდეს, თუ ჩვენ დავბრუნდებით და ხელახლად ავაშენებთ ძალაუფლების და ძალის პოზიციებს, რომლებიც ქალებს უკვე გადაეცათ დაბადებიდანვე.

## სქესი ყველაფერია

არაფერი ისეთი რომ არ ყოფილიყო რისი გაკეთებაც მამაკაცს არ შეძლებოდა, რასაც ქალი აკეთებს, და პირიქით, მაშინ დავიჯერებდი იმას, რომ სქესი არ არის მნიშვნელოვანი. მაგრამ ეს დამახინჯებაზე მეტია; ეს ტყუილია. ისევე, როგორც დროსთან დაკავშირებით, არის ცხოვრებაში მომენტები და სცენარები, როცა სქესი ყველაფერია.

შეხედეთ შემდეგ სცენას. წარმოიდგინეთ ცივი, ნაცრისფერი განთიადი საბრძოლო ველზე, სისხლიანსა და მიტოვებულზე.

## მაგრამ მე მამაკაცი არ ვარ

მინაზე ყრიან მკვდრები და მომაკვდავები. ამ უიმედო ქაოსის შუაგულში, დგას მეფის ასული. იგი უადგილოდ არ გამოიყურება, რადგან შევიდა ბრძოლაში რაინდის აბჯარში გადაცმული. იგი იმედოვნებდა, რომ როგორმე რაიმე მცირე წვლილი შეეტანა, თუნდაც რომელიმე ძვირფასი დაცემულისთვის ნუგეში ეცა. უიმედოდ უყურებდა, როცა მისი მამა მეფე ნაიქცა და სასიკვდილოდ დაჭრილ იქნა. იგი მიემართება მისკენ, იმ იმედით რომ ხელში დაიკავოს, სანამ იგი წავიდოდეს ამ წუთისოფლიდან. მაგრამ სანამ მიაღწევს მას, ხედავს რომ იგი გარდაუვალი დაპირისპირების შუაგულშია.

მის (ქალის) გზაზე მდგარი მტერი იმდენად საშინელია, რომ ისიც და ის საძაგელი ცხოველიც, რომელზეც იგი ამხედრებულა, გამოწვევას უკეთებენ ადამიანის ხატებას. მხეცი იმისათვის მოვიდა რომ შთაენთქა მისი დაჭრილი მამა. იგი მამაცად უბრძანებს რომ მოჩვენება და მისი ბინძური გველუშაპი წავიდნენ. საპასუხოდ, ბოროტი მბრძანებელი აშინებს მას უსასრულო ტანჯვით, თუ არ გაჩერდება. იგი უარს ამბობს დათმობაზე და და იღებს მახვილს და იფიცება, რომ ყველაფერს იზავს, რაც მისი ძალებით იქნება შესაძლებელი, რათა წინაღუდგეს ბოროტმოქმედებს. სიბნელის ხელმწიფე იცინის, მასხრად იგდებს მის გაბედულ პოზიციას:

„უგუნურო. არც ერთ ცოცხალ კაცს არ შეუძლია ჩემი გაჩერება!“

„მაგრამ მე ცოცხალი კაცი არ ვარ! შენ უყურებ ქალს... მე... ასული ვარ. შენ დგახარ ჩემსა და ჩემს ბატონს და ოჯახის წევრს შორის... თუ შემეხები, მოგკლავ.“

იმისათვის, რომ დაინახოს, რომ რასაც ამბობს სიმართლეა, იგი იხსნის თავის ჩაჩქანს ისე, რომ მისი ოქროს თმები ეშვება დაბლა. დიახ, ეს არის ქალი, რომელის დგას შავი ბატონის წინაშე, უდრეკი და შეიარაღებული მახვილითა და ფართით.

თუმცა თვალებს მაგრამ იჭერდა... მაინც ცრემლები წამოუვიდა ლოყებზე.

უეცრად დიდი ურჩხული ახტა ჰაერში.

## იბრძოლე როგორც ძალმა

მიუხედავად ამისა ის მაინც არ დაბნეულა: მან სწრაფად, მოხერხებულად და სასიკვდილოდ დაარტყა მას. გამოწვეული კისერი შუაზე გაუბო ... სინათლე დაეცა მასზე, და მისი თმა გაბრწყინდა განთიადზე.<sup>1</sup>

ამ მეფის ასულმა დაამარცხა საძაგელი მტერი, რომელსაც ვერცერთი ცოცხალი კაცი ვერ სძლეოდა. დაბრმავებული უცოდინრობით, ეს ბნელი ბრძანებელი მოულოდნელობაში აღმოჩნდა იმის გამო, რომ ქალი გამოვიდა მის წინააღმდეგ ბრძოლის ველზე. დარწმუნებული ვარ, მან არ იცოდა რაც მრავალი წლის წინ იყო ნაწინასწარმეტყველები... რომ ბოროტება წინააღმდეგობაში იქნებოდა ქალთან.

### **„და ჩამოვაგდებ მტრობას შენსა და დედაკაცს შორის.“ (დაბადება 3:15)**

მიმაჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ იგი ბრძოლაში მამაკაცის ფორმაში გადაცმული შევიდა, გამარჯვება ყველასათვის მოვიდა მაშინ, როცა მან საკუთარი თავი ქალად გამოაცხადა. სწორედ ასე განიზრახა ღმერთმა რომ ასე ყოფილიყო დასაწყისიდანვე; ყველასათვის არის ძალა ქალის გამოცხადებასთან ერთად.

მაშინ რატომ გვეშინია საკუთარ თავების ასეთებად გამომჟღავნება? რატომ ვეჭვობდით ამ ქვეშარითებაზე და ვიმოსებოდით მამაკაცის ჯავშანში? რატომ მივიღეთ ადამის ხმა და კადნიერება? რა გვაიძლულებს რომ ვიბრძოლოთ ამ უცხო აბჯარში, თუმცა ვიცით, რომ როცა მათში ვიმოსებით, ვკარგავთ ჩვენს ნამდვილ ფასეულობას?

იმიტომ რომ ბრძოლა ახლა გაჩაღებულია ჩვენს წინააღმდეგ? დიახ, შავეთის მმართველი ცდილობს ქალის და მისი შვილების განადგურებას. იგი გეგმავს ჩამოაშოროს იგი უფლის სიყვარულს და დაცვას. მაგრამ რა არის ქალის ხატებაში ისეთი, რაც ასე აშინებს და აღიზიანებს მტერს? რადგან იგი ნამდვილად არ ეცდებოდა ასე ძლიერ დაემახინჯებინა და დაენგრია ისეთი რამ, რის მიმართაც შიში არ ექნებოდა.

## მაგრამ მე მამაკაცი არ ვარ

### ქალის ძალა

წლების წინ, როცა პირველად წავიკითხე ტოლკინენის წიგნი, აღმოვაჩინე, რომ ყველა ბუნებრივი მიზეზის მიუხედავად მისმა შთამბეჭდავმა ხატოვნებამ და პოეტურმა სიტყვებმა აღმძრა. დატყვევებული ვიქენი ამ ქალიშვილის გადანივებით უკიდურესი უიმედობისა და სასონარკვეთილების წინაშე. როცა ყველაფერი დაკარგულად ჩანდა, რაღაც მიძინებულმა მის სულში გაიღვიძა, და ძალა გაცოცხლდა მასში. მე შემეყვარდა ეს ქალი, რომელსაც სურდა დაეცვა თავისი მიწა სიტყვით აღუწერელი შიშის წინაშე და გაეცხადებინა თავისი ქალობა. მან ეს ყველაფერი გააკეთა თავისი ბატონის, ღირსების და ოჯახის გამო.

მე ვიხილე ქალი იმდენად მტკიცე, რომ იგი შეძლებდა გამოწვევის გარეშე ჩართულიყო ბრძოლაში და ებრძოლა იმისათვის, რომ დაეცვა ის, რაც უყვარდა, მაგრამ ვერ იბრუნებდა. მე შემეყვარდა მისი თვალების გამომეტყველება, რომლებიც უძრავი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ცრემლები სდიოდა. აღმოვაჩინე ასული, რომელიც მამაკაცად შეინიღბა მხოლოდ იმიტომ, რომ გამარჯვებისთვის მიეღწია როგორც ქალს. როცა მას შეუტიეს, იგი დაფრთხა და უკან არ დაუხევია, არამედ მყარად იდგა და იცავდა თავის მიწას, სანამ მტერი არ მიუახლოვდა მას დასარტყმელად.

ამ დროს მასთან ერთად ვიყავი იქ. მე დავინყე ტირილი და ხელები მიკანკალებდა როდესაც წიგნი გვერდზე გადავდე. ვიგრძენი ღმერთის წმიდა თანდასწრება როგორ ავსებდა ჩემს საძინებელ ოთახს. რა ხდება? დავინტერესდი მე. სწორედ მაშინ გავიგონე სულიწმიდის ხმა. არ მიმაჩნია, რომ მისი სიტყვები ან დავალება, რომელიც მივიღე მხოლოდ ჩემი ყურებისთვის ყოფილიყო განკუთვნილი. მე მჯერა, რომ იგი უზენაესი ღმერთის ყველა ასულისთვის არის, ვისაც ყური აქვს სასმენად.

*რადგან შენ მართლაც არ ხარ მამაკაცი და ჯერ კიდევ გაქვს სულიერი ბრძოლები, რომლებშიც ძებმა უნდა იბრძოლონ, არსებობს კიდევ სულიერი ბრძოლები, სადაც ასულებმა უნდა იბრძოლონ. დაინყე ასულების მონოდება; ხმამაღლად დაუძახე მათ ახლა. მოუწოდე ასულებს ჩაერთონ ომებში, რომლების მოგებაც მხოლოდ მათ შეუძლიათ, და იბრძოლონ ბრძოლებში ისე,*



## იბრძოლე როგორც ძალმა

*როგორც მხოლოდ ჩემს ასულებს შეუძლიათ, რადგან მტერს მართლაც ეშინია ამ გამოცხადების მეტად, ვიდრე მისი ეშინია ნებისმიერ ქალს, რომელიც მამაკაცისგან იბრძვის.*

წლების გავლასთან ერთად ეს სწრაფვა უფრო გაიზარდა. ეს უფრო მეტია, ვიდრე შთაგონების გადაცემა მოგონილი ამბიდან. მე მჯერა, ამ სცენამ რალაცნაირად გამოხატა მეფის ასულების ყურადღება და თანხმობა ბრძოლისთვის. ქალები ომში იშვიათია და უჩვეულო ფენომენია, რასაც ღმერთი ინახავს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებისთვის. საბრძოლო ველზე ისინი არ გამოდიან იმისათვის, რომ მამაკაცებისგან იბრძოდნენ, არამედ როგორც ქალები.

თუმცა, რამდენად გამოუსწორებელი შეიძლება ჩვენი მდგომარეობა გახდეს? რამდენად უფრო ახლოს უნდა მოვიდეს ჩვენი მტერი სანამ გავაცნობიერებდეთ რომ დადგა ჩვენი დრო დასარტყმელად? ღმერთის ასულებს არ დასცინიან და გამოიწვევებს უკეთებენ ყოველ მხარეს? რამდენი ჩვენთაგანი ჩართულა ბრძოლაში მამაკაცად გადაცმული, მხოლოდ იმისათვის, რომ გაგვეცნობიერებინა, რომ ძალის ნამდვილი ძალა არ დევს ჩვენი ქალურობის უარყოფაში? ჩვენ არ ვართ მამაკაცები და ამ გარეგნობის შენარჩუნება აბრკოლებს ჩვენი ჭეშმარიტი დანიშნულების და ხვედრის გამოვლინებას. როგორ უნდა მოველოდებოდეთ, რომ ქვეყნიერება იხილავს ასულების გამოცხადებას როცა ჩვენ ავირჩიეთ მოვექცეულიყავით როგორც ძეები?

ეს იქცა ჩემს შეძახილად, სურვილად და გულითად ლოცვად, რომ ვიხილო ღმერთის ასულები გაძლიერებულები, რათა ებრძოდნენ თავიანთ ნამდვილ მტერს თავიანთი უძლიერესი ფორმით. მე ვისწრაფი იმისკენ, რომ ვიხილო როგორ ამოიღებენ ასულები ქარქაშიდან ღმერთის ცოცხალი სიტყვის მახვილს და გამოიყენებენ მას იმის აღსადგენად, რაც დაკარგული იქნა. ძველი ჭეშმარიტებები გადაეცათ ასულებს მხნეობისათვისაც და გაცხადებისთვის. დროა შევაჯანჯღაროთ საკუთარი თავები, რათა მოვიშოროთ სქესის შიშის და დაბნეულობის ეს მიწიერი საფარველი და დავინყოთ ბრძოლა ჭეშმარიტებისთვის, პატივისთვის და ჩვენი მოდგმისთვის.

სანამ შემდეგ თავზე გადავიდოდეთ, მოდით პასუხი გავცეთ რამდენიმე კითხვას:

## მაგრამ მე მამაკაცი არ ვარ

ცხოვრების რა სფეროებში ჩართულხართ ბრძოლაში მამაკაცად გადაცმული?

რატომ შეიმოსეთ ამ გარეგნობით?

როგორ ფიქრობთ ქალებს რატომ ეშინიათ საკუთარი თავის გაცხადება?

რატომ ვხდებით ჩვენ გადაცმის ოსტატები?

### **ძვირფასო ზეციერო მამა,**

მე მსურს დავდიოდე ჭეშმარიტებასა და ნათელში. მინდა საკუთარი თავი ქალად გამოვავლინო. მომიტევე, რომ მამაკაცის გარეგნობის უკან ვიმალებოდი. მჯერავს რომ გაცილებით მეტი ძალაა ჩემს ქალად გამოვლინებაში. სულონმიდაო, წარმართე შენი გზებით ჩემი ცხოვრება და მინდა რომ ჩემს ბრძოლებში ვიბრძოდე მთელი ძალით, რაც კი შემიძლია. მე არ დავიხვე უკან შიშში, არამედ გაბედულად წარვადგენ ჩემს მოთხოვნებს, რომ შევებრძოლო ყველაფერს, რაც დადგება ჩემს ღირსებას, ჩემს უფალსა და ჩემს ოჯახს შორის.

ამინ.

## თავი მეოთხე

### „ოძროს შუალედის“ აღმოჩენა

გრძნობთ? ყველაფერი ჩვენს ირგვლივ ცვალებადია. ღრმა და აბსოლუტური არეულობა ხდება. ცხოვრება ვითარდება და იცვლება უკიდურესი ფორმით.

მე არ აღვწერდი ამ ცვლილებას როგორც ევოლუციას, რადგან ეს იმის მანიშნებელი იქნებოდა, რომ ჩვენ წინ მივიწვევთ და მეტად შეთავსებადები ვხდებით და მეტად კომფორტულად ვგრძნობთ თავს ჩვენს ამჟამინდელ გარემოებაში. არ ვფიქრობ, რომ წინ მივდივართ. მეშინია, რომ ჩამოვრჩებით. როგორც ჩანს არის გაძლიერებული მტრობა დედამიწასა და მის მკვიდრებს შორის.

არც იმას ვფიქრობ, რომ „რევოლუცია“ ზუსტად აღწერს აურზაურს, რომელსაც ჩვენ ამჟამად განვიცდით. არ ყოფილა დრამატული ცვლილება ადამიანის აზროვნებასა თუ პრაქტიკაში. ჩვენ რეგრესს განვიცდით. ვუბრუნდებით იმას, რაც უკვე იყო, რადგანაც კაცობრიობის ისტორია მეორდება. მუდმივი სინათლის ან ჭეშმარიტების გარეშე ჩვენს სახელმძღვანელოდ კვლავ გავხადეთ საკუთარი თავი ყოველივეს საზომად და ამასობაში დავეკარგეთ გზა.

ბუნება თავად ეწინააღმდეგება ჩვენს თავდაჯერებულობასა და უცოდინრობას. რადგან დიდი ხნის მანძილზე ისეთ გადანყვეტილებებს ვლბულობდით, რომლებიც ემსახურებოდნენ მხოლოდ იმ მომენტს და დავიწყებული გვქონდა მემკვიდრეობა. მე ვგრძნობ ნელ და გარდაუვალ დაცემას. გარშემო მყოფი გამოვლენილი ძალები უფრო დიდია, ვიდრე ჩვენს შინაგან აგებულებას შეუძლია გაუძლოს. ოჯახები იშლება, ერები იყოფა, მთავრობები და ფინანსური დაწესებულებები ინგრევა. ქმნილება არ არის კარგად. მისმა დამცველებმა და დარაჯებმა მიატოვეს თავიანთი ადგილები. თუ ჩვენმა დაუფიქრებელმა არჩევნებმა მოიტანა ნგრევა, განა იმას არ უნდა ვფიქრობდეთ, რომ შეგვიძლია

## „ოქროს შუაღედის“ აღმოჩენა

ვიყოთ აღმდგენის ნაწილი? არსებობს ამ სიბნელიდან სინათლის მომავალი მხოლოდ ერთი იმედი. ხალხმა უნდა აირჩიოს იცხოვროს რაიმე უფრო მეტისთვის, ვიდრე დღევანდელი დღისთვის.

ეს სამყარო დაპატარავდა და შეიკუმშა პროპორციულად იმისა, რომ კომუნიკაციის ტექნოლოგიის სხვადასხვა დონეები გაფართოვდა. მთელი პლანეტა მოცულია დიდი საინფორმაციო ქსელით, რომლებიც ადრე მხოლოდ რამდენიმე ერს და კულტურას აკავშირებდნენ ერთმანეთთან, ხოლო ახლა მოიცვა ყველა ქვეყანა და კონტინენტი. არასოდეს ყოფილა, რომ ამდენი ხმა ერთდროულად ლაპარაკობდეს. ამდენი ხმაურია და ნაკლები სიციხადე და ურთიერთგაგება.

ამასობაში, როცა მრავალ ფრონტზე ვიმარჯვებთ და წინ მივიწვევთ, ბევრი რამ დავთმეთ სხვებში. სანამ ცივილიზაცია ვითარდება, მისი ლერძი არასტაბილური ხდება. უკვე ძნელია რამეს დაეყრდნო. არ არის მშვიდი და ნყნარი ადგილი, სადაც ყველა მოქმედება ჩერდებოდა. ჩვენ ვთამაშობთ მსოფლიო თამაშებს, სადაც დამარცხებისგან დაცულნი არ ვართ. თამაშები წესების და საზღვრების გარეშე საინტერესო შეიძლება იყოს მხოლოდ ხულიგნებისთვის.

## სად არის ჩვენი სახლი?

როცა ბავშვი ვიყავი, ზაფხულში დაღამებამდე ვთამაშობდი „დამალობანას“, „ქილის დარტმას“, „გამეშობანას“, მაგრამ რა თამაშიც არ უნდა ყოფილიყო, ყოველთვის იყო გამოყოფილი „სახლი“. ეს შეიძლება ყოფილიყო აივნის ან ფარეხის განათებულ ადგილი. იქ უსაფრთხოდ იყავით. ამ ადგილზე თამაშის წესები აღარ მოქმედებდა. თუ თქვენ საფრთხე გემუქრებოდათ, შეგეძლოთ მიგერბინათ ამ „სახლამდე“ და დაგეყვირათ „სახლში ვარ!“ იქ შეგეძლოთ დაგესვენათ და დაგეზუსტებინათ სხვებთან თამაშის წესები, თუ არ იყავით დარწმუნებული რამეში. ამ ადგილიდან თქვენ შეგეძლოთ გემხილებინათ ისინი, ვინც თამაშის დროს იტყუებოდა. „სახლი“ იძლეოდა მოწინააღმდეგეებისგან თავის არიდების საშუალებას. ეს იყო უსაფრთხოების ადგილი.

„სახლში“ ყოფნისას თქვენ შეგეძლოთ გეთქვათ, რომ გადინართ თამაშიდან მაშინ, როცა ძალიან დაბნელებოდა ან აცივდებოდა და გაიგებდით დედის ხმას, რომელიც გეძახდათ. მახსოვს მრავალი ისეთი საღამო, როდესაც „სახლიდან“ გავრბოდი თბილ და მყუდრო სახლში.

## იზრძოლე რომორც ძალმა

მაგრამ დღეს რა ხდება? ნუთუ დღეს მხოლოდ თამაშები არსებობს წესების გარეშე? სიბნელეში ხომ არ დავრბივართ „სახლის“ გარეშე? და როდესაც შინ გვეძახიან, იქ გვხვდება სიტბო და სინათლე? ყველაფერი უსაფრთხოდ არის ჩვენს სახლებში? ისმის სიხარულის სიცილი? თუ დედები მარტონი არიან და დამწუხრებულნი? მამები მკაცრები და შორეულები ხომ არ არიან? თუ იქ საერთოდ არავინ არის?

ადამიანის სამშენველი იტანჯება მარტოობისგან. ჩვენ იმდენად დიდი ხნის განმავლობაში გვართობდნენ არარეალური და არაბუნებრივი რალაცეებით, რომ სინამდვილეში აღარაფერი გვახარებს. სხვების უბედურება აღარ ეხება ჩვენს გულს, მთავარია თავს უსაფრთხოდ ვგრძნობდეთ. შეიძლება გული მოგვივიდეს, მაგრამ მალევე გადავგივლის. ჩვენი შვილები იმდენად დაძაბულ ატმოსფეროში იზრდებიან, რომ როცა იზრდებიან არ აქვთ უნარი შეიბრალონ ან შეიცოდონ სხვები.

ადამიანები ცხოვრობენ მიზნის და მიმართულების გარეშე, რადგან მათ ცხოვრებაში საკუთარ თავზე მეტი რამ არ არსებობს. მათ არ ქვთ კომპასი, რომელიც ყოველთვის შეუცდომლად მიუთითებდა ჩრდილოეთისკენ. ჭეშმარიტება პირობითი ხდება, როცა ჩვენ წრეზე დავდივართ და ვერ ვპოულობთ „ოქროს შუალედს“.

გვიჭირს რაიმე ისეთი დიდის მოძებნა, რასაც დავეყრდნობოდით. ჩვენ შიშში ვცხოვრობთ, რომ არ არსებობს ძალაუფლება, რომელსაც ვერ მოისყიდინენ და არ არსებობს ლიდერი, რომელიც არ იტყუება. ჩვენი მამები გვტოვებენ, ხოლო დედები არ ზრუნავენ ჩვენზე. ოჯახები ინგრევა, რადგან ქორწინების ალთქმებმა დაკარგეს ძალა.

„ოქროს შუალედი“ გვეხმარება ჯანსაღად შევხედოთ საგნებს. ეს არ არის უმოქმედობის ადგილი, თუმცა იქ ყოფნისას, თქვენ შეიძლება გარე სამყაროს მხრიდან ზეწოლას საერთოდ არ გრძნობდეთ. „ოქროს შუალედი“ გავს ღუზას, რომელიც გვიცავს ქარიშხლებისგან. მაგრამ ძალიან დიდი ხანი გავიდა, რაც კაცებმა და ქალებმა გადაუხვიეს „ოქროს შუალედიდან“ და არ გააჩნიათ „სახლი“, სადაც უსაფრთხოდ იგრძნობდნენ თავს.

## „ოქროს შუალედის“ აღმოჩენა

### „ოქროს შუალედი“ - სიმშვიდის ადგილი

როცა პატარა ვიყავი ჩვენი სახლის გასწვრივ ქუჩის მეორე მხარეს იყო კარუსელი. მე და ჩემი მეგობრები მყარად ვდგებოდით მბრუნავი პლატფორმის ირგვლივ, ვეჭიდებოდით სახელებს და ვინყებდით წრეში ტრიალს. ჩვენი მიზანი იყო რაც შეიძლება სწრაფად დაგვეტრიალებინა იგი და ისე შევემხტარიყავით მასზე, რომ რამე ზიანი არ მიგველო. კარუსელის დატრიალებისას ჩვენ ვცდილობდით ფოკუსირებულები ვყოფილიყავით ჩვენს წინ მყოფ სახელებზე. იქამდე დავრბოდით კარუსელის ირგვლივ სანამ ჩვენი ფეხები ლამის არ გაგვეძვრებოდა და სულმოუთმენლად ველოდებოდით იმ მომენტს, როცა თითოეული ჩვენთაგანი ავხტებოდით ბრუნავ დაფაზე. ვინმე დაიძახებდა: „ავხტეთ!“ და ყველანი შევეცდებოდით კარუსელზე ახტომას. თუ ვინმეს ფეხი აუცდებოდა და ვერ შეხტებოდა დაფაზე, მან იცოდა რომ ხელი უნდა გაეშვა სახეურისთვის. ჩვენ არ გვსურდა რომ კარუსელს ვინმე ეთრია და თუ ვინმე დაზიანდებოდა, ვჩერდებოდით.

აღმოვჩნდებოდით თუ არა დაფაზე, ვიბრძოდით, რომ ცეტნრისკენ მივსულიყავით. ეს უფრო ძნელი იყო, ვიდრე კიდეზე დარჩენა, მაგრამ ვინც შეძლებდა ამას, აღმოაჩენდა რომ ეს ძალისხმევად ღირდა. ჩვენ ვიდექით და ზურგით ვეყრდნობოდით კარუსელის კედლებს და ვუყურებდით როგორ ტრიალებდა ჩვენს გარშემო სამყარო. არ მახსოვს ოდესმე ცუდად გავმხდარიყავი ტრიალისგან... პირიქით, ყოველთვის აღმაფრთოვანებული იყო. დრო თითქოს ჩერდებოდა, ხოლო სამყარო ირგვლივ ბზრიალებდა. კარუსელის კიდეებზე მყოფთ უფრო ადრე სწყინდებოდათ, ვიდრე ჩვენ, ვინც ცენტრამდე მივალწიეთ და ხტებოდნენ კარუსელიდან, სანამ იგი ტრიალს დაასრულებდა. მაგრამ ცენტრში დარჩენილები ვცდილობდით გამოცნობას თუ რა იქნებოდა ჩვენი ბოლო ჩვენი თვალების წინ, სასრილო, საქანელა თუ ჩვენი სახლი.

მეჩვენება, რომ თითქოს ჩვენ რაღაცნაირად კვლავ ვბრუნავთ ცხოვრების კარუსელზე. თუმცა ამ ჯერზე იგი დიდია და ყოველი ბრუნით მისი სიჩქარე არ მცირდება, არამედ პირიქით, მხოლოდ სწრაფდება. ყველაზე საშიში ელემენტი არის ის ფაქტი, რომ ჩვენ დავატრიალეთ იგი. ვინც ვერ მივიდა ცენტრამდე, ძალიან უჭირთ. ისინი წონასწორობას კარგავენ და კიდიდან ვარდებიან. ჩვენ ძალიან სწრაფად ვტრიალებთ და არ ვიცით როგორ

## იბრძოლე რომორც ძალმა

შევჩერდეთ. თუ ბიბლიის ჭეშმარიტება აღსრულდება მაშინ ასე იქნება იქამდე სანამ ცა და მიწა არ გადაივლიან. ცვლილებების ამ ქარიშხალში, ღმერთი გამოაღვიძებს თავის ასულებს და მივყავართ ცენტრამდე. იქ ჩვენ უსაფრთხო ადგილს ვპოვებთ, საიდანაც მიზიდულობის ძალა ვერ იქონიებს ჩვენზე გავლენას. არის ისეთი ცხოვრება, რომელიც აღემატება მინიერ კანონებს, სადაც სიყვარული უსაზღვროა და ყველას შეუძლია იპოვოს გზა უსაფრთხოებისკენ. ეს არის იმ ადამიანების ცხოვრება, რომლებიც სრული ძალისხმევით ცხოვრობენ ახლა და ახსოვთ ხვალინდელი დღე. ჩვენ ვისწრაფით ზეცისკენ და ეს სწრაფვა ბორკილებისგან გვათავისუფლებს, რომლებიც დედამიწაზე გვაკავებენ. ნესები მხოლოდ მაშინ მოქმედებს, როდესაც თამაშებს თამაშობ. ხოლო თამაშის დრო დამთავრდა. ჩვენ ისედაც უკვე დიდი ხნის განმავლობაში ვვარსებობდით ნაცვლად იმისა რომ გვეცხოვრა. ღმერთი მოგვიწოდებს რომ ჩამოვშორდეთ ჩვენს თამაშებს და მივაპყროთ ჩვენი თვალები რაღაც უფრო დიდს.

ჩვენ ვტრიალებდით კარუსელზე არასანდო ღერძით. ჩვენ არ ვართ მამაკაცები; ჩვენ ქალები ვართ. კაცები ქალები არ არიან; ისინი კაცები არიან. ჩვენი სქესი ჩვენი ძალაა. იგი არის ჩვენი ღერძი და „ოქროს შუალედი“, რომელიც გვაძლევს ძალას.

### რატომ არის სქესი ასე მნიშვნელოვანი?

გაიგეთ შემდეგი: ჩვენს მტერს იმაზე მეტად ეშინია, რომ ღმერთის ასულები მიიღებენ გამოცხადებას თუ ვინ არიან სინამდვილეში, ვიდრე ქალების, რომლებიც მამაკაცებივით იბრძვიან. რატომ უნდა ეშინოდეს მას უფრო მეტად ქალების, რომლებიც მამაკაცებივით იქცევიან, ვიდრე კაცების, რომლებიც ქალებივით იქცევიან? როცა მამაკაცების და ქალების თვისებები არ შეესაბამება მათ სქესს, ისინი კარგავენ თავიანთ ჭეშმარიტ პოზიციას და ძალას. როდესაც ჩვენ თავებს ისეთებად წარმოვადგენთ რანიც არ ვართ, მტერს არ ეშინია, რადგან იგი დიდი ხნის მანძილზე გულმოდგინედ მუშაობდა იმაზე, რომ დაემცივებინა ორივე სქესის ძლიერი თვისებები და გაედიდებინა სისუსტეები. მტერი ყოველთვის ექსპერტი იყო ჭეშმარიტების დამახინჯებაში იმისათვის, რომ აეცდინა კაცობრიობა სიცოცხლის გზიდან. მას არ სურს, რომ მივდიოდეთ სინათლისა და ჭეშმარიტებისკენ და გამუდმებით გვაცდუნებს მაცდური ნახევარ-სიმართლით, რომელსაც მივყავართ სიბნელისა და სიკვდილისაკენ. ღმერთის ცხადი მითითებების გარეშე ჩვენ შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ უმიზნოდ ვხეტიალობთ დალუპვის გზაზე.

## „ოქროს შუაღედის“ აღმოჩენა

„რომ ცხოვრების გზა არ გაიკაფოს, მისი გზა-კვალი არეულია, ვერ გაიგებს მას.“ (იგავები 5:6) (ბიბლიის ინგლისურ თარგმანში წერია: „იგი არ უფიქრდება ცხოვრების გზას; მისი გზა-კვალი არეულია, თუმცა მან არ იცის ეს.“ - მთარგმნელის შენიშვნა)

მან არ იცის ეს... ნეტა რამდენი ხანი დავდიოდით არას-ნორ გზაზე და არ ვიცოდით ეს? დადგა დრო, რომ ვიფიქროთ ცხოვრების სწორ გზაზე. ცხოვრების ამ გზაზე უნდა მიდიოდნენ კაცები და ქალები, განსხვავებულები, თუმცა ერთნაირად მშვენიერები, რომელთაც გააჩნიათ საერთო ცხოვრებისეული მიზნები და გამოხატვის საშუალებები. ჩვენ ყოველთვის ცრუ გზაზე აღმოვჩნდებით, როდესაც ტყუილს მივიღებთ როგორც სიმართლეს. ჩვენ სიბნელის გზებზე დავხეტებებით ხოლმე როცა უარს ვამბობთ ღმერთის სიბრძნის რჩევაზე და ვუყურებთ მას, როგორც შეუსაბამოს დღევანდელი დღისთვის ან გამოუსადეგარს ჩვენს კონკრეტულს შემთხვევებში. უგუნურებაა ვფიქრობდეთ, რომ ყოველ გზას მივყავართ სიცოცხლესკენ, რადგან თუ სიცოცხლის გზა არსებობს, ე.ი სიკვდილის გზაც იარსებებს.

**„მართალთ კვალი განთიადივითაა, რომელიც უფრო და უფრო ძლიერდება შუაღედზე.“ (იგავები 4:18)**

მართალ გზებს მივყავართ სინათლისკენ. შემიძლია შევეკამათო ჩვენი თანამედროვე საზოგადოების მტკიცებულებას, რომ ჩვენ ნათელ მომავლისაკენ მივემართებით. ყველაფერი ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ცხადი ხდება, რომ გზას, რომელიც კაცობრიობამ აირჩია, მივყავართ მხოლოდ ნგრევისკენ.

## „კაცის“ და „ქალის“ სწორი განმარტება

სანამ წინ წავინევდეთ, აუცილებელია განვმარტოთ სიტყვები „კაცი“ და „ქალი“. ეს განმარტებები დაგვეხმარება სხვანაირად მიუუდგეთ მოცემულ საკითხს. ვიცი, შეიძლება ეს საქმე ძალიან იოლად მოგეჩვენოთ, მაგრამ იმის დაკვირვებით რაც დღეს მსოფლიოში ხდება, იძულებული ვარ თქვენი წარმოდგენა ექვის ქვეშ დავაყენო.

უებსტერის ლექსიკონი სიტყვა „კაცს“ შემდეგნაირად განმარ-



## იბრძოლე როგორც ძალმა

ტავს: „ადამიანი, რომელსაც თავის უჯრედულ აგებულებაში გააჩნია X და Y ქრომოსომების წყვილი.“ ეს იმას ნიშნავს, რომ სქესი არის ფაქტორი, რომელიც ჩადებულია დნმ-ის სტრუქტურაში, და შეუძლებელია მისი შეცვლა, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ადამიანის გარეგნობა შეიცვალოს. კულტურას, რომელშიც ჩვენ დღეს ვცხოვრობთ, არ ძალუძს შეცვალოს ადამიანის არსი. შემდეგ ამავე ლექსიკონში „მამაკაცი“ განისაზღვრება შემდეგი თვისებების მეშვეობით, რომლებიც მამაკაცებს და ბიჭებს მიუკუთვნება: ძალა, ლიდერობა, გაბედულება და ვაჟკაცობა. სიტყვა „დაკაცება“ შეიცავს თავისში მინიშნებას მონიფული ადამიანის სექსუალურ და შემოქმედებით უნარებზე. ყველა მითითებას, რომელიც შეიძლება მოიპოვოს ამ ლექსიკონში სიტყვა „კაცობის“ გამოკვლევისას, საბოლოო ჯამში მივყავართ ისევ სიტყვა „კაცთან“. უებსტერის ლექსიკონი ამ სიტყვაში გულისხმობს როგორც მამაკაცის სქესის მონიფულ წარმომადგენლებს, ისევე ადამიანის ბიოლოგიურ სახეობასაც. კერძოდ, მამაკაცს, ამ განმარტების მიხედვით, აქვს განაყოფიერების უნარი, თუმცა თავად არ ძალუძს შვილების შობა.

ახლა მოდით განვიხილოთ სიტყვა „ქალი“, „ქალური“ და „ქალურობა“. ისევე როგორც პირველ შემთხვევაში, ლექსიკონი მიანიშნებს იმაზე, რომ „ქალი“ - არის „ადამიანი, რომელსაც თავის უჯრედულ აგებულებაში აქვს X ქრომოსომების წყვილი“. უჯრედს, რომელზეც საუბარია მოცემულ განმარტებაში, ეძლევა შემდეგი დახასიათება: „ცენტრალური ნაწილაკი, რომლის ირგვლივაც ჯგუფდება ორგანიზმის ყველა დანარჩენი ნაწილაკები; ბირთვი“. ტერმინი „ქალური“ განისაზღვრება ის, რაც „ახასიათებს ქალს ან გოგოს: ქალური სილამაზე; ქალური ტანსაცმელი და ა.შ., და ხაზს უსვამს თვისებებს, რომელთაც ტრადიციულად მიაკუთვნებენ ქალებს, როგორებიცაა მგრძნობიარეობა ან სინაზე“. უებსტერის ლექსიკონი ასევე ახასიათებს ქალებს ისეთი ტერმინებით როგორებიცაა დელიკატურობა, სირბილე, მოთმინება და ასევე ინტუიცია. სწორედ ყველა ეს თვისება ქმნის „ქალის“ წარმოდგენას როგორც „ქალური სქესის მონიფული ადამიანის არსებას, რომელსაც ბიოლოგიური თვალსაზრისით აქვს შვილების შობის უნარი.“<sup>5</sup>

ამ განმარტებების სინათლე გამოაქვთ ზოგიერთი რამ. პირველი, სქესების ურთიერთდამოკიდებულება. ყველაზე უკეთ ამ კავშირის აღწერა შეიძლება ფრაზით „ურთიერთდამოკიდებულები“ და არა „ურთიერთშემცველები“. როგორც ნათქვამია

## „ოქროს შუალედის“ აღმოჩენა

ზემოთ ნათქვამ ერთერთ განსაზღვრებაში, მამაკაცს აქვს განაყოფიერების უნარი, მაგრამ იმისათვის, რომ ქვეყნად გაჩნდეს ახალი ცოცხალი ორგანიზმი, საჭიროა ქალი. ქალს არ შეუძლია სიცოცხლის ჩასახვა კვარეშე, ისევე როგორც კაცს არ შეუძლია სიცოცხლის წარმოქმნა ქალის გარეშე. გთხოვთ, ნუ მოტყუვდებით; არ არსებობს ისეთი რამ, როგორიცაა სქესის შეცვლის ოპერაცია. არის მხოლოდ ოპრაციები, რომლებიც ეხმარებიან ადამიანს შეცვალონ თავიანთი სექსუალური ფინქციები. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მიუხედავად იმისა, თუ როგორ შეცვლით საკუთარ გარეგნობას, ეს ვერ დაგეხმარებათ შეცვალოთ საკუთარი შინაგანი არსი, რომელიც გენეტიკურ დონეზე არის ჩადებული. ქალურობა — ეს ქალისთვის კომპლიმენტია, მაგრამ კაცისთვის შეურაცხყოფაა. მამაკაცები, რომლებსაც ეძახიან „ქალივით განაზებულებს“, დაშორდნენ თავიანთ მამაკაცურ პოზიციას და მის შესაბამის ძალას.

ეს განმარტებები ჩვენს წინაშე ასევე რამდენიმე კითხვას ბადებენ. მხოლოდ მამაკაცები არიან ძლიერნი? განა მამაკაცები არ შეიძლება ნაზები იყვნენ? რა თქმა უნდა, ქალებიც შეიძლება ძლიერები იყვნენ ისევე, როგორც მამაკაცები — ნაზები. მაგრამ ეს თვისებები არ გამოხატავენ მათ არსს. მამაკაცები ცნობილნი არიან სიმამაცით და პირდაპირულობით, ხოლო ქალები — სინაზით და სულგრძელობით. მოხდენილობა შემდეგნაირად განისაზღვრება: „ელეგანტურობა, სილამაზე, ფორმის და მოძრაობების სისწორე.“ ასევე არსებობს სხვა განმარტებაც: „შენწყობის და მიტევების უნარი, ასევე ნყალობის და კეთილგანწყობის გამოვლენა“. ყველა ეს განმარტება შეესაბამება იმას, რასაც ბიბლია ამბობს ქალების შესახებ.

## ქალის სტრატეგიული პოზიცია

მხოლოდ მამაკაცის სქესისადმი კუთვნილება არ აქცევს მამაკაცს ლიდერად, ისევე როგორც ქალის სქესისადმი კუთვნილება არ აგდებს ქალს ლიდერობის სიიდან. წმიდა წერილის თანახმად თუ მამაკაცი არ არის სათნო, იგი ავტომატურად გამორიცხავს საკუთარ თავს როგორც ლიდერს, მიუხედავად მისი სქესობრივი კუთვნილებისა. მეორეს მხრივ, ქალები, რომელთა სათნოებამაც დროთა განმავლობაში იმატა და ნაშალა მათი შეზღუდვები, როგორც სუსტი სქესის წარმომადგენლებისა, შეუძლიათ იყვნენ ლიდერები. ახალ აღთქმაში ნაჩვენებია თვისებები, რომლებიც აუცილებელია ლიდერობისთვის:

## იბრძოლე როგორც ქალმა

**„ხოლო ევისკოპოსი უნდა იყოს უმნიკვლო, ერთი ცოლის ქმარი, ზომიერი, აზრიანი, წესიერი, სტუმართმოყვარე, დამოძღვრავი, არა ლოთი, არა მოჩხუბარი, არამედ შემწყნარე, უშარო და ვერცხლის უყვარული, თავისი სახლის კარგი განმგებელი, რომელსაც შვილები მორჩილებაში ჰყავს ყოველგვარი ღირსებით.“ (1 ტიმოთე 3:2-4)**

ყურადღება მიაქციეთ ფრაზას „ერთი ცოლის ქმარი“. ეს მოთხოვნა პირველი დგას მოთხოვნების გრძელ სიაში ადამიანისადმი, რომელიც უმნიკვლო ცხოვრებით ცხოვრობს. ამ ჩამონათვალში ასევე შედის მოთხოვნა იყოს „შემწყნარე“, არადა ამ თვისებას ხშირად მიაწერენ ქალებს. ეს ამტკიცებს იმას, რომ ქორწინებაში შეიძლება შეერთდნენ ორი ძლიერი ადამიანი, მაგრამ ამასთან არცერთი მათგანი არ წავა თავისი არსის წინააღმდეგ.

**„ასევე მათი ცოლებიც უნდა იყვნენ პატიოსნები, არა მამუზღარნი, კდემამოსილნი და ყველაფერში ერთგულნი.“ (1 ტიმოთე 3:11)**

ამ ნაწყვეტში ავტორი მოუწოდებს ქალებს, რომ იყვნენ თავშეკავებულნი და ერთგულნი. ისინი უნდა იყვნენ სათნოების მაგალითი გარშემომყოფთათვის.

ამ ცხოვრებაში ყველა ადამიანს გააჩნია თავისი სტრატეგიული პოზიცია, რომელზეც იგი უნდა იდგეს. მოდით ცოტა ხნით გადავინაცვლოთ ბრძოლის ველზე. თუ ის მეომრები, ვისაც ებრძანათ დაეცვათ სურსათის მარაგი, მიატოვებენ საკუთარ ადგილებს და სანყობებს დატოვებენ ყურადღების გარეშე, რადგან სურთ მონაწილეობის მიღება შეტევაში, – მთელი ჯარის მომავალი, მისი ძალა და უსაფრთხოება საფრთხის ქვეშ დადგება. თუ ექიმები, რომლებიც უნდა კურნავდნენ დაჭრილებს, დატოვებენ საკუთარ ადგილს, რათა დაიცვან უყურადღებოდ მიგდებული სურსათის სანყობები, ვინ გაუნევს დახმარებას დაჭრილ და იმედგაცრუებულ ჯარისკაცებს? თუ პირველ ხაზზე საბრძოლველად განვრთნილი ჯარისკაცები დატოვებენ თავიანთ ადგილს და გაიქცევიან სანიტარულ ნაწილში და შესაბამისი მომზადების გარეშე დაიწყებენ რეცეპტების გამოწერას და დაჭრილებისთვის ოპერაციის კეთებას, დაჭრილები ამით უფრო მეტად დაზარალდებიან. რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ

## „ოქროს შუალედის“ აღმოჩენა

ჯარის მიერ მოპოვებული ყველა სტრატეგიული პოზიცია და-კარგული იქნება და ხელში ჩაუვარდება მტერს. და ამის შემდეგაც მოუწევთ მტრის მიერ დაკავებული პოზიციების დაბრუნება დიდი დანაკარგების ფასად. ყოველმა ჩვენგანმა უნდა გავითავისოთ, რომ რამდენად კარგადაც არ უნდა ვართმევდეთ თავს ჩვენს დავალებას, არ უნდა ვმოქმედებდეთ სხვებისგან დამოუკიდებლად.

პავლე ადარებდა ამ ურთიერთკავშირს ადამიანის ორგანიზმს, სადაც ყველა ორგანოს ურთიერთქმედება აძლიერებს მთელს სხეულს. ერთადერთი მიზეზი, რატომაც შეიძლება რომ სხეულის ცალკეული წევრები ფუნქციონირებდნენ როგორც ერთი სხეული — არის ის, რომ ჩვენ ვღებულობთ ჩვენს ძალას სხეულის თავისგან — იესო ქრისტესგან.

**„ვის მიერაც მთელი სხეული, შენაწევრებული და შემტკიცებული ყოველნაირი მაცოცხლებელი კავშირის საშუალებით, სხეულის თითოეული ასოს ზომიერად მოქმედებით იზრდება თავისი თავის სიყვარულში აღსაშენებლად.“ (ეფესელთა 4:16)**

როცა ყველა წევრი ასრულებს თავის საქმეს, მთელი სხეული შენდება სიყვარულში. ამ მუხლში არ არის საუბარი იმაზე, რომ სხეული აშენდება მაშინ, „როცა ქალები ასრულებენ კაცების ფუნქციას“ ან „როცა მამაკაცები ასრულებენ ქალების ფუნქციას.“ აგ გასაგებად არის ნათქვამი, რომ ყოველი წევრი უნდა ასრულებდეს თავის საქმეს და მხოლოდ ამის შემდეგ იფუნქციონირებს სწორად მტელი სხეული. ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ბრძოლობდნენ მამაკაცები ქალების პოზიციიდან, ხოლო ქალები — მამაკაცების პოზიციიდან. და ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ებრძოდნენ ქალები მამაკაცებს, ხოლო მამაკაცები კი — ქალებს. ასეთი შინაგანი კონფლიქტის გამო ძალიან ბერძევი ჩრილობა მიიღეს ორივემ და ამასთან ერთად არავინ კურნავდა ერთმანეთს და არ აშენებდა სხეულს.

## სისასტიკე ხელს უშლის განკურნებას

კონკურენციამ და ძალაუფლებისათვის ბრძოლამ დააკარგვინა სხეულს მისი ურთიერთდამაკავშირებელი კავშირები, სხეულის ყოველმა წევრმა დაიწყო გამოყოფა და ცდილობდა მარტოს მიეღწია დიდებისთვის. მაგრამ ღმერთმა ტყუილად არ

## იბრძოლე როგორც ძალმა

შექმნა სხეული ისე, რომ მისი ორგანოები ცალცალკე ნორმალურად ვერ იფუნქციონირებენ. რასაც არ უნდა ამბობდეს ცნობილი საბავშვო სიმღერა, შეუძლებელი ძვლები დაკავშირებული იყვნენ ერთმანეთთან კავშირებისა და მყესების გარეშე.

დამიჯერეთ, ჩემს მიერ გადატანილი მხარის ორი ტრავმის შემდეგ, გავაცნობიერე „ურთიერთდამაკავშირებელი კავშირების“ მნიშვნელობა. თავდაპირველად ტრავმას საკმარისად სერიოზულად არ მივუდექი, და იმის გამო, რომ მყესები ძვლებს შორის იყო მოყოლილი, ჩემი ხელი უმოძრავო გახდა. და რა ძლიერადაც არ უნდა ეცადათ ჩემს კუნთებს და ძვლებს იძულებული გაეხადათ ხელი მოქმედებისთვის, არ შემეძლო მისი განძრევა. ჩემმა ხელმა შეწყვიტა მუშაობა იმის გამო, რომ ორგანიზმმა თავად გაათიშა ორგანო უსაფრთხოების მიზნით, რომელიც ტრავმირებული იყო. მე ვერ შევძელი ხელის განძრევა იქამდე, სანამ სათანადო ყურადღება არ მივაქციე სხეულის ტრავმირებულ ნაწილს და არ დავიწყე მხარის მყესის მკურნალობა. ჩემმა უყურადღებობამ სხეულის ერთი ნაწილის ტრავმის მიმართ დააკარგვინა შრომისუნარიანობა მეორეს. ერთადერთი გზა იმისათვის, რომ ხელს ხელახლად დაენყო მოქმედება მდგომარეობდა მყესების გამოთავისუფლებაში. განკურნების მისაღებად მე უპირველესყოვლისა მომიწია ჩემი საკუთარი თავისადმი გულგრილობის და უყურადღებობის მონანიება. როცა საქმე ეხება ქალებს და მათ ფუნქციებს ქრისტეს სხეულში, ჩვენ უპირველესყოვლისა უნდა გავერკვეთ ჩვენ უყურადღებობასა და გულქვაობაში მათ მიმართ.

**„მან შეგვაძლებინა, ვყოფილიყავით მსახურნი ახალი აღთქმისა, არა ასოებისა, არამედ სულისა. ვინაიდან ასო კლავს, სული კი აცოცხლებს.“ (2 კორინთელთა 3:6)**

უპირველესყოვლისა, საჭიროა ვაცნობიერებდეთ, რომ სწორედ ქრისტემ მოგვცა ჩვენ უნარი ვყოფილიყავით ახალი აღთქმის მსახურნი. ჩვენი ძველი, უმოქმედო მსოფლმხედველობა შეიცვალა ცხოვრების ახალი ხედვით. სიცოცხლის და სიყვარულის ახალმა გზამ შეცვალა დაცემული მსოფლმხედველობა. უნდა შეწყდეს ბრძოლა კაცებსა და ქალებს შორის, რადგან ქრისტემ ჩვენ ერთ მთლიან ნაწილად გვაქცია. მაგრამ ჩვენ თუ არ მივიღებთ ამ ჭეშმარიტებას, ჩვენი ქრისტეს სხეულში მოქმედების უნარი კვლავ დარჩება შეზღუდული. ჩემი მხარის ტრავმის გახსენებით, მინდა აღვნიშნო, რომ შესაძლოა ჩვენ

## „ოქროს შუალედის“ აღმოჩენა

ასევე სათანადო ყურადღება არ მივაქციეთ ქალების განკურნებას. ხოლო ამის გაკეთება კი აუცილებელი იყო, რადგან სხეულში სწორედ ქალები ასრულებენ დამაკავშირებელ როლს და რგოლების ერთობას უზრუნველყოფენ. ამით მე არ ვამტკიცებ, რომ მამაკაცებს არ შეუძლიათ იგივენაირად მოქმედება ან რომ ქალები შეზღუდულები არიან მხოლოდ ამ ფუნქციით. მე უბრალოდ კიდევ ერთხელ ვამახვილებ ყურადღებას იმაზე, რომ ქალები თავდაპირველად შექმნილნი იყვნენ ურთიერთობებისთვის.

მეორე, ძალიან ხშირად ჩვენ გვაზინყდება ქალების გამხნეება იმაში, რომ იმსახურონ თავიანთ ნიჭებში. ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აუცილებლობის გარეშე რომ სწორად ექცეოდნენ ერთმანეთს და მხარს უჭერდნენ ერთმანეთს, სხეული დარჩება დანანევრებული ან უმოქმედო.

## ურთიერთდამაკავშირებელი კავშირები მთელი სხეულის ჯანმრთელობის გასაღებია

თუმცა კაცები და ქალები თანასწორნი არიან ღმერთის წინაშე, ისინი ვერ იქნებიან ერთმანეთისგან დამოუკიდებელნი. ორივე სქესის წარმომადგენლები მოქმედებენ საუკეთესოდ მაშინ, როცა ისინი ასე თუ ისე დაკავშირებულები არიან ერთმანეთთან. ეს კავშირები არ არის შეზღუდული მხოლოდ ქორწინებით, ისინი მოიცავენ ცხოვრების ყველა სფეროს. თავად მამა ღმერთმა განაცხადა, რომ მამაკაცი მარტოდ მყოფი არ არის კარგი ან სრულყოფილი. თუ ქალი ავსებს მამაკაცს, მაშინ მამაკაცის მხრიდან საკმაოდ უგუნური იქნებოდა ჩაეთვალა ქალი არასაჭირო ელემენტად. კაცი და ქალი არიან ღმერთის სრულყოფილი სურათის ორი შემადგენელი ნაწილი. მაგრამ თუ თითოეულ ამ ნაწილს წავართმევთ მის უნიკალურობას, სურათი ნაცრისფერი და უსახური გამოვა. მაგალითად, თუ მამაკაცები სხეულში შეასრულებენ ფუნქციების 90%-ს, მაშინ როცა ქალები მხოლოდ 10%, ჩვენ შეგვექმნება პრობლემები.

მე და ჯონს გვიყვარს საქმეების ერთად კეთება, რადგან ჩვენ ძალიან განვსხვავებით ერთმანეთისგან. მას აქვს ხედავა, რომელიც მაკლია მე, ხოლო მე მაქვს მოხერხებულობა, რომელიც მას აკლია. კონფლიქტურ სიტუაციებში ჯონს ურჩევნია გაიმარჯვოს შტურმით, ხოლო „მკვდრებს“ ტოვებს იქ, სადაც ისინი ეცემიან! მე ცოტათი განსხვავებული მიდგომა მაქვს. ყოველთ-

## იბრძოლე როგორც ძალმა

ვის ვცდილობ გავითვალისწინო, თუ მოცემული პრობლემის მოგვარება როგორ აისახება ჩვენს ურთიერთობებზე მომავალში. ხშირ შემთხვევებში ჩვენ ვპოულობთ ჯანსაღ კომპრომისს, რომელიც ითვალისწინებს ორივე მხარის აზრს. (თუმცა იყო ისეთი მომენტებიც, როცა მე მსურდა თავების გახლეჩა, ხოლო ჯონს უნებდა ჩემი გაჩერება!) თუ არ გავითვალისწინებთ ერთი მეორის აზრს, მოცემული სურათი არასრული იქნება. მომწონს ჩემი ეკლესიის მიდგომა ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენი ხელმძღვანელობა მიიჩნევს კაცსა და ქალს ერთ მთლიან ნაწილად და უხუცესების არჩევისას ორივეს ნიშნავს ამ პოზიციაზე, მიუხედავად იმისა, ვინ იყო არჩეული მათ შორის პირველი. ასე იმიტომ იქცევიან, რომ იციან ყველა გადაწყვეტილებას ცოლ-ქმარი მაინც ერთად მიიღებს.

ხანგრძლივი ბრძოლისა და საკუთარი ვინაობის და დანიშნულების ძიების გამო, ჩვენი სახლებიდან გაქრა სიყვარულის, დარიგების, განკურნების და მხარდაჭერის ატმოსფერო. ზოგიერთი ქრისტიანი მოღვაწე ცდილობდა ამ ბრძოლის შეჩერებას იმით, რომ ჩამოაშორეს ქალი ყოველგვარ ფუნქციას სხეულში. მაგრამ ასეთი აკრძალვა არ არის გამოსავალი, ისევე როგორც არც ის არის გამოსავალი, რომ ვაიძულოთ ქალები შეასრულონ მამაკაცის როლი. ყველაზე უკეთესია ქალს მივცეთ თავისი როლის შესრულების საშუალება.

ახლაც კი შეიძლება იგრძნოთ, რომ უნდობლობით ეპყრობით ჩემს სიტყვებს. თუ შეიძლება გაიგეთ, არ ვცდილობ ვამტკიცო, რომ მხოლოდ ქალები ან კაცები არიან დამნაშავენი ამ წინააღმდეგობის წარმოქმნაში. ჭეშმარიტად მჯერა, რომ ორივე მხარემ შეიტანეს თავიანთი წვლილი ამ კონფლიქტში. მტრის ტყუილმა მოუტანა მრავალი ტკივილი კაცებსა თუ ქალებს, და გადაახვევინა მათ სიცოცხლის გზიდან.

## დროა გავაგრძელოთ წინსვლა

ზოგჯერ შეიძლება მოგეჩვენოთ თითქოს ვფიქრობ, რომ ქალები საჭიროებენ გამოსწორებას და მიმართულებას. უბრალოდ არ ვარ მოწოდებული მივმართავდე მამაკაცებს, ამიტომაც ვცდილობ ჩავუდო ჩემი სიტყვები ქალებს ყურში. ძალიან ხშირად, როდესაც ვცდილობ შენიშვნის მიცემას რომელიმე შვილისთვის და ვუხსნი, რომ მან უნდა გამოსასწოროს რაღაც, იმდენად გართულები არიან ხოლმე იმით, თუ რას ვეტყვი მათ ძმას, რომ ჩემი

## „ოქროს შუალედის“ აღმოჩენა

სიტყვები არც კი ესმით. ღმერთი აძლევს მიმართულებას თავის სხეულს როგორც მთლიანს, შემდეგ კონკრეტულ მითითებებს აძლევს კაცებსა და ქალებს. ეს ნიგნი გზავნილია მხოლოდ ქალებისთვის. არ ვიცი თქვენ როგორ, მაგრამ ყოველთვის უკეთ აღვიქვამ ინფორმაციას როცა ვიცი, რომ მოლაპარაკე მომმართავს მე პირადად და არავინ ისმენს ჩვენს საუბარს.

მეც, როგორც ქალს, არასწორად განმიკითხავდნენ, ჩემს აზრს ამახინჯებდნენ, უსამართლოდ მექცეოდნენ, ხოლო ჩემს სიტყვებს არასწორად განმარტავდნენ. მაგრამ მიუხედავად ამისა, მე გთხოვთ გადადოთ გვერდზე ყოველგვარი ტკივილი და იმედგაცრუება და დაიწყეთ წინ სვლა.

ყოველთვის ასე არ ვგრძნობდი თავს. ხშირად ვფიქრობდი: „მამაკაცი რომ ვიყო, ყველაფერი გაცილებით ადვილი იქნებოდა. მამაკაცი რომ ვყოფილიყავი ასე მკაცრად არ განსჯიდნენ. მამაკაცი რომ ვყოფილიყავი ჩემს ხმას გაიგებდნენ. ჩემს ხმაში მამაკაცის უღერადობა რომ ყოფილიყო, ჩემი შვილები უფრო ყურადღებიანი იქნებოდნენ ჩემი სიტყვებისადმი.“ სინამდვილეში კი ჩემი შვილები უფრო ყურადღებით მისმენენ მამინ, როცა მათ როგორც დედა ისე ველაპარაკები, და არ ვცდილობ მამის მრისხანე ხმის მიბაძვას. ყოველთვის, როცა დამცირებულად ვგრძნობ თავს საკუთარი, როგორც ქალის შესაძლებლობების შეზღუდულობის გამო, უფრო მეტად ვინყებდი ჩემი ზეცური მამის სახის ძიებას.

რამდენადაც ეს დაპირისპირება მიმდინარეობს, იგი არ არის შემოფარგლული მხოლოდ კაცების და ქალების დაპირისპირებით, მაგრამ, როგორც ჩანს, ხშირად მეორდება მას შემდეგ რაც წარმოდგენილი იქნა ქრისტეს სხეული როგორც მრავალის ერთობა.

**„ანდა ყურმა რომ თქვას: მე თვალი არა ვარ, ამიტომ სხეულს არ ვეკუთვნის, განა ამიტომ არ ეკუთვნის სხეულს? თუ მთელი სხეული თვალია, სადღაა სმენა? თუ ყველაფერი სმენაა, სადღაა ყნოსვა? და აჰა, ღმერთმა განალაგა ასოები სხეულში — თითოეული მათგანი, როგორც ნებავდა.“**  
(1 კორინთელთა 12:16-18)



## იბრძოლე როგორც ძალმა

მოდით თავს ნება მივცეთ სიცხადის მიზნით პავლეს მაგალითის პარაფრაზირება მოვახდინოთ. ქვემოთ მოცემულია ზემოთ მოყვანილი სიტყვების ჩემებური გადმოცემა:

„და თუ ქალი იტყვის: მე არ ვეკუთვნი სხეულს, რადგან კაცი არ ვარ, განა ამიტომ არ ეკუთვნი სხეულს? მთელი სხეული მხოლოდ კაცი რომ ყოფილიყო, განა მასში არ აღმოჩნდებოდა ქალის ადგილი? მთელი სხეული ქალისგან რომ შედგებოდეს, მაშინ კაცები სად იქნებოდნენ? მაგრამ ღმერთმა ნაწილები ისე განათავსა სხეულში, როგორც მას სურდა.“

### რალაც უფრო დიდისთვის შექმნილნი

დამიჯერეთ, ამ კითხვის გამო მეც არა ერთხელ დამიყენებია ღმერთის სიბრძნე კითხვის ქვეშ. იყო დრო, როცა ვგრძნობდი რომ უფრო უკეთ გამომივიდოდა მბრანებლური და მოსაუბრე მამაკაცის როლის შესრულება, ვიდრე რბილი და მორჩილი ქალის.

იყო დრო, როცა მინდოდა შორს ვყოფილიყავი ყველაფერი იმისგან, რაც ქალებთან იყო დაკავშირებული, მათი მანერული საქციელისა და ქორების გამო, რომლებსაც ავრცელებდნენ შეჯგუფებისას. მეშინოდა, რომ ქალებთან დავმეგობრდებოდი რა, აღმოვჩნდებოდი მათი ვარდისფერი კაბების და ზედაპირული საუბრების სამყაროში. მძულდა რა ხასიათის ყველა სუსტი თვისება, რომელსაც მივანერდი ქალთა მოდგმას, მე მეტად მიდრეკილი ვიყავი მამაკაცით ქცევისკენ. მაგრამ შემდეგ გონებაში გაჩნდა კითხვა. შესაძლოა ის, რასაც „ქალურ ზედაპირულობად“ ვთვლიდი, თავდაპირველად არასოდეს ყოფილა ქალის დნმ-ის ნაწილი. შესაძლოა, მე არ მომწონდა ასეთი პასიურ-აგრესიული ქცევა რაიმე გარკვეული მიზეზის გამო. შესაძლოა, ჩემთვის როგორც ქალისთვის, ბუნებრივი იყო წინააღმდეგი ვყოფილიყავი ქალური ჩურჩულის სხვა ადამიანების გარეგნობის და პირადი ცხოვრების გამო, რადგან თავდაპირველად ყველა ქალი შექმნილი იქნა რალაც უფრო დიდისთვის. შესაძლოა, შეცდომით ჩავთვალე ჩუმი ქალი სუსტად. შესაძლოა იყო დრო, როცა მეტის გაგონება შეიძლებოდა ქალის ჩურჩულში, ვიდრე მამაკაცის ყვირილში.

გამოდის საკვირველი კომბინაცია, როდესაც შევაერთებთ ძალას სილამაზესთან, ძალაუფლებას სიბრძნესთან, ხოლო კაცს

## „ოქროს შუალედის“ აღმოჩენა

— ქალთან. სწორედ ამაში მდგომარეობდა ყოველთვის ღმერთის იდეა... ორის ერთად შეერთება. როცა ერთად ვართ, ჩვენი ძალები მრავლდება.

თუ მოვანყობთ შეჯიბრს ფიზიკურ სიძლიერეში, სადაც შეეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ყველაზე ძლიერი და დიდი ქალები ყველაზე ძლიერ და დიდ მამაკაცებს, ვინ გაიმარჯვებდა? თუმცა, მე არ მსიამოვნებს ამის აღიარება, მაგრამ, რა თქმა უნდა, კაცები გაიმარჯვებდნენ. მაშინ, როცა საქმე ეხება ფიზიკურ ძალას, რატომ არ შეუძლიათ ქალებს მამაკაცებთან თანაბარ დონეზე შეჯიბრება? მამაკაცს ძალა არ მიეცა იმისათვის, რომ იგი ქალის წინააღმდეგ გამოეყენებინა, არამედ ქალის სასიკეთოდ. მამაკაცებს აღმატებული ძალა მიეცათ იმისათვის, რომ დაეცვათ და უზრუნველყოთ ქალები ცხოვრებაში. ძალა მათ იმისათვის არ მიეცათ, რომ ებატონათ ან ეძალადათ სუსტ სქესზე. მხოლოდ სუსტი, უთავბოლო, უძლური მამაკაცები შეურაცხყოფენ ქალებს.

სად დევს ქალის ძლიერება თუ არა მის ფიზიკურ ძალაში? პასუხს ამ კითხვაზე ჩვენ განვიხილავთ მომდევნო თავებში.

### **ზეციერო მამა,**

დამეხმარე, დავინახო ყველა ის ძლიერი მხარე, ნიჭები, რომლებითაც დამაჯილდოვე და ასევე ფასეულობა. აღადგინე შენი ჭეშმარიტება ჩემს ცხოვრებაში. მინდა ტვირთი მოვიშორო. მინდა, რომ ჩემი ცხოვრება ანთებდეს ყოველ ადამიანს, რომელსაც შევეხები. მინდა ვიპოვო ის სახლი, სიმშვიდის ის ადგილი, სადაც ამ ქვეყნიერების წესები აღარ გავრცელდება ჩემზე. მინდა განვახორციელო ყველა ის თვისება, რომლებითაც დამაჯილდოვე და მოვიტანო ისინი ამ მინაზე. მინდა ვიყო დამაკავშირებელი რგოლი შენს სხეულში და ხელი შევუწყო ყველა დანარჩენი ნევრის მოძრაობის თავისუფლებასა და ძალას. მსურს ჩემში გამოვლინდეს ქალის ჭეშმარიტი გული. ამინ.

## თავი მესამე

### ვინ არის ნამდვილი კაცი?

მიყვარს შვილებისთვის ამ კითხვის დასმა. განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი მონაწილეობენ რაიმე შეჯიბრში. „ასე გააგრძელე! ვინ არის აქ ნამდვილი კაცი?“

პასუხად ისინი რბილად უღიმიან თავიანთ მიყვარულს დაუფრთხილებით, თითქოს ცდილობენ თქმას: „მიხარია, რომ შენ შეამჩნიე!“ ზოგჯერ შეჯიბრებების შემდეგ მათ მხარზე ნამოვარცყავ ხოლმე, მაგრამ სიყვარულის ასეთი მცირე გამოვლინება კი ყოველთვის ამხნევეს მათ. მე მიყვარს ჩემი ბიჭები — ისე ძლიერ, რომ არ შემიძლია ამის სიტყვებით აღწერა. ხანდახან ჩემს სიყვარულს მათდამი გამოვხატავ იმით, რომ ხუმრობით ვჩქმეტ კისერში, ვკოცნი ლოყებში და ნეკნების დამტვრევამდე ვეხუტები. ხანდახან ვფიქრობ რომ ვერასოდეს იქნება საკმარისი მათთან ყოფნა, და ამიტომ გამუდმებით ვცდილობ ვიპოვო ცოტა დრო მათთან მოზიარეობისთვის. ეს დაიწყო მას შემდეგ, როცა გაჩნდნენ და პირველად შემომხედეს თვალებში ან გამოეხმაურნენ ჩემს ხმას. თითოეული მათგანის გაჩენამ აღძრა ჩემში განუმეორებელი და განსხვავებული გრძნობები და მზრუნველობა. ერთი მეპატიჟება რომ დავჯდე და დავისვენო მასთან ერთად. მეორე ცდილობს ჩემი ყურადღების მიქცევას. მესამე ხმამალა და დაჟინებით მეძახის, რომ ვეთამაშო მას. მეოთხე კი მიზიარებს თავის გულს დაფარულ ფიქრებს, განცდებს და შიშებს.

არ შემიძლია არ შევამჩნიო ჩემს ყოველ ბიჭში მათი მამაკაცური ბუნების გამოვლინება. სინამდვილეში, ნამდვილ „მამაკაცად“ ამ სიტყვის ჭეშმარიტ არსში მიმაჩნია მხოლოდ ღმერთი.

როცა ახალგაზრდა გოგოები ან დასაქორწინებელი ქალები იწყებენ ფიქრს, რომ მარტონი არიან და ბედს მინდობილნი, მე ვახსენებ მათ, რომ მათ გვერდით ყოველთვის არის მამაკაცი. მხოლოდ ის არის ღირსი ჩვენი ნდობის, სიყვარულის და მორჩილების. იგი არასოდეს შეწყვეტს ჩვენს სიყვარულს და დარჩება

## ვინ არის ნამდვილი კაცი?

ერთგული იმ შემთხვევაშიც კი, თუნდაც ჩვენ არ დავრჩეთ მისი ერთგული. რა თქმა უნდა, მე ვლაპარაკობ იესოზე, როგორც მამაკაცზე, რომელმაც იმდენად შეგვიყვარა ჩვენ, რომ დაიხია უკან, რომ მოსულიყო დედამინაზე როგორც კაცის ძე. იესოს უყვარდა ქალები და ნებას აძლევდა გამოემჟღავნათ თავიანთი გრძნობები მის მიმართ ყველაზე შეუსაბამო სიტუაციებშიც კი. მას არ უგვრძნია თავი უხერხულად მაშინაც კი, როცა ჭასთან დაეღაპარაკა სამარიტელი ქალი, რომელსაც ასამართლებდა მთელი ქალაქი, არც იმ დროს, როცა სხვა ქალმა სცხო მისი ფეხები მისი განმკითხავების თვალწინ.

როცა მარიამი იჯდა იესოს ფეხებთან, მან (იესომ) არ მისცა მის მოფუსფუსე დას მართას უფლება, რომ მარიამის ყურადღება სხვა რამეზე გადაეტანა. იესო ერთადერთი მამაკაცია, რომელიც არასოდეს გაგვიცრუებს იმედებს. მაშინაც კი, როდესაც კვდებოდა, იგი ზრუნავდა ქალის კეთილდღეობაზე.

**„ქალო, აჰა, შენი ძე!“ მერე მოწაფეს ეუბნება: „აჰა, დედაშენი!“ და მოწაფემ მაშინვე თავისთან წაიყვანა იგი.“ (იოანე 19:26-27)**

მაგრამ იესოს დედა არ ყოფილა ერთადერთი ქალი, რომელზეც იგი ფიქრობდა ტანჯვის იმ მომენტში... ის ფიქრობდა თქვენზე. მას ვერ წარმოედგინა ცხოვრება თქვენს გარეშე მარადისობაში, ამიტომაც მან ნებით მოიტანა თავისი მინიერი ცხოვრება მსხვერპლად, რათა მოეცა თქვენთვის საუკუნო სიცოცხლე. მე კარგად მახსოვს ის დღე და საათი, როცა ვიპოვე ეს უპირობო სიყვარული. ნუთუ ეს სიმართლეა, ვფიქრობდი მე მაშინ, რომ იგი მოკვდა იმისათვის, რომ მე მისი გაემხდარიყავი? როგორ შეძლო მან შეეყვარა ჩემნაირი ბოროტი და საზიზღარი პიროვნება? განა რომელიმე მამაკაცს გამოუვლენია ჩემდამი ასეთი სიყვარული და მიძღვნა? განა ვინმეს მოუმართავს ჩემთვის ასეთი ნაზი ხმით? ვის შეეძლო მისსავით ასე უპირობოდ პატიება? მან შემომთავაზა მე ყველაფერი ჩემი დამტვრეული სხეულის და გაქვავებული გულის სანაცვლოდ. იესოს გაცნობამდე მთელი ჩემი ცხოვრება იყო მხოლოდ ნაცრისფერი დღეების ნაკადი, მაგრამ როცა მისმა სიყვარულმა აავსო ჩემი არსება, თითქოსდა ახლებურად დავიწყე სუნთქვა.

## იბრძოლე როგორც ქალმა

### ღმერთი არ არის მამაკაცი

იგი ერთადერთია, ვისაც ყოველმა ქალმა, მარტოხელამ თუ დაქორწინებულმა, უშიშრად შეიძლება მისცეს უფლება შეაფასოს მისი ჭეშმარიტი ფასეულობა და მნიშვნელოვნება. იგი არის ერთადერთი ღირსი ჩვენი სიცოცხლის. ღმერთს არასოდეს უგულვისხმია, რომ ქალს თავისი სიცოცხლე მიელო კაცისგან. მას ჩაფიქრებული აქვს, რომ ჩვენს სიცოცხლეს მასგან ვღებულობდეთ. თუმცა იესო მოვიდა დედამიწაზე ადამიანის ხატებაში, იგი ამავდროულად არის ღმერთის ძეც. იგი მეტია ვიდრე მამაკაცი, თუმცა თავისი ბუნებით და არსით იგი ნამდვილი მამაკაცია. მე მისაუბრია მრავალ ქალთან, რომლებსაც ეშინიათ ღმერთთან მისვლა როგორც მამასთან. სამწუხაროდ, იმის გამო, რომ მამაკაცებმა წარსულში გული დაუჭრეს, ისინი უნდობლობით უყურებდნენ ყველა ადამიანს, რომელთაც კი ახასიათებთ მამაკაცის თვისებები. მაგრამ, ნება მომეცით დაგამშვიდოთ... ღმერთი არ არის მამაკაცი.

ნუ შეგეშინდებათ, მე არ ვგულისხმობ რომ იგი ქალია. იგი უფრო მეტია, ვიდრე კაცი და ქალი, და იგი მათი სიცოცხლის წყაროა და შემოქმედი. საიდუმლო არ არის, რომ ადამიანები გამუდმებით მიდრეკილნი არიან დაუშვან შეცდომები, მაგრამ ეს არ ეხება ღმერთს. რაა? თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ არავის არ დაუნუხრებინართ? თუ არასოდეს მოუტყუებინართ? ერთხელ მაინც არ დაუჭრინართ, არ უღალატიათ, ან გამოუყენებინართ ანგარების მიზნით? თუ თქვენ ამ ქვეყანაზე ცხოვრობთ, მაშინ, ყოველ შემთხვევაში ამ უარყოფითი ადამიანური ბუნების ერთერთ გამოვლინებას მაინც შეეჯახებოდით, თუ არა ყველას. არც ერთ ადამიანს, როგორც არ უნდა ცდილობდეს იგი საკუთარი თავის იზოლირებას სხვებისგან ან დამოუკიდებლობის მიღწევას, არ ძალუძს გაექცეს რეალური ურთიერთობების არასრულყოფილებას. ეჭვიც არ მეპარება, რომ თავადაც არაერთხელ დამიშვია შეცდომები ჩემი ცხოვრების ყოველ სფეროში. ხშირად ვუცრუებდი იმეებს ოჯახის წევრებს და მეგობრებს. მაგრამ მიუხედავად ამისა, არაერთხელ ვეძებდი ადამიანებში (კერძოდ, მამაკაცებში) იმას, რისი მოცემაც მხოლოდ ღმერთს შეეძლო. იმისათვის, რომ როგორც ქალებმა დავინწყოთ წინ სვლა, აუცილებელია გავიგოთ და დავინწყოთ ამ ჭეშმარიტების გამოყენება.

არც ისე დიდი ხნის წინ, როცა კონფერენციაზე მივდიოდი

## ვინ არის ნამდვილი კაცი?

სიტყვით გამოსასვლელად, აღმოვჩნდი დალასის აეროპორტში. მქონდა ცოტაოდენ თავისუფალი დრო და ვიფიქრე დამეთვალე რებიანა ჟურნალები, რომლებიც მაგიდაზე იყო დალაგებული. უეცრად ჩემი ყურადღება მიიპყრო პოპულარული ჟურნალის ახალმა ნომერმა, რომელიც ძირითადი თემაც იყო: „მამაკაცები და მათზე ნადირობა“. ამ ჟურნალის ყოველ სტატიაში საუბარი მიდიოდა ურთიერთობებზე ქალებსა და კაცებს შორის. თუ მეხსიერება არ მღალატობს, იქ იყო ინფორმაცია ქალაქებზე, სადაც მეტი მამაკაცი ცხოვრობს, ვიდრე ქალი, და იმაზეც, თუ რა ადგილებში შეიძლება ასეთი მამაკაცების მოძებნა, როგორ შეიძლება მათი ყურადღების მიპყრობა, როგორ უნდა ვისაუბროთ მათთან; როგორ გვიყვარდეს მამაკაცი და როგორ გავიგოთ უყვარხართ მას თუ არა, და ა.შ. როგორც ქალი, რომელიც ერთ სახლში ხუთ მამაკაცთან ერთად ცხოვრობს, ყოველთვის ვეძებ ასეთ ინფორმაციას. ამიტომაც ავიღე ეს ჟურნალი და დავინწყე ინტერესით გადაფურცვლა, როცა უეცრად გავიგონე შინაგანში სულიწმიდის ხმა: „მაგრამ მე ხომ მამაკაცი არ ვარ.“

გამაოგნა ამ გამოცხადების უბრალოებამ. ხშირად ჩვენს ძალას და ენერგიას ვხარჯავთ მამაკაცებზე, რომლებიც ღმერთის ჭეშმარიტი ხატების მხოლოდ მქრთალ ანარეკლს წარმოადგენენ. მიუხედავად იმ დამოუკიდებლობისა, რომელსაც ქადაგებენ ეს ქალთა ჟურნალები, ისინი ჯერ კიდევ სწორედ კაცსა და ქალს შორის ურთიერთობებს სთავაზობენ ბედნიერების მისაღწევად. რა თქმა უნდა, ახლო ურთიერთობებში შეიძლება კმაცოფილების მიღება, მაგრამ ეს არ წარმოადგენს პასუხს ყველა კითხვაზე. ჭეშმარიტად, ღმერთი მამაკაცი არ არის, და რისკენაც ასე ვისწრაფით და რაც ასე ძლიერ გვსურს, ჩვენ ვერასოდეს აღმოვაჩინებთ ამას ვერცერთ მამაკაცში.

## მსგავსნი, თუმცა განსხვავებულები

ვფიქრობ, რომ ამ ჭეშმარიტების დამტკიცება შეიძლება რიცხვთა წიგნიდან:

**„ღმერთი კაცი როდია...“ (23:19)**

ამ მუხლში გაცხადებულია ჭეშმარიტება, რომლის ბოლომდე ჩანვდომაც ჩვენ არ ძალგვიძს. ღმერთი გვგავს ჩვენ, თუმცა იგი თავისი ბუნებით განსხვავდება როგორც მამაკაცებისგან, ისე ქალებისგან. თუმცა, კაცებიც და ქალებიც შექმნილნი არი-

## იზრძოლე როგორც ძალმა

ან მის ხატებად, ისინი ყველაზე საუკეთესო შემთხვევაშიც კი მის მკრთალ ანარეკლს წარმოადგენენ. ამის შედარება შეიძლება სარკესთან, რომელიც აირეკლავს ჩვენს გარეგნობას, მაგრამ არა იმას, რაც ჩვენს გულშია... აირეკლავს ჩვენი ბაგეების მოძრაობას, მაგრამ არ გადასცემს ხმას, რომელსაც გამოვცემთ. ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ღმერთი ლაპარაკობს ამ მუხლში ცხად რალაცეებზე. შეიძლება ნაიკითხოთ ეს სიტყვები და იფიქროთ: „რა თქმა უნდა, ვიცი, რომ ღმერთი ადამიანი არ არის.“ მაგრამ შეჩერდით ერთი წუთით და შეხედეთ ამ ჭეშმარიტებას ჩვენი კულტურის სინათლეზე, და გაგიკვირდებათ, თუ რამდენად არასწორად განმარტავენ ამ აზრს.

თუ წრფელები ვიქნებით საკუთარ თავთან, ვალიარებთ, რომ ცხოვრების მრავალ სფეროში ჩვენ დაუდევრად ვაცხადებთ მამაკაცს ჩვენს „ღმერთად“. ასეთი დასკვნის გაკეთება შეიძლება იმის შემხედვარე, თუ როგორ ვხარჯავთ ჩვენს ფულს, დროს და ენერჯიას. რეკლამა ნადირობს ჩვენს სურვილებზე მტკიცებით, რომ თუ ჩვენ როგორც სასურველ ქალს ისე გვეცმევა, მაშინ მივიღებთ ჩვენი ოცნების მამაკაცს. ჩვენ გვეპატიუებიან წვეულებებზე, სადაც ყურადღების ცენტრში ექცევიან მხოლოდ ისინი, ვინც ლამაზად და ბრწყინვალედ არის ჩაცმული (რომლებიც მოდური მანქანით მოვიდნენ, პრინცესის მსგავს კაბაში, ძვირადღირებული სამკაულებით და ლამაზი ვარცხნილობით და ამასთან ერთად აცვიათ ძვირადღირებული ფეხსაცმელი). ღმერთის ნაცვლად ჩვენ დავინწყეთ საგნებისა და ადამიანებისადმი მინდობა, რომლებიც იპყრობენ ჩვენს ყურადღებას და ასრულებენ ჩვენს სურვილებს. თავადაც რომ ვერ ვაცნობიერებთ ისე აღმოვჩნდებით ხოლმე კაუჭზე, როცა ვთვლით რომ „მამაკაცი“ ქალის ყველა დარდის პასუხია. სარეკლამო დევიზი „იდეალური მამაკაცი = სრულყოფილ ცხოვრებას“, მეტი ზენოლას ქვეშ აქცევს ყველას, ვისთანაც კავშირი გვაქვს! არ არსებობს ისეთი რამ როგორც იდეალური მამაკაცი (ან იდეალური ქალი), - სრულყოფილი მხოლოდ ერთადერთი ღმერთია.

დაქორწინებულო ქალებო, დაოჯახების შემდეგ, რამდენმა აღმოაჩინეთ, რომ რაც არ უნდა იდეალური ყოფილიყო თქვენი ქმარი, მას არ შეუძლია თქვენი საჭიროებების სრულიად დაკმაყოფილება? იდეალური ქმრის და უღრუბლო ქორწინების დიდი იმედებით, მრავალი ქალი თხოვდება და მიყვება თავისი ოცნების მამაკაცს, ხოლო შემდეგ სამინელებით უყურებენ თუ

## ვინ არის ნამდვილი კაცი?

მათი ოცნება როგორ გადაიქცევა კომმარულ სიზმრად! სასონარკვეთილად ცდილობენ რა საკუთარი ვარდისფერი ოცნების გადარჩენას, ისინი ისწრაფვიან იმისკენ, რომ შეცვალონ საკუთარი ქმარი, ხოლო თუ მათმა მეთოდებმა არ გაამართლა, წყვეტენ რომ თავად გახდნენ მამაკაცი! დამიჯერეთ, ვიცი ეს საკუთარი გამოცდილებით. იქამდე, სანამ დავქორწინდებოდი ჩემს ქმართან, ჩემი მთელი ცხოვრების სიყვარულთან, გულუპრყვილოდ მიმაჩნდა, რომ იგი სრულყოფილი იყო, იდეალი. ეს არის მრავალი ახალდაქორწინებული ქალის შეცდომა... ისინი ოცნებობენ იდეალურ ქმარზე.

საკუთარი ოცნებით შთაგონებული, წარმომედგინა რომ ჩემი ცხოვრების მიზანი იყო ჯონის შეცვლა, და ისეთი მამაკაცისაგან როგორიც იყო, მექცია ისეთად, როგორიც ვიცოდი რომ შეძლებდა ყოფილიყო, თუ დაუჯერებდა ჩემს რჩევებს. ამ ცრუ „გამოცხადებამ“ შემცვალა. მე აღარ ვიყავი კეთილი და მომთმენი ცოლი — დაჟინებით ვცდილობდი საკუთარი მიზნის მიღწევას. ჩემთვის აუცილებელი იყო შემეცვალა ქმარი, წინააღმდეგ შემთხვევაში განა დამაჯილდოვებდა ღმერთი ასეთი დიდებული უნარით გამეკრიტიკებინა ყველა და ყველაფერი? მე უბრალოდ ვალდებული ვიყავი გამომესწორებინა ნაკლოვანებები მის ხასიათში. რალაც უცნაური შემთხვევითობით გამომჩა ისინი როცა ვხვდებოდით ერთმანეთს, მაგრამ ქორწინების შემდეგ ეს პატარა ნაკლოვანებები ამოტივტივდა (ისევე როგორც ჩემი პირადი სისუსტეები). ჩემთვის ცხადი იყო, რომ მონოდებული ვიყავი გავმხდარიყავი ჯონისთვის ნამდვილი კურთხევა. ჩემს მიერ მისი დახმარებით! რატომ განვიცდიდი ასე ძლიერ სურვილს შემეცვალა ქმარი და სრულყოფილად მექცია ის? იმიტომ, რომ მე ვაქციე იგი ჩემი სიხარულისა და კმაყოფილების წყაროდ.

## ან ისე იქნება, როგორც მე მსურს, ან გავდივარ თამაშიდან

როდესაც პირველად შევხვდით, ჯონი მომეწონა ისეთი როგორიც იყო. მაგრამ შემდეგ ჩემი წარმოდგენა მასზე შეიცვალა და მე შემეძლო მხოლოდ იმაზე მეფიქრა, თუ როგორი შეიძლებოდა იგი გამხდარიყო. რომ გამომსვლოდა მისი გარდაქმნა ჩემს იდეალად, ვფიქრობდი, რომ ვიგრძნობდი საკუთარ თავს უსაფრთხოდ, ბედნიერი ვიქნებოდი და მეტად ვეყვარებოდი. ჩემს ახალ შეხედულებას მე ვამაგრებდი ასეთი სახის მოთხოვნებით: „მე ამას ასე არ გავაკეთებდი; მოდი სხვანაირად გავაკეთოთ.“



## იზრძოლე როგორც ძალმა

მტკიცებულებებს, რომ ჯონმა უნდა გააკეთოს ყველაფერი, როგორც მე ვფიქრობდი, ისე ხშირად გამოვხატავდი ხოლმე, რომ თითქოს მათ მოიცვეს მთელი ჩემი არსება. თხოვნები, რომელთაც თავდაპირველად რბილად და მოთმინებით გამოვხატავდი, ჩემი ჯონის შეცვლის სურვილის ზრდასთან ერთად უფრო მეტად და მეტად დაჟინებულობით დავიწყე მათი გამოხატვა. ეს ხომ ჩემი მოვალეობა იყო და წმიდა მოვალეობა — მეჩვენებინა ჯონისთვის ის მიმართულება, რომლითაც, როგორც მიმაჩნდა, მას უნდა ევლო.

თუმცა არაფერი გამომდიოდა! მომწონს თუ რა თქვა ამის შესახებ ერთმა ღმერთის ქალმა დევი ტაიტუსმა: „ქალების უმრავლესობა ემსახურებიან თავიანთ შვილებს და ცდილობენ ქმრების გამოსწორებას, ნაცვლად იმისა, რომ საპირისპიროდ იქცეოდნენ.“ იმ დროისთვის მე არ მყავდა შვილები, მაგრამ ვცდილობდი ჩემი ქმრის გამოსწორებას.

როცა ჯონმა დაიწყო ჩემს მიერ მისი შესწორებების და შეცვლის დაჟინებული მცდელობების შეწინააღმდეგება, მე გაუაზრებლად გადავწყვიტე მისი ადგილის დაკავება ოჯახში (ყოველ შემთხვევაში იქამდე, სანამ ის არ დაიწყებდა ჩემი რჩევების გათვალისწინებას). ბოლოს და ბოლოს, მე ხომ დავამტკიცე, რომ გამაჩნდა ლიდერული თვისებები. რამდენჯერ მიმიცია ქმრისთვის სწორი რჩევა, და მიუხედავად ამისა, იგი ჯიუტად იძახდა უარს რომ გაეთვალისწინებინა ის. ყველაფერი დალაგდება, ვფიქრობდი მე, თუ მე „ოჯახის თავი“ გავხდები, სანამ ჩემი ქმარი არ დაიწყებს ჩემი აზრის გათვალისწინებას. მაგრამ ჯონს არ სურდა ქალის როლი, და ამის გამო ჩვენს ოჯახში გაჩნდა ორი ლიდერი, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებისკენ მიემართებოდნენ და ყველაფერში განსხვავებული აზრი გვქონდა.

საჭირო არ არის იმის თქმა, რომ ამ დაპირისპირებამ დიდი ზიანი მიაყენა ჩვენი ქორწინების ადრეულ წლებს. ეს არ წყდებოდა იქამდე, სანამ არ მივხვდი, რომ ვცდილობდი აღმომეჩინა ჯონში ის, რისი მოცემაც ჩემთვის მხოლოდ ღმერთს შეეძლო. მოველოდი, რომ ჩემი ქმარი იქნებოდა სრულყოფილი, მაშინ როცა არცერთი ჩვენთაგანი ასეთი არ ვართ. როცა ის იმედებს მიცრუებდა, მე ვწყვეტიდი მის მიმართ სიყვარულის და პატივისცემის გამოვლინებას იქამდე, სანამ იგი რამე ისეთს არ გააკეთებდა რომ დაემსახურებინა ისინი. ქორწინების ამ პირველ წლებში მე იმდენად ვიყავი სხვადასხვაგვარი შიშებით აღვსილი,

## ვინ არის ნამდვილი კაცი?

რომ ფაქტობრივად ვცდილობდი ყველაფერი მეკონტროლებინა ცხოვრებაში.

ავყევი ტყუილს, რომ ღმერთი — მამაკაცია და რომ ნებიერი მამაკაცს შეუძლია გარვეული ძალისხმევით შედეგად, როგორც მე მეჩვენებოდა, აღასრულოს თავისი ცოლის ყველა საჭიროება. მაგრამ ეს შორს იყო სიმართლიდან, რადგან ჯონი სრულყოფილიც რომ ყოფილიყო, ყველას გვაქვს ისეთი საჭიროებები, რომელთა დაკმაყოფილებაც მხოლოდ ღმერთს შეუძლია. პასკალმა თქვა: „ყველა ადამიანის ცხოვრებაში არის სიცარიელე, რომლის შევსებაც მხოლოდ ღმერთს შეუძლია.“ ჩვენ შექმნილნი ვიყავით იმისთვის, რომ სრულიად ბედნიერად გვაქციოს მხოლოდ ჩვენმა შემოქმედმა. ჩვენ მოგვეცა აღთქმები, რომელთა შესრულებაც მხოლოდ ღმერთს შეუძლია.

### ღმერთი არასოდეს ტყუის

**„ღმერთი კაცი როდია, რომ იცრუოს.“ (რიცხვთა 23:19)**

რა არის სხვა ცხადი განსხვავება მამაკაცებსა და ღმერთს შორის? მამაკაცები იტყუებიან. თუმცა, სანამ გაბრაზდებით ამაზე, გახსოვდეთ: ქალებიც იტყუებიან. მაგრამ ღმერთს არ შეუძლია მოიტყუოს, რადგან იგი ჭეშმარიტია. ადამიანები ზოგჯერ იტყუებიან მაშინაც კი, როდესაც სჯერათ, რომ სიმართლეს იძახიან. ისინი გპირდებიან, რომ არასოდეს მიგატოვებენ, ხოლო შემდეგ საპირისპიროდ იქცევიან. ისინი გეფიცებიან რომ ყოველთვის ეყვარებით, შემდეგ კი ავინყდებით დანაპირები.

საერთოდ, ადამიანების თვისება, იტყუებოდნენ, შეიძლება საშიშად გამოიყურებოდეს; მაგრამ ჩვენ, ქალებს და კაცებს შეიძლება გვამშვიდებდეს ის ფაქტი, რომ ღმერთი ჩვენ არ გვგავს. ღმერთი არის ღმერთი და არავინ არის მისი მსგავსი. მხოლოდ იგი არის ყოველთვის ერთგული და ჭეშმარიტი. მის მსოფლმხედველობაზე გავლენას არ ახდენენ ამ მიწიერ ქვეყანაზე არსებული კანონები. მას ვერ მოქრთამავ და მოატყუებ.

კიდევ ერთი ხერხი ადამიანის ღმერთის დონემდე ასამაღლებლად არის — თვლიდე მას საკუთარი თავის დაცულობის და წინსვლის წყაროდ. ასე ხდება მაშინ, როცა მოველით, რომ ჩვენი მეგობრები დააკმაყოფილებენ ჩვენს ემოციურ საჭიროებებს. მეტიც, ადამიანის „ღვთისმსგავსების“ აზროვნებაზე დიდწილად გავლენას ახდენს ბიზნესის სამყარო, სადაც ბევრს სჯერა, რომ

## იბრძოლე როგორც ძალმა

ტყუილი და ჭორი ყველაზე ადვილი გზებია წარმატებისა და წინსვლისთვის სამსახურებრივ საფეხურებზე. ადამიანები, რომლებსაც სწყურიათ გარშემომყოფთა ყურადღება, ხდებიან ანგარებიანები და ცხოვრობენ პრინციპით „შენ — მე, ხოლო მე — შენ“. ისინი იფასებენ თავს და ზევიდან უყურებენ ნაკლებად წარმატებულ ადამიანებს. იმათ, ვისაც შეუძლია ემსახუროს მათ რაიმეთი, შეყავთ თავიანთ მოზიარეობის წრეში, ხოლო სხვებს, ვისთანაც მეგობრობას სარგებელი არ მოაქვს, გარეთ ყრიან. სამწუხაროდ, ასეთმა აზროვნებამ დაიწყო ეკლესიაშიც შემოსვლა. ურთიერთობები აღარ ითვლება წმიდად, არამედ დღეს მათ უყურებენ როგორც ისეთ რამეს, რასაც სარგებლის მოტანა შეუძლია. მოქცევის ასეთი ტიპი მეტყველებს არა მხოლოდ ადამიანებისადმი ნდობის ნაკლებობაზე, არამედ ღმერთისადმი უნდობლობაზეც. ყველაზე მეტად ჩვენ გვჭირდება ღმერთის კეთილგანწყობა.

რა თქმა უნდა, შეიძლება ღმერთის და ადამიანების კეთილგანწყობის გამოყენება, მაგრამ ამისათვის ჩვენ სწორად უნდა გვექონდეს გადანაწილებული პრიორიტეტები. უპირველესყოვლისა ეძიეთ ღმერთის კეთილგანწყობა, ხოლო შემდეგ მიეცით მას საშუალება რომ ზებუნებრივად წარმოგზავნოს თქვენს ცხოვრებაში საჭირო ადამიანები.

ძალიან ხშირად ჩვენ უპირველესყოვლისა ვცდილობთ ადამიანის კეთილგანწყობის მოპოვებას, მაგრამ ეს ჯერ არ იძლევა ღმერთის კეთილგანწყობის გარანტიას.

### ღმერთის თუ ადამიანების კეთილგანწყობა

იმისათვის, რომ ჩვენი მსოფლმხედველობა არ მოექცეს დამანგრეველი გავლენის ქვეშ, აუცილებელია გავაცნობიეროთ, რომ ხშირად სწორად იმას ვცდილობთ, რომ დავიმსახუროთ ადამიანების კეთილგანწყობა. ყველაფერი ჩვენს ცხოვრებაში შენდება იმაზე, თუ როგორ გვიყურებენ სხვები. ხოლო ისინი ხშირ შემთხვევებში აღგვიქვამენ ჩვენი გარეგნობიდან და მიღწევებიდან გამომდინარე. ამ ბრძოლის ველზე გამუდმებით იმარჯვებენ მხოლოდ ყველაზე მიმზიდველები და წარმატებულები. ხოლო, როცა ისინი კარგავენ თავიანთ პოპულარობას, მათი ცხოვრება დაღმასვლას იწყებს, რადგან ისინი მას სხვების აზრიდან გამომდინარე აშენებდნენ. ღმერთი არასოდეს მერყეობს თავის სიყვარულში ჩვენდამი, მიუხედავად იმისა, თუ რას ფიქრობენ ჩვენს გარშემომყოფები.

## ვინ არის ნამდვილი კაცი?

კეთილგანწყობის მოპოვება შეიძლება საიდუმლო ქმედებების მეშვეობით. ღმერთის შეხედულება ჩვენზე ყალიბდება მაშინ, როდესაც საკუთარ თავთან მარტონი ვრჩებით და როცა გვერდით არავინ გვყავს, ვინც ტაშს დაგვიკრავდა ან აღფრთოვანებული იქნებოდა ჩვენით. ის, თუ როგორები ვართ „კულისებს მიღმა“, ხშირად უკეთ გამოხატავს იმას, თუ რანი ვართ სინამდვილეში. თითქმის ყოველთვის არასწორი გადანწყვეტილებები, რომელთაც დაფარულში ვღებულობთ, ანგრევენ კარგ ნარმოდგენებს ჩვენს საჯაროდ. ისეთი ცოდვის ჩადენის გადანწყვეტილება, მაგალითად როგორიცაა ჭორაობა, პორნოგრაფიის ნახვა, მრუშობა ან ფულის გაფლანგვა, - ლეებულობთ საჯაროდ თუ მარტოდ ყოფნისას? ამგვარი გადანწყვეტილებების დიდი ნაწილი მიიღება ჩვენს გონებაში, როცა მარტონი ვრჩებით საკუთარ თავებთან. ქურდობის, მოტყუების ან ლალატის გადანწყვეტილებებიც მიიღება დაფარულში.

მეორეს მხრივ, განმარტოვებაში შეიძლება სწორ და სუფთა ოცნებებს მივეცეთ ღმერთთან ახლო ურთიერთობების წყალობით. მხოლოდ მაშინ, როცა მასთან მარტონი ვრჩებით, იხსნება და აიწონება ჩვენი ჭეშმარიტი მოტივები. მის თანდასწრებაში თქვენ გვერდზე გადადებთ თქვენს ყოველ იმედგაცრუებას და მოლოდინს, რათა ღმერთმა გიბოძოთ თავისი კეთილგანწყობა, რომელიც დაფუძნებულია იმაზე, თუ რანი ხართ, და არა იმაზე, თუ რას აკეთებთ. სწორედ ამ დროს ვლინდება ჩვენი ნამდვილი ბუნება — ვინ ვარ მე, როცა არავინ მიყურებს. ასეთ პიროვნებასთან ღმერთს ყველაზე მეტად სიამოვნებს დროის გატარება. მის თანდასწრებაში უკეთ ვხედავ, თუ ვინ ვარ სინამდვილეში, რადგან ჩემი ფასეულობა მოდის მხოლოდ მისგან. ის თუ როგორი ვარ მარტოდ ყოფნისას გაცილებით მნიშვნელოვანია მისთვის, ვიდრე ყველაფერი, რაც მისთვის შემოიძლია გავაკეთო ადამიანების წინაშე.

### ყოველთვის ჯობია მივენდოთ ღმერთს

ზოგჯერ მე მივრბივარ მის თანდასწრებაში, რადგან მეშინია და ვერ ვხვდები რალაც-რალაცებს. ხოლო იგი მახსენებს:

**„ადამიანთა მოშიშარს მახე დაეგება, ხოლო უფალს მინდობილი დაცული იქნება.“ (იგავები 29:25)**

და ასევე,

**„ღმერთს მივინდე — არ მეშინია; რას მიზამს კაცი?“ (ფსალმუნი 55:12)**

მეფსალმუნე კარგ კითხვას სვავს. ადამიანები აგიჯანყდებიან, მაგრამ მართლაც რა შეუძლიათ გაენონ, თუ თქვენ ღმერთს ენდობით? ჩვენ იმის იმედი გვაქვს, რისიც გვწამს. თუ ჩვენ გვჯერა ღმერთის, რომ ჩვენი ცხოვრება მის ხელშია, მაშინ აღარ შეგვეშინდება სხვა ადამიანების მუქარის.

ჩემი ნამდვილი ბუნება არა ერთხელ გამოვლენილა სწორედ მაშინ, როცა რალაც მაშინებდა. ჭორები და მუქარები ტრიალებდა ჩემი ცხოვრების ირგვლივ, და მე იმედდაკარგულად ვცდილობდი მათ მოგერიებას ან თავის მართლებას, ვყვებოდი რა, თუ სინამდვილეში რა ხდებოდა. როგორც ყველა ნორმალური ადამიანი, არ მიყვარს, როცა არასწორად ესმით ჩემი ან არასწორად განმარტავენს ჩემს სიტყვებს, მაგრამ შემდეგ ვხვდები, რომ უბრალოდ უნდა გადავცე ეს ღმერთის ხელებში და მივინდო მის კეთილ ნებას. ცხოვრებაში კიდეც არა ერთხელ გაგვიგენებ არასწორად, უსამართლოდ განგვიკითხავენ, არასწორად განმარტავენ ჩვენს სიტყვებს. მაგრამ ჩვენი მეგობრები თუ მტრები ასეც რომ მოიქცნენ, ღმერთი არასოდეს გააკეთებს ამას.

**„უკეთესია დაყრდნობა უფალზე, ვიდრე დაიმედება ადამიანზე.“ (ფსალმუნი 117:8)**

ბიბლია არ გვასწავლის რომ საერთოდ არ ვენდოთ ადამიანებს; არამედ იგი მიგვითითებს მასზე, ვისაც უნდა ვენდობოდეთ უპირველესყოვლისა. გაცილებით უკეთესია სრულიად მივინდოთ ღმერთის ნყალობას და ერთგულებას, ვიდრე ვიფიქროთ იმაზე, რომ მივინდოთ ადამიანებს, რომელთაც კაცობრიობის არსებობის მანძილზე გამოავლინეს თავიანთი არასანდოობა. ერთადერთი ხერხი, რომ ვისწავლოთ ღმერთისადმი მეტად მინდობა — მეტად და მეტად უნდა გავიცნოთ იგი. ეს მოხდება მაშინ, როცა თქვენი ცხოვრება აირეკლავს მისთვის დამახასიათებელ თვისებებს. იგი უცვლელია და მართალია. ღმერთი — დასაწყისი და დასასრულია, ჩვენი ფარი და დაცვაა. ღმერთი — ჭეშმარიტებაა. მისი დიდება არ ექვემდებარება განსჯას, ხოლო მისი ძალა უზომოა. იგი ყველანაირად განსხვავდება ჩვენგან.

## ვინ არის ნამდვილი კაცი?

### როგორ გვიყვარდეს კონფლიქტის დროს

სანამ მომდევნო ისტორიას მოგიყვებოდეთ, მინდა ვთქვა, რომ მიყვარს და პატივს ვცემ ჩემს ქმარს, თუმცა ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ყოველთვის ერთი სიტყვით ვუგებთ ერთმანეთს. ოცდასამი წლის განმავლობაში, რაც დაოჯახებულები ვართ არა ერთხელ გვექონია კონფლიქტი. ზოგჯერ ამ კონფლიქტების შედეგები საკმაოდ დამანგრეველი იყო. მოგიყვებით ერთ შემთხვევას ჩვენი ცხოვრებიდან იმ იმედით, რომ ჩემს შეცდომებზე ისწავლით და არ დაუშვებთ მათ თქვენს ცხოვრებაში, მათ შორის ქორწინებაშიც.

ორივე, მეც და ჯონიც, ემოციურები ვართ. ამ მსგავსებას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეც. ემოციური ადამიანები ძალიან ძლიერ ენდობიან საკუთარ გრძნობებს. როდესაც მდგომარეობა იძაბება, ჩვენ მიდრეკილნი ვართ ვიყოთ ღიად და ზოგჯერ მკაცრად გამოვხატავდეთ საკუთარ შეხედულებას. ურთიერთპატივისცემის გამო ჩვენ წესად დავუდეთ საკუთარ თავებს, რომ საკამათო საკითხები ყოველთვის ერთიერთზე განვიხილოთ და მხოლოდ შემდეგ გამოვხატოთ ისინი საჯაროდ. როცა ასეთი საკითხები იქმნება ჩვენი მსახურების დირექტორთა საბჭოს სხდომის წინ, მე და ჯონი მათ ჯერ სახლში განვიხილავთ, რათა სხვადასხვა გაუგებრობა თავიდან ავირიდოთ.

ეს წესი გვეხმარება ორივეს თავიდან ავირიდოთ ზედმეტი უხერხული მდგომარეობა და შეურაცხყოფილი გრძნობები. რამდენიმე წლის წინ მოხდა შემთხვევა, როცა დირექტორთა საბჭოს სხდომამ არც ისე კარგად ჩაიარა. გარკვეული ფაქტორების შედეგად ხმის მიცემა მოუწიათ რაღაც საკითხზე, რომელზეც არაფერი ვიცოდით. მე გამიჩნდა გრძნობა, რომ გვერდი ამიარეს და მილაღატეს, განსაკუთრებით მაშინ, როცა გავიგე, რომ მთელი ხელმძღვანელობიდან მხოლოდ მე არ ვიყავი საქმის ყურში. ამასთან ერთად, ერთადერთი ქალი ვიყავი დირექტორთა საბჭოში, და ისე ვიგრძენი, რომ ბიჭებმა თამაშგარე დამტოვეს. როდესაც დადგა ხმის მიცემის დრო, ყველა შეკრებილმა მხარი დაუჭირა პროექტს, რომლის მიმართ კატეგორიულად წინააღმდეგი მხოლოდ მე ვიყავი. მე მგონი, ხელიც გავაქნიე ჩემი უთანხმოების ხაზის გასასმელად.

არ მინდოდა მათთვის იოლად ჩაევლო ჩემს უგულებელყოფას! სამწუხარო რამ ის იყო, რომ ჩვენს საბჭოში იმ დღემდე

## იზრძოლე როგორც ძალმა

ყოველთვის ანონიმურად მიმდინარეობდა ხმის მიცემა, მაგრამ იმ მომენტში ეს არ მაინტერესებდა. უთანხმოება გამოვხატე. მინდოდა დამემტკიცებინა ყველასათვის, რომ მაქვს უფლება ნავიდე უმრავლესობის წინააღმდეგ. პროექტი ჩემი თანხმობის გარეშეც იქნა მიღებული, მაგრამ წარმომედგინა რომ რაღაც პატივდებული მოვიმოქმედე, და რა თქმა უნდა, პატრიოტულად მოვიქეცი.

როგორც მიხვდით, ჯონი სხვანაირად უყურებდა ჩემს საქციელს. დირექტორთა საბჭოს შემდეგ ჩვენს შორის წარმოიქმნა გამძაფრებული კამათი, რომელიც არ დასრულებულა მაშინაც კი, როცა სხვა ქვეყანაში მნიშვნელოვანი მივლინებით გაემგზავრა. დრომ და მანძილმა საერთოდ არ შეუწყო ხელი ამ კონფლიქტის მოგვარებას. ჩვენ ორივე უფრო მეტად ვულრმავდებოდით და მტკიცედ ვიცავდით საკუთარ აზრებს. საკუთარი თავი მსხვერპლად მიმაჩნდა, ხოლო ჯონი ფიქრობდა, რომ მისი ცოლი ეწინააღმდეგება და სათანადო პატივისცემას არ ამაყვანებს მის მიმართ. იმის გამო, რომ ორივე ვგრძნობდით მომავალ კონფლიქტს, ორივე ძალებს ვინახავდით საკუთარი პოზიციის დასაცავად. ჩვენ გამუდმებით ვკამათობდით და ვცდილობდით ნებისმიერი ადამიანის მხარდაჭერა მიგველო, ვინც შემოგვთავაზებდა მას, მაგრამ არანაირი გამოსავალი არ ჩანდა.

სასონარკვეთილებაში მყოფმა დავინყე უფლისადმი ღალადი: „ღმერთო, ჩვენ კონფლიქტში ვიმყოფებით. ჯონი საკმაოდ არაკორექტულად მექცევა! მამაო, მესმის, რომ დამნუხრებული ხარ მისი ქმედების გამო; რადგან მან შენი მცნების სანინააღმდეგოთ, უღალატა თავისი ახალგაზრდობის ცოლს!“ ასე გრძელდებოდა დიდი ხნის განმავლობაში; თითქმის ყოველდღე ჩემს საქმეს მამის წინაშე წარვადგენდი. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, როდესაც დავიღალე და დავდუმდი, გავიგონე მისი ხმა: „ლიზა, მითხარი, რომ მე შენთვის საკმარისი ვარ.“

თავდაპირველად ცოტა შემეშინდა. თუ ვიტყვოდი, რომ მხოლოდ ღმერთი მჭირდება, ამაში ისიც ხომ არ იგულისხმებოდა, რომ ჯონი არ შეიცვლებოდა? თუმცა მაინც გავეცი პასუხი: „მამა, შენ საკმარისი ხარ ჩემთვის.“ შემდეგ გავაცნობიერე, რომ ქვეცნობიერად ვიმეორებდი კითხვას: „ჯონთან დაკავშირებით როგორ იქნება საქმე?“ კვლავ გავიგონე: „მითხარი, რომ მე შენთვის საკმარისი ვარ.“ „შენ საკმარისი ხარ ჩემთ-

## ვინ არის ნამდვილი კაცი?

ვის. “ თავიდან გაუაზრებლად ვთქვი ეს სიტყვები. ვიცოდი, რომ უნდა მეთქვა, მაგრამ არ მესმოდა რას ვამბობდი. ვხვდებოდი, რომ უნდა მეთქვა ეს სიტყვები, წინააღმდეგ შემთხვევაში უსიამოვნებები შემექმნებოდა. თუ ღმერთი საკმარისი იყო ჩემთვის, მაშინ არ არის აუცილებელი ვიფიქრო იმაზე, თუ რას ფიქრობს ჩემზე სხვა. თუ მე მხოლოდ ღმერთი მჭირდება, მაშინ არ ღირს განვიცდიდე ყველა ნაკლოვანების გამო, რომლებსაც ჯონში ვამჩნევდი. თუ მე მხოლოდ ღმერთი მჭირდება, მაშინ იმედგაცრუებებმა, რომლებიც ახლობლებისგან მოდიოდა, აღარ უნდა დამამწუხრონ და არ უნდა მოახდინონ გავლენა ჩემს პატიების უნარზე. და დავინეყე ამ სიტყვების ყველგან გამოთქმა, სადაც არ უნდა ვყოფილიყავი: დილით ჩემს საძინებელში, მანქანის საჭესთან, საღამოს ძილის წინ. შემდეგ რაღაც მოხდა. მე მართლა გავაცნობიერე, რომ ღმერთი არა უბრალოდ ყველაფერზე მეტად მჭირდება, არამედ ის ერთადერთია, ვინც მე მჭირდება. ამ გამოცხადებამ აღავსო ჩემი გული და მალე სძლია ჩემი სიმართლის მტკიცების სურვილს.

## მიიღე ჭეშმარიტება, უარყავი ტყუილი

როდესაც ყველაფერი გადავეცი ღმერთს ხელებში, ჩემი ცხოვრება შეიცვალა ერთხელ და სამუდამოდ და სიყვარულმა აღავსო ჩვენი ქორწინება. ჭეშმარიტება იმაში მდგომარეობს, რომ არცერთ ქმარს არ შეუძლია თავისი ცოლის ყველა საჭიროების შესრულება ან ყველა მისი ჭრილობის მოშუშება. რა თქმა უნდა, ქმარს შეიძლება უყვარდეთ და გამხნევებდეთ; მეგობრები შეიძლება შთაგაგონებდნენ და გახარებდნენ უბრალოდ თქვენთან ყოფნით, მაგრამ ნებისმიერი ადამიანური ურთიერთობა — ეს უბრალოდ ღმერთის სრულყოფილი სიყვარულის მკრთალი ანარეკლია. ღმერთი ჩვენი სიხარულის, ერთგულების და ღირსების ჭეშმარიტი წყაროა. მხოლოდ მან იცის სინამდვილეში თუ რანი ვართ. არ არის სჭირო სხვას გადავცეთ მისი ძალაუფლება. მხოლოდ ქრისტიტეში შეგვიძლია გავხდეთ ის, რანიც უნდა ვიყოთ.

რამდენადაც გასაკვირად არ უნდა გამოიყურებოდეს ეს, ხშირ შემთხვევებში ადამიანები უბრუნდებიან ტკივილის წყაროს განკურნების მისაღებად. სამწუხაროდ, ასე ჩვენ საშუალებას ვიძლევიტ რომ ხელმეორედ დაგვჭრან. მაგალითისთვის, გოგონა, რომელსაც უჭირს აამოს მამამისს, როცა გაიზრდება დაიწყებს ისეთი მამაკაცების საზოგადოების ძიებას, რომელთაც ძნელია აამო. მას ექნება იმედი, რომ მათი კეთილგანწყობის მოპოვებით,



## იბრძოლე როგორც ძალმა

იგი საბოლოო ჯამში მიიღებს მამამისის მიერ უარყოფისგან განკურნებას. ადამიანები, რომლებიც სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი აღმოჩნდნენ, ხშირად თავად ხდებიან მოძალადენი და ცდილობენ დაიბრუნონ მოპარული გაბედულება, რომელიც მათ მოპარეს ახალგაზრდობაში.

თუმცა ასეთი გზით შეუძლებელია ჭეშმარიტი განკურნების მიღწევა. მაგრამ ძალიან ხშირად გამოუცდელი ადამიანები ცვლიან ჭეშმარიტებას ტყუილზე, საგნის არსს მის ანარეკლზე, ხოლო სიცოცხლეს — სიკვდილზე.

**„რომელთაც ღვთის ჭეშმარიტება შეცვალეს სიცრუით, თავიანთს სცემდნენ და ემსახურებოდნენ ქმნილებას, ნაცვლად შემოქმედისა, რომელიც კურთხეულია უკუნისამდე.“ (რომაელთა 1:25)**

თუ ჩვენ რალაცნაირად გავცვალებთ ჭეშმარიტებას ტყუილზე, მაშინ შესაძლებელია უკუ პროცესიც — ტყუილის გაცვლა ღმერთის ჭეშმარიტებაზე. ყველაფერი იწყება იმის აღიარებით, რომ მამა ღმერთი — ჭეშმარიტებაა. იგი ჩვენი ღირსების წყაროა და საკმარისზე უფრო მეტია ჩვენთვის. მოდით ერთად ვილოცოთ ახლა.

### **ზეციერო მამა,**

მომიტყვე, რომ დავიჯერე ტყუილი, რომ შემიძლია ვიპოვო ჭეშმარიტი სიყვარული და სიცოცხლე შენს გარეთ. შენ ხარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე. სულონმიდავ, დამანახე ჩემი ცხოვრების ყოველი სფერო, სადაც ჭეშმარიტება შევცვალე სიცრუით. შენ ყველაფერზე მეტად მჭირდები. იესო შენ საკმარისზე უფრო მეტი ხარ ჩემს ცხოვრებაში. შენ არ ხარ ადამიანი და ამიტომ არ შეგიძლია ტყუილის თქმა. რასაც დაგვპირდი ვიცი, რომ შეასრულებ. შენი კურთხევა იმაზე მეტად მჭირდება, ვიდრე ადამიანების კეთილგანწყობა. აღადგინე ჯანსაღი ბალანსი ჩემს ცხოვრებაში. დამეხმარე საკუთარ თავს ვხედავდე ისეთს, როგორც სინამდვილეში ვარ შენში. ამინ.

## თავი მეექვსე

### როლის აყენებენ ქალები საპასუხო დარტყმას

შევამჩნიე, რომ ერთი და იგივე სცენარი მეორდება ბიბლიის სხვადასხვა წიგნებში. დროის, ადგილის და მეთოდის სწორი შერჩევის მეთოდი ყოველთვის მუშაობდა, როდესაც არ უნდა გამოეყენებინათ იგი ბიბლიის ურიცხვ გმირ ქალებს — უსახელოებით დაწყებული სამეფო წარმომადგენლებით დასრულებული. ეს ქალები იმას გვასწავლიან, თუ როგორ, რატომ და როდის უნდა მივაყენოთ საპასუხო დარტყმა.

თავიდან მოდით გავცეთ პასუხი კითხვაზე: როდის? ქალები საპასუხო დარტყმას აყენებენ მაშინ, როცა მტერი საკმაოდ ახლოს მოდის. თუ ეშმაკი არღვევს ჩვენი ცხოვრების საზღვრებს, სადაც მეფობენ მშვიდობა და სიყვარული, მაშინ ჩვენ კი არა, არამედ იგი უნდა კანკალებდეს. რადგან როცა კონფლიქტში გახვეულები აღმოვჩნდებით, ღმერთი გვაძლევს ძალას, რომ ვიბრძოლოთ ყველაფრით რაც ხელთ გვექნება.

მეფე აბიმელექმა გამოსცადა ეს ჭეშმარიტება მწარე გაკვეთილზე. ერთერთი ისრაელის ქალაქის ალყის შემორტყმის შემდეგ, მან ცეცხლს გადასცა ყველა მოსახლე, ვინც შეეცადა თავის შეფარებას ციხის კედლებში. წარმატებით შეგულიანებული გაემართა მეორე ქალაქის დასაპყრობად და იმედი ჰქონდა რომ მასაც გაანადგურებდა. და კვლავ, შეშინებული ხალხი ქალაქის კედლებს მიღმა აფარებდა თავს, ხოლო აბიმელექი, დარწმუნებული თავის გამარჯვებაში, მიუახლოვდა ქალაქს იმ აზრით, რომ ცეცხლი მოეკიდა მისთვის. ერთადერთი პრობლემა შემდეგში მდგომარეობდა: იქ აღმოჩნდა ერთი ქალი, რომელმაც გააცნობიერა, რომ დადგა დრო შეეჩერებინა დამპყრობელი პირველივე საგნით, რომელიც მას ხელში მოხვდა.

**„და მივიდა აბიმელექი გოდოლთან და შეუტია და მიადგა გოდლის შესასვლელს, რათა დაეწვა იგი ცეცხლით. და ამ დროს ერთმა დედაკაცმა დოლაბის ნატეხი მოახვედრა აბიმელექს და თავის ქალა ჩაუმტვრია. და უმაღლ თავისი საჭურველთმტვირთველი იხმო და უთხრა მას: „იშინებულე**

**შენი მახვილი და მომკალი, რომ არა თქვან ჩემზე, დედა-  
კაცმა მოკლაო.“ და განგმირა იგი მისმა მსახურმა ბიჭმა, და  
მოკვდა. და როცა დაინახეს ისრაელის კაცებმა, რომ მოკვდა  
აბიმელექი, ყველანი თავ-თავიანთ სახლებში წავიდ-წამოვ-  
იდნენ.“ (მსაჯულთა 9:52-55)**

ის საქმე რომელიც ქალმა დაიწყო, კაცმა დაასრულა. მაგრამ მას დოლაბის ნატეხი რომ არ ესროლა, ეს სასტიკი, უმოწყალო მეფე არ მოკვდებოდა თავისი საჭურველთმტვირთველის იარაღით. მე ის მაკვირვებს, რომ მთელი ჯარი, რომელიც მანამდე მზად იყო თანამემამულეები დაენვა, უბრალოდ დაიშალნენ სახლებში, როცა მათი მეთაური მოკლეს. აბიმელექმა წამოსწია ისინი ომში, მაგრამ როცა მეომრებმა დაინახეს, რომ მათი მეფე დაეცა ქალის ხელისგან, მათი დამპყრობელი სწრაფვა გაქრა. იქნებ ეს მათთვის იმის ნიშანი იყო, რომ თავად ღმერთი იბრძოდა თავისი ერისთვის?

რა თქმა უნდა, ყველამ ვიცით, რომ ქალებს შეუძლიათ საპასუხო დარტყმის მიყენება, დაჭრა და მოკვლა ისევე როგორც მამაკაცებს, მაგრამ განა ამაში მდგომარეობს მათი მთავარი დანიშნულება? მჯერა, რომ ქალები იმისათვის არ იყვნენ შექმნილნი, რომ პირდაპირი გაგებით გვერდიგვერდ ებრძოლათ მამაკაცებთან საბრძოლო ველზე, მაგრამ როცა ისინი საბრძოლო ველზე აღმოჩნდებიან, უშიშარ მეომრებად გადაიქცევიან. როგორც დაინახავთ ამ თავში, არის მრავალი სხვა ბრძოლა, რომელშიც უნდა მივიღოთ მონაწილეობა. ქალების მიწვევა სისხლიან ბრძოლებში საბრძოლველად და მახვილების გადაჯვარედინება — ეს ყოველთვის უკიდურესი ვარიანტია. თუ ჩვენ ვერთვებით ბრძოლაში, მაშინ ჩვენ მართულნი უნდა ვიყოთ სურვილით, რომ დავიცვათ სიცოცხლე, ღირსება, ჭეშმარიტება და სათნოება. ორივე სქესის წარმომადგენლებმა სიბრძნით უნდა აირჩიონ თუ რა ბრძოლებში უნდა მიიღონ მონაწილეობა და რომელში არა. თუ ვხედავთ, რომ მტერი გვიტყვის იმ მიზნით, რომ დაანგრიოს ის, რასაც ვიცავთ, მაშინ ჩვენ არ გვაქვს სხვა არჩევანი გარდა იმისა, რომ ვიბრძოლოთ ნებისმიერი იარაღით, რომელიც ხელში ჩაგვივარდება. როდესაც ბოროტება გზას გვიღობავს, ევას ასულებს არ აქვთ სხვა არჩევანი. ჩვენ შექმნილნი ვიყავით, რომ გაგვეკეთებინა ყველაფერი, რაც ჩვენს ძალებში იქნებოდა, რათა თავიდან აგვერიდებინა სიკვდილი და ნგრევა, ასევე ჩვენი ღირსების დასაცავად ცხოვრების შესანარჩუნებლად სათნოებაში. ამიტომაც, აუცილებლობის შემთხვევაში არასოდეს არ უნდა დავიხიოთ უკან შიშში.

როდის აყენებენ ქალები საპასუხო დარტყმას

### ქალები თავისებურად იბრძვიან

მახსოვს, რომ ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი და ვკითხულობდი კლაივ ს. ლუისის წიგნს „ლომი, ჯადოქარი და კარადა“ როცა გავაცნობიერე დიდებული ჭეშმარიტება იმის შესახებ, რომ ქალები თავისებურად იბრძვიან. წიგნში არის ეპოზოდი, როცა სანტა კლაუსი ჩუქნიდა საჩუქრებს ადამის ძეებს და ევას ასულებს, რომლებიც დაეხმარებოდნენ მათ გადამწყვეტ ბრძოლაში სიკეთისა და ბოროტების ძალებს შორის. ეს ომი დაიწყო ზამთარში, როცა დედამინა დაფარული იყო სიცივიტით და იმყოფებოდა სიბნელეში. ახლა კი, როცა უკანასკნელი ბრძოლა ისე შორს იყო, ბუნებამ გაიღვიძა ზამთრის ძილისგან გაზაფხულის მოსვლის სიხარულით. მაგრამ ჯერ ყველას უნდა მიეღო საშობაო საჩუქარი, რომელიც ამ შორეულ ქვეყანაში უკვე დიდი ხანია არ უზემიდათ. ყოველი საჩუქარი შეესაბამებოდა მის ძალებს და შესაძლებლობებს, ვისაც გადაეცემოდა. პიტერს გადასცეს დიდებული მახვილი და ბრწყინვალე ფარი. შემდეგ სუზიმაც და ლუსიმაც რიგრიგობით მიიღეს თავიანთი საჩუქრები.

„სუზენ, ადამის და ევას ასულო!“ - თქვა სანტამ, „ეს შენთვის არის“, და გადასცა მას მშვილდისარი, კაპარჭი ისრებით და სპილოს ძვლის საყვირი. „შენ შეგიძლია ისროლო ამ მშვილისარიდან, - თქვა მან, - მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში. არ მინდა რომ შენ მონანილეობას ლეულობდე ბრძოლაში. ის, ვინც ისვრის ამ მშვილდისარიდან, ყოველთვის არტყამს მიზანში. ხოლო როცა ბაგესთან მიიტან ამ საყვირს და ჩაბერავ მას, სადაც არ უნდა იმყოფებოდე, შენს დასახმარებლად ვინმე მოვა.“<sup>1</sup>

ამ ნაწყვეტში საინტერესო სიმბოლიზმია გადმოცემული. უპირველესყოვლისა, გოგოს აჩუქეს მშვილდისარი და კაპარჭი, სავსე ისრებით. საინტერესოა, რომ ბიბლია ადარებს ჩვენს შვილებს ისრებს, ისრებს მეომრის ხელში.

**„როგორც ისრები მეომრის ხელში, ისეა ახალგაზრდა თაობა.“ (ფსალმუნნი 126:4)**

ქალები საიდუმლოდ თანამშრომლობენ ღმერთთან შვილების შობით და აღზრდით. შვილები ჩვენი თესლია და ღმერთისგან მიღებული მემკვიდრეობა და ჯილდო. ისინი ჩვენზე მეტს იცხოვრებენ და ამიტომაც არიან მომავალთან უფრო ახლოს,

## იბრძოლე რომორც ძალმა

რომელიც ასე შორს არის ჩვენგან. მათი ყურები ისმენენ იმას, რაც ჩვენამდე მოდიოდა მხოლოდ ჩურჩულით. აუცილებელია მათთვის სწორი მიმართულების მიცემა და მაშინ ისინი ზუსტად მიზანში მოარტამენ. ჩვენ დაპირება გვაქვს მოცემული, რომ თუ ჩვენ მათ სათანადოდ აღვზრდით, მათ უფრო მეტი შანსიც ექნებათ ვიდრე ჩვენ, რომ მოარტყან მიზანში და ალასრულონ ღმერთის დანიშნულება.

ამიტომ ჩვენ არ გვაქვს უფლება გამუდმებით ვმაღავდეთ ჩვენს შვილებს რეალური ცხოვრებისგან ჩვენი შიშების გამო. მათ წინ ელოდებათ აუცილებელი ბრძოლები და აქვთ ძალაუფლება — მოიტანონ დედამინაზე მშვიდობა, ან უფრო მეტად დაამძიმონ არსებული კონფლიქტი. მათ გააჩნიათ წარმატებული მომავლის სანინდარი, რომელიც ჩვენ მათთვის მოვიპოვეთ. ძველ ბრძოლებში ისრებს იყენებდნენ წინასწარი შეტევისთვის. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ იქამდე ისროდნენ, სანამ ორი ჯარი შეეჯახებოდა ბრძოლის ველზე. ზუსტად ასევე ჩვენც ვუშვებთ ჩვენს შვილებს მომავალში, რათა მათ იბრძოლონ მომავალ ბრძოლებში, რომელთაც ჩვენ შეიძლება ვერასოდეს ვიხილავთ.

### უარს ნუ იტყვით დახმარებაზე

მეორე საჩუქრის, რომელიც სიუზენს გადაეცა, შეიძლებოდა გამოყენება წინასწარი შეტევისთვის — სწორედ ამით გავდა იგი პირველს. ეს იყო მშვენიერი საყვირი: თუ ჩაბერავდა მას, აუცილებლად ვინმე მივიდოდა დასახმარებლად. მას შეეძლო გაეწია სიუზენისთვის აღუწერელი დახმარება, რა მდგომარეობაშიც არ უნდა ყოფილიყო იგი. როგორ მოექცეოდით ასეთ მშვენიერ და ძვირფას საჩუქარს მის ადგილზე? ბევრი ჩვენთაგანი დაუფიქრებლად ვიტყვოდით: „გამოვიყენებდი!“

მაგრამ იცით, რომ თქვენ მამის უფრო მეტად ძვირფას საჩუქარს ფლობთ? არა, ეს არ არის ხელშესახები საყვირი სპილოს ძვლისაგან და არც სასტვენი, რომელსაც ყელზე ჩამოიკიდებდით. თქვენი საჩუქარი უხილავია და მაინც უფრო ფასეულია, და დიდი სარგებელი შეუძლია მოგიტანოთ. მას ვერ მოიპარავენ, ვერ დააზიანებენ და ვერაფერში ვერ გაცვლით. ჩვენ ამის შესახებ გვეუბნება ღმერთის სიტყვა, რომელიც საუკუნოდ არსებობს. სულიწმიდა ყოველთვის მზად არის მოვიდეს ჩვენს დასახმარებლად, როდესაც არ უნდა დავუძახოთ მას, რადგან იგი არასოდეს თვლემს. სწორედ იგი დაგვპირდა ყოვ-

## როდის აყენებენ ქალები საპასუხო დარტყმას

ელთვის ახლოს ყოფილიყო თუ საჭირო იქნებოდა მისი დახმარება. ფაქტობრივად, იგი ამზადებს პასუხებს ჩვენს სათხოვრებზე ჯერ კიდევ იქამდე, სანამ ჩვენ მას შევძახებთ.

**„სანამ მომიხმობენ, პასუხს გავცემ, ჯერ ლაპარაკში იქნებიან, რომ მე გავიგონებ.“ (ესაია 65:24)**

სანამ ჩვენს ლოცვებს წარმოვთქვამდეთ, იგი უკვე ამზადებს ჩვენთვის ბრძნულ რჩევასაც და გამოსავალსაც არსებულ მდგომარეობიდან. თუ სუბენი, მას შემდეგ, რაც მიიღო ეს ძვირფასი საჩუქარი, ვერ შეძლებდა მის დანიშნულებისამებრ გამოყენებას, განა უგუნურად არ ჩავთვლიდით? მას რომ უგულუბელყო საყვირი იმის გამო, რომ ეს არ იყო მახვილი, ყველა გარშემომყოფი დაზარალდებოდა მისი მცდარი აზროვნების გამო. მაგრამ ჩვენ გამუდმებით სწორედ ასე ვიქცევით, როდესაც ვუგულვებელყოფთ იმ ნიჭებს, რომლებითაც ჩვენმა მამამ დაგვაჯილდოვა, როგორც თავის ასულები, და ვდუმვართ, ნაცვლად იმისა, რომ ავიმალლოთ ხმა. მე უგუნურებით ვადარებ ჩვენს ნიჭებს სხვების ნიჭებთან და მივიჩნევ, რომ ჩვენი მათთან შედარებით უმნიშვნელოა. ან მძიმე გარემოების შემხედვარე, ურწმუნოებაში ვვარდებით და ვთვლით, რომ ღმერთს არ ძალუძს მოაგვაროს ჩვენი უსიამოვნებები. მაგრამ გაიგეთ: სწორედ ახლა ჩვენ ვიმყოფებით ბრძოლის შუაგულში და დიდი დანაკარგებიც გვაქვს. საუბარი აღარ არისიმაზე, თუ რა გვინდა ჩვენ და რა არ გვინდა.

ისევე, როგორც სიუბენმა არ იცოდა რა მოხდებოდა, როცა საყვირს ჩაბერავდა, ასევე ღმერთის პასუხებიც, რომელთაც ველოდებით, მოდის ჩვენთან მოულოდნელი ფორმით. განვლილმა წლებმა მასწავლეს, რომ ღმერთის დახმარება მოდის ზუსტად იმ დროს, როცა იგი ყველაზე მეტად არის აუცილებელი, მაგრამ ყოველთვის არ არის ისეთი ფორმით, როგორც ველოდებოდი. რა თქმა უნდა, მხოლოდ ახლა მივხვდი, წარსულზე დაკვირვებით. ხშირად ველოდებოდი, რომ დაპირებული დახმარება მოვიდოდა სრულიად სხვანაირად და სხვა დროს. ხანდახან მოველოდებოდი, რომ ვილაც მოიბოდიშებდა ჩემთან, მაგრამ ნაცვლად ამისა ღმერთი მამდაბლებდა მე, და აღმძრავდა, რომ პატიება მეთხოვა ამ ადამიანისთვის. ზოგჯერ ძლიერ ვთხოვდი ღმერთს დამხმარებოდა, რომ დამემტკიცებინა ჩემი სიმართლე, ხოლო იგი ამის ნაცვლად მახვედრებდა, რომ უნდა დავწყნარებულიყავი და მივხვდარიყავი რომ იგი არის ღმერთი. იგი დამპირდა დაცვას, მაგრამ ეს იმას ნიშნავდა, რომ მე არ უნდა ჩავრეული-

## იზრძოლე როგორც ძალმა

ყავი სიტუაციაში, თუ მინდოდა, რომ მასში ღმერთი ჩარეულიყო.

### ჩვენ მხოლოდ უნდა ვითხოვოთ

**„მომხმე მე და გიპასუხებ, და გაუწყებ დიდს და მიუწვდომელს, რომლებიც არ იცოდნენ.“ (იერემია 33:3)**

როგორც სხვები, ხშირად ჩემი ლოცვები დაფუძნებული იყო ჩემს მწირ შემეცნებაზე. იმედგაცრუებაში ყოფნისას, ყოველთვის დაუყოვნებლივ მინდოდა დახმარების მიღება. მაგრამ ღმერთს გააჩნია გაცილებით დიდი გეგმა ჩვენთვის, და გვპასუხობს ჩვენ დიდებულზე და მიუღწეველზე დაყრდნობით, რომელიც მისთვის არის მხოლოდ ცნობილი. თავისი უსაზღვრო სიბრძნით იგი პირდება ამ დიდებულის და მიუწვდომელის ჩვენებას მათ, ვინც უბრალოდ ენდობა მის სიტყვებს იმდენად, რომ მიმართავს მას. როგორც კი ვინცებთ მის ბოლომდე ნდობას, აღმოვაჩენთ რომ იგი გადმოღვრის თავის სიმდიდრეს ჩვენზე მაშინ, როცა ჩვენ ყველაზე კრიტიკულ მდგომარეობაში ვიმყოფებით. ერთადერთი, რაც უნდა ვქნათ არის ის, რომ ვთხოვდეთ მას ჩაერიოს ჩვენს მდგომარეობაში.

სიუზენის საყვრი აძლევდა მას უნარს გამოეცა დახმარების თხოვნის სიგნალი, რისი გაკეთებაც შეუძლებელი იქნებოდა ადამიანის ხმით. ზუსტად ასევე, როცა ჩვენ სიჩუმეში ვჩურჩულებთ ჩვენს ლოცვებს სულიწმიდა აძლიერებს მათ ხმას და მიაქვს ღმერთის ყურებამდე. მაგრამ ჩვენ ძალიან ხშირად ვტოვებთ ხოლმე ღმერთის პასუხებს უბრალოდ იმიტომ, რომ გვეშინია მისადმი მინდობა და ვცდილობთ თავად გამოვიდეთ შექმნილი მდგომარეობიდან. დიახ, მე მომხრე ვარ თვით-დახმარების, მაგრამ მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ როდესაც მარტონი ცდილობთ გამოსავალის ძიებას, თქვენი გამოსავალი შეზღუდულია თქვენივე შესაძლებლობებით. მაგრამ ღმერთს აქვს უფრო დიდი და უკეთესი პასუხი თქვენთვის.

ჩვენ ვცხოვრობთ კაცობრიობის ისტორიის ყველაზე აღმაფრთოვანებელ დროში. კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებების წყალობით დღეს სახარების გავრცელება უფრო ადვილია, ვიდრე ოდესმე. ქების და თაყვანისცემის სიმღერები დღეს ჟღერს უფრო ძლიერად და დროულად. სინათლე უფრო მეტად ანათებს, რაც უფრო მრავლდება სიბნელე. თუმცა, ამავდროულად ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მტრის ტყუილი ისე არასოდეს არ

## როდის აყენებენ ქალები საპასუხო დარტყმას

აცდუნებდა ადამიანებს ასეთი მასშტაბებით, როგორც ახლა. ჩვენ ვემზადებით უდიდესი მასშტაბის ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად! და თუმცა გარემოებები ხშირად ჩვენს სანაწილ-მდეგოდაა, ღმერთი ჩვენ მხარეს არის! ჩვენ უნდა მივენდოთ იმას, რომ მან უკვე გვაჩუქა გამარჯვება, და ლოცვაში ჩავეყვი-როთ ჩვენს საყვირს, როდესაც საფრთხე ახლოვდება.

მოდით დავეუბრუნდეთ საჩუქრების დარიგების ეპიზოდს და დავაკვირდეთ თუ რა შეხვდა ლუსის.

### როგორ იყენებს ღმერთი ქალის სიმამაცეს

„მან მისცა მას შუშისმაგვარი ბოთლი (მაგრამ ხალხი მოგვი-ანებით ამბობდა რომ იგი ბრილიანტისგან იყო დამზადებული) და მცირე ხანჯალი. „ბოთლში, - უთხრა მან, - ცეცხლოვანი ყვავილებისგან გაკეთებული წვენი, რომლებიც მზის მთებზე იზ-რდებიან. თუ შენ, ან ვინმე შენი მეგობარი დაიჭრება, რამდენიმე წვეთი საკმარისია გამოჯანმრთელებისთვის. ხოლო ხანჯალი შეგიძლია გამოიყენო მხოლოდ თავის დასაცავად, უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში. შენც არ უნდა მონაწილეობდე ბრძოლაში.“ „რატომ, სერ? - იკითხა ლუსიმ. — მე ვფიქრობ... არ ვიცი, მაგრამ მგონია შემიძლია საკმაოდ მამაცი ვიყო.“ „ამა-ში არ არის საქმე, - თქვა სანტამ, - საშიშია ის ბრძოლები, რომ-ლებშიც ქალები იღებენ მონაწილეობას.“<sup>2</sup>

ლუსის რეაქციაში მე დავინახე საკუთარი თავი. დარწმუნებ-ული ვიყავი, რომ სუზენს მოეწონებოდა მისი საჩუქრები და რომ მოუწევდა ბრძოლაში მონაწილეობა, მაგრამ ლუსის შემთხვევა-ში საქმე სულ სხვანაირად იდგა. მახსოვს, რომ ძალიან იმედგა-ცრუებული ვიყავი იმ პასუხით, რომელიც მან მიიღო. იმიტომ კი არა, რომ პასუხი უსამართლო იყო; უბრალოდ მომეჩვენა, რომ ლუსისთვის ეს საკმარისი არ იქნებოდა. მახსენდებოდა როგორ ვეკითხებოდი საკუთარ თავს: „რატომ არ აჩუქეს მას მახვილი და ფარი?“ დარწმუნებული ვიყავი, რომ ლუსი შეძლებდა თავი-სი უშიშრობის დამტკიცებას ბრძოლაში. მაშინ რატომ არ გახდა იგი მახვილის მფლობელი ან თავდასხმის სხვა იარაღის? მას ხომ მხოლოდ და მხოლოდ თავისი სიყავრულის დამტკიცება უნ-დოდა უზენაესი მმართველისთვის - ასლანისთვის. რატომ არ მისცეს მას ასეთი შესაძლებლობა?

ვაგრძელებდი რა ცხოვრების გზაზე სვლას, ეს კითხვა სულ უფრო მეტად და მეტად მანუხებდა. მრავალი ქალი ცდილობს



## იბრძოლე როგორც ძალმა

საკუთარი სიყვარულის დამტკიცებას ვინმესადმი. ისინი მზად არიან ყველაფერი გააკეთონ, რაც მოეთხოვებათ, რათა მათი რჩეულის ცხოვრების ყოველი სფერო წარმატებული იყოს. თუ ჩვენი მამაცობა გამოყენებას ვერ ვპოვებთ, მაშ რა სარგებელი აქვს მას? საკუთარი თავი დავიჭირე იმაში, რომ ლუსის პასუხს ექოდ ვიმეორებდი: „იესო, მე ზუსტად კი არ ვიცი, მაგრამ მგონია, რომ საკმაოდ მამაცი ქალი ვარ. იესო, გთხოვ, გამომიყენე ზებუნებრივად. ან ჩემი სიმშვიდისთვის დამიმონმე, რომ არ მაგზავნი პირველ ხაზზე იმიტომ, რომ ბრძოლაში შეიძლება შემეშინდეს და გილალატო.“

რალაც უცნობი მიზეზის გამო, ყოველთვის მეგონა, რომ მამაკაცის და ქალის სქესობრივი განსხვავების ნიშნები ჩემი პირადი ნაკლი იყო. ვფიქრობდი, რომ ჩადებული დეფექტი, რომელიც უუნაროს მხდოდა ბრძოლებისადმი, მდგომარეობდა იმაში, რომ მე ქალი ვიყავი. ძალიან ხშირად მაიძულებდნენ შემრცხვენოდა საკუთარი სქესის, მახსენებდნენ რა რომ სწორედ ქალმა შესცოდა პირველმა, რის შემდეგაც ქალს შეიძლება ანდო მხოლოდ ის პოზიციები, სადაც ისინი არავის მიაყენებენ ზიანს. ძალიან ხშირად მესმოდა, რომ ქალებს თვლიდნენ სუსტებად და მეამბოხებად, რის გამოც მათ ანდობდნენ ისეთ პოზიციებს, რომელიც გულისხმობდნენ შეზღუდულ და კონტროლირებად ძალაუფლებას.

მაგრამ რა ვქნათ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი განსხვავებები არასოდეს წარმოადგენდა საზიანოს? იქნებ ღმერთმა ქალები იმისათვის არ შექმნა, რომ ისინი სიკვდილის და ნგრევის იარაღი ყოფილიყვნენ? მაშინ ქალების და მამაკაცების ფუნქციების დაყოფა მოხდა არა რალაც სისუსტის ან ქალების წარსული შეცდომების გამო, არამედ სქესების სხვადასხვა დანიშნულების გამო. ამგვარად, პრობლემები წარმოიქმნება მხოლოდ მაშინ, როცა ქალები არ ლებულობენ საკმარის მხარდაჭერას, რათა თავისუფლად იმსახურონ საკუთარი უნიკალური ნიჭებითა და ძლიერი მხარეებით.

## სიცოცხლისათვის მებრძოლნი

ჩვენ გავაკეთეთ ისეთი ნეგატიური დასკვნები მხოლოდ იმიტომ, რომ სამყაროს ვუყურებდით ცოდვით დაცემის შედეგად დაბრმავებული თვალებით. ამიტომ დღესაც კი ვცდილობთ მამაკაცების პოზიციის დაკავებას, ვხედავთ რა რომ მასში ჩვენი

## როდის აყენებენ ქალები საპასუხო დარტყმას

ძალის წყაროა. თუ მათ დავემსგავსებით, ვფიქრობთ ჩვენ ძლიერი ვიქნებით; თუ განსხვავებულები — სუსტები. მაგრამ თავად შესაქმეს პროცესი ამტკიცებს ჭეშმარიტებას იმის შესახებ, რომ ქალის წვლილი, რა ფორმამაც არ უნდა გამოიხატებოდეს იგი, არასოდეს ყოფილა არასწორი, პირიქით — იგი მნიშვნელოვანი იყო. არასწორი არის ჩვენი სურვილი ვიმოქმედოთ მამაკაცით, და ამით ძალას ვიხვეჭდეთ და ვუგულებელყოფდეთ იმ ძალით, რომელიც ჩადებულია ჩვენს ქალურ ბუნებაში. კიდევ ერთი მცდარი მოვლენაა — მამაკაცების სწრაფვა გადაიღონ ქალის ქცევის მანერა.

ღმერთს არ მიაჩნია, რომ ქალი პრობლემაა, რომელიც მოგვარებული უნდა იქნას; პირიქით, მან შექმნა ქალი როგორც პრობლემებზე პასუხი. მე ვფიქრობ, რომ თავდაპირველად ღმერთმა შეგვქმნა ჩვენ უფრო აღმატებული მიზნისთვის, ვიდრე ომი და სისხლისღვრა... მან დაგვაავალა ვყოფილიყავით მეზობლნი სიცოცხლისათვის. მითხარით, რომელი უფრო კეთილშობილურია: დარტყმა მიაყენო და დაჭრა მოწინააღმდეგე თუ განკურნება მიუტანო დაჭრილს? რა უფრო ფასეულია: წაართვა ადამიანს სიცოცხლე თუ დაუბრუნო ჯანმრთელობა? რაში გამოიხატება უფრო მეტი ძალა: იმაში, რომ ალყა შემოარტყა ქალაქს, თუ იმაში, რომ დააპურო მტერი? არსებობს ბრძოლის მრავალი გზა სისხლისღვრის გარეშე, როგორც ამას იგავთა წიგნიც გვეუბნება:

**„რბილი ენა ძვალს დაამსხვრევს.“ (25:15)**

და

**„ტკბილი პასუხი მიაქცევს გულისწყრომას.“ (15:1)**

გამარჯვება ყოველთვის არ ხვდება ძლიერს. ხშირად მტერი უკან იხევს სიბრძნის წინაშე. ქალბატონებო, დიდი ხნის განმავლობაში ჩვენ ვიბრძოდით როგორც მამაკაცები, და გვესმის თუ არა, ჩვენი ბრძოლების გამო ირგვლივ ყველა იტანჯებოდა. უპირველესყოფლისა, ამ ბრძოლის დაკვირვებით ორი სქესის წარმომადგენლებს შორის, ჩვენი შვილები იტანჯებოდნენ. დროა შევწყვიტოთ მამაკაცებთან ბრძოლა. დროა ქალებმა შევწყვიტოთ ერთმანეთთან ბრძოლა. ჩვენ უნდა დაუბრუნდეთ ჩვენს თავდაპირველ სიბრძნეს და კვლავ დავიწყოთ გამარჯვება.

ჩემს ცხოვრებაში, რა თქმა უნდა, იყო მომენტები, როცა საუ-

## იბრძოლე როგორც ძალმა

ბრისას ჩემი ენა არ ყოფილა ისეთი რბილი, როგორც ეს იგავთა ნიგნშია ნათქვამი. ყველა ჩვენთაგანი, ქალები, ერთხელ მაინც მოვქცეულვართ არასწორად ცხოვრებაში. სიმართლე იმაში მდგომარეობს, რომ თავიანთი ენით ქალებმა შეიძლება დაჭრან და მოკლან კიდევაც. ჩვენი შეცდომა იმაში გამოიხატება, რომ ეს ჩვენი ძალის გამოვლინებად მიგვაჩნია.

ამბობენ, რომ ჟანა დარკი მონაწილეობდა ბრძოლებში და იყო მამაცი ქალი-მებრძოლი, მას არასოდეს უშიშვლია მახვილი და არ მიუყენებია დარტყმა მტრისთვის. მაშ რატომღა უნდა დავუძახოთ მას მეომარი? რა მისიას ასრულებდა იგი? იგი თვლიდა, რომ მის მონაწილეობას ბრძოლაში უნდა მოეტანა არა სისხლისღვრა, არამედ სიცოცხლე. მას მალღა ჰქონდა აწეული თავისუფლების ალაღი და წამოსწევდა საფრანგეთის ჯარის მე-ბრძოლ სულს.

იგივეს თქმა შეიძლება ცხოვრებისეულ ბრძოლებზეც: თუ ყველა მახვილით იბრძოლებს, მაშ ვინ წაიღებს ჯარის ალამს? ვინ წამოსწევს ჯარისკაცთა საბრძოლო სულს, როცა ბრძოლა დამთავრდება? თუ ყველა პირველ ხაზზე იბრძოლებს, მალე ჩვენ დაგვაგინწყდება, რისთვის ვიბრძვით. როცა ოღი დასრულდება, ვინ თუ არა ქალები, გაამხნევენ დაღლილ მეომრებს და მოუშზადებენ მათ ადგილს, სადაც ისინი თავს დადებდნენ? ვინ გაუქრობს მათ მოგონებებს ბრძოლის საშინელებებზე და დაეხმარება მშვიდად დაძინებაში, ჩაღვრის რა მათში თავის სიყვარულს და იმედს? მჯერა, რომ სწორედ ასეთი დიდებული საქმეებისთვის მოგვიწოდდა ღმერთმა თავის ასულებს.

### საკმარისი იქნება ჩემი წვლილი საერთო საქმეში?

ლუსიმ მიიღო საჩუქრად ბროლის ჭურჭელი, აღვსილი იშვი-ათი სითხით, რომელსაც შეეძლო ნებისმიერი ჭრილობის განკურნება. ეს ძვირფასი საჩუქარი იყო, თუმცა მას გული დაწყდა. შესაძლოა, მან წვრილმანად ჩათვღა. შეიძლება საჩუქრის გარეგნულმა სიღამაზემ აიძულა იგი დაეჭვებულიყო მის ჭემ-მარიტ ძალასა და გამოსადეგრობაში. მაგრამ წარმოიდგინეთ, რამდენად სასარგებლო შეიძლება ყოფილიყო ასეთი ძვირფასი საჩუქარი გარკვეულ ვითარებებში. მას მიეცა შესაძლებლობა თავად განკურნებულიყო და სხვა მეგობრებიც განეკურნა, თუმცა იგი ეჭვობდა, რომ მისი წვლილი საერთო საქმეში საკმარისი ყოფილიყო. ვფიქრობ, რომ სწორედ ასეთ დროს ჩვენს

## როდის აყენებენ ქალები საპასუხო დარტყმას

წინაშე წარმოიქმნება მსგავსი კითხვა. ჩემი ნიჭი რამე გავლენას იქონიებს ბრძოლის სვლაზე? ჩემს ჭურჭელში საკმარისი ელექსირი იქნება სხვების განსაკურნებლად? დავუჯერებ მე იმას, რომ ღმერთმა შექმნა ქალები და დააყენა ისინი თავის სამეფოში სწორედ ამ მიზნით?

გავაგრძელებთ ჩვენ ისევ ჩვენი ნიჭების ფასეულობაში დაეჭვებას იმის გამო, რომ ვუყურებთ მათ იმ კულტურის თვალეზით, რომელშიც ნაშლილია საზღვრები სქესებს შორის? ჩვენ, ევას ასულებს, გავგაჩნია ძალა შევცვალოთ ქვეყნიერება ჩვენს მიერ მიღებული სიყარულის და სიცოცხლის ნიჭებით.

ლუსის წამალი დამზადებული იყო ბოთლში ყვავილების წვენისგან, რომელიც მზეზე იზრდება მთებში. ამ პარალელმა მაშინვე შემახსენა ჭრილობების განკურნების პოეტური სურათი, რომელიც აღწერილია მალაქიას წიგნში:

**„ამოგიბრწყინდებათ, ჩემი სახელის მოშიშნო, მზე სიმართლისა და კურნება იქნება მის ფრთებზე.“ (3:20)**

ლუსის ხელთ ჰქონდა ბალზამი, შობილი სინათლისა, ცეცხლისა და სილამაზისგან. ყოველთვის მაინტერესებდა, როგორ გამოიყურებოდა იგი გარეგნულად. მას ჰქონდა ისეთი კურნებითი ძალა, რომ მისი მხოლოდ ერთი წვეთი საკმარისი იყო, ყველაზე მძიმე ჭრილობის მოსაშუშებლად.

გარდა ამისა, ლუსის აგრეთვე შეხვდა ხანჯალიც. დარწმუნებული ვარ, რომ მისი პირი საკმაოდ მოკლე მოეჩვენა. იგი ემზადებოდა ჩართულიყო ბრძოლაში მახვილით ხელში, და თუ აუცილებელი იქნებოდა, საკუთარი სიცოცხლე გაეცა, თუმცა მას მხოლოდ თავდაცვის იარაღი აჩუქეს. ვფიქრობ, მას ერჩივნა საჩუქრად მიეღო რალაც უფრო დიდი და სახიფათო, ვიდრე ეს პატარა რკინის პირი, რომლის ტარიც იმდენად პატარა იყო, რომ ადვილად ეტეოდა მას ხელში. მისთვის ნაჩუქები იარაღი იყო მსუბუქი და პრაქტიკულად შეუმჩნეველი, მაგრამ გოგონა საერთოდ არ ცდილობდა რომ მკლავეში დაემალა იგი. მას სურდა ყველას გაეგო, თუ როგორ იბრძვის იგი თავისი მეფისთვის. მაგრამ ეს საჩუქარი კიდევ ერთხელ გვიმტკიცებს იმას, თუ რაში მდგომარეობს ჩვენი, როგორც ქალების დანიშნულება: როცა მტერი ძალიან ახლოს მოდის, ქალები საპასუხო დარტყმას აყენებენ. მჯერა, რომ როცა მტერი ძალიან ახლოს მოდის, მხოლოდ მაშინ ვაცნობიერებთ რომ ხელში დამალული გვაქვს საიდუმლო იარაღი.

## იბრძოლე რომორც ძალმა

### საიდუმლო იარაღი

არაერთხელ მსმენია, როგორ ეძახდა ხალხი ქალებს „ღმერთის საიდუმლო იარაღს“. არ ვიცი რამდენად მოულოდნელად გამოყენებული საიდუმლო იარაღი ვართ. სიცრუემ იმდენად შემოგვახვია თავისი ქსელები, და დიდი ხნის განმავლობაში გვაცეკვებდა თავის დაკრულზე, რომ ძნელია დაიჯერო ცვლილებების შესაძლებლობა არეულობის ამდენი წლის შემდეგ. ახლაც კი ყოველი მამაკაცის, ქალის და ბავშვის მტერი აგრძელებს დაჭიმვას თავისი ქსელებისა იმ იმედით, რომ მისი ბოროტი გეგმა განხორციელდება. მაგრამ რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვინც აღმოჩნდა სიცრუის მახეში მიხვდებიან ჭეშმარიტებას, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში ებრძოდნენ თავიანთ მოკავშირეებს და უჯერებდნენ მტრის რჩევებს? გახსოვდეთ:

**„ჩვენი ბრძოლა არ არის სისხლისა და ხორცის წინააღმდეგ.“  
(ეფესელთა 6:12)**

პატარძალმა უნდა გაიღვიძოს და გაიგოს ჭეშმარიტება. ეკლესია წამოდგება და შორს განდევნის თავის მტერს. საყვირის ხმა გაიჟღერს, ქალები და ბავშვები გავლენ ბრძოლის ველზე, თავიანთ ჯავშანში შემოსილები, ხოლო ღმერთის ელექსირი მოიტანს განკურნებას დაჭრილთათვის. შემდეგ ჩვენ განვგმირავთ მტერს ხანჯლით და მახვილით, რადგან იგი ძალიან მოგვიახლოვდა. სხეულის ყოველ ნაწილს დააფასებენ მისი უნიკალური წვლილის გამო საერთო საქმეში, სხეულის ყოველი წევრი იფუნქციონირებს სრული ძალით.

მხოლოდ მოგვიანებით, ბრძოლის მსვლელობაში, ლუსი მიხვდა თავისი საჩუქრის ფასს. ამ გოგოს მსგავსად, ჩვენც უნდა გავაცნობიეროთ ჩვენი ფასეულობა, როცა აუცილებელი იქნება ყველა ჩვენი ნიჭის გამოყენება.

„მალე, ლუსი“, თქვა ასლანმა. და შემდეგ ლუსიმ პირველად გაიხსენა სამკურნალო ბალზამის შესახებ, რომელიც მას საშობაო საჩუქრად გადაეცა. მას იმდენად უკანკალებდა ხელები, რომ ვერ ახერხებდა საცობის ამოღებას. საბოლოოდ მან მოახერხა ეს და რამდენიმე წვეთი ჩაუნვეთა თავის ძმას პირში.

„ჩვენ ბევრი სხვა დაჭრილიც გვყავს“, - შეახსენა მას ასლანმა, მაგრამ ლუსი თვალს ვერ აცილებდა ედმუნდის ფერწასულ სახეს, და ფიქრობდა ნეტა თუ დაენმარებოდა მას ბალზამი.



## იბრძოლე როგორც ძალმა

იგი უწევდის თავის ხელს გაჭირვებაში მყოფთ და ამასთან, არ ეშინია ზიანი მიაყენოს საკუთარ ოჯახს. სითბო დარჩება მის ოჯახში. იგი დარწმუნებულია, რომ ღმერთი უზრუნველყოფს მას ყველაფრით, რაც საჭირო იქნება. როდესაც იგი ხედავს დაჭრილს, უმკურნალებს მას. იგი არხია, რომლიდანაც ღმერთი გადმოღვრის თავის განკურნებას. სითბო, განკურნება და იმედი — სრულიად საპირისპიროა სასონარკვეთილებისა და ნგრევისა.

### არის დრო ბრძოლისთვის, არის დრო დაგეგმისთვის

მინდა კიდევ ერთხელ დავუბრუნდე ისრების მაგალითს. როცა მტერი შორს არის, ჩვენ ვიყენებთ ერთ ტაქტიკას, როცა ის გვიახლოვდება — მეორეს. ქალებს ძალიან ძლიერად აქვთ განვითარებული ინტუიცია და ჩვენ ვგრძნობთ მოახლოებულ საფრთხეს ჯერ კიდევ იქამდე, სანამ იგი გაჩნდება მცირე ღრუბლის სახით ჰორიზონტზე. სწორედ ასეთ მომენტებში ჩვენ არჩევნის წინაშე ვდგებით: დავინყოთ პანიკა თუ ვიხელმძღვანელოთ სიბრძნით. თუ ჩვენ ვირჩევთ სიბრძნეს, მაშინ ჩავყვირებთ საყვირში და ვესვრით მტერს ლოცვის ისრებს. რათა მათ შეაჩერონ იგი, სანამ ის ჯერ კიდევ შორს არის.

სამწუხაროდ, ჩვენი პირველი რეაქცია საერთოდ არ არის ეგეთი. ნაცვლად იმისა, რომ ვისროდეთ ისრებს, ჩვენ ვინწყებთ პრობლემის შესახებ სხვებთან მსჯელობას და საშუალებას ვაძლევთ მას დაატყვევოს ჩვენი გონება. შემდეგ ჩვენ ვკარგავთ ხედვას და ხელიდან ვუშვებთ ჩვენს იარაღს. შიში საშუალებას აძლევს მტერს უვნებლად მოგვიახლოვდეს. ძველად ბრძოლებში მშვილდოსნები ყოველთვის გამოდიოდნენ წინ ჯერ კიდევ იქამდე, სანამ ჯარები შეერკინებოდნენ ერთმანეთს ბრძოლის ველზე. ისინი ასრულებდნენ თავის საქმეს ხელჩართულ ბრძოლამდე. რატომ? იმიტომ, რომ შორეულ ბრძოლაში ეფექტური ტაქტიკა ყოველთვის არ გამოდგება ახლო ბრძოლაში. თუ მშვილდოსნები დაიწყებდნენ ისრების გაშვებას მაშინ, როცა ჯარები შეხვდებოდნენ ბრძოლის ველზე, ისინი საკუთარ ჯარისკაცებსაც მოახვედრებდნენ. ასე რომ, ბრძოლაში არის მომენტი, როცა შეიძლება საფანტით სროლა, მაგრამ არის დრო იმისთვისაც, რომ მეტად ზუსტი დარტყმები შეასრულონ და სტრატეგიულად იფიქრონ.

ჩვენ ვპოულობთ პასუხს კითხვაზე, თუ როგორ არის საჭირო ბრძოლა, დედოფალი ესთერის ცხოვრებაში, რომლის ამბავიც აღწერილია ესთერის წიგნში, ბიბლიაში. ესთერი იყო ღმერთის

## როდის აყენებენ ქალები საპასუხო დარტყმას

ჩარევის იარაღი, სტრატეგიულად დაგეგმილი პირდაპირ მეფის სასახლეში. მოდით გავიხსენოთ ეს ამბავი.

ღმერთის ერის მიმართ მტერი უმოწყალო იყო, და მისი შურისძიების სურვილი იზრდებოდა ყოველდღიურად. იმის გამო, რომ ერთმა იუდეველმა მუხლი არ მოიდრიკა სამეფო კარის წარმომადგენელთან, ყამანთან, ამ უკანასკნელმა დაიფიცა, რომ გაანადგურებდა ყველა იუდეველს. ამგვარად, იგი დაემუქრა დედაფალი ესთერის ნათესავებს. ყამანი დაუხლოვდა მეფეს და დაითანხა ხელი მოეწერა ბრძანებისთვის, რომელიც ემუქრებოდა მთელ ერს განადგურებით, რომელსაც ესთერი ეკუთვნოდა. თუმცა ესთერი დედოფალი იყო, მას ახსოვდა ის, რაც ბევრს დავიწყებული ჰქონდა: არავინ არ ვართ იზოლირებული გარე სამყაროსგან. თუ ჩვენ ხელშეუხებელი გვეგონია თავები ან თუ ვფიქრობთ, რომ ჩვენს ირგვლივ ჩვენს მიერ აშენებული ციხესიმაგრეს დანგრევა შეუძლებელია, მალე ჩვენ აუცილებლად ვიხილავთ მათ დაცემას. რომელ პრობლემებზეც თვალს ვხედავთ სხვების ცხოვრებაში, მალე გაჩნდება ჩვენს ცხოვრებაშიც. ძალა იმისათვის მოგვეცა, რომ დაგვეცვა სუსტები. როდესაც ესთერმა გაიგო საფრთხის შესახებ, მან განგაში ატეხა და ისროლა ლოცვის ისრები. დედოფალი პირადად შეჰლაღადებდა ღმერთს სანამ შეხვდებოდა მტერს პირისპირ.

**„ნუ ჭამთ და ნუ სვამთ სამ დღეს, ნურც ლამით და ნურც დღისით; მეც ვიმარხულე ჩემს მხევლებთან ერთად; ასე ნავალ მეფესთან. თუმცა ეს კანონს ეწინააღმდეგება და თუ დავილუპები, დავილუპო.“ (ესთერი 4:16)**

ესთერი იქცა თავისი დროის საკვანძო ფიგურად და გახდა მაგალითი ყველა თანამედროვე ქალისთვის — ახალგაზრდისთვის და მოხუცისთვის. მისი ცხოვრების ისტორია მრავალი წიგნის და ფილმის სიუჟეტად იქცა. იქნებ ღმერთი ახლაც მალავს თავის საიდუმლო იარაღს სასახლეებში და სხვა სტრატეგიულ ადგილებში? შეიძლება იგი სტრატეგიული მიზნებით აყენებს თავის ასულებს, რომლებიც მისი მორჩილები არიან და იციან თუ რა არის ღვთის შიში, მაღალ თანამდებობებზე ჩვენს საზოგადოებაში? დარჩა კიდევ ისეთი ქალები, რომლებსაც არ შეეშინდებათ მტრების მუქარის და არ გაიქცევიან შეშინებული ბრძოლის ველიდან სიკვდილის წინაშე მდგომნი?



## იბრძოლე როგორც ძალმა

### თქვენი სტატუსი მეფის წინაშე

ისევე როგორც ესთერს, თქვენც გაგაჩნიათ ძალა უშუალოდ ახდენდეთ გავლენას თქვენს მეფეზე. ეს ძალა არ არის რაიმე უმნიშვნელო — ეს ძვირფასი საჩუქარია. ჩვენ არ შეგვიძლია მივალწიოთ ადამიანების კეთილგანწყობას და საზოგადოებაზე გავლენას ჩვენი ძალებით — ისინი გვეძლევა მხოლოდ ზევიდან. თუ ჩვენ გამოვიყენებთ ბრძნულად ამ საშუალებებს, ისინი უზრუნველყოფენ ბედნიერ მომავალს არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ ყველა გარშემომყოფთათვისაც.

ესთერს ესმოდა, რომ მისი სილამაზე და მაღალი პოზიცია მიეცა მას უფრო დიდი მიზნისთვის, ვიდრე მისი თვითალიარების გასაზრდელად. მომენტალურად სურათის ყველა ნაწილი ერთად დალაგდა, და იგი მიხვდა, რომ მტერი მიადგა მისი ციხესიმაგრის კარებს. მეფე განიხილავდა ყამანის შემოთავაზებას როგორც შესაძლებლობას, გაემყარებინა თავისი მეფობა, მაგრამ მან იცოდა, რომ მეფის მსახურს სინამდვილეში მართავდა სურვილი – გაენადგურებინა მისი (ესთერის) ერი. მტერი დღესაც კი ცდილობს დაგვარწმუნოს ერთში, თუმცა სინამდვილეში აპირებს სულ სხვა რალაცის გაკეთებას.

**„რადგან ახლა თუ დადუმდები, მაშინ შვება და ხსნა სხვა მხრიდან მოვა, შენ და შენი მამის სახლი კი დაიღუპებით. ვინ იცის, იქნებ ამ უამისათვის ეწიე შენ დედოფლობას?“  
(ესთერი 4:14)**

ნამდვილად, ჩვენ მივალწიეთ საკუთარ პოზიციას ასეთი დროისთვის. როგორც ესთერი, ჩვენ აღარ შეგვიძლია გაჩუმება, როცა ვხედავთ უსამართლობას და საფრთხეს. ესთერისთვის მიცემულმა სიბრძნემ და მისმა გულუხვობამ შეცვალეს მეფის საბედისწერო გადანყვეტილება შესაძლებლობად ღმერთის ერისთვის. ნაცვლად იმისა, რომ განადგურებულიყვნენ, იუდეველებმა შემოატრიალეს ყველაფერი და გაანადგურეს ყველა, ვინც ემოქრებოდა მათ სიცოცხლეს. ღვთაებრივი ჩარევა მოხდა, და ძლიერი, დაუნდობელი მტერი დამარცხებული იქნა, ხოლო სუსტებმა, თუმცა ბრძენებმა, გაიმარჯვეს. ღმერთმა გამოიყენა ქალი, თავისი ერის განადგურების ასარიდებლად. მისი მორჩილება ჯამში უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე მეფის ძალაუფლება. მეფეს არ შეეძლო თავისი ბრძანების გაუქმება, მაგრამ ესთერმა მოძებნა გზა შედეგების თავიდან ასარიდებლად.

## როდის აყენებენ ქალები საპასუხო დარტყმას

ხოლო რა ხდება დღეს?

მტერი მოგიახლოვდათ, ხოლო თქვენ გეშინიათ საპასუხო დარტყმის მიყენება, რადგან გეშინიათ რომ არ გეყოფათ ამისათვის ძალა?

ნამდვილად იბრძვით იმისათვის რაც ფასეულია?

თუ გეეჭვებათ, რომ ღმერთს შეუძლია დოლაბის ნატეხი გამოიყენოს მტრის მეფის მოსაკლავად?

ხომ არ დაგვიწყებიათ, რომ დაგვპირდნენ დახმარებას, მიუხედავად მდგომარეობისა, რომელშიც ჩვენ შეიძლება აღმოვჩნდეთ?

შესაძლოა, თქვენ, ლუსის მსგავსად, სვამთ კითხვას: რატომ არ გერგოთ ისეთივე ნიჭები (საჩუქრები), როგორც მამაკაცებს?

შეიძლება თქვენ ახლაც ეჭვი გეპარებათ იმის ფასეულობაში რაც ახლა ხელთ გიპყრიათ?

ნუ დაეჭვდებით! ასულებო, თქვენ ფასეულნი და ძლიერნი ხართ! თქვენ ჯარის ზურგს იცავთ. თქვენ გაქვთ ნიჭი — ჭვრეტდეთ მტრის მოახლოებას. თქვენ გაქვთ ინტუიცია, რომელსაც შეუძლია დაგეხმაროთ მოისმინოთ ის, რასაც მტერი ამბობს სინამდვილეში. თქვენ კურნების არხი ხართ. თქვენ საიდუმლო იარაღი ხართ, რომლისაც ეშინია მტერს. თქვენ ის დეტალი ხართ რომელიც აკლია სურათს, და რომელიც ასე სჭირდება ყველას.

მოდით ვილოცოთ:

### **ზეციერო მამა,**

მოვდივარ შენთან იესოს სახელით სულიწმიდის ძალით. გთხოვ, დამეხმარე გავიგო, რამდენად მნიშვნელოვანია ჩემი პოზიცია. როცა მხოლოდ საკუთარ თავს ვუყურებ, არ ვხედავ ამას, მაგრამ როდესაც თვალებს ავწევ და ვამჩნევ ადამიანების დიდ საჭიროებებს და ირგვლიმყოფ ქაოსს, მაშინ ჩემში მხურვალე სურვილი ჩნდება რომ მივიღო მონაწილეობა ამ ბრძოლაში. ნებისმიერი ხერხით მინდა დაგიმტიცო ჩემი სიყვარული შენდამი. უარს ვამბობ დამცირებით ვუყურებდე ჭურჭელს სამკურნალო ბალზამით და ვიბრძოლებ სიცოცხლისთვის სიკვდი-

## იბრძოლე როგორც ძალმა

ლის წინაშე. დამეხმარე ვიარო სიბრძნეში, და ასევე მომეცი უნარი წინასწარ ვჭვრეტდე და მესმოდეს ნებისმიერი მდგომარეობა. დამეხმარე ყოველთვის ვიყო შენთან ერთობაში, რათა უშიშრად ვიგერიებდე მტრის შემოტევებს. კაპარჭიდან ამოვიღებ ჩემს ისრებს. აღვზრდი ჩემს შვილებს და ჩემს ლოცვის ისრებს გავუშვებ ზეცისკენ. მე — მრავალი პრობლემის გამოსავალი ვარ. ამიხილე თვალები და დამანახე ადამიანები, რომლებიც საჭიროებენ ჩემს დახმარებას. ამინ.

## თავი მეშვიდე

### ბრძოლა სიბრძნისთვის

მალევე მას შემდეგ რაც ქრისტიანი გავხდი, გამიცხადდა შოკისმომგვრელი ჭეშმარიტება: მე სრული უგუნური ვიყავი! ყველა ჩემი ფიქრი და მათი პირველმიზეზები ეფუძნებოდა ადამიანურ წარმოდგენებს ან საერთოდ — ტყუილს. ჩემი გადანყვეტილების და ქმედების მოტივაციის უმრავლესობა დაფუძნებული იყო მცდარ ინფორმაციაზე.

დღესაც კი, არ არის საჭირო იყო მეცნიერ-გამომგონებელი, რათა გაიგო თუ რამდენად აკლია დღესდღეობით კაცობრიობას სიბრძნე. საკმაოდ შესაძლებელია, რომ ჯერ არცერთ სხვა თაობაში არ იყოს ამდენი რაოდენობის განათლებული უგუნური ადამიანი. ჩვენს საზოგადოებაში მრავალი გენიოსია, რომელთაც აკლიათ საღი გონება. კაცობრიობას ჯერ არასოდეს არ მიუწვდებოდა ხელი ამდენი რაოდენობის ინფორმაციისადმი და კვლევითი მონაცემებისადმი, როგორც ახლა, და მაინც, ყველა ჩვენი სამეცნიერო მიღწევებით ჩვენ ხანდახან უბრალოდ გვაკლია საღი გონება და ლოგიკა.

ჩვენ ვშთანთქავთ უზომო რაოდენობის ინფორმაციას სხვადასხვა წყაროებიდან, თუმცა ეს ინფორმაცია ხშირ შემთხვევებში არ ახდენს გავლენას ჩვენს ცხოვრებაზე. ოჯახები ინგრევა, ნათესაობრივი კავშირები წყდება, სასამართლოს სისტემა ზოგჯერ ცდება, პოლიტიკური ლიდერები ხშირად კორუმპირებულები არიან, ხოლო მასწავლებლებს ხელი ეშლებათ სწავლებისთვის. ბოროტებას სიკეთედ მიიჩნევენ, ხოლო სიკეთეს — ბოროტებად. სიცრუეს გადასცემენ ყველა ტელე და რადიოსადგურით, ლიდერები ეცემიან, ბავშვები შეშინებულნი არიან, ქალები — დამცირებულნი. მსახურნი კარგავენ რწმენას, ხოლო ზოგჯერ — სათნოებასაც. მსახიობები, რომელთა ძირითადი მოვალეობაცაა ხალხის გართობა, იქცევიან ჩვენს კერპებად და მისაბაძ მაგალითებად. ჩვენი კუთლურა შესუსტდა და დაზიანდა. ოჯახები აღარ შენდება ჯანსაღ პრინციპებზე, ხოლო გარშემომყოფი ბუნება დაბინძურებულია და ნელ-ნელა ილუპება.

## იბრძოლე როგორც ძალმა

და მაინც, თითქოს არ ვამჩნევდეთ, რომ ჩვენი დღევანდელი ცხოვრება აშკარად მცდარია, ჩვენ ვაგრძელებთ მეცნიერულ კვლევებს და მეტი ინფორმაციის დაგროვებას. ჩვენ ვეძებთ პასუხებს, რომლებიც უკვე დიდი ხანია მოგვეცა.

**„...ამაოდ ხმარობ ნამლებს, კურნება არა გაქვს შენ. ისმინეს ხალხებმა შენი შერცხვენა და შენმა კვილმა აავსო ქვეყანა, რადგან მამაცი მამაცს შეეჯახა და ორივენი ერთად დაეცნენ.“ (იერემია 46:11-12)**

ამ სიტყვებში არის რარაც განსაკუთრებით ტრაგიკული. ეს წინასწარმეტყველება ზედმინვენით აღწერს ჩვენს დროს, როდესაც არსებობს მრავალი სამკურნალო საშუალება, მაგრამ მრავალი ადამიანი ავად არის, როდესაც ერთი ძალა ეჯახება მეორეს, მაგრამ არავინ გამოდის ბრძოლიდან გამარჯვებული. დაბნეულები დავებებით უდაბნოში, ქვიშებში დაკარგულები, თუ გააზრებულად ვირჩევთ უგუნურების გზებს? თუ ჩვენ გააზრებულად გადავუხვევთ სინათლის გზებიდან, რათა მივყვებოდეთ სიბნელის გზებს, მაშინ ხშირად ვხდებით ზედმეტად „ჭკვიანები“ და უკვე აღარ შეგვიძლია სახლისკენ მიმავალი გზის პოვნა.

## სიბრძნის აღდგენა

რაც მეტად მემატებოდა ასაკი, უფრო ვაცნობიერებდი, რომ სიბრძნე არ არის კარგი განათლების შედეგი. არსებობს მრავალი ჭკვიანი ადამიანი, რომელთაც არ შეუძლიათ საკუთარი ცხოვრების მოწყობა, მიღებული ცოდნის საფუძველზე. მათ აქვთ ცოდნა, მაგრამ არ აქვთ სიბრძნე, რომელსაც აქვს ძალა შეცვალოს ისინი, ვინც მას ფლობს. სიბრძნის განსაზღვრება შეიძლება როგორც ჭეშმარიტების პირადი გააზრება, როცა ჭეშმარიტება ერწყმევა ჩვენს არსებას და იწყებს ჩვენი ქცევის და ქმედებების მართვას.

ბიბლია საუბრობს ბრძენ ქალებზე, ხოლო სიბრძნე განსახიერებულია როგორც ქალი იგავთა წიგნში:

**„სიბრძნე ქუჩაში შემოსძახებს, მოედნებზე გამოსცემს თავის ხმას.“ (1:20)**

## ბრძოლა სიბრძნისთვის

და

### „სიბრძნეს უთხარი: ჩემი და ხარ შენ.“ (7:4)

სამწუხაროდ, სიბრძნის გარდა ჩვენი ყურადღების მიქცევას ცდილობს კიდევ ერთი „ქალბატონი“. ქვეყნიერებამ მას მოუგონა სხვადასხვა სახელები — მაცდური, სწრაფვა, შეპყრობა, მაგრამ ბიბლია ეძახის მას სიძვას. იგი არის ამ წუთისოფლის სახე და სურს, ვუჯერებდეთ მის რჩევებს. მისი სიტყვების მოძებნა შეიძლება ფაქტობრივად ნებისმიერი ჟურნალის ყდაზე. იგი გპირდებათ ძალის მოცემას, თუ თქვენ ივლით მისი გზებით, მაგრამ ეს ტყუილია.

ჩვენ, როგორც ასულებს, როგორ შეგვიძლია დაკარგული სიბრძნის დაბრუნება? სინამდვილეში, ეს გაცილებით იოლია, ვიდრე შეიძლება ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს. სიბრძნე ყველასათვის ხელმისაწვდომია. თუმცა ვფიქრობ, რომ არის ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება ბრძენ და უგუნურ ქალს შორის. გაინტერესებთ რაში მდგომარეობს იგი?

ცოდნა იმისა, თუ როდის უნდა გავუშვათ ხელი და როდის უნდა ჩავეჭიდოთ.

ამ პრინციპში დევს სიბრძნე. ეს გავს ჟანგბადის გაცვლას ფილტვებში სუნთქვის მეშვეობით. ბრძენმა ქალებმა იციან, თუ რას უნდა ჩაჭიდონ ხელი და რას უნდა გაუშვან, ხოლო უგუნურები ორივე ხელით ეჭიდებიან იმას, რამაც შეიძლება ისინი მოკლას, და ხელს უშვებენ იმას, რაც სიცოცხლეს იძლევა. ბრძენი ქალები მჭიდროთ ეჭიდებიან ღმერთის აღთქმებს და ხელს უშვებენ იმას, რაც უნამლავთ ცხოვრებას. ისინი ხელს უშვენ სიმწარეს, უპატიებლობას, სიბრაზეს, ტკივილს, შურს, სიძულვილს, ალიაქოთს და წარსულს.

უგუნურ ქალებს უბრალოდ არ ესმით ეს. მათ კარგად უჭერიათ ეს რალაცეები და სხვებსაც აიძულებენ აუნაზღაურონ ის, რაც, როგორც მათ ეჩვენებათ, მოპარეს. წარსულით ცხოვრებით, ისინი ამავედროულად ხელს უშვებენ იმას, რასაც სინამდვილეში უნდა ეჭიდებოდნენ: ღმერთის აღთქმებს, მის ერთგულებას, მის ხასიათს, მის სიყვარულს, მის პატიების ძალას და გეგმებს მათი მომავლისათვის.

## იბრძოლე როგორც ძალმა

ბრძენი ქალები ეჭიდებიან ღმერთის აღთქმებს და ხელს უშვებენ ცხოვრებისეულ იმედგაცრუებებს, ხოლო უგუნურები კი ეჭიდებიან ნარსულ წყენებს და ცდილობენ საკუთარი აზრის დამტკიცებას. გონიერმა ქალებმა იციან, რომ შეუძლებელია ბრძოლაში გამარჯვება, როცა ისეთი მოკავშირეები გყავს, როგორებიცაა სიმწარე და წყენა. მათ ესმით, რომ შეიძლება საკუთარი აზრის დაცვა და საერთო ჯამში შეცდომაში ყოფნა. ბოლოს და ბოლოს რა გსურთ თქვენ — უბრალოდ იბრძოდეთ თუ გაიმარჯვოთ? ბრძენმა ქალებმა იციან როგორ გაიმარჯვონ უბრძოლველად.

ამას წინათ აღმოვჩნდი ჩაბმული ხანგრძლივ კონფლიქტში, რომლის დროსაც ჩემს თანამგზავრებად იყვნენ გულის ტკივილი და იმედგაცრუება. ჯონი რომ უყურებდა ჩემს განცდებს, ცდილობდა დამხმარებოდა: „ლიზა, რა გაიძულეებს შენ რომ ყოველთვის ებმებოდე კონფლიქტში?“

თავიდან ვერ შევძელი პასუხის გაცემა. ხშირად მიპატიება, გამითავისუფლება, მიკურთხებია, შემიხედია სიმართლისთვის თვალეში, მილოცია და მიმარხულია მონიხალმდევებისთვის. მიჩუქნია საჩუქრები... და მაინც, იყო ერთი რამ, რასაც ვერ ვეგუებოდი. არ მომწონდა ის ფაქტი, რომ ეს მდგომარეობა ვერ ვითარდებოდა ისე, როგორც მე მინდოდა. არ შემეძლო ამ ადამიანის ქმედებების კონტროლირება. რა მიდგომაც არ უნდა ამერჩია, შედეგი უცვლელი რჩებოდა.

**„თუ თქვენის მხრივ შესაძლებელია, ყველა ადამიანთან მშვიდობიანად იყავით.“ (რომაელთა 12:18)**

გააკეთეთ ყველაფერი, რაც თქვენს ძალებშია, და თუ არაფერი შეიცვლება სხვა გზა აღარ გრჩებათ გარდა იმისა, რომ გაუშვათ ხელი. აკურთხეთ თქვენი ოპონენტი და გააგრძელეთ ცხოვრება. შეცვალეთ იმედგაცრუება თავისუფლებაზე. ხელი გაუშვით იმას რაც გიჭირავთ, რათა უფალმა შეძლოს თქვენს ცხოვრებაში იმის გამოთავისუფლება, რაც მის ხელებშია.

**ქალები ბიბლიიდან, რომელთაც ცვლილებები მოახდინეს**

ბიბლიაში მოთხრობილია ქალების შესახებ, რომელთაც ცხოვრებაც გახდა ცვლილებების მოხდენის მაგალითი. სიბრძ-

## ბრძოლა სიბრძნისთვის

ნის ძალის მეშვეობით მათ დაიცვეს სიცოცხლე, წინააღმდეგონ ნგრევას და დაიცვეს ჭეშმარიტება.

ევა

ჩამონათვალში პირველი გვეყოლება ევა. დაცემის შემდეგ, მან ხელი გაუშვა სიკვდილს და იმედგაცრუებას და მჭიდროთ ჩაეჭიდა მისთვის მიცემულ სიცოცხლის ალთქმას. მან აირჩია ერწმუნა ის, რასაც თავად ალბათ ვერასოდეს ნახავდა და მესამე შვილს დაარქვა შეთი, რაც „თესლს“ ნიშნავდა, ამით ამტკიცებდა თავის რწმენას ღმერთის ალთქმისადმი. მან სიკვდილი გაცვალა იმედსა და ხსნაზე.

სარა

შემდეგ მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო სარას. მან მიიღო გადარწმუნებულება დაეტოვებინა ცხოვრების ჩვეული წყობა და გამგზავრებულიყო უცხო მიწებზე თავის ქმართან, აბრაამთან ერთად. ისინი ერთად ეძებდნენ რაღაც უფრო დიდს. წლების მანძილზე სარა განიცდიდა იმედგაცრუებას იმის გამო, რომ უნაყოფო იყო. მას სურდა ეჩუქებინა ქმრისთვის მემკვიდრე, მაგრამ მხოლოდ გაართულა თავისი მდგომარეობა, როცა მოსამსახურე ჰაგარს ნება მისცა დაწოლილიყო აბრაამთან, რის შემდეგაც იშვა ისმელი. ბევრი ქალი დათანხმდებოდა ასეთ რამეს, რათა ღმერთის ალთქმების აღსრულება ეხილათ თავიანთ ცხოვრებაში? მე ნამდვილად არ მივცემდი სხვა ქალს საშუალებას რომ დაეკავებინა ჩემი ადგილი სარეცელზე! რა თქმა უნდა, ღმერთი არ აპირებდა ამგვარად ეპასუხა აბრაამისა და სარასთვის. მან თავისი ალთქმა მათდამი აღასრულა მათი შვილის, ისააკის მეშვეობით. სახელი ისააკი ნიშნავს „სიცილს“. სარას გაეცინა ღმერთის ალთქმაზე, რომ მისცემდა მას და აბრაამს შვილს. მაგრამ ძალიან მალევე მან შეცვალა თავისი დაცინვა სიხარულის სიცილზე.

ჩვენ ყველანი ვთვლით აბრაამს რწმენის მამად, რომელიც ერწმუნა ღმერთის ალთქმას. სარა დაორსულდა და შვა შვილი. სარამ შიში შეცვალა რწმენით; ჩვენ ალთქმის მიხედვით შეგვიძლია ვიყოთ მისი ასულები, თუ გავბედავთ გავაკეთოთ იგივე.



**„...რომლის შვილებიცა ხართ, როცა კეთილ საქმეს აკეთებთ და არაფრის შიში არ გაკრთობთ.“ (1 პეტრე 3:6)**

თამარი

ბიბლიაში ასევე არის საკმაოდ დარწმუნებული და მტკიცე ქალი სახელად თამარი. ორჯერ დაქვრივებულს, მას ძალიან უნდოდა ჰყოლოდა შვილი. ღმერთმა მოკლა მისი პირველი ქმარი იმის გამო, რომ იგი ბოროტი ადამიანი იყო, ხოლო მეორე — იმის გამო, რომ მას არ უნდოდა თამარს ჰყოლოდა შვილი. (ამის მერე ნუ მეტყვით, რომ ღმერთი არ იცავს თავის ასულებს!) ორი გარდაცვლილი ქმრის შემდეგ ღმერთს კვლავ განსაზღვრული ჰქონდა თავისი აღთქმის მიხედვით, რომ ეს ქალი შობდა მემკვიდრეს. მისი მამამთილი, იუდა შეპირდა, რომ მისცემდა ქმრად თავის უმცროს შვილს და იმ საზოგადოების წეს-ჩვეულებების მიხედვით მათ გააგზავნეს თამარი მშობლებთან შესაბამისი დროის დადგომამდე. და იგი ელოდებოდა მამამისის სახლში და ცხოვრობდა როგორც ქვრივი. მაგრამ როცა მისი ცოლად წაყვანის დრო დადგა, იგი დაივიწყეს. ამ დროისთვის იუდას გარდაეცვალა მეუღლე და თამარმა გაიგო ეს. უყოყმანოდ მან გადაიცვა მეძავის ტანსაცმელი და დაიწყო მატყუარა მამამთილის დალოდება გზის ნაპირზე. იუდამ ვერ იცნო იგი და მოისურვა მასთან დაწოლა, მაგრამ მას არ ჰქონდა საკმარისი თანხა. მაშინ თამარმა სთხოვა დაეტოვებინა თავისი ბეჭედი, თასმა და არგანი. იუდა დაწვა მასთან და თამარი დაორსულდა.

ამის შემდეგ მან გაიხადა მეძავის ტანსაცმელი და კვლავ შეიმოსა თავისი ქვრივობის სამოსლით. როცა იუდას უთხრეს, რომ მისი რძალი დაორსულდა და იმრუშა, იგი გაბრაზდა და სასჯელის სახით უნდოდა მისი ცეცხლზე დაწვა, მაგრამ როცა თამარმა გაუგზავნა მას მისი ბეჭედი, თასმა და არგანი, მან აზრი შეიცვალა.

**„და იცნო იუდამ და თქვა: მართალია ჩემთან თამარი, რადგან მე არ მივეცი იგი შელას.“ (დაბადება 38:26)**

შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. იუდამ ცოლად წაიყვანა იგი, მაგრამ აღარასოდეს შეხებია მას (მე ვფიქრობ, რომ ეშინოდა). თამარს ეყოლა ტყუპი ძმები (ნაცვლად წინა ორი ქმრის შვილისა). იგი თავის შვილთან ფერეცთან ერთად ნახსენებია ქრისტეს

## ბრძოლა სიბრძნისთვის

გენეალოგიაში. თამარმა გაცვალა ქვრივობა და მიტოვებულობა დადებასა და პატივზე.

რახაბი

თამარმა ითამაშა მეძავის როლი, ხოლო რახაბი სინამდვილეში იყო მეძავი. ამ ქალმა დამალა თავისთან ისრაელიანელი მზვერავები და მოაწყო მათი გაქცევა დაცული იერიქონიდან. თავის მხრივ მან აიღო მათგან სიტყვა, რომ ისინი შეინყალებდნენ მის მთელ ოჯახს, როცა ქალაქი აღებული იქნებოდა. რახაბმა განკითხვის და სიკვდილის შიში გაცვალა უფლის შიშზე. მთელი ქალაქი შეცბუნებული იყო, და მხოლოდ ერთმა ქალმა, მეძავმა, გაიგო თუ რა ხდებოდა სინამდვილეში.

**„შედრკა ჩვენი გული და მხნეობა აღარავის შერჩა თქვენს გამო, რადგან უფალი, თქვენი ღმერთი, ღმერთია მალა ცაში და დაბლა მიწაზე.“ (იესო ნავეს ძე 2:11)**

იერიქონში ყველამ იცოდა ამის შესახებ. მაგრამ მხოლოდ რახაბი მიხვდა, რომ ეს ჭეშმარიტებაა და მის შესაბამისად დაიწყო მოქმედება. მან უგულებელყო თავისი ქალაქის მეფის ბრძანება, რათა გადაერჩინა სიცოცხლე ზეციერი მეფის მზვერავებისთვის, და კიდევ ერთ ქალად იქცა, რომელიც თავის შთამომავალთან ბოყაზთან ერთად აღმოჩნდა ქრისტეს გენეალოგიაში. რახაბი ასევე რწმენის გამირების სიაშიც მოხვდა.

**„რწმენით არ დაიღუპა ურწმუნოებთან ერთად მეძავი რახაბი, რომელმაც მშვიდობიანად მიიღო მზვერავები.“ (ებრაელთა 11:31)**

დებორა

მე მთელი თავი მივუძღვენი (იხ. თავი 14) ამ საკვირველ ქალს, რომელმაც მსაჯულის პოზიცია გაცვალა მთელი ერის მხსნელის პოზიციაზე, რომელიც იდგა ნაპრალში, სანამ არ გამოჩნდა მამაკაცი, რომელიც მას შეცვლიდა.

რუთი და ნაყოში

ამ ორივე ქალმა იმედგაცრუება და შესაძლო სიკვდილი გაც-

## იბრძოლე როგორც ძალმა

ვალეს იმედსა და აღთქმებზე. რუთმა გაცვალა საკუთარ თავზე მზრუნველობა დედამთილზე ზრუნვაში და ამის გამო შეხვდა მთელი თავისი ცხოვრების სიყვარულს. ნაყომი მოექცა რუთს როგორც საკუთარ ქალიშვილს, და გაცვალა გლოვა და მარტოობა სიხარულზე, ყოფილიყო დედა და ბებია.

ხანა

ღმერთი გვთხოვს გადავცეთ მას ჩვენი ცხოვრების ის სფეროები, რომლებიც მკვდრად და უნაყოფოდ მიგვანჩნია. გავაგრძელებთ და კვლავ დავუძახებთ მათ მკვდარს და უიმედოს თუ რწმენით გავაცხადებთ მათ ცოცხლებად და ნაყოფიერებად? არა ერთხელ, როდესაც ქალები ღმერთის ერიდან იყვნენ საშოდახშულები (სარა, რებეკა, რახელი, ხანა, ელისაბედი), ისინი არ ნებდებოდნენ, არამედ უფრო მეტს ითხოვდნენ. მათ ესმოდათ, რომ მათი უნაყოფობა არ იყო სასჯელი ან უარყოფის მტკიცებულება. ჭეშმარიტება იმაში მდგომარეობს, რომ ხშირად მაშინ გვაძლევს აღთქმებს, როცა ხედავს ჩვენს საჭიროებას.

**„ხანას კი განსაკუთრებულ წილს აძლევდა, რადგან უყვარდა ხანა, თუმცა საშო დაეხშო მისთვის უფალს. მისი მეტოქე კიდევ უფრო აჭირვებდა მას, აწუხებდა იმის გამო, რომ საშო დაუხშო უფალმა.“ (1 მეფეთა 1:5-6)**

მხოლოდ ღმერთს შეუძლია დახშულიდან სიცოცხლის გამოყვანა. ხანა სწორედ ასეთი ქალი იყო. მას ესმოდა, რომ რაღაც უფრო დიდი სჭირდებოდა, რისი მიცემაც მის ქმარს არ შეეძლო. მას უკვე ჰქონდა ქმრის სიყვარული და პატივისცემა. იგი თავის განსაკუთრებულ განწყობასაც კი ავლენდა ხანას, თავისი დახშული ცოლის მიმართ, აძლევდა რა მას ორმაგ წილს ყოველ დღესასწაულზე. მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. იგი ეძებდა რაღაცას უფრო ღრმა და მნიშვნელოვანს. მისი მეტოქე, ეკლანას მეორე ცოლი, იწვევდა ხანას რომ იმედები გაეცრუებინა მისთვის. მიუხედავად ამისა, ამ გამონწვევამ მიიყვანა ხანა ტაძარში და მუხლი მოაყრევინა ლოცვისათვის.

ყელმა, ჭარბწონიანმა უმართლო მღვდელმა, როცა დაინახა ჩუმად მლოცველი ქალი, შეცდომით ჩათვალა იგი მთვრალად. მაგრამ ამ ბრძენმა ქალმა იცოდა, როგორ მიეღო კურთხევა ასეთი ადამიანისგანაც კი, რომელმაც ეს-ესაა უსამართლოდ დასდო მას ბრალი. მან უპასუხა მის შეურაცხყოფაზე ღირსე-

## ბრძოლა სიბრძნისთვის

ბით და მიიღო რა თავისი პასუხი, წავიდა ყელისგან ღიმილით სახეზე. ამის შემდეგ როცა მისი ქმრის მეორე ცოლმა დაინახა ხანა, გაუკვირდა, როცა მის სახეზე უჩვეულო ნათელი გამომეტყველება შენიშნა.

**„გამეხსნა ბაგე მტრების წინააღმდეგ, რადგან გავიხარე შენი შეწვევით.“ (1 მეფეთა 2:1)**

ხანამ გაცვალა სირცხვილი პატივზე, ხოლო წყენა — გამარჯვებაზე. მან გამოყო თავისი შვილი მსახურებისთვის ჯერ კიდევ იქამდე, სანამ ჩასახავდა მას. მისი ლოცვა, რომელიც მანამდე ასე ჟღერდა: „მომეცი ძე, რათა ჩემი ქმარი ბედნიერი იყოს“, შეიცვალა შემდეგზე: „მომეცი ძე, რათა შეეძლო მისი შენთვის მოცემა.“ სამუელი გადაეცა ღმერთის სახლს, ხოლო ღმერთმა ამისათვის აკურთხა ხანა კიდევ რამდენიმე შვილით.

**„მოხედა უფალმა ხანას. დაორსულდა იგი და შვა სამი ვაჟი და ორი ასული. ყრმა სამუელი კი უფალთან იზრდებოდა.“ (1 მეფეთა 2:21)**

ამგვარად, უნინ დახშული ქალი იქცა წინასწარმეტყველების მრავალი თაობის წინაპრად.

აბიგაილი

მოდით ასევე გავიხსენოთ აბიგაილი. რა უნდა გააკეთოს ქალმა, თუ მისი მტერი საკუთარივე ქმარია? ეს ძალიან გრძელი ისტორიაა, რადგან მასში მრავალი დეტალია:

იყო ერთი კაცი სახელად ნაბალი, მას ჰყავდა ცოლი — აბიგაილი, რომელიც გამოირჩეოდა თავისი სიბრძნით და სილამაზით, ხოლო ნაბალი — სისასტიკით და ბოროტებით. დავითი თავის მამაკაცებთან ერთად იმყოფებოდა უდაბნოში იმ ადგილის მახლობლად, სადაც ნაბალი ცხოვრობდა. ისინი იცავდნენ მის ცხვრებს და მწყემსებს. დავითმა გააგზავნა რამდენიმე კაცი ნაბალთან, რათა მათ ეკითხათ, თუ მისცემდა იგი საშუალებას მონანილეობა მიეღოთ მის ცხვართა ყოველწლიურ პარსვაში. მაგრამ ნაბალმა არა მარტო უარი უთხრა მათ, არამედ შერცხვენით გააგდო წარმოგზავნილები. ნაბალის ერთერთმა ახალგაზრდა მწყემსმა მოუყვა აბიგაილს თუ რა უგუნურად მოიქცა

მისი ქმარი:

**„და ახლა აწონ-დანწონე როგორ უნდა მოიქცე რადგან სასჯელი ელის ჩვენს ბატონსა და მთელს მის სახლს. თავად ხომ უგვანი კაცია, მასთან ლაპარაკი არ იქნება.“ (1 მეფეთა 25:17)**

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მან უთხრა: „გადაგვარჩინე, აბიგაილ! ჩვენ გვემუქრება საფრთხე, ხოლო ჩვენი ბატონი იმდენად უგუნურია, რომ არ ესმის ეს.“ მე მომწონს ის, თუ როგორ მოიქცა ეს ქალი ამ მსახურის სიტყვების საპასუხოდ. დროის ამაოდ დახარჯვის გარეშე, მან გაამზადა დავითისა და მისი მებრძოლებისთვის საჭირო მარაგი. ქალს ესმოდა, რომ მხოლოდ ასე შეძლებდა საკუთარი სახლის დაცვას მოსალოდნელი სისხლისღვრისაგან. შეიძლება იკითხოთ, როგორ გაბედა მან ასეთი რალაცის გაკეთება ქმართან საუბრის გარეშე. აბიგაილმა იცოდა, რა ჰქონდა მას ხელთ და რისი გაცემა შეეძლო თავისი ძალაუფლებით. როგორც ცოლს, მას ჰქონდა უფლება დაეხარჯა ოჯახის ქონების თავისი კუთვნილი წილი, მიუხედავად იმისა, რომ ქმარს შეეძლო უარი ეთქვა თავისაზე. აბიგაილმა გამოიყენა თავისი სიმდიდრე იმისათვის, რომ მრავალი ადამიანის სიცოცხლე გადაერჩინა.

**„და ისწრაფა აბიგაილმა და აიღო ორასი პური, ორი ტიკი ღვინო, ორი გამზადებული ცხვარი, ხუთი სეა ქუმელი, ასი მტევანი ჩამიჩი, ორასი აცმა ლელვის ჩირი და აჰკიდა სახედრებს. და უთხრა თავის მსახურებს: „თქვენ წინ წადით, მეც ახლავე უკან გამოგყვებით.“ არაფერი უთქვამს ნაბალისთვის, თავისი ქმრისთვის.“ (18-19)**

როცა აბიგაილმა დაინახა დავითი, მივიდა მასთან და მას ფეხებში ჩაუვარდა. წარმოიდგინეთ: განრისხებული მხედართმთავარი, გარემოცული თავისი მეომრებით, მიემართება დასახლებაში, რათა გაანადგუროს ყველა მამაკაცი. შესაძლოა, ერთადერთი, რასაც შეეძლო მისი გეგმების შეცვლა, იყო შეხვედრა მშვენიერ ქალთან, რომელიც მიირბენდა მასთან და ფეხებში ჩაუვარდებოდა.

**„ჩემზეა, ჩემო ბატონო, დანაშაული. ლაპარაკის ნება მიეცი შენს მხევალს და ისმინე მხევლის სიტყვები.“ (24)**

## ბრძოლა სიბრძნისთვის

რა საოცრად მოიქცა ეს ქალი... მან შეაჩერა განრისხებული ჯარი და ქმრის დანაშაული თავის თავზე აიღო. როცა იგი მიხვდა, რომ მიიპყრო დავითის ყურადღება, გამოიყენა თავისი საიდუმლო იარაღი — რბილი სიტყვები. ყურადღება მიექცით მის მიდგომას: „ლაპარაკის ნება მიეცი შენს მხევალს და ისმინე მხველის სიტყვები“. რა გააკეთა მან? მან აარიდა დავითს ცოდვა თავისი ჩურჩულით. მან მისცა მას რჩევა, რომელიც ვერ გაიგონეს მეფის მეომრებმა. სთხოვა, არ გაბრაზებულიყო ნაბალზე, რომელიც უგუნური იყო. მან ისეთ არარაობად გამოიყვანა იგი, რომ დავითმა აღარც კი მოისურვა დაეკარგა მასზე თავისი დრო, შემდეგ შეახსენა დავითს ღმერთის აღთქმების შესახებ, შეეხო რა მის სინდისს. მან დააჯერა დავითი არ ეძია შური საკუთარი თავისთვის და შემდეგ შეახსენა მას რატომ:

**„ნამდვილად მტკიცე სახლს დაუმყარებს უფალი ჩემს ბატონს, რადგან უფლის ომებს ეწევა ჩემი ბატონი, და ბოროტება არ იქნება შენში არასოდეს.“ (28)**

სხვა სიტყვებით მან უთხრა: „დავით, ნუ მისცემ ბოროტებას აავსოს შენი ფიქრები ახლა, რადგან უკან დასახევი გზა აღარ დაგრჩება.“ როგორც ჩანს დავითისთვის ეს საკმაოდ დამაჯერებელი არგუმენტი იყო. იგი დახეტილობდა უდაბნოში მრავალი წლის განმავლობაში, და არაფერი ჰქონდა გარდა ღმერთის აღთქმებისა, მაშინ როცა ნაბალს და საულს ჰქონდათ ყველაფერი. მომწონს ამ ქალის სიტყვები: მათში ჩვენ ვნახულობთ აღთქმას, რომელიც ღმერთმა თითოეულ ჩვენგანს მოგვცა. თუ ჩვენ უფლისათვის ვიბრძობებთ, იგი მოაწყობს ჩვენს სახლებს და მოგვცემს შთამომავლობას. ვერც ნაბალის და ვერც საულის აშენებულმა სახლებმა ვერ გაძლეს. ნაბალი მოკვდა ისე, რომ ვერც კი იხილა მემკვიდრე, საულის ძენი მოკვდნენ მახვილისაგან, ხოლო მისი ასული უნაყოფო დარჩა.

ჩვენ არ უნდა ვიბრძოდეთ საკუთარი თავებისთვის. ჩვენ ვიბრძვით ღმერთისთვის სხვა ადამიანების სასიკეთოდ. დავითს თავისი ცხოვრების ბოლომდე არ გადაუხვევია ამ სტანდარტიდან. მოგვიანებით იგი არა ერთხელ ამბობდა უარს გამოყენებინა საკუთარი გავლენა და ძალაუფლება მათ დასასჯელად, ვინც მის წინააღმდეგ აღდგებოდა. იგი იყენებდა საკუთარ პოზიციას მხოლოდ იმისათვის, რომ გამკლავებოდა მათ, ვინც ღმერთის წინააღმდეგ ჯანყდებოდა.

**„და როცა აღუსრულებს უფალი ჩემს ბატონს ყველაფერ სიკეთეს, რა სიკეთესაც დაჰპირდა და ისრაელის მეფედ დაგადგენს, ნუ შეაწუხებს გულის ქენჯნა ჩემს ბატონს, რომ არ დაღვარა სისხლი ამაოდ და შური არ იძია. როცა სიკეთეს უყოფს უფალი ჩემს ბატონს, მაშინ გამიხსენე შენი მხევალი.“ (30-31)**

აბიგაილმა შეახსენა დავითს ღმერთის წინასწარმეტყველება, ხოლო შემდეგ სთხოვა მას გაეხსენებინა იგი, როცა ღმერთის აღთქმები ასრულდებოდა. რატომ მიმართა მან მას ასეთი თხოვნით? იმიტომ, რომ კარგად ესმოდა, რომ როცა სხვებს ეხმარები წარმეტყვების მიღწევაში, ამით საკუთარ თავსაც დაეხმარები.

**„და უთხრა უფალმა აბიგაილს: „კურთხეულია უფალი, ღმერთი ისრაელისა, რომელმაც ჩემს შესახვედრად გამოგგზავნა დღეს. და კურთხეული იყოს შენი გონიერება და კურთხეული იყავი შენ, რომ არ გამიშვი სისხლის ღვრამდე და შურისგებამდე, მაგრამ ცოცხალია უფალი, ღმერთი ისრაელისა, რომელმაც ბოროტება არ გამაკეთებინა შენთვის, რადგან რომ არ აჩქარებუდიყავ და არ შემხვედროდი, კედელთან მიმდგომიც არ გადაურჩებოდა დილამდე ნაბალს.“ (32-34)**

სახლში დაბრუნებულმა აბიგაილმა აღმოაჩინა, რომ მისი ქმარი მთვრალი იყო. იგი გონივრულად დაელოდა დილას და მხოლოდ შემდეგ მოუყვა ქმარს ყველაფერზე, რაც გააკეთა. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რამდენად გაოგნდებოდა როცა მოისმენდა ცოლის სიტყვებს. წმიდა წერილში წერია, რომ ასეთი ამბისგან მას გული გაუშეშდა და იგი ქვასავით გახდა. ათი დღის შემდეგ ღმერთმა მოკლა იგი. ე.ი. რა გაკვეთილი შეიძლება ვისწავლოთ ამ ამბიდან? არ შეიძლება ხუმრობა მათთან ვინც უფლისათვის იბრძვის!

როცა დავითმა გაიგო ნაბალის სიკვდილის შესახებ, მან შესთავაზა აბიგაილს გაყოლოდა მას ცოლად! შესაძლოა, არ უნდა ვთქვა ეს, მაგრამ მის მაგივრად მე ვისურვებდი მეცხოვრა დავითთან ერთად უდაბნოში, ვიდრე ლამაზ სახლში მდიდარ ბრაზიანთან.

ამ ბრძენმა ქალმა თავისი ქმრის უგუნურება გაცვალა მთელი თავისი სახლეულობის სიცოცხლეზე და რჩევა მისცა მომავალ მეფეს, თუმცა მისმა ქმარმა უარი თქვა მის მოსმენაზე.

## ბრძოლა სიბრძნისთვის

### იაცელი

იაცელი, ალბათ ჩემი ყველაზე საყვარელი გმირია... ყოველ შემთხვევაში, მე ყველაზე მეტად მომწონს მასზე ქადაგება. იაცელი — კიდევ ერთი ქალია, ვისი ქმარიც მტრის მხარეს აღმოჩნდა, იგი ისრაელის დამპყრობლის მოკავშირე გახდა. მას ესმოდა, რომ როცა მოწინააღმდეგე ძალიან ახლოს მოდის, აუცილებელია დარტყმა. იაცელს არ უზეიმია გამარჯვება სისხლიან ბრძოლის ველზე — მან გაიმარჯვა საკუთარ კარავში. მან დააძინა მტრის მხედარმთავარი, შემდეგ ისარგებლა იმით რაც ხელს მოხვდა — უროთი და კარვის პალოთი. მტერმა დაიძინა მისი ყურადღების ქვეშ, რათა მას აღარასოდეს გაეღვიძა. მან გაცვალა მტერთან კავშირი ღმერთთან კავშირზე.

### ბეთ-შებაყი

ეს ახალგაზრდა და მშვენიერი ქალბატონი აღმოჩნდა ჩაბმული სკანდალურ ამბავში, როცა მეფე დავითმა იხილა რა იგი საკუთარი სასახლის სახურავიდან, ისურვა მისი სილამაზე. იგი დაწვა მასთან და ისიც დაორსულდა. დავითს მოუწია ბეთშებაყის ქმრის მოკვლა, ხოლო შემდეგ სწრაფად დაქორწინდა მასზე, რათა დაემალა თავისი საქციელი. თუმცა მას ვერ გამოუვიდა საკუთარი ცოდვის დამალვა ღმერთისგან, რადგან ნათან წინასწარმეტყველმა ამხილა მეფე ცოდვაში და დავითის და ბეთშებაყის პირმშო მოკვდა. და მიუხედავად ამ ყველაფრისა მშვენიერი ბეთშებაყი აგრძელებდა დავითის სიყვარულს და მალევე ღმერთმა მისცა მათ მეორე შვილი, სოლომონი. ბეთშებაყი ზრდიდა მას უფლის შიშში და ასწავლა, რომ ყველაფერზე მეტად ეძია სიბრძნე. ასე, მან გაცვალა სკანდალური რეპუტაცია და სიკვდილი პატივზე, სიბრძნეზე, შვილის შობასა და ღმერთის აღთქმაზე.

### ელისაბედი

ამ უმნიკვლო, მაგრამ მღვდლის უნაყოფო ცოლმა გაცვალა იმედგაცრუებაში გატარებული წლები ღმერთის აღთქმებზე. სარას მსგავსად, მან მიიღო ღმერთისგან აღთქმა და თავის თავზე გამოსცადა, რომ რაც ადამიანისთვისაა შეუძლებელი ის ღმერთისთვის შესაძლებელია. ორსულად ყოფნის დროსაც კი, მან ადამიანების რჩევებს არჩია სულიწმიდის სიბრძნე და მაცოცხლებელი ძალა. ამ ბრძენმა დედამ წარმოთქვა წინასწარმეტყველური სიტყვა თავისი სულიერი ასულის ცხოვრებაზე და



## იბრძოლე როგორც ქალმა

ჩვენი უფლის იესო ქრისტეს დედაზე, აკურთხა რა იგი კურთხევით, რომელიც დღემდე ვრცელდება ყოველ ქალზე:

**„ნეტარია ვინც ირწმუნა, ვინაიდან აღსრულდება უფლის მიერ თქმული მის მიმართ.“ (ლუკა 1:45)**

მარიამი

მარიამმა გაცვალა გაურკვეველობა და მარტოხელა დედად დარჩენის საფრთხე ღმერთის აღთქმების ერთგულებაზე. მან საკუთარი შიშები შეცვალა ღმერთის სიყვარულით. მისი სიტყვები რწმენის მაგალითად იქცა მრავალი თაობისთვის:

**„მეყოს მე შენი სიტყვისამებრ.“ (ლუკა 1:38)**

ჩვენ როგორ მოვიქცეთ?

როგორ მივიღოთ სიბრძნე, რათა შევძლოთ ამ ღვთაებრივი ცვლილების მოხდენა? ქვემოთ მოცემული ნაწყვეტები წმიდა წერილიდან გვეუბნებიან ჩვენ, თუ რით უნდა დავინწყოთ:

**„სიბრძნის დასაბამია შიში უფლისა. აზრკეთილია ყველა, ვინც მას ასრულებს.“ (ფსალმუნი 110:10)**

**„უფლის შიშია სიბრძნე და ბოროტისაგან განრიდებაა გონება.“ (იობი 28:28)**

სიბრძნე უშუალოდ არის ღვთის შიშთან კავშირში, ისევე როგორც სიკეთის აღქმა დაკავშირებულია ჩვენს რეაქციაზე ბოროტებაზე. რას ნიშნავს გქონდეს უფლის შიში? ეს ნიშნავს გიყვარდეს ის, რაც უყვარს ღმერთს (სიბრძნე და სამართლიანობა), გძულდეს ის, რაც მას სძულს (უგუნურება და ბოროტება). შესაძლოა, თქვენ არასოდეს გითხოვიათ ღმერთისთვის მოეცა თქვენთვის წმიდა შიში მის წინაშე. ეს შეიძლება გამხდარიყო თქვენთვის პასუხი, რადგან უფლის შიშის გარეშე ვერასოდეს მიიღებთ სიბრძნის ნატამალსაც კი.

სიბრძნის და გონიერების ძიება დავინწყე იგავთა წიგნის დარიგებებიდან სიტყვა-სიტყვით. ამავდროულად მე ბევრს ვმოგზაურობდი ქვეყანაში როგორც ერთი კოსმეტიკური ფირმის მთავარი სავაჭრო წარმომადგენელი და მოგზაურობაში ვატარებდი წელიწადში თითქმის 40 კვირას. ყოველ საღამოს ვწვებოდი სანოლში ბიბლიით ხელში და ვცდილობდი მეპოვნა მისი

## ბრძოლა სიბრძნისთვის

სიტყვების გამოყენება ჩემს ცხოვრებაში. ვიფიციციბოდი იმაში, რომ ცხოვრებაში ჩემი გზებით დავდიოდი. მე სიბრძნეს დავარქვი ჩემი და და ვევედრებოდი ღმერთს მოეცა ჩემთვის გონიერება.

შემდეგ დავინწყე ღმერთისადმი თხოვნა მოეცა ჩემთვის წმიდა შიში მის მიმართ. დავინწყე შემჩნევა თუ ამ შიშმა როგორ დაინყო ნაყოფების მოტანა ჩემს ცხოვრებაში. ღმერთის სიბრძნე ძალიან დიდია და მრავალმხრივი.

იგავებში წერია, რომ ღმერთს შეუძლია უზრუნველგვეყოს ჩვენ ყველაფერი აუცილებელით.

**„რადგან უფალი იძლევა სიბრძნეს. მისგანაა სიბრძნე და გონიერება. შეუნახავს მოსაზრებულობას პატიოსანთ.“  
(2:6-7)**

ჩვენმა ზეციერმა მამამ უკვე მოამზადა ჩვენთვის სიბრძნე, და ახლა იგი გველოდება როდის ვთხოვთ მას მოგვცეს იგი ჩვენ. ის ოცნებობს გადმოღვაროს თავისი სიბრძნე მშვიდობებზე, ხოლო თავისი განმაახლებელი სიტყვები მათზე, ვისაც მეტი სწყურია ცხოვრებაში. იგი თანხმდება მიიღოს ჩვენგან ყველაფერი, რაც არ უნდა შევთავაზოთ მას მის სიბრძნეზე სანაცვლოდ. ჩვენ გადავცემთ მას ჩვენს უგუნურებას და უმეცრებას, ხოლო იგი სანაცვლოდ გვაძლევს ჩვენ სიბრძნეს, თავისი გზების ცოდნას და ღვთაებრივ რჩევებს.

იგავები 3:13–18 აღწერს თუ რა სარგებელი მოაქვს სიბრძნეს მთელს ჩვენს ცხოვრებაში:

**„ნეტარია ადამიანი სიბრძნის მპოვნელი და ადამიანი – ჭკუის მომხვეჭელი! რადგან მისი საზღაური ვერცხლის საზღაურს სჯობს და მისი მოსავალი – წმიდა ოქროს. ის მარგალიტებზე ძვირფასია და არანაირი შენი სანადელი არ შეედრება მას. დღეგრძელობა მის მარჯვენაშია, მის მარცხენაში – სიმდიდრე და პატივი. მისი გზები საამური გზებია და მისი ყველა ბილიკი მშვიდობაა. სიცოცხლის ხეა ის მათთვის, ვინც ეჭიდება მას და მას მინდობილი ნეტარნი არიან.“**

ვერცერთმა წიგნმა ვერ შეძლო იმის გადმოცემა, თუ რამდენად მშვენიერი და სასურველია ღმერთის სიბრძნე. იგი ძვირფასი განძია, რომლის პოვნაც თითოეულ ჩვენგანს შეუძლია.

## იბრძოლე როგორც ძალმა

მე ძალიან მაღლიერი ვარ ღმერთის ყველაფრისათვის, რომ არ არის აუცილებელი იყო უკიდურესად ნიჭიერი ან კარგად განათლებული ადამიანი, რომ მიიღო სიბრძნე. თუ დაუფჯერებთ იაკობის წერილს, ღმერთი აძლევს სიბრძნეს ყველას, ვინც უბრალოებაში სთხოვს მას ამის შესახებ:

**„თუ რომელიმე თქვენგანს აკლია სიბრძნე, სთხოვოს ღმერთს, ყველასათვის უხვად და დაუყვედრებლად გამცემს, და მიეცემა. რწმენით და ეჭვის გარეშე სთხოვოს, რადგან ეჭვიანი ჰგავს ზღვის ტალღას, ქარისაგან აღძრულსა და მიმოტაცებულს.“ (1:5-6)**

მოდით ვთხოვოთ ღმერთს ამ საგანძურისთვის და ვიყოთ მგრძნობიარენი ნებისმიერი ცვლილებებისადმი, რომელთა გაკეთებამაც შეიძლება მოგვიწიოს.

### ზეციერო მამა,

დღეს ყურებს ვხსნი სიბრძნისადმი, ხოლო გულს — გონიერებისადმი. მინდა ვიყო ისეთი ქალი, რომელიც იყენებს სიბრძნეს აქ, დედამინაზე. მე ვეძახი სიბრძნეს ჩემს დას. გახსენი ჩემი სმენა და გული, რათა შევძლო შენი დარიგებების მოსმენა. ახლავე დამანახე ის ცვლილებები შენი სულიწმიდის მეშვეობით, რომლებიც უნდა მოვახდინო ჩემს ცხოვრებაში. მინდა ჩავეჭიდო სიცოცხლეს და შენს სიტყვას და ხელი გაეშვა ყველაფერს, რასაც შეუძლია სიკვდილამდე და იმედგაცრუებამდე მიმიყვანოს. ხელს ვუშვებ სიმწარეს, უპატიებლობას, მრისხანებას, ტკივილს, ეჭვიანობას, სიძულვილს, ამაოებას და წარსულ იმედგაცრუებებს.

გადმოღვარე შენი ჭეშმარიტების სინათლე ჩემი ცხოვრების მკვდარ სფეროებზე. მე ვლებულობ გადაწყვეტილებას ვხელმძღვანელობდე ჩემს ცხოვრებაში სიბრძნით. მინდა დავდიოდე სიბრძნის გზებით და არ გადავუხვიო უგუნურების გზაზე. მცხე მე სიბრძნის სიმდიდრითა და პატივით, და დამეხმარე გავხდე სიცოცხლის ხის მსგავსი ყველა იმ ადამიანისთვის, რომელიც მეხება მე. ვიცი, იმისათვის, რომ ეს ცვლილებები მოხდეს, აუცილებელია უფლის შიში ჩემი ცხოვრების ნაწილად ვაქციო. ზეციერო მამავ, ამავეს მე წმიდა შიშით სულიწმიდის მეშვეობით. მე ვლებულობ გადაწყვეტილებას ვუარყო ბოროტება და შევიმოსო გონიერებით. ამინ.

## თავი მერვე

### უიგოსათი გაღლით და დიდებით

ჩვენ გავიღვიძეთ და ახლა ვაცნობიერებთ საკუთარი გავლენის ძალას. ჩვენს ქალურ უნარს უნდა ვკუთრავდეთ მინიერი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში. ჩნდება კითხვა: როგორ გამოვიყენოთ ეფექტურად ჩვენთვის ბოძებული ნიჭები ქვეყნიერებაზე, რომელსაც ასე სჭირდება ისინი? ამ თავში მინდა მეტად კონკრეტულად შევჩერდე იმაზე, თუ როგორ შეუძლია ქალს მიიღოს და შემდეგში გამოიყენოს ისეთი ნიჭი, როგორიცაა პატივი. ვფიქრობ ზებუნებრივი ცვლილებები ხდება, როცა ქალები იყენებენ ამ უნიკალურ თვისებას. შესაძლოა, თქვენ არც კი იცოდით, რომ შეგიძლიათ დაეუფლოთ ასეთ საგანძურს, როგორიცაა პატივი. ამ ნიჭს შეუძლია ბევრი სარგებლის მოტანა. შესაძლოა, არც გაგიცნობიერებიათ, რომ ბიბლია გეძახით თქვენ „მამაკაცის ღირსებას და დიდებას.“ მოდით თავიდან ჯერ განვიხილოთ რა იგულისხმება „ქმრის დიდება“-ში:

#### **„ცოლი კი ქმრის დიდება.“ (1 კორ. 11:7)**

თუ ვინმემ გითხრათ, რომ „ქმრის დიდება“ ხართ — ეს ძალიან დიდი კომპლიმენტია. აქ საუბარი მიდის თქვენს როლზე ურთიერთობებში. ეს არ არის უბრალოდ თქვენი მნიშვნელოვნების შეფასება; ეს თქვენი უნიკალური როლის ახსნაა. ისევე როგორც მამაკაცი მთელი თავისი ბუნებით აირეკლავს ძალას, ასევე ქალიც არის სილამაზის ანარეკლი ყველა მისი სხვადასხვა ფორმით. სანამ თქვენ შეიქმნით თქვენს აზრს ამ საკითხთან დაკავშირებით მოდით ეს სიტყვები ორი ჭეშმარიტების სინათლეზე განვიხილოთ: (1) ქალად ყოფნა — არ არის პრობლემა, არამედ პასუხია პრობლემაზე; (2) იმაში, რომ ქალი „ქმრის დიდება“ საერთოდ არ იგულისხმება ის, რომ მისი როლი უმნიშვნელოა ან მისი ნვლილი საერთო საქმეში მცირეა. პირიქით, ამით გამოიკვეთება ქალის ფასეულობა და პატივი.

ჩვენ უნდა განვიხილავდეთ ღმერთის სიტყვას გამოსყიდვისა და ხსნის სინათლეზე, და არა დამახინჯებულად ცოდვით დაცე-

## იზრძოლე როგორც ძალმა

მის სინათლეზე. ეს იგი, რა არის „დიდება“? დიდებაში იგულისხმება განდიდებულობა, ბრწყინვალეობა, სილამაზე და საოცრება. ქალები საუკეთესოდ წარმოადგენენ ამ თვისებებს მამაკაცებისა და ქალებს შორის ურთიერთობებში. შემდეგ, იგივე წერილში პავლე აღწერს ამ დიდებას როგორც სილამაზეს, რომელიც გამოიწვევს ადამიანში სასიამოვნო გაცემის და სიხარულის გრძნობას. განა ეს სიტყვები სრულყოფილად არ აღწერენ ადამის რეაქციას, როდესაც მან პირველად იხილა ევა? მისმა გამოჩენამ გააოგნა იგი. ქალი იყო იმის განსახიერება, რასაც იგი ასე დიდ ხანს ეძებდა, მაგრამ ვერ პოულობდა ვერც საკუთარ თავში და ვერც გარშემომყოფებში.

მაშინ რატომ ვიყენებდით ღმერთის სიტყვას, რომელიც აღწერს მშვენიერ ურთიერთობებს მამაკაცსა და ქალს შორის, იმისათვის, რომ დაგვემცირებინა ქალის ფასეულობა და იგი მამაკაცის ჩრდილში მოგვექცია? როგორც მანამდე ვისაუბრეთ, ჩვენ გვყავს მტერი, რომელსაც არ სურს, რომ მამაკაცებს და ქალებს ჰქონდეთ ჯანსაღი ურთიერთობები და ავსებდნენ ერთმანეთს. მას ესმის, რომ თუ ჩვენ მივხვდებით ამ ჭეშმარიტებას, იგი ველარ შეძლებს ჩვენს გაყოფას. მას სურს, რომ კონფლიქტი სქესებს შორის, ძალაუფლებისა და პოზიციისადმი არ ცხრებოდეს. გველი კვლავ ცდილობს ჩვენს შორის ტყუილის კედლის აშენებას, ცდილობს რა დაამახინჯოს ჩვენს მიერ მოსმენილი. როცა კედელს ეჯახება, გამოცხადება კარგავს ჩვენს თვალში თავის სიღრმესა და მიმზიდველობას. სინამდვილეში კი მხოლოდ ჭეშმარიტებას შეუძლია გათავისუფლების მოტანა. თუ მამაკაცები და ქალები გაიგონებენ ამ ჭეშმარიტებას მის სრულ არსში და დაინყებენ ერთმანეთის დაფასებას და შევსებას, მაშინ ყველაფერი, რასაც არ უნდა შეეხონ, აყვავდება.

**„ვინაიდან მამაკაცი კი არ არის დედაკაცისაგან, არამედ დედაკაცი – მამაკაცისაგან. ასევე მამაკაცი კი არ შექმნილა დედაკაცის გულისათვის, არამედ დედაკაცი – მამაკაცის გულისათვის.“ (1 კორინთელთა 11:8-9)**

ეს სიტყვები გამოხატავენ მამაკაცებისთვის ქალების საჭიროებას. ჩვენ შეგვაქვს მნიშვნელოვნება და აზრი მათი ცხოვრების ყოველ სფეროში. ქალები შექმნილია ღმერთის ხატად, მაგრამ მათი დიდება საერთოდ არ მდგომარეობს იმაში, რაშიც მამაკაცების დიდება. მამაკაცები და ქალები თანასწორნი არიან, მაგრამ ვერ ჩაანაცვლებენ ერთმანეთს. ჩვენ არ ვიყა-

## შეიმოსეთ მაღლით და დიდებით

ვით შექმნილნი პირველები, სამაგიეროდ ვიქეცით ქმნილების უკანასკნელ წერტილად და გვირგვინად. მამაკაცი შეიქმნა მიწის მტვერისაგან, ხოლო ქალი მეტად საოცრებრივად, რათა დახმარებოდა მას ედემში მართვის საქმეებში.

ბიბლიაში არ არის ნათქვამი, რომ ქალს არ აქვს უფლება მოაწყოს საკუთარი ცხოვრება, მასში მხოლოდ ის არის ნათქვამი, რომ არ არის კარგი მამაკაცისთვის იყოს მარტო. ევა იყო მამაკაცის დამატება, ყველაფერი ის, რაც მას აკლდა. ნურასოდეს დააყენებთ ეჭვის ქვეშ და ნუ დააკნინებთ ამ როლის მნიშვნელოვნებას! მახსოვს, როცა ჯონმა შემომთავაზა რომ გავყოლოდი ცოლად, თავი ისე ვიგრძენი, თითქოს იგი მნიშვნელოვან საქმეს მავალეზდა. „ჩემი ცხოვრების დანიშნულება მდგომარეობს ამაში და ამაში, - მიხსნიდა ის. - აი რითი დავკავდები - გინდა დამეხმარო?“ მე შევძრუნდი. ნუთუ სულ ეს არის, რა მომეთხოვება? ნუთუ მხოლოდ ეს შემიძლია? სად არის ის სწრაფვა და რომანტიკა, რომელიც უნდა ახლავდეს ცოლად გაყოლის შემთავაზებას? ჯონმა მთხოვა არ მეპასუხა მისთვის პირდაპირ მაშინვე, მეც ამიტომაც მოვიქეცი ასე. თითქმის მთელი ღამე ვიტირე და ვკითხულობდი: „ღმერთო, რა მემართება?“ და გავიგონე, როგორ მითხრა სულიწმიდამ: „შენ ის ხარ, რაც ჯონს ძალიან აკლია.“ ვიფიქრე: „მაშ რატომ არ ვხედავ ამას მისი საქციელიდან?!“ სამწუხაროდ იმ დროს მე უიმედოდ ბრმა ვიყავი. მას ძლიერ ვუყვარდი — უბრალოდ არ იცოდა, როგორ გამოეხატა ეს. ახლა ჩვენი ერთად ცხოვრების ოცდახუთი წლის შემდეგ, იგი კვლავინდებურად ბრწყინავს სიხარულისაგან, როცა მე მხედავს. რატომ? იმიტომ, რომ მე მისი დიდება ვარ.

## აღმატება თუ არა მამაკაცის დიდება ქალისას?

აკნინებს თუ არა ჩვენს ღირსებას ის, რომ პავლე მამაკაცებს ღმერთის დიდებას ეძახის 1 კორინთელთა 11:7-ში?

**„ის ღვთის ხატება და დიდებაა.“**

იყენებს ღმერთი თავის მამაკაცებთან ურთიერთობების ძალას იმისათვის, რომ მათ აღმატებული პოზიცია მიანიჭოს ცხოვრებაში? არა, ეს სიტყვები უბრალოდ მიანიშნებენ ღმერ-

## იზრძოლე როგორც ძალმა

თსა და მამაკაცის შორის ურთიერთობების პირველობაზე. ღმერთი უყურებს თავის მშვენიერ ქმნილებას, მამაკაცებს, და ელიმება! ხოლო, როცა იგი გიყურებთ თქვენ, ასულებო, აღფრთოვანებულია! ასევე მამაკაციც, როცა ხედავს ქალის დიდებულებას, არ შეუძლია თვალი მონყვიტოს. დომინირებს კი სიყვარული თავისი სიყვარულის ობიექტზე? მხოლოდ უგუნურ მამაკაცს შეუძლია დაივიწყოს რომ ქალი შედარებულია გვირგვინს მის თავზე. ბიბლიაში ნახსენებია ორი რამ დიდებასთან დაკავშირებით. პირველი — ეს ადამიანების და ღმერთს შორის ურთიერთობების დიდებაა. მეორე — მამაკაცებსა და ქალებს შორის ურთიერთობების დიდებაა. მეფსალმუნე დავითი როცა აღტაცებული იყო ღმერთის დამოკიდებულებით მის დიდებასთან, ადამიანთან, სვავდა რიტორიკულ კითხვას:

**„რა არის კაცი, რომ იხსენებ?“ (ფსალმუნი 8:5)**

მომდევნო მუხლში, დავითი პასუხობს მისსავე კითხვას და ადგენს ქმნილების სწორ იერარქიას:

**„ბევრად არ დაგიმცირებია იგი ანგელოზებზე; დიდება და ღირსება დაადგი გვირგვინად.“ (მუხლი 6)**

როცა ქმნილებას უყურებდა დავითი ყველაზე მეტად გაცებული იყო ღმერთის დამოკიდებულებით ჩვენდამი. ის, რომ ღმერთმა მიწის მტვერი დაამშვენა პატივითა და დიდებით, რაც წარმოუდგენელი იყო ამ ღმერთის თაყვანისმცემელი მეფისთვის. მთელი კაცობრიობა აირეკლავს ღმერთის დიდებასა და პატივს. იგივენაირად ქალი ირეკლავს მამაკაცის დიდებას, ამშვენებს რა მას საკუთარი თავით. არ მინდა ჩავება ღრმა თეოლოგიურ მსჯელობებში, მაგრამ მეჩვენება, რომ ეს ცოტათი მაინც ნიშნავს იმას, რომ ქალი ირეკლავს ყველა იმ თვისებას, რომლებსაც ისურვებდა მამაკაცი თავისთვის. მაგრამ წმიდა წერილი ასევე საუბრობს საფრთხის შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, თუ მამაკაცი და ქალები სათანადოდ ვერ დააფასებენ ადამიანის შექმნის მნიშვნელოვნებას, რომელიც გამოყოფილია ღმერთის დიდებისთვის. იაკობის წერილი გვაფრთხილებს ამგვარი კონფლიქტის წარმოქმნის შესაძლებლობაზე:

შეიმოსეთ მაღლით და დიდებით

**„მით (ენით) ვაკურთხებთ ღმერთსა და მამას და მით ვწყევ-  
ლით ღვთის ხატად შექმნილ ადამიანებს.“ (3:9)**

ჩვენ უნდა ვაკურთხებდეთ ღმერთს, ასევე იმასაც, რასაც იგი აკურთხებს. თუ ჩვენ ღმერთის ქმნილების გვირგვინი ვართ, მაშინ რატომ გვინდა ასე ძლიერ ერთმანეთის დამცირება და ერთმანეთზე ბატონობა? ასე მოქცევით განა არ ვენინააღმდეგებით ღმერთის მიერ მოცემულ დანიშნულებას მამაკაცისა და ქალისადმი? თუ მამაკაცებს არ უყვართ ქალები და არ ზრუნავენ მათზე, ისინი საკუთარ თავს ავენებენ (ეფეს. 5:28-29). ასევე, თუ ქალები არ აფასებენ და პატივს არ სცემენ მამაკაცებს, ისინი შედეგად ამცირებენ საკუთარ თავს. არ ვიცი, თქვენ როგორ, მაგრამ მე ნამდვილად არ მსურს ღმერთთან კამათი და კონფლიქტი. მე მინდა მივყვებოდე მის მიზნებს. მსურს ვაშენებდე და არა — ვანგრევდე მის ძეგლსა და ასულებს. მსურს ვამტკიცებდე კაცებსაც და ქალებსაც.

### **როგორ აღანთებენ ქალები ხედვას**

საოცარი რამ ხდება როცა ქალები ახლო ურთიერთობების ძიებაში მიისწრაფვიან მამაკაცებისკენ მათი ფიზიკური ძალით. ქალური ინტუიცია ეხმარება მათ ხედავდნენ მამაკაცებს არა ისეთებად, როგორებიც ახლა არიან, არამედ როგორებდაც შეიძლება ყოფილიყვნენ. ეს ხედვა აღანთებს მამაკაცებში გარკვეულ სწრაფვას სრულყოფილებისაკენ. ისინი ისწრაფვიან ისეთებად გახდნენ, როგორებდაც მათ ხედავენ ქალები. ასეთ სიტუაციაში მამაკაცი არჩევანის წინაშე დგება. ეჩვენება ეს მას, თუ მან თავისი მოსიყვარულე ცოლის, დედის, დის ან ქალიშვილის თვალებში შეამჩნია ისეთი მამაკაცის ხატება, როგორიც უნდა იყოს იგი? როცა იგი ქალს უყურებს თვალებში, ხედავს საკუთარ თავს ისეთად, როგორიც შეიძლება გახდეს. ღმერთი იწყებს შრომას ძმის, ვაჟის ან საქმროს გულზე. ამ დროს იწყება ადამისა და ევას ურთიერთობების ხატების აღდგინება. და მამაკაცს სურს გამოიყენოს მისთვის შემოთავაზებული შესაძლებლობა და აჩვენოს, თუ რა შეუძლია მას.

ჩვენ გვყავს მეგობრები, რომლებიც ღმერთმა აკურთხა სამი ვაჟით, შემდეგ კი აჩუქა მშვენიერი ქალიშვილი. სანამ იგი იზრდებოდა, მამამისის ცხოვრება უბრალოდ გარდაისახა. იგი გვიყვებოდა, როგორ გააღვიძა მასში გოგომ მზრუნველობა და სირბილე, რომლებიც თითქმის არ ვლინდებოდა მანამ, სანამ იგი ბიჭებს ზრდიდა.



## იზრძოლე როგორც ძალმა

ჩემს ბავშვობაში მამაჩემი არაერთხელ იქცეოდა უხეშად და მკაცრად დედაჩემისა და ჩემი ძმის მიმართ. მას უყვარდა საათობით ჯდომა თავის ძველ სავარძელში და სიგარეტის გაბოლებით უყურებდა ტელევიზორის ეკრანს ან კითხულობდა გაზეთს. იგი თითქოსდა კედლით შემოიღობავდა ხოლმე თავს, რითაც მიგვანიშნებდა: „თუმცა აქ კი ვარ, მაგრამ მაინც არ ვარ.“ და ძალიან ხშირად მივდიოდი ამ ავბედით სავარძელთან და მამაჩემს მუხლებში ვუძვრებოდი. იგი ხუმრობით ბუზღუნებდა, ხოლო მე თავს ვუდებდი მკერდზე და ინტერესით ვინყებდი მისი გაზეთის კითხვას ან გადაცემის ყურებას, რომელიც გადიოდა ტელევიზიით. ხანდახან უბრალოდ ვდუმდი. ჩემთან ყოფნით იგი ყოველთვის წყნარდებოდა და ხასიათზე მოდიოდა. მამას თითქოსდა უნდოდა ჩემთვის ეთქვა: „კი, მე ეს ძალიან მჭირდებოდა, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ მეთხოვა შენთვის ამის შესახებ.“ როცა იგი სახლში ბრუნდებოდა სამსახურიდან ცუდ ხასიათზე, სწორედ მე მაგზავნიდნენ მასთან, რომ ვახშმისთვის დამეძახა. მხოლოდ მე ვერ მიბედავდა ყვირილს, როცა ჩემი ხმა აღვიძებდა მას.

## სინაზით აღსავსე ხმა

მხოლოდ სინაზეს შეუძლია მამაკაცში გააღვიძოს რაღაც გამოუთქვლეველი გრძნობები. იგი ყველანაირად შეეცდება იყოს ფრთხილი, რათა შეგინახოთ ხელში და არ დაგაზიანოთ, როგორც ბროლის ნაკეთობა, რომელიც იცის, რომ საკმაოდ ძვირფასია და ამავდროულად მგრძნობიარე.

მინდა ვაღიარო, რომ სინაზის მეშვეობით საერთოდ არ ვცდილობდი ჯონის დახმარებას, რათა შეეცვლილიყო. მინდოდა მისი გარდაქმნა იმ ხატებად, რომლითაც დაიტერესებული ვიყავი, და არა დავხმარებოდი მას იმ ხატების შექმნაში, რომელსაც იგი ჩემს თვალში ხედავდა. როცა ორი ადამიანი ქორწინდება, ისინი დებენ კავშირს, რომლიდანაც შეიძლება წარმოიქმნას სიყვარული და სიცოცხლე. როცა კაცი მამა ხდება, მასში ინთება სურვილი აღზარდოს და დაიცვას თავისი ოჯახი. თუ იგი შვილის როლშია, მას ამოძრავებს სურვილი ახარებდეს მამას და დედას. თუ იგი ასრულებს ძმის როლს, მასში წარმოიქმნება მოთხოვნილება იცავდეს საკუთარ დას და გაიგოს მისი ქალური არსი.

მაგალითისთვის მინდა წარმოიდგინოთ მშვენიერი ქალიშვილი, რომელიც თავის მახვილს იწვდის იმის ნიშნად რომ რაინ-

## შეიმოსეთ მაღლით და დიდებით

დად აქციოს ახალგაზრდა კაცი, რომელიც მის წინაშე მუხლებზეა დაჩოქილი. იგი მუხლებზე დადგა უბრალო ადამიანად, ხოლო როცა ადგება უკვე რაინდი იქნება. რა ცვლილება ხდება მასში ამ დროს? რატომ უნდა დადგეს იგი ქალიშვილის წინაშე მუხლებზე?

ამ ქალიშვილმა რალაც უხილავი გადასცა ყმანვილს, რომელიც მის წინაშე მოდრიკა. იგი მუხლებზე იმიტომ დადგა, რომ ქალიშვილი განასახიერებს თავისში ყველა მის ოცნებას, იმედსა და მისწრაფებას. იგი იძლევა დაპირებას დაიცვას თავისი მახვილით და ძალით ყველაფერი, რაც მისი სულისთვის ძვირფასია. თუ ომი, აჯანყება ან რაიმე სტიქიური უბედურება მოხდება, იგი არ დაიშურებს საკუთარ თავს მისი სიცოცხლის დასაცავად. მან უგულვებლყო თავისი სიამაყე, რათა მეტად დიდებული ცხოვრებით ეცხოვრა, დაეცვა რა თავისი ქვეყანა, ასევე თავისი პატარძლის პატივი და სათნოება. მე მომწონს ეს სურათი. იგი გვიჩვენებს იმას, თუ როგორ შეუძლია ქალის სილამაზეს და სათნოებას უბიძგოს მამაკაცს იცხოვროს მეტად აღმატებული მიზნისთვის. ქალი აღვიძებს რა მამაკაცში ძალას თავისი სინაზით, შეიქმნება მის დიდებად.

ყმანვილს არ ეშინია მახვილის, თუ იგი ქალიშვილს უკავია. მახვილი მის ხელში არ არის იარაღი, არამედ ინსტრუმენტი, რომელსაც შეუძლია ყველაფრის შეცვლა. მახვილი განვდილია არა იმისათვის, რომ დააშინოს ყმანვილი, დაჭრას ან მოკლას იგი; მისი დანიშნულებაა — აამაღლოს რაინდი ყველას წინაშე. როცა იგი რაინდი ხდება, ახალ დონეზე აყავს, ხდის რა მის სახელს ცნობილს, რათა მას შეეძლოს სიამაყით გადასცეს იგი თავის შთამომავლებს. ყმანვილი რაინდად აქციეს და აამაღლეს. ეს იმას ნიშნავს, რომ მის სახელს მიანიჭეს მეტი დიდება. ამ მახვილის მეშვეობით ქალწული მოსავს მას ძალაუფლებით და ასევე იმით, რისი მიცემაც მხოლოდ მას შეუძლია: მეტად აღმატებული მიზნითა და ცხოვრების აზრით.

მახვილის პირი არ აყენებს მას ჭრილობას, როცა იგი ქალიშვილის ხელშია. იგი გრძნობს მის სიმძიმეს, როცა მისი ბრტყელი ზედაპირი ჯერ ერთ და შემდეგ მეორე მხარს ეხება. ამ საზეიმო აქტის წყალობით იგი აჯილდოებს მას ძალაუფლებითა და სახელით და იზიარებს პასუხისმგებლობასა და პატივს რათა ატაროს მახვილი.

## იბრძოლე როგორც ძალმა

### ჯილდოს ღირსი ცხოვრება

რაინდებს ანიჭებდნენ მახვილის ტარების უფლებას მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩატარდებოდა მიძღვნის ცერემონია, და მხოლოდ მაშინ, როცა მისი ცხოვრება შეესაბამებოდა რაინდთა კოდექსის მოთხოვნებს. ამ კოდექსში ნათქვამი იყო, თუ რას ნიშნავს სამართლიანობის დაცვა. რაინდისადმი ძირითადი მოთხოვნილება იყო სამეფოს და ყველა მისი მაცხოვრებლის დაცვა. სარტყელზე მახვილის ტარებით, რაინდი განასახიერებდა თავისი მეფის დიდებასა და ძალაუფლებას. იგი ემსახურებოდა თავის ბატონს, იცავდა სამშობლოს უსამართლობისა და უკანონობისაგან. რაინდს თვალისჩინივით უნდა დაეცვა თავისი მახვილი, რადგან მის ხელში იგი უცვლელად იყო მისთვის მინიჭებული ძალაუფლების სიმბოლო. ამ ფეოდალური დროების წეს-ჩვეულებებში გამოხატულია სამეფოს პრინციპი. სწორედ ამიტომ იყო რაინდი ვალდებული მტკიცედ დაეცვა მის მიერ დადებული ფიცი, რათა მის ხელში მახვილი არ ყოფილიყო გამოყენებული საკუთარი ინტერესებისთვის.

**„ვინაიდან იგი ღვთის მსახურია შენდა სასიკეთოდ. მაგრამ თუ ბოროტებას იქმ, გეშინოდეს, რადგან ტყუილად როდი ატარებს მახვილს. ის ღვთის მსახურია და რისხვით შურისმაძიებელი ბოროტმოქმედზე.“ (რომაელთა 13:4)**

მიუხედავად ამ პირობებისა, ყოველთვის აღმოჩნდებოდნენ ხოლმე ისეთები, რომლებიც მახვილს უღირსად ატარებდნენ. ისინი არ ემორჩილებოდნენ ღირსების კოდექსის დადგენილებებს, სხვა არაფერი რომ აღარა ვთქვათ ღმერთის სიტყვაზე. მათ არ ჰქონდათ არანაირი რეალური ძალაუფლება ან ნოდება, რადგან მათ არ მიუძღვნიათ თავი ქვეშაობისათვის, არამედ ცხოვრობდნენ საკუთარი ამბიციების აღმის ქვეშ, და აამებდნენ საკუთარ თავს. მათთვის უცხო იყო ერთგულება და პატრიოტიზმი, რადგან ეს თვისებები ითხოვენ მეფის და მისი კანონების მორჩილებას. მათთვის ჯანყი თავისუფლებაა, ხოლო მორჩილება — ტვირთი. მათ აიჩიეს შემოვლითი გზა და სიცრუის მეშვეობით შეიძინეს ის მახვილი, რომლითაც წესით დაჯილდოვებულნი უნდა ყოფილიყვნენ.

მაგრამ არსებობს მახვილი, რომლის მიღებაც შეუძლებელია მოტყუებით, რადგან იგი ცოცხალია.

შეიმოსეთ მაღლით და დიდებით

### ცოცხალი მახვილი

**„ვინაიდან ღვთის სიტყვა არის ცოცხალი, მოქმედი და ყოველგვარ ორლესულ მახვილზე უფრო ბასრი, და აღწევს სამშვივნელისა და სულის, სახსართა და ტვინთა გაყოფის ადგილამდე და განიკითხავს გულის აზრებსა და ყოველგვარ ზრახვებს.“ (ებრაელთა 4:12)**

კაცებსაც და ქალებსაც გადაეცათ ეს საჩუქარი, „სულის მახვილი, რომელიც არის ღვთის სიტყვა“ (ეფესელთა 6:17). იგი არა მხოლოდ დიდებული იარაღია, მას ასევე შეუძლია ჩვენი ნამდვილი ფიქრების და ზრახვების გამომჟღავნება. ღმერთის სამეფოში დიდი მნიშვნელობა გააჩნია ადამიანის გულის მოტივებს (1 კორინთელთა 13). ჩვენი რეაქცია ღმერთის სიტყვის ჭეშმარიტებაზე ხშირად მოწმობს ჩვენს მოტივებზე. ღმერთის სამეფოში სწორედ სიბრძნე გარდაქმნის ღმერთის ძეებს და ასულებს რაინდებად და ანიჭებს მათ ძალას.

**„თუ რომელიმე თქვენგანს აკლია სიბრძნე, სთხოვოს ღმერთს, ყველასათვის უხვად და დაუყვედრებლად გამცემს, და მიეცემა.“ (იაკობი 1:5)**

სიბრძნე ჩვენი რეაქციაა ღმერთის სიტყვასა და სხვა ადამიანების სიტყვაზე. იგი ყველასათვის ხელმისაწვდომია, ვინც მას რწმენით ითხოვს. მათ, ვისაც ამ წუთისოფელში ძალაუფლება აქვთ მიცემული, იმყოფებიან სიბრძნის ძალაუფლების ქვეშ. მათ ესმით, რომ ყოველი ძალაუფლება ადამიანებს ღმერთისგან ეძლევათ. საკუთარი ცხოვრების ღმერთისადმი მინდობით, ჩვენ მისი მფარველობის ქვეშ აღმოვჩნდებით. მახვილი იცავს ყველას, ვინც თავშესაფარს და უსაფრთხოებას ეძებს მისი მფლობელისგან. და პირიქით: თუ ჩვენ არ ვემორჩილებით ღმერთის სიტყვას, მალევე აღმოვაჩენთ, რომ მახვილი მომართულია ჩვენს საწინააღმდეგოთ. არიან ადამიანები, რომლებიც იყენებენ ღმერთის სიტყვას საკუთარი თავის საამებლად და არა ღმერთის სამეფოს გასავრცელებლად. ისინი იქნევენ ღმერთის სიტყვის მახვილს და აქცევენ მას რჯულის მკვდარ ასოდ, რომელიც ანადგურებს ადამიანების სულს და უჭრის სამშვივნელს.

**„ასო კლავს, სული კი აცოცხლებს.“ (2 კორ. 3:6)**

## იბრძოლე როგორც ქალმა

ღმერთის სიტყვის მახვილი ორლესულია. არაერთხელ ვყოფილვარ იმის მოწმე, რომ მას იყენებდნენ არა დანიშნულებისამებრ, როცა საუბარი მიდიოდა ურთიერთობებზე ქალებსა და კაცებს შორის. ამ შემთხვევებში ან მამაკაცები წამოსწევდნენ საკუთარ თავს ქალების ხარჯზე, ან ქალები ამცირებდნენ მამაკაცებს სიბრაზისა და წყენის გამო. ხშირად შეიძლება შემდეგი ფრაზების გაგონება: „ქალებო, იცოდეთ თქვენი ადგილი!“ ან „კაცებო, თქვენი ჯერი დადგა!“ როდესაც მახვილი გამოიყენება დანიშნულებისამებრ, იგი ყოველთვის იცავს სამართლიანობას და ადამიანების სიცოცხლეს. მაგრამ როცა კანონი მოქმედებაში მოდის იმ ადამიანების მიერ, რომელთაც არ აქვთ მეფის გული, მახვილს სიკვდილი მოაქვს სამეფოს დაქვემდებარებაში მყოფთათვის. როცა ქალებს ასწავლიან ორივე სქესის წარმომადგენლებზე საზოგადოებაში, ღმერთის სიტყვას ხშირად იყენებენ როგორც რჯულის ასოს და არა როგორც სულიწმიდის გამოცხადებას, რომელსაც მოაქვს სიცოცხლე მსმენელთათვის. ხშირად წმიდა წერილი გამოიყენება კანონების ჩამონათვალის სახით, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ქალების პრობლემატური ქცევის რეგულირება, და არა მრჩეველის სახით თუ როგორ უნდა ექცეოდნენ მამაკაცები და ქალები ერთმანეთს სწორად.

**„თუმცა არც ქმარია ცოლის გარეშე და არც ცოლია ქმრის გარეშე უფალში. ვინაიდან ისევე როგორც დედაკაცი მამაკაცისაგან არის, მამაკაციც დედაკაცის მეოხებით არის, ხოლო ყოველივე ღვთისაგან არის.“ (1 კორინთელთა 11:11-12)**

ყურადღება მიაქციეთ სიტყვებს „უფლის წინაშე“. ეს აგვარებს ყველა სადაო კითხვას. ღმერთის წინაშე ქალებიც და კაცებიც ერთმანეთზე არიან დამოკიდებულნი და უშუალოდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულები. რატომ? იმიტომ, რომ მამაკაცებიც და ქალებიც თავდაპირველად ღმერთის მიერ იქნენ შემნილნი. მამაკაცები და ქალები ერთმანეთს უნდა ავსებდნენ და დამოკიდებულები უნდა იყვნენ ერთმანეთზე. უფლის თვალში ქალი არა უბრალოდ მამაკაცის დიდებაა, იგი ასევე მისთვის ღმერთის კურთხევაცაა.

**„ვინც კარგი ცოლი ჰქოვა, მან სიკეთე ჰქოვა და უფლისაგან მადლი მოიხვეჭა.“ (იგავები 18:22)**

შეიმოსეთ მაღლით და დიდებით  
**როგორ აკურთხებს ღმერთი თავის ასულებს**

შეუძლებელია ვერ შეამჩნიო რამდენად ძლიერ ზრუნავს ღმერთი ჩვენზე. ჩვენი უფალი საოცარია, რადგან ახლაც კი ის იღებს თავისი სიტყვის მახვილს რათა დაიცვას თავისი ასულები. ის მახვილი, რომელიც ადრე ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენებოდა, უფალი იყენებს ჩვენს სასიკეთოდ.

**„სიმართლეს იქმს უფალი და სამართალს ყოფს ყველა ჩაგრულთათვის.“ (ფსალმუნი 102:6)**

ღმერთის ასულები მოწოდებულნი არიან იბრძოდნენ სიმართლისთვის. სასამართლოს ხშირად გამოაქვს ერთი ან საპირისპირო განაჩენი. მხოლოდ ერთ ღმერთს შეუძლია ამგვარი სამართლიანი გადანყვებილების მიღება. ადამიანების ცხოვრება, რომელთაც გადაიტანეს შევიწროება და შიში, აღივსებიან უფრო დიდი კურთხევებით, როცა ღმერთი დაიწყებს საკუთარი სიმართლის აღსრულებას. იგი ერთგულია თავისი აღთქმისა, რომ მარადიულად ვეყვარებით და ჩუქნის თავის შვილებს სიბრძნეს და ღირსეულ ადგილს საზოგადოებაში. ჩვენ ვხედავთ თუ როგორ იმოსებიან მამაკაცები და ქალები მთელს მსოფლიოში მის ძალაში ერთმანეთის სასიკეთოდ, ნაცვლად იმისა, რომ საკუთარ იარაღს ერთმანეთის წინააღმდეგ იყენებდნენ.

უნდა მოვექცეთ სხვებს იგივენაირად, როგორც ისინი მოგვექცნენ ჩვენ, თუ უნდა ვიხელმძღვანელოთ საკუთარი სიმართლით? უნდა ვამცირებდეთ სხვებს, იმის გამო რომ მათ თავად დაგვამცირეს ოდესღაც? არა, ახლა დადგა დრო რომ ყველაფერი გადავცეთ ღმერთს ხელში. ჩვენთვის, ქალებისთვის, დადგა დრო მამაკაცები რაინდებად ვაქციოთ, მივანდოთ რა მათ საკუთარი ღირსება და საკუთარი ტიტულები. არავის შეუძლია წაგვართვას ღირსება ძალით, რადგან ჩვენ სარას ასულების სამეფო შტოს ვეკუთვნით. ჩვენ მოწოდებულნი ვართ მსგავსი პატივი მივაგოთ იესოს, ჩვენს საყვარელ მეფეს, რადგან მხოლოდ ჩვენ გვაქვს მოცემული დავადგათ ეს გვირგვინი მას თავზე. მან პატივი გვარგუნა ვინოდებოდეთ მისი მეფური სახელით, ხოლო ჩვენ უბრალოდ ვუბრუნებთ მას იმ პატივს და დიდებას, რომელიც მან უკვე დაიმსახურა. ქალებს მიენდოთ მისია — ამშვენებდნენ ქრისტეს სხეულს როგორც საპატარძლოს ჩვენი უფლის დაბრუნებისთვის.

## იბრძოლე როგორც ძალმა

მიმოიხედეთ ირგვლივ: ქალები — ისეთები როგორებადაც იყვნენ შექმნილნი, აღდგებიან მთელს მსოფლიოში ღმერთის სიყვარულისა და ჭეშმარიტების გაცხადებით და დაიბრუნებენ დაკარგულ დიდებას. მე ვარ პასუხი. მე ბრძენი და მშვენიერი ვარ. სხვებს უნდა გადავცე ჩემი ღირსება და დიდება. მე ვარ ყოვლისშემძლე ღმერთის ასული, რომელიც სხვებში გამოიწვევს აღტაცებასა და გაკვირვებას.

### **ზეციერო მამავ,**

მოვდივარ შენთან იესოს სახელით და მადლობას გიხდის პრივილეგიისა და პასუხისმგებლობისთვის შევიმოსო შენს ღირსებასა და დიდებაში. მსურს მომქონდეს კურთხევა ყველა ადამიანის ცხოვრებაში, ვისაც ვეხები. მინდა ვირეკლავდე შენს სილამაზესა და დიდებულებას, წარმოვაჩინდე ზეცის მშვენიერებას დედამიწაზე. მე გამოვიყენებ ღმერთის სიტყვის მახვილს, რათა გადავცე სხვებს ღირსება და დიდება. ჩემი სიტყვებით აღვძრავ უბრალო ადამიანებში ამაღლებულ სულს. მე გავყვები შენს გეგმას და ვნახავ, თუ როგორ აღავსებს შენი ძალა დედამიწას წყლების მსგავსად, რომლებიც ოკეანეს ავსებენ. წამომწიე და გამაძლიერე, შენი მეფური ასული, იესოს სახელით. ამინ.

## თავი მეცხრა

### რაში ვდგომარეობს სიყვარულის ძალა?

ფილმები იქცა ჩვენთვის დროის ჩვეულად გატარების საშუალებად, ხოლო სასიყვარულო ისტორიები საყვარელ თემად. სავსებით შესაძლებელია, რომ კინო იქცეს ხელოვნების ერთადერთ სახეობად, რომელსაც შეუძლია გააღვიძოს ჩვენს მძინარე საზოგადოებაში შებრალების და თანაგრძნობის შეგრძნება. ღმერთს არაფერი აქვს ამ ხელოვნების სახეობის სანინააღმდეგო. მას უხარია კიდევაც, თუ გამოსდის ასეთი შემოქმედებითი მიდგომის შემვეობით დაიბრუნოს დაკარგული შვილები.

ხელოვნების ზეგავლენის ქვეშ ადამიანის გული შეიძლება ცოტა ხნით გასცდეს გარშემო სამყაროს ფარგლებს. ფილმები მიმართავენ პირდაპირ ადამიანის გონებას, და იყენებენ ამისათვის გულის ენას. მათში ჩადებული უწყება აღწევს ჩვენს სულს, მიუხედავად იმისა, ჩადებული იქნება მასში აღსაშენებელი თუ დამანგრეველი იდეა. ფილმებს აქვთ ძალა აღძრან ჩვენში ღრმა შიშები და გააღვიძონ დიდი ხნის დავინწყებული ოცნებები.

მაგრან ღმერთს შეუძლია შეახამოს კარგი სიუჟეტი, შთამბეჭდავი რეჟისურა და ნიჭიერი მუსიკა თავისი ჭეშმარიტების გამოსაცხადებლად და გასავრცელებლად. უგუნურები უნდა ვიყოთ რომ არ გვესმოდეს თუ როგორ შეჰღალადებს ჩვენი საზოგადოება იმედზე, სიყვარულსა და ბედნიერებაზე. შესაძლებელია რომ სამივე ხელმისაწვდომი იყოს ჩვენთვის კინოფილმების დადგმების საშუალებით, რომლებიც ისეთი დიდი სულიერი სიღრმით არის აღსავსე, რომლის გადმოცემაც ძნელია მხოლოდ სიტყვებით.

ჩვენ ვხვდებით რომ კინოს კონცეპციაში არ არის არაფერი ახალი, როცა ვაცნობიერებთ, რომ ყოველი ადამიანის ცხოვრება — ცალკეული ისტორიაა, რომლის ყველა ეპოზოდიც ჩანერილია ზეციერ ნიგნში. ღმერთმა გაგხადათ თქვენ თავისი დიდებული ეპოპეის მონაწილედ. და თქვენი ისტორია არ არის



## იბრძოლე რომორც ძალმა

უბრალოდ ცხოვრება რომელიდაც ცალკედ აღებული ქალისა ან ქრისტიანული თემისა, – ეს არის ცხოვრების აზრის და დანიშნულების საკითხი.

**„ჩემი ჩანასახი იხილეს შენმა თვალებმა და შენს წიგნშია ჩანერილი დღენი ჩემი მომავლისა, როცა ჯერ არ იყო არც ერთი მათგანი.“ (ფსალ. 138:16)**

### ჩვენ თავად ვართ ჩვენი ცხოვრების ისტორიის ავტორები

ასულო, რომელ ისტორიას მოგვიყვებოდით? დედა, რა მემკვიდრეობას დაუტოვებ შენს შვილებს? საყვარელო, როგორია შენი სიყვარულის ისტორია? ჩემს შვილებში არის რაღაც არაჩვეულებრივი. ამას ვხედავ ნაპერწკლებით მათ თვალებში. მე ვგრძნობ ამას მუსიკაში, რომელსაც ისინი უსმენენ. მინდა ველაპარაკო მათ განვლილი წლების სიმალლიდან ისე, რომ მიგებდნენ. მხოლოდ სიყვარულს შეუძლია გადალახოს დროის შეზღუდვები.

თუმცა არცერთ ჩვენთაგანს შეუძლია თავისით გადაწყვიტოს თუ როგორ დაიწყება მისი ისტორია, მაგრამ ჩვენს ძალებში შედის რომ გავლენა მოვახდინოთ იმაზე, თუ როგორ დასრულდება იგი. ნურასოდეს დაეჭვდებით, ამჟამად მიმდინარეობს ბრძოლა იმისათვის, თუ როგორ დასრულდეს თქვენი ცხოვრება. ხშირ შემთხვევებში „ჰეფი-ენდი“ (ბედნიერი დასასრული) დგება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბოროტებასთან ბრძოლა მოგებულ იქნა. ჩვენს ქვეყანაზე აუცილებელია იბრძოლო ყველაზე უმნიშვნელო წვრილმანებისთვისაც. ყოველი დღე შეიძლება შევადაროთ სუფთა ფურცელს. ჩვენ თავად ვართ ჩვენი ცხოვრების ავტორები, რომლებიც ვწერთ ჩვენს ისტორიას წარმოთქმული სიტყვებისა და მიღებული გადაწყვეტილებების მეშვეობით. ეს ერთერთი მიზეზია, თუ რატომაც ახდენენ ჩვენზე სხვა ადამიანების ცხოვრების ეკრანიზირებული ისტორიები დაუფინყარ შთაბეჭდილებას.

თავისი მინიერი ცხოვრების პერიოდში, იესო ისტორიების მოყოლის ოსტატი იყო. იგი მარადიულ უწყებებს ფუთავდა დასურათებულ სიტყვებში. იგავების და ცხოვრებისეული შემთხვევების გამოყენებით იესო ასწავლიდა თავის მსმენელებს გაკვეთილებს მამამისის სამეფოს შესახებ. მას სურდა მიეტანა ადამიანებამდე თავისი სწავლება ცხოვრებისეული, მათთვის

## რაში მდგომარეობს სიყვარულის ძალა?

გასაგები ილუსტრაციებით. აბსტრაქტული ჭეშმარიტებები მის ბაგეებში გარდაიქმნებოდა გასაგებ, სასიამოვნოდ მოსასმენ მოთხრობებად.

შეიძლება იმის თქმაც, რომ ისტორია ყველა ფილმის ცენტრალური ნაწილია, რადგან როცა ეკრანზე მთავრდება საფინანსო სცენა, ერთი მეორეს მიყოლებით ჩვენს გონებაში ვინყებთ ფილმის ეპოზოდების დატრიალებას. ხშირად ჩვენ არა უბრალოდ ვკითხულობთ ან ვისმენთ ისტორიებს, არამედ ჩვენი წარმოსახვა გვიხატავს მათ ისე რეალურად, თითქოს მას ჩვენი თვალებით ვხედავდეთ. ჩვენი გონების და გულის სიღრმეში ისენი იძენენ ფორმას. ჩვენი წარმოსახვის უნარის წყალობით მოქმედი პირები და სიტუაციები იძენენ ისეთ სახეს, როგორის მიცემაც მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია. სიუჟეტის განვითარებასთან ერთად ისინი მეტად და მეტად ივსება ახალი ინფორმაციით.

რას იტყვით თქვენს ისტორიაზე? სანამ თქვენი „ქრონიკის“ მეტად აღმაფრთოვანებელი ეპოზოდები მოხდებოდეს, მანამდე უნდა გააცნობიეროთ თქვენი როლი მასში. სამწუხაროდ, ძალიან ხშირად ჩვენი „ეკრანიზაციებისთვის“ არ გამოგვდის კვალიფიცირებული მსახიობების მოძებნა. პასიურად მივუყვებით რა დინებას, ვიმედოვნებთ, რომ ვინმე სხვა გვიკარნახებს ჩვენს როლს. ძალიან სახიფათოა სხვები გახადო პასუხისმგებელი საკუთარი ბედნიერებისთვის. ღმერთი ყველაზე მთავარი სცენარისტია, რომელსაც სურს, რომ თქვენ მიიღოთ მონაწილეობა მის სიყვარულის ისტორიაში. მან უკვე დაწერა თქვენთვის როლი და ჩადო მასში თქვენი გულის ყველა სურვილი.

## ახსნილი სიყვარული და გაცხადებული ურთიერთდამოკიდებულება

ამას წინათ ვნახე შთამბეჭდავი კინოდრამა სახელად „საიდუმლო ტყე“. მე მიმაჩნია იგი არაჩვეულებრივი სანახაობის საუკეთესო და პრაქტიკულად განუმეორებელ შედეგად. თუ თქვენ იგი იმის გამო არ გინახავთ, რომ იგი საშინელებათა ფილმი აღმოჩნდებოდა, შემოძლია დაგარწმუნოთ, რომ ეს ასე არ არის. ეს კინონაწარმოები საკმაოდ სრული და ღრმა არის და რეკომენდაციას მივცემდი ყველას რომ ენახათ. არ ვიცი, რამდენად გამომივა, მაგრამ შევეცდები მოგიყვებთ რამდენიმე ეპიზოდს ამ ფილმიდან, სადაც როგორც ვფიქრობ, გადმოცემულია სიყვარულის არსი.

## იზრძოლე როგორც ძალმა

წარმოიდგინეთ გვიანი საღამო. აივი, მხიარული, მაგრამ ბრმა გოგო აღმოაჩენს თავის აივანზე ბიჭს სახელად ლუცი. ისინი საუბრობენ მთელი ღამე გათენებამდე. როცა გოგონას ჩაეძინა, მისი სტუმარი ჩუმად გადის აივანზე, რათა არ შეანუხოს იგი. მაგრამ გაღვიძების შემდეგ აივი გამოსრიალდება სახლიდან და მიდის მასთან. იგი აჯავრებს ყმანვილს და ეკითხება თუ რატომ მოვიდა იგი მის აივანზე, და არა რომელიმე სხვა გოგონასთან სოფელში. ასე ხუმრობით და თამაშით აივი ცდილობს მისგან სიყვარულის ახსნას. როცა ეს ხერხი არ ამართლებს იგი სხვა ტაქტიკას მიმართავს: „შენ მე არასაკმარისად ქალურად მთვლი? მე მართლაც მომწონს ბიჭური რაღაცეები... ეს ძალიან აღმაფრთოვანებელია.“

ლუცი არაფერს პასუხობს, ამიტომ იგი აგრძელებს: „როგორ ახერხებ რჩებოდე მამაცი, როცა სხვები კანკალებენ თავიანთ სოროებში დამალულნი?“

ყმანვილი პასუხობს უდარდელად: „მე არ ვფიქრობ იმაზე, თუ რა შეიძლება მოხდეს, არამედ იმაზე თუ რისი გაკეთებაა საჭირო მოცემულ მომენტში.“

მისი პასუხით გაოცებული გოგონა წამიერად ჩუმდება და შემდეგ ეკითხება: „როდის დავქორწინდებით... მეცეკვები? ძალიან მიყვარს ცეკვა.“

იგი დუმს. აივიმ იცის, რომ ლუცის უყვარს იგი, და მაინც რატომ არ შეუძლია მას უთხრას ეს პირდაპირ და მოუთმენლად ამატებს: „რატომ არ შეგიძლია პირდაპირ მითხრა, რაზე ფიქრობ?“

ყმანვილი მწუხარებით პასუხობს: „შენ რატომ არ შეგიძლია ილაპარაკო ყველაფერზე რასაც ფიქრობ? რატომ ცდილობ ცეკვაზე დამპატიყო, როცა ეს როლი მე მეკუთვნის? ცეკვა რომ მინდოდეს დაგპატიუებ ცეკვაზე. ლაპარაკი რომ მინდოდეს პირს გავაღებდი და სიტყვებს გამოვთქვამდი... რა სარგებელი აქვს თუ გეტყვი, რომ გაღვიძებიდანვე ჩემს ყოველ ფიქრში ხარ? რა სარგებელი აქვს გითხრა, რომ ამის გამო ზოგჯერ მიჭირს საღად აზროვნება და საქმის კარგად კეთება? რა სარგებელს მოიტანს ის, რომ გითხრა, რომ მხოლოდ მაშინ განვიცდი ხოლმე შიშს სხვებისნაირად, როდესაც შენ გამო განვიცდი? ამიტომაც ვზივარ შენს აივანზე, აივი უოქერ! მე ვშიშობ რომ რამე არ მო-

## რაში მდგომარეობს სიყვარულის ძალა?

გივიდეს, და რა თქმა უნდა, მე გეცეკვები ჩვენი ქორწინების საღამოს.“

არცერთს აღარ დასცდენია სიტყვა. აივი აკანკალდა ფოთოლივით, გაოგნებული მისი მოულოდნელი რეაქციით. ნელ-ნელა იგი ხვდება იმას, რისი თქმაც უნდოდა ლუცის, და აცრემლდა. როგორ უეცრად შეიცვალა ყველაფერი, როცა იგი ღიად გამოუტყდა მას სიყვარულში! არც ერთს არ შეუძლია მეორეს გარეშე ცხოვრება, ლუცი იხრება და ნაზად კოცნის გოგონას.

აივის ცხოვრებაში დადგა გარდამტეხი მომენტი. მას უკვე აღარ სურს იყოს ბიჭის მსგავსი. მან იპოვა თავისი მეორე ნახევარი ადამიანში, რომელიც მის წინაშე დგას. მისი ქალური ბუნება შეერთდება მასთან ისე, როგორც ვერ შეძლებდა სხვა ვერავისთან. მან იპოვა თავისი დამცველი, ხოლო ბიჭმა — საყვარელი ადამიანი. გოგონა მისი ყველაზე გმირული საქციელის მიზეზია. ერთ მომენტში ორი ერთ მთლიან ნაწილად გადაიქცევა. მათი ძლიერი მხარეები გაერთიანდნენ და იპოვეს ერთმანეთში დანამატი. ისინი სხვადასხვანაირები არიან, მაგრამ იდეალურად უხვდებიან ერთმანეთს. ამ სცენის ყურებისას არ შემეძლო ცრემლის შეკავება.

## ძალა წარმოქმნის ძალას

მშვენიერია, როცა ძალა წარმოქმნის ძალას. ეს ხდება მაშინ, როცა ჩვენი სუსტი მხარეები განონასწორდება სხვა ადამიანის ძლიერების ხარჯზე, ხოლო ძლიერი მხარეები — უფრო მეტად ძლიერდება. ქალი ილტვის კაცისკენ არა საკუთარი სისუსტის გამო; იგი ეძებს მასში იმ უსაფრთხი ადგილს, იმ ადამიანს, რომელსაც შეუძლია გაანდოს თავისი ოცნებები, ვისგანაც შეიძლება საკუთარი ძალის მოპოვება და რომლისთვისაც საშიში არ არ არის მიანდო საკუთარი სუსტი მხარეების დაცვა. ქალი ხედავს რაღაც განსაკუთრებულს იმ ადამიანის თვალებში, ვის წინაშეც მას შეუძლია მთელი ცხოვრების გადაშლა, ვისთანაც შეუძლია საკუთარი სიხარულის და დარდის გაზიარება, რომელთან ერთადაც შეუძლია აღზარდოს შვილები. ეს მამაკაცი არის ჭურჭელი, რომლის ავსებაც მას სურს საკუთარი სიცოცხლითა და სიყვარულით. ყველაფერი საუკეთესო რაც კი მას გააჩნია, იგი მზად არის გადასცეს მას ხელში. რატომ? იმიტომ, რომ ეს მამაკაცი მზად არის საკუთარი სიცოცხლე გაიღოს მისთვის.

## იბრძოლე როგორც ძალმა

ზემოთ აღწერილ ეპიზოდში ლუცი გამოუტყდა, რომ აივი მისი ერთადერთი სისუსტეა. ამ აღიარების მოსმენით ახლა გოგონას შეუძლია მიანდოს მას საკუთარი ძალა. სხვანაირი ადამიანი რომ ყოფილიყო, ალბათ გამოიყენებდა ამ სისუსტეს მის წინააღმდეგ. აივის რომ ეცხოვრა თანამედროვე გახრწნილ საზოგადოებაში, შესაძლოა, მას მისი სურვილების და შიშების მანიპულირება დაეწყო საკუთარი პირადი მიზნებით. თუ თქვენ გაგიჩნდებათ ცდუნება ასე მოიქცეთ, იცოდეთ: მანიპულაციის თამაშებში, საბოლოო ჯამში ორივე მხარე დამარცხებულია. ქალი კარგავს თავის გავლენის ძალას, ხოლო კაცი კარგავს ადამიანს, ვისაც ანდობდა თავის გულს.

ჩვენი ერთმანეთის საჭიროება არ უნდა იყოს სისუსტე, რომლითაც სარგებლობა შეიძლება, არამედ მოთხოვნილებაა, რომლითაც უნდა ვამაყობდეთ. ჩვენ ყველანი ვიძინებთ ახლოვებულ ადამიანს, რომელთანაც თავს ვიგრძნობთ როგორც კედლის უკან. რატომ გვჭირდება ეს? რისი დაცვა გვინდა — ჩვენი ძლიერი თუ სუსტი მხარეების? ყოველი, ვინც არ აფასებს ადამიანს, ვინც მას იცავს — უგუნურია. ქალები უფრო სუსტები არიან ფიზიკურ სფეროში, ხოლო მამაკაცები ემოციურში. ჩვენ, ქალები უნდა ვზრუნავდეთ მამაკაცების გულზე, ხოლო მამაკაცები თავის მხრივ, უნდა უზრუნველგვყოფდნენ ჩვენ და ჩვენი ფიზიკური სისუსტის კომპენსაციას ახდენდნენ. ქალბატონებო, დაფიქრდით, განა არსებობს მეტად აღმატებული მოწოდება, ვიდრე იყო გულის დამცველი?

განა ადამმა არ განაცხადა, რომ ევა ზუსტად ის არის, რაც მას აკლდა? ევას არაფერი მსგავსი არ უთქვამს, როცა დაინახა ადამი. განა მამაკაცს არ სჭირდებოდა თავიდანვე ქალის უნიკალური დახმარება? მას იმდენად თანამშრომელი არ სჭირდებოდა, როგორც თანამგზავრი და მისი გულის დამცველი. ევას შექმნამდე ადამი მარტო იყო, რადგან არ აღმოჩნდა მისი მსგავსი არც ერთი ქმნილება; და მაინც იგი გრძნობდა, რომ მას ჰქონდა სუსტი ადგილი — გული.

## იყავით გახსნილი სიყვარულისადმი

ყველაფერი, რაც ამ ცხოვრებაში ფასეულია, შეიცავს თავისში გარკვეულ რისკს. სიყვარული დაკავშირებულია სიტუაციაზე კონტროლის დაკარგვის და მარცხის განცდის საშიშროებასთან, მაგრამ მასში არ არის შიში. რატომ? იმიტომ, რომ ნამდვილი

## რაში მდგომარეობს სიყვარულის ძალა?

სიყვარული არასოდეს მარცხდება. ამიტომ, თუ თქვენ აღმოაჩინეთ სიყვარული, დაიცავით იგი ნებისმიერი ფასით. იგი მამოძრავებელი ძალა უნდა იყოს ყველაფერში რასაც აკეთებთ. ვერავინ წაგვართმევს ჭეშმარიტ სიყვარულს ისე, რომ ძლიერი ტკივილი არ მოგვაყენოს. მესმის, რომ ახლა დავხატე იმის სურათი თუ როგორ უნდა იყოს ყველაფერი იდეალში, და არა იმისა, თუ რაც სინამდვილეში ხდება. მაგრამ მჯერა, რომ ამ სურათში შეამჩნევთ ჭეშმარიტი სიყვარულის ანარეკლს და დაიწყებთ მოძრაობას იმედგაცრუებისგან იმედისკენ.

მას შემდეგ, რაც სიყვარულის შესახებ ღიად იქნა გაცხადებული, უკან დასახევი გზა აღარ არის. ეს ხდება როგორც მამაკაცსა და ქალს შორის, ისევე ქრისტესა და მისთვის საყვარელ საპატარძლოს შორის. რადგან მას აღარ შეუძლია უკან წაიღოს თავისი სიყვარულის აღიარება, რომელიც წარმოთქვა, როცა ჯვარზე ავიდა ჩვენთვის. ვიცი, შეიძლება მამაკაცებმა თავიანთ სხვადასხვა თვისებებით — მამამ, ძმამ, მეგობარმა ან ქმარმა — იმედები გაგიცრუეს, მაგრამ ღმერთი არ იზავდა ამას. მას არ შეუძლია გვიღალატოს. მამაკაცებს შეუძლიათ სიყვარული, ხოლო ღმერთი თავად არის სიყვარული.

თუ გვინდა შევინარჩუნოთ ადამიანური ურთიერთობები, ჩვენს გულებს საშუალება უნდა მივცეთ გახსნილები იყვნენ სიყვარულის გარდამქმნელი ძალის წინაშე.

გაიგო თუ არა აივიმ, რომ ლუცის ძლიერ უყვარდა იგი, მას აღარ სურდა ბიჭებს დამგვანებოდა. ლუცი მოიხიბლა არა იმიტომ, თუ როგორ იქცეოდა აივი, არამედ მან შეიყვარა იგი იმ ძალის გამო, რომელიც მასში აღძრა. თუმცა აქამდე გოგონა აბსოლუტურად მარტო იყო, ახლა მას ველარ წარმოედგინა თავისი ცხოვრება მის გარეშე.

ჩვენ ქალები ხომ არ ვისწრაფით ვიყოთ მამაკაცების მსგავსნი იმის გამო, რომ ვოცნებობთ მივიღოთ ის, რისი მოცემაც მათ შეუძლიათ ჩვენს ცხოვრებაში? ჩვენ ჩვენს უიმედო ძიებაში ხომ არ დაგვაგვიწყდა იმის შესახებ, რომ მათი დამსგავსებით ჩვენ ველარ მივიზიდავთ მათ ჩვენი უნიკალურობით? როცა ვასწავლით მათ იყვნენ მამაკაცები, ხომ არ გვაგვიწყდება, რას ნიშნავს ვიყოთ ქალები? ნუთუ ისე ძლიერ გვეშინია, რომ გვიმტყუნებენ, რომ ვერ ვბედავთ ვანდოთ მათ ჩვენი სიყვარული და ყველა ჩვენი ძლიერი თვისება? რის მიღებას ვცდილობთ სანაცვლოდ,

## იზრძოლე როგორც ძალმა

თუ ვაკავებთ იმას, რასაც უსასყიდლოდ უნდა გავცემდეთ, სინამდვილეში ხომ ამისათვის ვიყავით შექმნილნი? განა შიშის გამო მათ სიტყვა არ უნდა ვათქმევინოთ, რათა ვცდილობდეთ ყოველივე ხელში გვეკავოს და ვფიქრობდეთ, რომ თუ გამუდმებით არ ვილაპარაკებთ, არავინ მოგვისმენს? ნუთუ დღემდე ისე შეშინებულები ვართ, რომ ვცდილობთ ყოველი სიტუაციის გაკონტროლებას, რათა ველარავინ მოგვაყენოს ტკივილი?

### მოდით კვლავ ჩვენს ისტორიას დავუბრუნდეთ:

ლუცი მძიმედ დაჭრეს და მას სჭირდება წამლები, რომლის მოძიებაც მხოლოდ მათი სოფლის საზღვრებს გარეთაა შესაძლებელი. ასეთი დახმარებისთვის შესაძლოა სოფლის ყველა მცხოვრებს მოუწიოს საკუთარი თავისუფლების ან სიცოცხლის დაკარგვა. ასეთი რისკის შემცირებისთვის, ვილაც ერთმა ჩუმად უნდა დატოვოს სოფელი და მოიტანოს საჭირო წამლები. აივი მიმართავს მამას რჩევისთვის.

- მე მიყვარს იგი
- ვიცი
- მასაც ვუყვარვარ
- ვიცი
- თუ ის მოკვდება, ყველაფერი, რითაც ვცოცხლობ მოკვდება მასთან ერთად... გთხოვ, მომეცი ნება დავტოვო სოფელი და გავემართო დასახმარებლად. შენ — ჩემი მამა ხარ და მე ყოველთვის შენი მორჩილი ვიყავი, ამიტომ ახლაც მზად ვარ დავემორჩილო შენს ნებისმიერ გადაწყვეტილებას.

თუმცა აივი მტკიცედ არის განწყობილი, იგი არ ცდილობს დაემუქროს მამას და „ზენოლა“ მოახდინოს მასზე თავისი ემოციებით. მის სიტყვებში უღერს უკვდავი ჭეშმარიტებების — სიყვარულის, ერთობის, ნდობის, მორჩილების და პატივისცემის ბგერები. როგორ შეიძლება მას, ასეთ წრფელს, დარწმუნებულს, უარი უთხრა?

## რაში მდგომარეობს სიყვარულის ძალა?

აივის მამა ხვდება, რომ შვილი მართალია. საფრთხის ქვეშ დგას არა მხოლოდ ლუცის სიცოცხლე — არამედ მისი ქალიშვილის სიცოცხლაც დამოკიდებულია ამ დაჭრილი ყმანვილის მომავალზე. აივის სიტყვები „ყველაფერი, რითაც ვცოცხლობ“ გადმოგვცემენ რალაცას, რაც ჩვენს საზოგადოებაში, რომელიც დღევანდელი დღით ცხოვრობს, ხშირად გვაგინწყდება. იგი მამამისის შთამომავალია, მხოლოდ სიყვარულის ძალის წყალობით შეუძლია მას გააგრძელოს მისი შთამომავლობა. რატომ? იმიტომ, რომ სიყვარულის გარეშე ვერაფერი ვერ გაძლებს, რასაც გააჩნია ჭეშმარიტი ფასეულობა.

**„... სიყვარული არ მქონდეს, არარაობა ვიქნებოდი.“ (1 კორ. 13:2)**

ჩვენ შეგვიძლია გადავცეთ ჩვენს შთამომავლებს მრავალი მატერიალური სიკეთე, მაგრამ თუ ვერ შევძლებთ დამტკიცებას, რომ ამას მათდამი სიყვარულით ვაკეთებთ, საბოლოო ჯამში ეს სიკეთეები მათთვის არარაობად იქცევა. სექსი სიყვარულის გარეშე არაფერია. ფული სიყვარულის გარეშე არაფერია. ურთიერთობები სიყვარულის გარეშე ძალიან ზედაპირულია და შედეგად მხოლოდ მარტოობას მოიტანენ. ახალი სიცოცხლე იბადება სიყვარულის წყალობით. შიში — სიყვარულის მთავარი მტერია, მაგრამ სიყვარულს ძალუძს დაამარცხოს და გაანადგუროს იგი.

**„სიყვარულში არ არის შიში, არამედ სრულყოფილი სიყვარული სდევნის შიშს.“ (1 იოანე 4:18)**

## იყავი სიყვარულით მართული

აივის მამა გზავნის მას გზაზე და აგროვებს სოფლის უხუცესებს, რომ ამცნოს მათ. ჩნდება კითხვა: როგორ გაბედა მან საფრთხის ქვეშ დაეყენებინა ამდენი ადამიანის სიცოცხლე მათგან ორის სიყვარულის გადასარჩენად? მამამისი ჯანსაღად განმარტავს, თუ რამ აღძრა იგი ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად: „გინდათ მარადიულად იცხოვროთ? სწორედ ამ ახალგაზრდა ადამიანებში დევს ჩვენი მომავალი... დიახ, მე გავრისკე. იმედი მაქვს, რომ მომავალშიც მეყოფა ძალა, რომ გავრისკო ყველაფრით მართალი და ღირსეული საქმის გამო.“



## იბრძოლე როგორც ძალმა

შემდეგ იბადება მეორე კითხვა: რატომ აივი? როგორ შეიძლებოდა არჩევანი გაჩერებულყო გოგოზე და თანაც ბრმაზე?

- როგორ გაბედე მისი გაგზავნა? იგი ხომ ბრმაა.

- იგი სიყვარულით არის მართული. სამყარო სიყვარულის ირგვლივ ბრუნავს და მის წინაშე ქედს იხრის.“

ო, ჩვენ რომ გვესმოდეს ეს და დავდიოდეთ ამ ჭეშმარიტებაში! მხოლოდ მაშინ, როცა ვსწავლობთ გვიყვარდეს და უარყოფთ შიშს, აღმოვაჩინოთ, რომ ჩვენც უპირობოთ ვუყვარვართ. ნუ შეგაშინებთ ჩემი სიტყვები. თქვენს გარშემო მყოფი ადამიანები არ შეიცვლებიან ჯადოსნური ჯოხის აქნევით, სამაგიეროთ შეიცვლებით თქვენ. თქვენ კვლავ შეიძენთ თავისუფლებას. სამყარო კანკალებს ქალის წინაშე, რომელიც გადაწყვეტილებას დებულობს უყვარდეს, ყოველგვარი შიშის უარყოფით. სიყვარული არ არის ერთადერთი იარაღი, რომლის მეშვეობითაც იბრძვიან ქალები; და მაინც ეს ჩვენი თავდაცვის ძირითადი იარაღია. ისევე, როგორც ღმერთის სიტყვა, სიყვარული არის ჩვენი მახვილი და ალთქმა.

ერთი ნუთით წიგნი გადადეთ გვერდზე და საკუთარ თავს ჰკითხეთ: რატომ გიძნელდებათ, რომ მთელი გული მამაკაცს გადასცეთ?

მახსოვს, რომ თავად მეშინოდა მყვარებოდა ჩემი ქმარი მთელი გულით, იმის შიშით, რომ განქორწინების შემთხვევაში ვერ გადავიტანდი ასეთ დარტყმას. ასე ვფიქრობდი ჩვენი ქორწინების პირველ წლებში. მე ყოველთვის ვცდილობდი თავის არიდებას, როცა მას სურდა ჩემი გულში ჩაკვრა. მავიწყდებოდა ალთქმის შესახებ, რომელიც მან მომცა ჩვენი ქორწინების დორს, და თავს ვიმართლებდი იმით, რომ ყველა მამაკაცი მიდის... ადრე თუ გვიან.

რამდენიმე წლის განმავლობაში ჯონს მოუწია წვალება იმ ტკივილის გამო, რომელიც მე მომაყენეს წარსულში. მახსოვს, როგორ მკითხა მან ერთხელ: „ბოლოს და ბოლოს, როდის ენდობი ჩემს სიტყვებს რომ მიყვარხარ? რა ასაკში უნდა ვიყოთ, როცა მოვდუნდებით და დავტკბებით ერთობლივი ცხოვრებით... სამოცდაათის? ასეც რომ იყოს, მზად ვარ ველოდო; უბრალოდ

## რაში მდგომარეობს სიყვარულის ძალა?

მეჩვენება, რომ ძალიან ბევრს ვკარგავთ ჩვენს ცხოვრებაში.“

მისმა კითხვამ გამომაფხიზლა, თითქოს ნყალი გადამასხეს თავზე. მზად ვარ გავრისკო, რომ ვიგრძნო უსაზღვრო სიყვარული? თუ გავაგრძელებ ჩემს ციხე-სიმაგრეში ცხოვრებას და არასოდეს გავუხსნი ქმარს ჩემი გულის კარებს?

რა თქმა უნდა, ყველას გვჭირდება უსაფრთხო ადგილი და ჩვენ შეგვიძლია გვიყვარდეს სხვები მხოლოდ იმიტომ, რომ პირველმა ქრისტემ შეგვიყვარა ჩვენ. მაგრამ მოდით მაინც გადავცეთ თავი სიყვარულს და საშუალება მივცეთ მის ძალას მოგვაშოროს ნებისმიერი შიში ურთიერთობებში.

## სხვების აღშენება

რადგანაც ქალები გულების დამცველები არიან, მათ გააჩნიათ სხვების გამაგრების და გამხსნეების უნარი. როცა ამ ნიჭს გარშემომყოფებსაც ვუზიარებთ, ჩვენც აუცილებლად ავმალდებით. როგორ ხდება ეს? ჩვენ ავამაღლებთ სხვებს იმით, რომ მათ ცხოვრებაში ვაცხადებთ ძალას სისუსტის მაგივრად. მე არ მოგიწოდებთ, რომ თვალებს ხუჭავდეთ სხვების აშკარა ნაკლოვანებებსა და სისუსტეებზე. უბრალოდ არ ღირს მათზე საუბარი ყოველ ხელსაყრელ მომენტში. იმის ნაცვლად რომ მსჯელობდეთ სხვის ნაკლოვანებებზე, მოგიწოდებთ გამოიყენოთ თქვენი ნიჭი ადამიანების იმ სფეროებში გასამაგრებლად, სადაც ისინი სუსტები არიან. დადგა დრო ვილაპარაკოთ არა პრობლემაზე, არამედ მის გამოსავალზე. ადამიანების უმრავლესობამ იცის საკუთარი სისუსტეების შესახებ, მაგრამ მათ ყველას სჭირდებათ ის, რომ ვინმემ მიანიშნოს მათი სუსტი მხარეების შესახებ. განა ამას არ აკეთებს ღმერთი ჩვენთვის? მან გარემოგვიცვა იმედის, სიცოცხლის, აღთქმების და აღდგენის სიტყვებით. ასე, იგი იმის მაგალითს გვაძლევს თუ როგორ უნდა აღვადგენდეთ ჩვენს ირგვლივ მყოფთა სიცოცხლებს.

**„და აღდგენ შენგნით საუკუნო ნანგრევებს. განამტკიცებ ძველთაძველ საფუძვლებს და დაგერქმევა შენგრეულის შემომლობელი, საცხოვრებლად გზების განმაახლებელი.“**  
(ესაია 58:12)

## იბრძოლე როგორც ძალმა

ჩვენს შორის მაინც არიან ადამიანები, რომლებსაც არ სჯერათ, რომ ნანგრევებში ცხოვრება არ არის ჩვენი ხვედრი. თქვენ — მეფის ასული ხართ, აღჭურვილი მისი ძალით აშენოთ, განაახლოთ და აღადგინოთ. თქვენ შეგიძლიათ იყოთ გამოსავალი პრობლემებიდან და აღადგინოთ ის გზები, რომლებიც ადრე აკავშირებდნენ ამ ქვეყანაზე მცხოვრებ ადამიანებს.

იგავების მე-14 თავი იწყება ასეთი სიტყვებით:

**„ბრძენი ქალი აშენებს თავის სახლს, სულელი კი ანგრევს მას საკუთარი ხელით.“ (მუხლი 1)**

აქ აღწერილი არჩევანი მდგომარეობს შემდეგში: ჩვენ შეგვიძლია ან ავაშენოთ ჩვენი სახლი საკუთარი სიტყვებით, ან დავანგრეოთ იგი საკუთარი ხელებით. ხელები იმას წარმოადგენს, რასაც ჩვენი ბუნებრივი ძალებით ვაკეთებთ. ამაში შეიძლება კრიტიკა და წუნუნიც შედიოდეს. ბრძენ ქალებს ესმით, რომ სიცოცხლე და სიკვდილი ენის ძალაუფლებაშია, და ამიტომ ისინი დაფიქრებულად არჩევენ სიტყვებს. მამაკაცებს და ქალებს ხშირად სჭირდებათ გამხნელება სხვადასხვა სფეროებში და სხვადასხვანაირად. ქალებისთვის ეს გამოიხატება სიყვარულსა და გაგებაში, მაშინ როცა კაცებისთვის — აღტაცებასა და პატივისცემაში მათ მიმართ.

შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ მიუხედავად თქვენი სქესისა, თქვენი კრიტიკა საბოლოო ჯამში თქვენს წინააღმდეგ ითამაშებს. თუმცა სცენიდან ძირითადად ქალებს მივმართავ ხოლმე, სახლში მხოლოდ მამაკაცების გარემოცვაში ვცხოვრობ. ჩემს სახლში ერთადერთი ქალი მე ვარ, რომელიც ხუთ მამაკაცთან ერთად ცხოვრობს ერთი სახურავის ქვეშ. საკმაოდ საინტერესოა ცხოვრობდე ამდენი რაოდენობის ტესტოსტერონს შორის. და დამიჯერეთ — არა მხოლოდ ქალების დაჭრა შეიძლება უხეში სიტყვით.

კრიტიკა ისევე მტკივნეულად იკბინება, როგორც მახვილის წვეტი. იგი აზიანებს განურჩევლად კაცსაც და ქალსაც, ჭრის ადამიანთა გულებს და ასუსტებს მათ სულს. იგავების 12:18-ში წერია: „ზოგი ისე ლაპარაკობს, თითქოს მახვილით ჩხვლელადეს.“ თუ გამოვხატავთ კრიტიკასა და განკითხვას მახვილის წვეტის სახით, მაშინ სიკეთე, თავის მხრივ, არის მახვილის ბრტყელი მხარე, რომლის მეშვეობითაც შეიძლება ადამიანის ამაღლება,

## რაში მდგომარეობს სიყვარულის ძალა?

მისი გამხნეებითა და შთაგონებით. იმის გამო, რომ ღმერთის ხატად ვართ შექმნილნი, მან მოგვცა ჩვენ უნარი ვქმნიდეთ სიტყვებით. მისი სიტყვა ყველაზე მთავარი, ყველაზე ძლიერი მახვილია, მაგრამ უსიყვარულოდ ნათქვამ სიტყვებს შეუძლიათ ნგრევის მოტანაც. იგავების წიგნი ქალის უნარს, აამაღლოს და გაამაგროს სხვები, აღწერს შემდეგი სიტყვებით:

**„პირს ხსნის იგი სიბრძნით და წყალობის რჯულია მის ენაზე.“ (31:26)**

ამ მუხლში დაფარულია რაღაც უფრო დიდი ვიდრე შეიძლება მოგვეჩვენოს ერთი შეხედვით. უპირველესყოვლისა, სწორედ სიბრძნე უნდა აღგვძრავდეს ლაპარაკისთვის. სიბრძნეს ამაგრებს ინტუიცია და გონება, რომელთაც შეუძლიათ დაგვეხმარონ გავექცეთ უსიამოვნებებს, - ეს სიტუაციის ქვეცნობიერი გაგებაა, რომელიც დაფუძნებულია უხილავ სამყაროს დანახვაში. არავის შეუძლია მამაკაცის პოტენციალის დანახვა ცხოვრებაში ისე, როგორც მას ქალი ხედავს. არავის შეუძლია ადამიანების ისე მიმართვა ცხოვრების გზაზე, როგორც ქალი აყენებს თავის შვილებს; ამის მსგავსი არაფერი არ არის, რასაც შეეძლება მოეტანა ასეთი განკურნება, როგორც იმისი გაცნობიერება, რომ თქვენ გიგებთ ქალი, რომელმაც იცის თქვენი სისუსტეები და მიუხედავად ამისა უყვარხართ თქვენი ძლიერი მხარეების გამო.

მაგრამ ჩვენი სხვა ადამიანებზე გავლენის მოხდენის უნარი არ შემოიფარგლება ამით. ბრძენი ქალები —საჩუქარია თავიანთი ერისათვის. როცა ქალი მთელი თავისი ცხოვრებით ირეკლავს სილამაზეს, იქცევა გონივრულად, იცავს ბიბლიურ მცნებებს და სიბრძნით საუბრობს, იგი ხდება საუკეთესო ღმერთის იარაღი ხალხის გასამხნეებლად. რატომ ამშვენებდნენ გემების მშენებლები თავიანთი გემების ცხვირებს ქალების ფიგურებით? ეს სკულპტურები, რომლებიც ირეკლავდნენ ქალის სილამაზესა და ძალას, სტიმულს აძლევდნენ მეზღვაურებს გაევილოთ ყველაზე საშიშ შტორმებშიც კი. რატომ არქმევდნენ ისინი თავიანთი გემებს ქალის სახელებს? შესაძლოა, სწორედ ქალის სული, რომელიც იმყოფებოდა გემზე, იზიდავდა მათ სახლში შორეული მოგზაურობების შემდეგ. ქალები ავსებენ ცარიელ ოთახებს სიყვარულითა და მზრუნველობით, ქმნიან რა მათში სახლის ატმოსფეროს.

## იზრძოლე როგორც ძალმა

ქალები — რბილი პასუხია, რომელსაც შეუძლია ძლიერი რისხვის მოგერიება. ეს არიან მარტოხელა დედები, რომლებიც მზად არიან იშრომონ კაპიკებზე, რათა ჯანმრთელად იხილონ თავიანთი შვილები. ეს ის კომპეტენტური ბიზნეს-ქალები არიან, რომლებიც ასწავლიან თავიანთ ახალ თანამშრომლებს. ისინი მკაცრები არიან და ამავდროულად ნაზები. ისინი გვანან წყნარ, მშვიდ ხმას ქარიშხლის შუაგულში. ისინი — არიან სასიამოვნო იავნანა ბნელ და მოუსვენარ ღამეს.

## როცა სიკეთეს ბოროტად იყენებენ

თუ თქვენ გაქვთ გულების გამაგრების, დამშვიდების და განკურნების ძალა მათთან ღრმა შეხების მეშვეობით, მაშინ ცხადია თქვენ გაქვთ ძალა ერთი არასწორი სიტყვით ადამიანს მიაცენოთ დიდი ზიანი.

- დედა, თუ შეიძლება აღარ მოუშვა იგი (გოგო) ჩემთან, - ჩამჩურჩულა ჩემმა ბიჭმა, როცა მას დასაძინებლად ვაწვენიდი. მე და ჯონს ერთერთი იშვიათთაგანი რომანტიული პაემანი გვქონდა, და სახლში დავბრუნდით ათი საათის შემდეგ. ეს სამუშაო დღე იყო და ამიტომაც გაგვიკვირდა, რომ ჩვენი უმცროსი შვილი დავინახეთ როგორ ჩამოდიოდა კიბეებზე ჩვენს შესახვედრად. იგი აშკარად ელოდებოდა ჩვენს დაბრუნებას, უსმენდა რა ფარების კარების ჭრიალს. არდენი ძლიერ ჩაგვეხუტა ორივეს, შემდეგ მთხოვა კოლოს ნაკბენების გამო ქავილისგან გაღიზიანებულ ხელებზე მალამო წამესვა. ამოვიღე აფთიაქიდან იოდი და სახვევი და შევუდექი საქმეს. ვგრძნობდი რომ ჩემს შვილს რაღაც ანუხებდა, მაგრამ ვიფიქრე, რომ დაძინებამდე მას უბრალოდ სურდა მშობლის მოფერების და ყურადღების პორცია მიეღო. ამ დროისთვის უკვე ყველა ჩვენმა შვილმა გაიღვიძა. ჯონი შეეცადა, რომ ისინი კვლავ დაბრუნებულიყვნენ საწოლში, თუმცა არდენს ჩვენთან დარჩენა სურდა.

- დედა, შემოხვალ რომ მაკოცო ძილის წინ?

- კი, ამოვალ შენთან რამდენიმე წუთში, - დავარწმუნე იგი.

როცა შევედი მის ოთახში აღმოვაჩინე, რომ დამალულიყო ორსართულიანი საწოლის მეორე სართულზე, ბალიშებში. ვერ დავინახე, მაგრამ მომესმა მისი შეწუხებული ხმა.

## რაში მდგომარეობს სიყვარულის ძალა?

- დედა, თუ შეიძლება, აღარ მისცე მას უფლება რომ ჩვენთან სახლში მოდიოდეს. შევეცადე კიბით ავსულიყავი მის სანოლზე.

- არდენ, ვისზე ლაპარაკობ? რა მოხდა? — დავინწყე გამოკითხვა, და მან მომიყვა პატარა გოგოს, საერთო ნაცნობის შესახებ.

- მან მე რაღაც ძალიან ცუდი მითხრა, — გააგრძელა მან. ჩვენი საუბარი გაიგონა მისმა უფროსმა ძმამ, ალექსმა, რომელიც ქვედა სანოლში იწვა და ჰკითხა:

- და რა გითხრა მან?

არდენი მერყეობდა, თითქოს მას რცხვენოდა იმ სიტყვების გამეორება, შემდეგ თქვა:

- მან მითხრა რომ ვძულვარ. მან მითხრა: „არდენ, მე შენ მძულხარ!“

ნება მომეცით შეგახსენოთ, რომ ჩემს უმცროს შვილს ჰყავს სამი უფროსი ძმა, ამიტომ მას პირველად არ გაუგონია თავის მიმართ შეურაცხყოფა. მაგრამ, ამჯერად სხვა რამ მოხდა. ეს გოგო წრფელად და სრულიად უარყოფდა მას, როგორც ადამიანს და იგი გრძნობდა ამას. გოგოს სიტყვებმა მის გულში შეაღწიეს. ვეჭვობ, რომ ეს გოგო ხვდებოდა, რომ ასე ძლიერ დაჭრა იგი.

- არდენ, ვფიქრობ, მას არ უგულისხმია ის, რაც თქვა. ზოგჯერ, როცა გოგოები ბრაზდებიან, ისინი ამბობენ ისეთ რამეებს, რასაც არ გულისხმობენ.

მან ეჭვისთვალთ შემომხედა. მე გავაგრძელე:

- ვფიქრობ, მას არ უნდოდა შენი წყენა. მოდით ერთად ვილოცოთ და ლოცვაში მივუტევოთ მას. კიბეებზე ჩამოსვლისას საკუთარ თავს ვეკითხებოდი, თუ რატომ დაჭრეს ასე ძლიერ ამ გოგოს სიტყვებმა იგი. ვფიქრობ, მას გული ატკინა იმან, თუ რამდენად ემოციურად წარმოთქვა მან თავისი სიტყვები. და თუმცა არდენი გაანაწყენეს ჩვენს სახლს გარეთ, მას სურდა, რომ დავპირებოდი, რომ ჩვენს სახლში მას არავინ არასოდეს არ

## იბრძოლე როგორც ძალმა

გაანანყენებდა ისე, როგორც ის გოგო. მართლაც, არაფერია იმდენად გულსატკეპნი, რამდენადაც გრძნობდე დაუცველად თავს საკუთარ სახლში.

### ქალებს შეუძლიათ დაჭრა

ამ შემთხვევამ კიდევ ერთხელ დამაფიქრა განსხვავებებზე ბიჭებსა და გოგოებს შორის. ვფიქრობ, ქალები უფრო მეტად არიან დამოკიდებულნი თავიანთ ემოციებზე ვიდრე მამაკაცები. მამაკაცებისთვის ემოციები ხშირ შემთხვევაში მათი სუსტი მხარეა, რადგან ისინი არ არიან ისე მჭიდროდ კავშირში მათთან, როგორც ქალები. ეს იმას ნიშნავს, რომ ქალებს შეუძლიათ მამაკაცების მეტად დაჭრა, ვიდრე ვინმეს, რადგან ჩვენ გვაქვს მისადგომელი მათ ყველაზე მთავარ ორგანოსთან — გულთან. მინდა ვაღიარო, ჩემს ცხოვრებაში არაერთხელ გამიცრუვდა იმედები მამაკაცებზე, მაგრამ ყველაზე მეტად გული დამიჭრეს სწორედ ქალებმა.

მოდით ცოტა ხნით დავბუნდეთ სკოლაში. შესაძლოა, ბიჭებს, თქვენი რეაქციით დაინტერესებულებს, არაერთხელ დაურტყიათ თქვენთვის სპორტულ მოედანზე. თუ თქვენ არ მიგიყენებიათ საპასუხო დარტყმა ან რეაგირება მოგიხდენიათ წყენაზე ცრემლების გარეშე, ამით შეძლებდით მათი მეგობრობისა და პატივისცემის მოპოვებას. სპორტულ მოედანზე ბიჭები იყვნენ მეფენი და თავიანთსა და გოგოებს შორის დამოკიდებულებას ამყარებდნენ ფიზიკური ძალის მეშვეობით. ამით აიხსნება უამრავი სპორტის სახეობაც, რომლებიც არის მამაკაცების მცდელობა მოქებონ მათში მდულარე ტესტოსტერონისათვის გამოსავალი. გოგოები კი სპორტულ მოედანზე სულ სხვანაირად იქცეოდნენ. ისინი იყოფოდნენ წყვილებად ან მცირე ჯგუფებად და იწყებდნენ ჩურჩულს, ანდობდნენ რა ერთმანეთს თავიანთ საიდუმლოებებს. თქვენ ერთერთ ასეთ ჯგუფში შედიოდით, ან მარტოობაში რჩებოდით. შესაძლოა, გოგოები არ გცემდნენ, მაგრამ მათ შეეძლოთ თქვენი თმებზე მოქაჩვა ან ხელის კვრა, თუ არ იყავით მათი კომპანიის ნაწილი. მაშინ, როცა ბიჭებს უხაროდათ ის, რომ არ იტირეთ, გოგოები პირიქით, თითქოსდა ცდილობდნენ აეძულებინეთ რომ გეტირათ.

საერთოდ არ მიკვირს ის, რომ ჩვენ ახლა მივედით საზოგადოების ისეთ მდგომარეობასთან, სადაც გოგოებში არ ფასობს ისეთი თვისებები, როგორებიცაა სილამაზე, მზრუნველობა,

## რაში მდგომარეობს სიყვარულის ძალა?

სიბრძნე და სინაზე. ნუთუ იმისათვის, რომ გადავრჩეთ ისეთ პირობებში, სადაც ფასობს სქესების თავისებურებანი, ჩვენში, ქალებში ევოლუცია მოხდა, და გამოვიძუშავეთ ჩვენში თავის გატანის უხეში ჩვევები? თუ ჩვენ არ შეგვიძლია მამაკაცების ფიზიკურად ცემა, განა უნდა შევუტოთ მათ ჩვენი ემოციური ძალით? ნუთუ ამას ჰქვია „სქესებს შორის ბრძოლა“, როცა ერთი სქესის წარმომადგენლები უგუნურად უტევენ მეორეს წარმომადგენლებს სუსტ ადგილებში? და, ბოლოს და ბოლოს, რისთვის ვიბრძვით ჩვენ საერთოდ?

მეტ ნაკლებად, ქალები უფრო ადვილად ავლენენ თავიანთ გრძნობებს ვიდრე მამაკაცები. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ შეგვიძლია უკეთ ავაშენოთ ურთიერთობები, რათა ყველამ მიიღოს ამით სარგებელი. ჩვილი გოგოების უმრავლესობა იწყებს ლაპარაკს (და საქონენზე დაჯდომას) უფრო ადრე, ვიდრე მათი თანატოლი ბიჭები. გოგოები არა მხოლოდ იწყებენ ცალკეული სიტყვების წარმოთქმას, არამედ უმრავლესობას სრული წინადადებების წარმოთქმა შეუძლიათ, მაშინ როცა ბიჭები ურთიერთობენ ძირითადად შესტებისა და უკავშირო სიტყვების მეშვეობით.

არასოდეს დამავინწყდება ის შემთხვევა, როცა პირველად ჩემი თვალებით დავინახე განსხვავება ორივე სქესის ჩვილებს შორის. როცა ერთხელ ჩემი მეგობრის გოგო დამიტოვეს მისახედად, დავსვი იგი და ჩემი ბიჭი (რომელიც გოგოზე ექვსი თვით უფროსი იყო) მაღალ საბავშვო სკამებზე, რომ მეჭმია. გოგომ ფრთხილად ცერა და საჩვენებელი თითებით აიღო თეფშიდან თითო ბარდა და დელიკატურად ჩაიღო პირში. ჩემმა ბიჭმა კი, თავის მხრივ, გაჭყლიტა ბარდები მუშტით, აიღო ხელში, ხოლო შემდეგ შეეცადა ხელი პირში ჩაეყო იდაყვამდე. მე ვაკვირვებულე ვაკვირდებოდი ამ ყველაფერს და მივედი დასკვნამდე, რომ ბიჭებსა და გოგოებს შორის აშკარად დიდი სხვაობაა.

რადგან თამაშში სახელწოდებით „ცხოვრება“ კაცი და ქალი ერთ გუნდში თამაშობენ, აუცილებელია ვავსებდეთ ერთმანეთს ძლიერი მხარეებით. ნაცვლად იმისა, რომ ვაკრიტიკებდეთ მამაკაცებს იმის გამო, რომ მათ არ შეუძლიათ საკუთარი ემოციების გამოვლენა, ჩვენ დელიკატურად უნდა გავაკეთოთ ეს მათ მაგივრად. ნაცვლად იმისა, რომ თითს ვატაკებდეთ მათ სისუსტეებს, ჩვენ უნდა გავანონასწოროთ ისინი ჩვენი ძლიერი მხარეებით. როცა ისინი ბარდას მუშტით ჭყლეტენ, ჩვენ თავაზიანად დაუყურათ ტაში მათი გამარჯვების გამო.



## იზრძოლე როგორც ძალმა

პატარა მაგალითი ამ თემაზე. მე მერგო პატივი რედაქტირება გამეკეთებინა ჩემი მეუღლის წიგნების უმრავლესობისთვის. თავიდან ცოტა მიჭირდა: მე გამუდმებით მივანიშნებდი ქმარს შეცდომებზე, ვაკრიტიკებდი რა ყოველ თავს ჩემი პოზიციიდან. მეჩვენებოდა, რომ ასე ვეხმარებოდი ჯონს გამხდარიყო მეტად სრულყოფილი და ვამდიდრებდი მას სასარგებლო რჩევებით და ამით აღვჭურვავდი მას მომავალი წიგნებისთვის. თურმე ცვდებოდი. სინამდვილეში, მე ვანგრევდი მის გაბედულებას და მის წიგნებში შემქონდა ჩემი პირადი სტილი.

ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს მივხვდი: ჩემი მოვალეობა იყო კი არ მეკრიტიკებინა მისი წიგნები, არამედ ჩემი ძლიერი მხარეებით დავხმარებოდი მას. ამ გამოცხადების მიღების შემდეგ მე სრულიად სხვა დამოკიდებულებით დავიწყე შრომა. ნაცვლად იმისა, რომ მიმეთითებინა ქმრისთვის ყოველ ნაწყვეტზე, რომლებიც მეჩვენებოდა, რომ შესაცვლელი იყო, ცვდილობდი გამეგო, თუ კონკრეტულად რის მიტანას ცდილობდა იგი მკითხველებთან ამ ნაწყვეტით. როცა გადავცემდი ჯონს ჩემს მიერ გადაკეთებულ თავებს, გამოვდიოდი მისი კაბინეტიდან, და მას საშუალებას ვაძლევდი მარტოს წაეკითხა ჩემს მიერ გადაკეთებული თავები. (იქამდე მე ყოველთვის ვიდექი მის მხარს უკან და ველოდებოდი აღფრთოვანებულ გამომხაურებას ჩემს გაკეთებულ შრომაზე.) ამ ჯერზე იგი გამოვარდა კაბინეტიდან გაბრწყინებული: „შენ დამეხმარე ეს აზრი გამომეხატა ზუსტად ისე, როგორც მე მინდოდა!“

იგი იმდენად აღფრთოვანებული იყო, რომ მე მომიწია ამ თავის გარედაქტირება კიდევ ერთხელ, რათა მას უფრო ზუსტად გადმოეცა მისი აზრები. ჯონმა მომანდო თავისი სისუსტე („მე ვიცი რისი თქმა მინდა, მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, როგორ მოვახერხო ეს უკეთ“), ხოლო მე დავუბრუნე მას საპასუხოდ ჩემი ძლიერი მხარე. მან მიიღო აღშენება და გამხნევება. მე მივხვდი, თუ ზუსტად რისი თქმა სურდა მას, და მკითხველებს ეს უფრო ზუსტად გადავეცი.

თქვენ ღმერთის გულის დამცველი ხართ. თქვენ — არხი ხართ, რომლითაც მას შეუძლია თავისი სიყვარულის გადმოღვრა ამ დაჭრილ და მომაკვდავ ქვეყნიერებაზე. ნაცვლად იმისა, რომ ებრძოდეთ სხვა ადამიანებს, შეგვიძლია დავიცვათ მათი გულები და გავაღვიძოთ მათში მათი ხასიათის ძლიერი თვისებები? მამაკაცებსაც და ქალებსაც სწყურიათ იხილონ თქვენს ცხოვრებაში ღმერთის სიყვარულის ძალა. როგორ შეძლებთ

## რაში მდგომარეობს სიყვარულის ძალა?

სხვა ადამიანის სისუსტეების საკუთარ თავზე აღებას და მათ გაძლიერებას? როგორ გააკეთებდით ამას:

თქვენი მეუღლის ცხოვრებაში, თქვენი შვილებისა და მთელი ოჯახის ცხოვრებაში? თქვენი მეგობრების ცხოვრებაში?

რას იტყოდით თქვენს ცხოვრებაზე? მისცემდით სიყვარულს საშუალებას გიხელმძღვანელოთ და წამოგწიოთ თქვენი ძლიერი თვისებების გამოყენებით? მიიღეთ გადაწყვეტილება ილაპარაკოთ საკუთარ თავზე ის, რასაც ღმერთი იძახის თქვენზე:

**„საუკუნო სიყვარულით შეგიყვარე,... ამის გამო მიგიზიდე წყალობით. კიდევ აგაშენებ...“ (იერემია 31:3-4)**

**„შენ ამოგირჩია უფალმა, შენმა ღმერთმა, რომ იყოთ მისთვის უნჯ ხალხად ყველა ხალხთაგან, რომელნიც დედამიწის ზურგზე არსებობენ.“ (მეორე რჯული 7:6)**

### მოდით ვილოცოთ:

ზეციერო მამავ, მოვდივარ შენთან იესოს სახელით. მინდა შევიცნო შენი სიყვარულის ძალა. მსურს, რომ ჩემი ცხოვრება ირეკლავდეს ამ ძალას ყოველ სფეროსა და ურთიერთობაში. მინდა სხვებს გაძლიერებდე, და არა ვასუსტებდე მათ საკუთარი კრიტიკით. მინდა ვიყენებდე ჩემს ბაგეებს იმისათვის, რომ ვაშენებდე და ავამაღლებდე სხვა ადამიანების ცხოვრებას, და არა რომ ვანგრევდე მათ. მე ვღებულობ შენს სიყვარულს და მწამს, რომ შენთვის მე — განსაკუთრებული, რჩეული საგანძური ვარ. მწამს, რომ შენ გაქვს ძალა, მოაწყო ჩემი გზა. მე გადმოგცემ ჩემი ცხოვრების ყოველ დამტვრეულ, დანგრეულ სფეროს. დაე, იყოს შენი ნება; ჩემს სისუსტეებს შენს ხელთ გადმოგცემ, მამა. დაფარე ისინი შენი ძალით. სულიწმიდის ძალით გამოავლინე შენი სიყვარული ჩემში და ჩემი მეშვეობით სხვა ადამიანების ცხოვრებაში. ამინ.

## თავი მათი

### ორნი ერთი გულით

წელს მე ვიყავი კონფერენციაზე, სადაც ერთერთმა გამომსვლელმა ახსენა ჩვენი პლანეტის კრიტიკული მდგომარეობის შესახებ. მისმა უბრალო სიტყვებმა იმდენად ღრმად ამაღლევეს, რომ დღემდე ვერ ვივიწყებ მათ. რა თქმა უნდა, საკმარისია ირგვლივ გაიხედო და ეს ქეშმარიტება ცხადი გახდება ყოველი ჩვენთაგანისათვის. მაგრამ მე გამაოგნა არა თავად ფაქტმა არამედ დამაინტრიგა კითხვამ: რატომ სჭირს დედამიწას რაღაც?

ისეთი გამოვლინებები, როგორცაა სიყვარული, პატივისცემა, დაცვა და თავაზიანობა, - უბრალოდ გასაღები კი არ არის წარმატებული ქორწინების და ახლო ურთიერთობების აღსაშენებლად, ისინი წარმოადგენენ სამარადისო პრინციპებს, რომელთაც შეუძლიათ აღადგინონ ის, რაც დაკარგული იქნა კაცების და ქალების მიერ — დედამიწაზე ბატონობის ძალაუფლება. დააკვირდით, მე არ მითქვამს „დომინირება“. დომინირება — ღმერთის ნიჭების და ძალის გამოყენებაა საკუთარ ინტერესებში.

**„ცა — ცად უფლისათვის, ხოლო ქვეყანა მისცა კაცთა შვილებს.“ (ფსალმუნი 113:24)**

დომინირება დაკავშირებულია მართვასთან, ძალაუფლებასა და კონტროლთან. ეს სიტყვა გვიჩვენებს გავლენის სფეროს. მას შეიძლება ასეთი განმარტება მივცეთ: ის, ვის ძალაუფლებაშიც იმყოფება მინა, რომელსაც მართავს მფლობელი ან გამოხატავს ძალაუფლებას ტერიტორიაზე. რა ვუყავით ჩვენს მმართველობას? ნებისმიერი ძალაუფლება, კაცს მიეცა იგი თუ ქალს, იმისათვის არის განკუთვნილი რომ ემსახუროს სხვა ადამიანებს, დაეხმაროს მათ ზრდასა და განვითარებაში. მმართველობის დანიშნულების განმარტება მოცემულია დაბადების წიგნში, როცა ღმერთმა დააყენა კაცი და ქალი ედემის ბაღში და უბრძანა მათ ებატონათ და გამრავლებულიყვნენ და აეკლესოთ დედამიწა. მათი ბატონობა ემსახურებოდა დედამიწის და ყველა ცოცხალი არსების კეთილდღეობას. ხოლო დომინირებას

## ორნი ერთი გულით

სიკეთე მოაქვს მხოლოდ მფლობელისთვის მათ ხარჯზე, ვინც მას ექვემდებარება. როცა კაცმა და ქალმა დაკარგეს საკუთარი უფლება მმართველობაზე, ანუ გავლენაზე, რომელიც ჰქონდათ დედამიწაზე, ამით დაზარალდა ყველაფერი, რაც მათ ძალაუფლების ქვეშ იმყოფებოდა.

**„და აკურთხა ისინი ღმერთმა და უთხრა მათ: ინაყოფიერეთ და გამრავლდით, და აღავსეთ ქვეყანა და დაეუფლეთ მას; და ბატონობდეთ ზღვის თევზებზე და ციურ ფრინველებზე და ყოველ ცხოველზე... აჰა, მოგეცით თქვენ ყოველი ბალახი, თესლის მთესველი, რომელიც მიწის პირზეა და ყოველი ხე, რომელზეც თესლის მთესველი ნაყოფია – საჭმელად ... და იხილა ღმერთმა ყოველივე, რაც შექმნა, და ძალზე კარგი იყო.“ (დაბადება 1:28-31)**

მე მიყვარს ეს მუხლი, სადაც ნათქვამია იმის შესახებ, თუ როგორ აკურთხა ღმერთმა ადამიანები. შეიძლება შენიშნოთ რა აღტაცებით ანიჭებს ღმერთი ადამიანს ძალაუფლებას. შეუძლებელია წმიდა წერილის ამ ადგილის მნიშვნელოვნების ზედმეტად ხაზგასმა: ღმერთმა აკურთხა კაციც და ქალიც, შემდეგ კი თქვა, რომ ეს „ძალიან კარგია“. როცა ისინი ერთად იყვნენ, მათ არ ჰქონდათ სუსტი მხარეები და ნაკლოვანებები. მათი საერთო ბუნების ყოველი ასპექტი სრულყოფილი იყო.

### მამაკაცების და ქალების წვლილი საერთო საქმეში

ეს კურთხევა დღესაც ძალაშია, რადგან ჩვენი სურვილისამებრ მას შეუძლია ცხოველყოს ყველაფერი, რაც ჩვენ შეიძლება დაგვჭირდეს. ღმერთმა ადამს და ევას დიდი საჩუქარი გაუკეთა. მათ მიიღეს განკარგულებაში დედამიწა მისი სისავსით. მაგრამ, ჩვენ, მათ შთამომავლებს, არასოდეს გვიგვრძნია, რომ ჩვენი ძალაუფლების ქვეშ იმყოფებოდეს დედამიწა და მისი სავსება.

ახლახანს, როცა ვიმყოფებოდი ალასკის მთებში, გამოაცხადე ალუწერელი სილამაზის პანორამამ. ვერც კი წარმომედგინა, რომ დედამიწაზე არსებობს ასეთი დიდებული ადგილები. თუმცა ახლა, ცოდვის დაცემიდან ათასობით წლის შემდეგ ჩვენს თვალებს შეუძლიათ ხედავდნენ უწინდელი დიდების მხოლოდ მცირე ნაწილს დედამიწაზე. ხოლო პირველი წყვილი ტკბებოდა მისი პირვანდელი სილამაზით; მას ეკუთვნოდა ყველაფერი, რაც აუცილებელია წესრიგის დასაცავად დედამიწაზე, ამიტომაც დედამიწა მისი მმართველობის ქვეშ ყვაოდა.

## იზრძოლე როგორც ძალმა

ადამმა დაიწყო თავისი მმართველობა იმით, რომ ყველა ცხოველს სახელი მისცა. ამან განაპირობა წესრიგი და როლების სწორი განაწილება მთელს ცხოველთა სამყაროში. მაგალითად, ძირითადი ტერმინები „ქმნილება“ და „ცხოველი“ დაყოფილი იქნა ადამის მიერ მრავალ სახეობად — ცხენი, ძაღლი, არწივი, თევზი და ა.შ. — და ყველაფერს გაუჩნდა საკუთარი სახელი, წყვილი და საცხოვრებელი გარემო.

შემდეგ, ისტორიის სცენაზე გამოჩნდა ევა და შეიტანა საერთო საქმეში ურთიერთობების აშენების თავისი ნიჭი. იგი შეუერთდა ადამს, რის შედეგადაც მათ შორის თავიდან ჯერ მეგობრობა გაჩნდა, შემდეგ სექსუალური სიახლოვე, რამაც შვილების გაჩენა გამოიწვია. ევას გამოჩენამდე ადამს ჰქონდა თესლი, მაგრამ არ ჰქონდა ბოსტანი, სადაც დათესავდა მას. ამიტომაც მის თესლს არ შეეძლო ნაყოფის მოტანა. ქალის გაჩენამდე მამაკაცს ჰქონდა საკვების სიუხვე, უბრალოდ არავინ ჰყავდა, ვისთანაც შეძლებდა მის განაწილებას, არავინ, ვინც მიხვდებოდა თუ რა გემო ჰქონდა ამ ყველაფერს მისთვის. არავინ იყო, ვისთან ერთადაც იგი ერთად იოცნებებდა. ევას გარეშე ადამი ჩაკეტილი იყო საკუთარ თავში, მაგრამ ევამ მისი ცხოვრება გააფართოვა ყოველ მის გამოვლინებაში. თავიდანვე, მამაკაცის საქმე იყო როლების განაწილება და წესრიგის დამყარება, ხოლო ქალების — ახლო ურთიერთობების და ოჯახური ატმოსფეროს შექმნა.

ძალაუფლება მისი სწორი გაგებით ეძლევა ადამიანს სხვების დაცვის და მხარდაჭერის უზრუნველყოფისთვის და იშვიათად ეძლევა მხოლოდ ერთის, მისი მფლობელის სასიკეთოდ. იგი გადაეცემა მათ კომპლექტში ვალდებულებებთან მის წინაშე, ვინც მისცა ეს ძალაუფლება. ადამიანები ინიშნებიან გარკვეულ თანამდებობებზე წესრიგის დასამყარებლად რათა ყველანი ირგვლივ ყვაოდნენ. თუ ძალაუფლებას არასწორად იყენებენ, იგი საბოლოო ჯამში თავის თავდაპირველი მიზნების წინააღმდეგ იმოქმედებს.

მაგალითად, დამქირავებლები, რომლებიც იყენებენ თავიანთ პოზიციას საკუთარი ანგარებისათვის, მალე აღმოაჩენენ, რომ მათ მიერ დასაქმებულები მუშაობენ მხოლოდ თავიანთი კუთვნილი ხელფასის მისაღებად და არა მიძღვნით, რომ ისეთი რამ ააშენონ, რაც აყვავდება. ასეთი ხელმძღვანელები მცდარად თვლიან, რომ არ სჭირდებათ საკუთარი თანამშრომლები და ამის

## ორნი ერთი გულით

გამო მათ გამოუმუშავდებათ ასეთი პოზიცია: დაქირავებულები ბედნიერები უნდა იყვნენ უბრალოდ იმის გამო, რომ მუშაობენ მათ კომპანიაში. თუ კომპანიის მესაკუთრეები არ დაეხმარებიან თავიანთ თანამშრომლებს იგრძნონ, რომ ეს დაწესებულება მათაც ეკუთვნით, ეს უკანასკნელები მალე დაკარგავენ ყოველგვარ სტიმულს სამუშაოდ. ხოლო ამის გარეშე სიხარული მათ მიერ შესრულებული საქმის გამო თანდათანობით ნულამდე დავა და ყოველდღიური საქმეების შესრულება უბრალო რუტინად გადაიქცევა. პასიური თანამშრომლები არაფრით არ განსხვავდებიან რობოტებისგან, რომლებიც ავტომატურად ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს. დაწესებულების ხელმძღვანელი უკაყოფილო იქნება მისი შეხედულებით, საქმის უკუსვლით. ის იგრძნობს თავს ისე, თითქოს მის მხრებზე დევს მთელი კომპანიის პრობლემების დაუძლეველი ტვირთი.

ხშირად ასეთი უფროსი ვერც კი ხვდება საკუთარ ფატალურ შეცდომას. იმის გამო, რომ იგი არასათანადოდ აფასებდა თავის თანამშრომლებს, მას მარტოს მოუწევს საკუთარი ფირმის წამოწევა. არადა მისი თანამშრომლები ხომ სიხარულით აიღებდნენ საკუთარ თავზე ტვირთის ნაწილს, თუ მათი უფროსი გაუზიარებდა მათ საკუთარი თავის ფასეულობის და მნიშვნელობის გრძნობას, როგორც კომპანიის „სვეტებისა“. ამ სიტუაციაში კომპანიის მფლობელს ემუქრება კიდევ ერთი საფრთხე. თუ მისი ხელქვეითებს, რომელთაც მმართველი პოზიციები უკავიათ, იმედები გაუცრუვდებათ კომპანიასთან მიმართებაში, ისინი შეეცდებიან საკუთარი პასუხისმგებლობის სხვებზე გადადებას. რატომ? იმიტომ, რომ არავის მოუწდება წარმატების მიღწევა, რომელსაც მას არ გაუზიარებენ.

## გაზიარებული ხელმძღვანელობა

მსგავსი რამ ხდება ქორწინებაშიც. ქმარი არის უფროსი, რომელთანაც მუშაობს მისი ცოლი. იგი არის ხელმძღვანელი, რომელიც შრომობს ცოლის კეთილდღეობისთვის. საერთოდ, თუ მამაკაცი საკმარისად ბრძენი აღმოჩნდა, იგი გამუდმებით შეახსენებს საკუთარ მეორე ნახევარს, რომ ვერ მიაღწევს წარმატებას მეუღლის დახმარების გარეშე. მე ძალიან მსიამოვნებს ჩემი ქმრისგან იმის მოსმენა, რომ ვჭირდები მას. რა ხდება ასეთ შემთვევაში? იგი იყენებს საკუთარი სიტყვის ნიჭს, როცა მე „საჭიროს“ მეძახის. ეს უნიკალურად მანიჭებს მე ძალას, რათა აღვასრულო ის, რაც მას სჭირდება. ხოლო, თუ მე ვიცი როგორ

## იზრძოლე როგორც ძალმა

ვუბასუხო მის რაიმე საჭიროებას, მაშინ ვცდილობ გავაკეთო ყოველივე, რაც ჩემს ძალებშია, ოღონდ გამოვასწორო ეს მდგომარეობა. მე უბრალოდ ვიფურჩქნები, როცა იგი მეუბნება, რომ ვჭირდები მას.

თუ მამაკაცი იყენებს საკუთარ ძალაუფლებას არა დანიშნულებისამებრ, ეს აისახება მის ცოლსა და შვილებზე. თუ ქალი არადანიშნულებისამებრ იყენებს საკუთარ გავლენას, ეს აისახება მის ქმარზე. შედეგად ჩნდება წყვილები, სადაც ქმარი და ცოლი ერთმანეთზე განანწყებულები არიან და ოჯახები, სადაც გამუდმებით ჩნდება კონფლიქტები. ამ თავში მე მსურს თქვენი ყურადღება მივაქციო ქორწინების არსზე და იმაზე, თუ როგორ სურს ღმერთს დაგვიბრუნოს მმართველობა დედამიწაზე ქორწინების მეშვეობით, რომელიც ორი ერთი გულის მქონე ადამიანის კავშირია.

თუ ქმარი დაიწყებს ბატონობას თავის ცოლზე, ცოლი ჩვეულებისამებრ რეაგირებს მის ქცევაზე სხვადასხვანაირად: ან საკუთარ თავში ჩაიკეტება, ან აჯანყდება და დაიწყებს ქმართან ბრძოლას. ზოგჯერ, ასეთ შემთხვევებში ოჯახებში ხდება „სისხლიანი გადატრიალებები“. ბატონობა ძალიან განსხვავდება ლიდერობისგან. ლიდერობა გულისხმობს ქვეშევრდომების თავისუფლების ქონას მაშინ, როცა ბატონობა ითხოვს მათგან უპირობო მორჩილებას.

ძალიან ადვილია იმ ქალის ამოცნობა, რომელიც ვინმეს ბატონობის ქვეშ იმყოფება. ჩვენდა სასირცხვილოდ შევნიშნავ: ძალიან ხშირად ქალებზე ბატონობენ ეკლესიებშიც კი. დამცილების მრავალი წლის შემდეგ ისინი, როგორც წესი, იკეტებიან საკუთარ თავში. მათი ფიზიკური მდგომარეობით ფაქტობრივად ჩანს, როდის უარყოფენ ან ამცირებენ მათ თავიანთი ქმრები. გარე სამყაროსთან კავშირის და მისი მხარდაჭერის გარეშე ეს უბედურები შეიძლება მალე დაემსგავსონ იმ ლამაზმანების ჩრდილებს, რომლებიც ქორწინებამდე იყვნენ. ასეთი ქალები დიდი ხანია აღარ არიან დარწმუნებულები საკუთარ თავში; მათ უკვე დიდი ხანია შეწყვიტეს წვლილის შეტანა ბედნიერი ქორწინების აღშენებაში, რადგან მათ წაართვეს ყველფერი, რაც ეკუთვნოდათ. ისინი აღარ გამოთქვამენ საკუთარ შეხედულებებს, რადგან მრავალი წლის განმავლობაში მათ აზრს იგნორირებდნენ ან საერთოდ უარყოფდნენ. მათი ქალური ინტუიციის ძალა გადაიქცა ეჭვიანობასა და საკუთარ თავში დაურწმუნე-

## ორნი ერთი გულით

ბლობაში. ისინი ხშირად უარს ეუბნებიან თავიანთ ქმრებს ინტიმურ ურთიერთობებზე, რადგან უჭირთ იმაზე დათანხმება, რასაც აიძულებენ. ქალები, რომლებიც არ გრძნობენ რომ უყვართ და სასურველი არიან, ცდილობენ გაექცნენ ყოველგვარ სიახლოვეს.

ასეთი ქალები დაბნეულები არიან და პრაქტიკულად არ შეუძლიათ არცერთი დამოუკიდებელი გადანწყვეტილების მიღება. იმყოფებიან რა შიშის მდგომარეობაში, ცდილობენ გააკეთონ ყოველივე რაც შესაძლებელია, რათა დაიმსახურონ ქმრის კეთილგანწყობა და ყურადღება. მე სრულიად ვემხრობი იმ წყვილებს, რომლებიც ერთობლივად ლეზულობენ გადანწყვეტილებებს, მაგრამ ვერ დავეთანხმები იმ ქმრებს, რომლებიც ყველა გადანწყვეტილებას ერთპიროვნულად იღებენ და არც კი ეკითხებიან ცოლს რჩევას. გაღიზიანებულ მდგომარეობაში მყოფი, ასეთი ქმარი უარს ეუბნება ცოლს ყველაფერში, ასე რომ მისი მეუღლე მალე მას საერთოდ აღარ სთხოვს ნებართვას. ხშირად იმის გამო, რომ მისი ქმარი არ ეთანხმება მას შვილების აღზრდის მეთოდში, ასეთი ცოლი ეცდება გადაუხვიოს ღმერთის მიერ მისთვის მიცემული დედის ვალდებულებებისგან. რათა არ იყოს დამცირებული საკუთარი შვილების მიერ უგულვებელყოფით, იგი არჩევს გაჩუმდეს და არ გამოიყენოს საკუთარი ძალაუფლება შვილების მიმართ (მაშინაც კი, როცა ეს უკიდურესად მნიშვნელოვანია), იფიქრებს რა, რომ მისი აზრი არაფერს ნიშნავს. სრულიად იმედგაცრუებული საკუთარ აღმზრდელობით საქმიანობაში იგი იწყებს კითხვის დასმას: იქნებ, შვილები უკეთ იგრძნობენ თავს, თუ დედა არ ჩაერევა მათ ცხოვრებაში? ის გრძნობს თავს ისე, თითქოს დიდ ხანს და მძიმედ იბრძოდა, მაგრამ დამარცხდა. მას ძალიან ცოტა ახლო მეგობარი ჰყავს მისი ფარული შიშებისა და გაურკვეველობის გამო. გრძნობს რა, რომ ქმარს არ უყვარს, მალევე იკეტება მთელ გარშემო სამყაროსგან. მისი ქმარი არასოდეს ეძახდა მას მოფერებითი სახელეებით; მას ბაგეებიდან არ წამოსცდენია სიტყვები „საყვარელო“ ან „ძვირფასო“.

### სიტყვა „საყვარელო“ ღმერთის ბაგეებშია

**„ნუ გეშინიათ, რადგან გამოგისყიდეთ, მოგინოდეთ თქვენი სახელით. ჩემი ხართ თქვენ.“ (ესაია 43:1)**



## იბრძოლე როგორც ქალმა

ზეცისა და მიწის შემოქმედი გეძახით სახელით და გეძახით თქვენ საკუთარს. აგრეთვე იგი ამბობს:

**„რადგან როგორც ქალი, მიტოვებული და სულმწუხარე, მოგიხმო შენ უფალმა, და როგორც სიყმანვილის ცოლი, რომელიც მოძულეებული იყო!“ ამბობს შენი ღმერთი.“**  
(ესაის 54:6)

ქალბატონებო გატეხილი გულით, თქვენთვის არის იმედი, რადგან არსებობს იგი, ვისაც სურს შეგეხოთ, აღადგინოს თქვენი ცხოვრება და ასევე იბრძოლოს თქვენთვის ნებისმიერ ცხოვრებისეულ მდგომარეობაში.

**„სამი რამის ქვეშ იძვრის მიწა და ოთხის ზიდვა არ შეუძლია. მონა, როდესაც ის მეფდება, და არამზადა, როდესაც ის პურით ძლება, საძულველი ქალი, როდესაც ის თხოვდება და მხვევალი, როდესაც ის დაიმკვიდრებს თავისი ქალბატონის ადგილს.“** (იგავები 30:21-23)

ხედავთ? ღმერთმა დედამიწა შექმნა ისე, რომ იგი იწყებს ზანზარს, როცა მასზე ცხოვრობს უსიყვარულო ცოლი, რომელიც სიმწარით არის აღსავსე. დედამიწა ასევე ზანზარებს, როცა მოსამსახურე ქალი (რომელიც მოწოდებულია მსახურებისთვის) იკავებს თავისი ბატონის (ქალის) ადგილს (რომელიც მოწოდებულია ლიდერობისთვის). რატომ უნდა იწვევდეს ეს მიწის შეზანზარებას? იმის გამო ხომ არა, რომ მთელი პლანეტის სიჯანსაღე განუწყვეტლად არის დაკავშირებული ურთიერთსიყვარულთან და ერთობლივ ბატონობასთან მასზე მამაკაცის და ქალის მხრიდან? როცა ძალაუფლება და სიყვარული არ მიდიან გვერდი-გვერდ, ამის გამო იტანჯება მთელი სამყარო. როცა ჩვენ ვიყენებთ ღმერთის მიერ ჩვენთვის მოცემულ ძალაუფლებას ჩვენს მოკავშირეების წინააღმდეგ ბრძოლაში, მთელი ბუნება აღმოჩნდება ჩაბმული ამის გამო წარმოქმნილ კონფლიქტსა და აგონიაში. ჩემდა სამარცხვინოდ გეტყვით, რომ ეკლესიებში განქორწინებების რაოდენობა არა ნაკლებია, ვიდრე მის გარეთ. რატომ ხდება ისე, რომ ქრისტიანული საზოგადოება აქამდე ასე არამგრძობიარედ ეპყრობა ქალებს? ამას წინათ, როცა მე თვითმფრინავით ვბრუნდებოდი ავსტრალიიდან სახლში, ძალიან დამამწუხრა თვითმფრინავში ნაკითხულმა სტატია. მასში ეწერა, რომ ერთმა ისლამურმა ვებ-გვერდმა გამოაქვეყნა რჩევების სია, რომელიც ეხებოდა სწორ დისციპლინას და ცოლების ცემას. ჩემთვის ძალზედ გასაკვირი იყო ის, რომ ისლამურ

## ორნი ერთი გულით

საზოგადოებას არ უყვარს საკუთარი ასულები, მაგრამ ამ გამოცხადებამ მათი პირადი ტკივილის შესახებ გამიტეხა გული. ეს საიტი შექმნილი იყო უგრძობი კაცებისთვის, რომლებიც ისწრაფვიან იმისკენ, რომ აკონტროლონ საკუთარი ცოლები. დისციპლინის პირველი ნაბიჯის სახით ავტორები ქმრებს ურჩევდნენ ცოლებთან არ ჰქონოდათ სექსი (როგორც ჩანს, მათთვის სექსი სიყვარულის ექვივალენტია); თუ ეს ვერ დაეხმარება, მკითხველებს ურჩევდნენ საკუთარი ცოლის ცემის სხვადასხვა მეთოდებს.

კანკალებს კი დედამინა დღემდე ამ ქალების ტკივილის გამო? ვფიქრობ, რომ ის ქვეყნები, რომლებშიც ხშირად ხდება გადატრიალებები და კატაკლიზმები, იტანჯებიან საკუთარი უყურადღებობის გამო ქალების უფლებებისადმი. ნუ იფიქრებთ, რომ ეს ქალები არ არიან ძვირფასები ზეციერი მამის თვალში: იგი ყველაფერს ამჩნევს. რატომ არიან ისლამური ქვეყნები ასე არასტაბილური ეკონომიკურ და პოლიტიკურ დამოკიდებულებაში, თუმცა მრავალი მათგანი რესურსების ქონის მხრივ ერთერთი ყველაზე მდიდარი ქვეყნები არიან მსოფლიოში? მათ არ შეუძლიათ სიღარიბიდან ამოსვლა იმიტომ, რომ ისინი იყენებენ არაჯანსაღ პოლიტიკურ და რელიგიურ ბატონობას, და არა სწორ მმართველობას. ღმერთი არ განიკითხავს და არ იშორებს თავიდან თავის ასულებს, რომლებიც ამ ქვეყნებში ცხოვრობენ. მაგრამ მას გული წყდება, როცა ხედავს თუ როგორ ეპყრობიან მათ ქმრები.

**„და როცა დაინახა უფალმა, რომ მოძულებული იყო ლეა, გახსნა მისი საშო.“ (დაბადება 29:31)**

ღმერთი ხშირად ხსნიდა ქალების საშოს და ჩაკეტილ გულს. მან ლეას აჩუქა ვაჟი, რათა მისი სიყვარული არ ჩამქრალიყო მის გულში და ჰქონოდა მემკვიდრეობა მომავალში. ბატონობას მივყავართ განქორწინებასთან, დაყოფასა და დანაკარგებთან; მმართველობას — მემკვიდრეობის გაჩენასთან. ბრძოლა გველსა და ქალს შორის ჯერ არ დამთავრებულა, რადგან ჩვენ ვერ გავაცნობიერეთ საკუთარი სრული გამარჯვება.

## სად არის სიყვარული?

როგორ მივალნიოთ ურთიერთობების აღდგენას? სად მოვ-

## იზრძოლე როგორც ძალმა

ძებნოთ სრული გამარჯვება, რომელიც ჩვენ იესომ მოგვცა, ევას შთამომავალმა? როდის დავინყებთ ერთმანეთის უპირობოდ შეყვარებას? ნუთუ, იესო მხოლოდ იმისათვის მოვიდა, რომ მოეცა ჩვენთვის საუკუნო სიცოცხლე ჩვენი სკვდილის შემდეგ? არა, იგი მოვიდა იმისათვის, რომ აღედგინა ის, რაც დაკარგული იქნა, მათ შორის, სწორი ურთიერთობებიც.

**„მე იმისათვის მოვედი, რომ სიცოცხლე ჰქონდეთ მათ და უხვად ჰქონდეთ.“ (იოანე 10:10)**

**„ძე კაცისა მოვიდა დაკარგულის სახსნელად და გადასარჩენად.“ (ლუკა 19:10)**

ამ მუხლებში საუბარი იმაზე კი არ არის, რომ ცხოვრება სიუხვით გველოდება ჩვენ მხოლოდ ზეცაში, აქ საუბარია ალდგენასა და სიუხვეზე ახლა, დედამინაზე. ყველაფერი, რაც დაკარგულია, ალდგენილი იქნება და ადამიანური ურთიერთობები აღივსება სიცოცხლით. ძალიან ხშირად ჩვენ ვხდებით იმდენად რელიგიურები, რომ ვინცებთ ლუკას 19:10-ის განხილვას როგორც მონოდებას მივუტანოთ სახარება ყველას, ვინც ჯერ არ არის დახსნილი. ამას წინათ გავიგე, რომ ერთმა ქრისტიანმა ლიდერმა მოუწოდა ბიზნესმენებს სწორად შეეხედად „დაღუპულების დახსნის“ პრინციპისთვის და შეენწყვიტათ იმის სირცხვილი, რომ ღმერთმა მისცა მათ უნარი ფინანსურად წარმატებულები ყოფილიყვნენ. როცა მე მოვისმინე მისი სიტყვები, ჩემმა გულმა ხტუნვა დაიწყო. რატომ არ შეგვიძლია გამოვიყენოთ ეს ჭეშმარიტება ურთიერთობებშიც? კაცებსა და ქალებს კვლავ შეუძლიათ იცხოვრონ როგორც ერთი! ნებისმიერი დანგრეული ურთიერთობის აღდგენა შეიძლება. პავლე იყენებდა ქორწინების მაგალითს, რათა აღწერა ურთიერთობა ქრისტესა და ეკლესიას შორის. ეს იმასაც ნიშნავს, რომ ჩვენც ასევე შეგვიძლია განკურნება განვიცადოთ ჩვენს ოჯახში!

**„მამაკაცებო, გიყვარდეთ თქვენი ცოლები, ისევე, როგორც ქრისტემ შეიყვარა ეკლესია და თავი გასწირა მისთვის ... ისე უნდა უყვარდეთ მამაკაცებს თავიანთი ცოლები, როგორც საკუთარი სხეულები. ვისაც საკუთარი ცოლი უყვარს, მას საკუთარი სხეული უყვარს.“ (ეფესელთა 5:25,28)**

ამ ყველაფრის დასკვნა შემდეგია: ცოლები იმისათვის არიან შექმნილნი, რომ ქმრებს უყვარდეთ. როგორ უყვარს ქრისტეს ეკლესია? მან საკუთარი სიცოცხლე გაიღო ჩვენთვის და გვიწო-

## ორნი ერთი გულით

და თავისები. ქმარს, რომელსაც ცოლი უყვარს, მას საკუთარი თავიც უყვარს. ნიშნავს ეს იმას, რომ იმ ქმარს, რომელსაც თავისი ცოლი სძულს, საკუთარი თავიც სძულს? დარწმუნებული ვარ, რომ ქმარი, რომელიც საკუთარ ცოლზე ბატონობს, პარავს საკუთარ თავს ყველაფერს, რისი მიცემაც ცოლს შეეძლო მისთვის. მისი გაკონტროლებით იგი კეტავს მის სიცოცხლის წყაროს და კარგავს სიბრძნესა და სინაზეს, რომელთა მიცემაც ცოლს შეეძლო მისთვის. ზოგჯერ ასეთ შემთხვევაში ქალს რჩება მხოლოდ ერთი იმედი — ის, რომ ღმერთი დაინახავს მის უარყოფას. პავლე, როცა კაცისა და ქალის ურთიერთობებზე საუბრობს ეფესელთა მიმართ წერილში, ადარებს მათ ქრისტესა და ეკლესიის ურთიერთობებს:

**„მიატოვებს კაცი თავის მამას და თავის დედას და მიეკრობა თავის ცოლს, და ორივენი ერთ ხორცად იქნებიან. დიდია ეს საიდუმლო, მე ვამბობ ქრისტეზე და ეკლესიაზე. ასევე ყოველ თქვენგანს უყვარდეს თავისი ცოლი, როგორც საკუთარი თავი. ცოლსაც ეშინოდეს ქმრისა.“ (ეფესელთა 5:31-33)**

საიდან ციტირებს პავლე, როდესაც ამბობს: „ამიტომ, მიატოვებს კაცი...“ მას მოყავს ციტატა დაბადების წიგნიდან. პავლე გვახსენებს ჩვენ ურთიერთობების პირვანდელ დანიშნულებაზე. ამასთან, მამაკაცის როლს ეთმობა უფრო მეტი ყურადღება, ვიდრე ქალის როლს. ქმრებს უნდა უყვარდეთ, ცოლები პატივს უნდა სცემდნენ. ეს ძალიან სწორი მიდგომაა, რადგან ქალები თავის აუცილებელია გრძნობდნენ რომ ისინი უყვართ, ხოლო მამაკაცები — რომ მათ პატივს სცემენ.

ჩვენთვის მოცემულ ხსნას შეუძლია აღადგინოს ყველაფერი, რაც დაკარგული იყო ცოდვით დაცემის შემდეგ. ცოდვამ ჩამოგვაშორა არა მხოლოდ ღმერთის თანდასწრებას, მან ასევე გვაიძულა თავი არაკომფორტულად გვეგრძნო ერთმანეთთან. თუ ხსნას გააჩნია ძალა, რომელსაც შეუძლია ჩვენი ურთიერთობების აღდგენა ღმერთთან, მით უმეტეს მას შეუძლია ჩვენი ერთმანეთთან შერიგება. ეს აღდგენა იწყება მაშინ, როცა ჩვენ ვემორჩილებით ღმერთის სიტყვის ჭეშმარიტებას და გააზრებულ არჩევანს ვაკეთებთ, რომ დავდიოდეთ მისი გზებით. შევძლებთ კი ჩვენ იმის დაჯერებას, რომ ქმრებს კვლავ ეყვარებათ თავიანთი ცოლები, ხოლო ცოლები კვლავ სცემენ პატივს ქმრებს? შეიძლება დიდი ხნის დაკარგული სიყვარულისა და პატივისცემის აღდგენა? დიახ, მაგრამ მხოლოდ ღმერთის მკურ-

## იბრძოლე როგორც ძალმა

ნალი ჩარევის მეშვეობით. მე ვოცნებობ, რომ ვიხილო როგორ გადაიქცევა ყოველი ქორწინება კავშირად, სადაც ორს ძლიერ უყვართ ერთმანეთი. წყვილებმა უნდა გააერთიანონ თავიანთი ცხოვრება, რადგან ერთად ისინი უფრო ძლიერნი იქნებიან, ვიდრე ცალ-ცალკე.

მე და ჯონს გვაქვს როგორც სუსტი, ისე ძლიერი მხარეებიც, მაგრამ როდესაც ჩვენ ერთმანეთს ვაშენებთ სიყავრულში, ჩვენი სუსტი მხარეები ძლიერდება, ხოლო ძლიერი მხარეები — უფრო მეტად რბილი და სათუთი ხდება.

## როცა ცოლ-ქმარი ჩხუბობს

ღმერთი ეძებს წყვილებს, რომლებსაც იგი აკურთხებს, მაგრამ იგი უყურებს არა უბრალოდ კამპანიას, რომელიც ორი ადამიანისგან შედგება. იგი უყურებს ამ ორი ადამიანის გულის მდგომარეობას და მათ დამოკიდებულებას ერთმანეთთან. ხშირად ადამიანები აცხადებენ ღმერთის მიერ მოცემულ ალთქმებს თავიანთ ცხოვრებაში და იციან სწორი პასუხები, მაგრამ, თითქოს არაფერი იცვლება. ქმრები და ცოლები ომობენ ერთმანეთთან, ხოლო შემდეგ უკვირთ, თუ რატომ არ ესმის ღმერთს მათი ლოცვები. შესაძლოა, თქვენც აღმოჩენილხართ მსგავს მდგომარეობაში. თქვენ იცით, რომ ღმერთი რეალურია და გისმენთ, მაგრამ მისსა და თქვენს შორის თითქოსდა გაჩნდა გადაულახავი უფსკრული. თავს ისე გრძნობთ, თითქოს ბოლო ძალებით ცდილობდეთ კიდევ ერთი დღის გატარებას. ქრისტიანობა თქვენთვის აღარ არის ცხოვრება, თავგადასავლებით სავსე, არამედ, ბრძანებებისა და კანონების გრძელი სია.

თქვენ უყურებთ ურწმუნო ხალხს და გეჩვენებათ, რომ მათ ცხოვრებაში ყველაფერი მშვენივრად არის: მათი საქმიანობა ყვავის; მათი ქორწინება და ინტიმური ცხოვრება აღმავლობას განიცდის; მათი ყოველდღიური ცხოვრება დიდ წვეულებას ჰგავს. ისინი უწყინრად და უდარდელად ხარჯავენ თავიანთ ფულს და ცხოვრობენ დიდ სასახლეებში. თქვენ კი, მეორეს მხრივ, გამუდმებით ებრძვით დანაშაულის შეგრძნებას, თუმცა კეთილსინდისიერად ზოგავთ კაპიკებს და აგროვებთ.

თუ თქვენ ასეთნაირად გიგრძნვიათ თავი, შემოიძლია გაგამხნევოთ: თქვენ მარტო არ ხართ, არამედ დადგა დრო გამოიკვლიოთ საკუთარი გული. მოდით შევხედოთ მაგალითს მალაქიის წიგნიდან. ისრაელიანელებს იმდენად ცუდად მისდიოდათ საქმეები, რომ მათ დაიწყეს ღმერთის დადანაშაულება იმაში, რომ

## ორნი ერთი გულით

იგი უსამართლო იყო მათდამი. შესაძლოა, თქვენ არასოდეს დაგიდანაშაულებიათ ღმერთი (ვალიარებ, მე სულ მცირე მიფიქრია ასე თან საკმაოდ ხმამაღლადაც). მოდით ვნახოთ, როგორ უპასუხა ღმერთმა თავის ბრალმდებლებს და ამ პასუხიდან შევიძინოთ სიბრძნე ჩვენი დღევანდელი ცხოვრებისთვის.

**„თქვენ ამბობთ: „ფუჭია ღვთის მორჩილება, რას გვარგებსო მისი სამსახური და მწუხარედ სიარული ცაბაოთ უფლის წინაშე? ბედნიერები არიან ამპარტავნებო. აშენდნენ კიდეც ბოროტმოქმედნი, ღმერთიც კი გამოსცადეს და გადარჩნენო.“ (მალაქია 3:14-15)**

ღმერთს არ სძინავს და ადამიანების გამუდმებული წუნუნი ადრე თუ გვიან ღლის მას. სავარაუდოდ, ბევრი ფიქრობს, რომ შეუძლიათ ღმერთზე შთაბეჭდილების მოხდენა თავიანთი ლოცვებით. ღმერთი უხსნის, რომ საქმე საერთოდ არ მდგომარეობს იმაში, რომ იგი უსამართლოა... შესაძლოა, იგი ცოტაოდენ უკმაყოფილოა მათით.

ღმერთი არ ყოფილა მათი პრობლემა, და იგი საკმაოდ მონყალე იყო მათ მიმართ, რათა აეხსნა ისრაელიანელებისთვის რას აკეთებდნენ ისინი არასწორად. უპირველესყოვლისა, ისინი პარავდნენ მას მეთაურობას და შესანიშნავებს (მალაქია 3:8). თვალთმაქცურად აძლევდნენ მას საკუთარი საკვებიდან ნარჩენებს და უარეს ნაწილებს. ხვდებით თუ არა, რამდენად სერიოზულია ეს — ღმერთის გაქურდვა? მაგრამ იყო სხვა მიზეზიც, რომელიც დიდად ამწუხრებდა ღმერთს:

**„აჰა, კიდეც რას აკეთებთ: ცრემლით აფარვინებთ სამსხვერპლოს, ტირილითა და კვნესით, ისე რომ ველარ ხედავს ძღვენს და კეთილგანწყობით ველარ იღებს თქვენი ხელიდან. თქვენ ამბობთ რისთვისო? იმისთვის, რომ მონამე იყო უფალი შენსა და შენი სიჭაბუკის ცოლს შორს, რომელსაც უღალატე. ის კი შენი მეგობარი და შენი აღთქმის ცოლი იყო. არავინ ჩაიდენს ამას, ვისაც კი სულის ნატამალი შერჩენია. რას ითხოვს კაცი? შთამომავლობას ღვთისგან, და თქვენც გაუფრთხილდით თქვენს სულს და ნუ უღალატებთ სიყმანვილის ცოლს. რადგან მძულს გაყრა, – ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი, – და თავისი სამოსელის ძალადობით დამფარველი – ამბობს ცაბაოთ უფალი, – გაუფრთხილდით თქვენს სულს და ნუ იქნებით ღალატელები.“ (მალაქია 2:13-16)**

## იბრძოლე რომორც ძალმა

ღმერთი იმიტომ არ პასუხობდა ამ მამაკაცების ლოცვებზე, რომ ისინი არასწორად ექცეოდნენ თავიანთ ცოლებს. ამ ნანყვეტში ქმრებს ორჯერ ეძლევათ ბრძანება დაეცვათ საკუთარი სულიერი კავშირი და ყოფილიყვნენ ერთგულნი თავიანთი ცოლებისადმი. როცა კაცი და ქალი ერთი მთლიანი ნაწილი ხდებიან, ღმერთი მათთან არის. იგი კრავს მათ სულიერად, ისევე როგორც მან ისინი ქორწინების დღეს გააერთიანა. ღმერთს არ მოსწონს, როცა ვინმე არასწორად ექცევა მის ასულებს ან შვილებს. ქორწინება — არის კავშირი, რომელიც ორ ადამიანს ერთ მთლიან ნაწილად აქცევს. ღმერთს სძულს განქორწინებები, რადგან ისინი ანგრევენ შვილების ცხოვრებას და ტკივილს აყენებენ მათ დედებს.

თუ ისტორიკოსებს დაუფჯერებთ, რომლებიც ბიბლიას სწავლობდნენ, ძველადთქმისეულ დროში ქმრები იმდენად ძლიერ შეურაცხყოფდნენ თავიანთ ცოლებს, რომ როცა ისინი (ცოლები) მიდიოდნენ ტაძარში და დგებოდნენ ღმერთის სახის წინაშე, არ შეეძლოთ არცერთი სიტყვის თქმა, უბრალოდ ტიროდნენ. ის დრო, როცა მათ უნდა ეზეიმათ ღმერთის სიკეთე, ამგვარად გადაიქცეოდა გოდებისა და მწუხარების მსახურებად.

რითი განსხვავდება იმ დროის სურათი დღევანდელისგან? რამდენი ცოლი ტირის ლოცვის დროს უფლის სახის წინაშე ტკივილისგან, ნაცვლად იმისა, რომ ჰმადლობდნენ მას მათი ქორწინების გამო? განა ცოტა ქალი ზის ღვთის მსახურებებზე ცრემლიანი თვალებით, მაშინ როცა ყოფილი ქმრები ეკლესიის სხვა ნაწილში იგივე მსახურებაზე მშვენივრად გრძნობენ თავს მეტად ახალგაზრდა ცოლთან ერთად?

მადლიერი ვარ ღმერთის იმის გამო, რომ დავდივარ ეკლესიაში, რომელსაც უყვარს ქალები და იცავს მათ. მამა ღმერთს არ მოსწონს, როცა იგი გვაძლევს რამეს ჩვენს სასიკეთოდ (მაგალითად, ოჯახს), ხოლო ჩვენ ვიყენებთ ამას ბოროტად (ერთმანეთს ვაშორებთ ორს, რომლებიც ადრე ერთი სხეული იყვნენ). და დღეს, ისევე როგორც მალაქიას დღევანდელში, ღმერთს სურს, რომ მისი შვილები მიდიოდნენ მასთან მოწინებებით, სიყვარულით აღვსილნი და მადლიერებით ყველა მისი კურთხევისთვის. მაგრამ მალაქიას დროს ქალები იმდენად დამცირებულ მდგომარეობაში იყვნენ, რომ მათ ძალიან უჭირდათ ღმერთის მადლიერება. ისინი თავს უარყოფილებად და დამძიმებულად გრძნობდნენ. მათ ქმრებს აღარ უყვარდათ ისინი ისე, როგორც

## ორნი ერთი გულით

თავიდან. ცოლებს ხშირად უგულებელყოფდნენ. გახშირდა განქორწინებები სხვებზე დაოჯახების მიზნით, მეტად ახალგაზრდა გოგოებზე.

### ქორწინება როგორც მხარდაჭერის ბალი

ღმერთი ყოველთვის გეგმავდა, რომ ჩვენი ქორწინება ყოფილიყო სიხარულისა და სიყვარულის ზეიმი, და არა მოსაწყენი ყოველდღიური ვალდებულება. ღმერთს სძულს, როცა წყვილები შორდებიან ერთმანეთს როგორც ემოციურად ისე ლეგალურად. მას სურს, რომ ქორწინება იქცეს დაცვის და სიყვარულის ადგილად, სადაც ორი ადამიანი ლებულობს ძალას ერთმანეთისგან. მას სურს, რომ შვილები იზრდებოდნენ სიყვარულისა და სიხარულის ატმოსფეროში. მე არ მოვუწოდებ ყველას გამონაკლისის გარეშე, იცხოვრონ ქორწინებაში, სადაც გამცირებენ, არამედ გთავაზობთ ყველას შეცვალოთ თქვენი წარმოდგენა ქორწინების შესახებ.

მე ვიცი ამ მედლის ორივე მხარე. ჩემი მშობლები ცხოვრობდნენ ერთ სახლში, როგორც უცხოები. მე მასწავლიდნენ, რომ ვყოფილიყავი ქმრის მორჩილი ისე, რომ ეს ჩემი ასაკის ნებისმიერ გოგოს დააკარგვინებდა გათხოვების სურვილს. ვინმე დათანხმდება საკუთარი ნებით გაცვალოს ნათელი, ლალი ცხოვრება ნაცრისფერ, უსახო არსებობაზე, რომელიც კლავს თქვენს ინდივიდუალურობას? მეორეს მხრივ, მე არა ერთხელ მინახავს, როგორ გადაუვლიდნენ და ამცირებდნენ ქალები თავიანთ ქმრებს. ქორწინება არ უნდა გულისხმობდეს დანაკარგს არცერთი მეუღლისთვის. ღმერთმა შექმნა ადამი ურთიერთობების წყურვილით, შემდეგ კი მიუყვანა მას ევა, რათა დაეკმაყოფილებინა ეს მოთხოვნა. შემოქმედმა, და არა მამაკაცმა, განსაზღვრა თავდაპირველად, რომ არ არის კარგი ადამიანისთვის მარტო ყოფნა, და სწორედ მან აკურთხა ორი ადამიანის კავშირი.

როცა ორნი ხდებიან ერთი სხეული, ყოველთვის არსებობს გამრავლების პრინციპი. იგი არ იგულისხმება მხოლოდ იმაში, რომ წყვილებს ეყოლებათ შვილები, - იგი ეხება მათი ცხოვრების ყოველ სფეროს. რა მოხდება თუ ჩვენ ერთი მთლიანი ნაწილი გავხდებით? ყოველი ჩვენთაგანი მხოლოდ მოგებაში დავრჩებით ამით.

ჩვენს ქორწინებაში ასევე იყო ინტენსიური ჩხუბებისა და გამუდმებული კამათების დრო. მე და ჯონს გვიჩნდებოდა აზრ-



## იბრძოლე როგორც ძალმა

თასხვაობები, ნაცვლად იმისა, რომ ისინი ღიად მოგვეგვარებინა, ჩვენ „ცივ ომს“ ვაჩალებდით. გამოზომილად გვიყვარდა ერთმანეთი და ასეთივე მეგობრები ვიყავით, მაგრამ არა ამაზე უფრო მეტი. ჯონი გამუდმებით იმყოფებოდა მოგზაურობებში, ხოლო მე ვრჩებოდი სახლში და ვზრდიდი შვილებს. ჩვენი ორბიტები თითქმის არ იკვეთებოდნენ. ასე უფრო გვიადვილდებოდა ცხოვრება: მე არ ვაწუხებდი მას, ხოლო ის — მე. ცალ-ცალკე ცხოვრება, როგორც ჩვენ გვეჩვენებოდა, უფრო უსაფრთხო იყო. მე ვფიქრობდი, რომ თუ ვაჩვენებ ქმარს, რომ მჭირდება იგი, მივცემ მას კიდევ ერთ შესაძლებლობას დამჭრას და იმედები გამიცრუოს. რამდენადაც სამწუხარო არ უნდა იყოს, ვფიქრობ, რომ ჯონიც იგივენაირად ფიქრობდა. ჩვენ მზად ვიყავით ნებისმიერს მოვმსახურობდით, მხოლოდ არა ერთმანეთს. ჩვენს შორის იყო ღრმა უფსკრული, თითქოს ვიმყოფებოდით არაგაფორმებულ იურიდიულად ემოციურ განქორწინებაში. ერთხელ დილით გავიღვიძე ძალიან ადრე და დავინყე რალაცის წერა ჩემს დღიურში, და უეცრად სულიწმიდამ გულში ჩამიდო წმიდა წერილის ერთი მუხლი:

**„აბა, თუ ივლიან ორნი ერთად, თუ ერთმანეთში არ შეთანხმდნენ?“ (ამოსი 3:3)**

ჩვენ ერთად მივდიოდით, მაგრამ არ იყო შეთანხმება. ჩვენ უბრალოდ მოვილაპარაკეთ არ აღგვექვა ერთმანეთი სერიოზულად, ხოლო ცოლ-ქმრისთვის, სიმართლე ვთქვათ, ეს არ არის საუკეთესო შეთანხმება. მე ვიგრძენი, ღმერთი როგორ აგრძელებდა ჩემს დარიგებას: „ის, რისი გაკეთებაც მინდა თქვენს მეშვეობით, ვერ მოხდება, თუ თქვენ ცალ-ცალკე იმოქმედებთ... მე მინდა, რომ ერთი მთლიანი ნაწილი გახდეთ, რადგან მხოლოდ ასე შევძლებ თქვენს კურთხევას.“

მოგვიანებით გავუზიარე ჯონს ის, რაც ღმერთმა მითხრა. მე გავუცხადე მზადყოფნა ყოველთვის მის გვერდით ვყოფილიყავი, მხარი დამეჭირა მისთვის, და გამოუუტყდი, რომ ცხოვრებას მის გარეშე ჩემთვის არანაირი აზრი არ აქვს. ჯონი მოლბა და იგივეს გაკეთების სურვილი გამოხატა. იმ დღეს ჩვენ შევერწყით ერთმანეთს. ჩვენ გვერდზე გადავდეთ ყველაფერი: დისტანცია, შეხედულებები, ვინ იყო მართალი, ვინ ცდებოდა. ჩვენ ეს ყველაფერი მამას გადავეცით ლოცვაში: „ყოვლისშემძლე ღმერთო, კვლავ გვაკურთხე... გაგვხადე ერთიან ნაწილად.“ სწორედ მაშინ მოხდა გადამწყვეტი შემოტრიალება ჩვენს ურთიერთობებში, ოჯახში, ფინანსებსა და მსახურებაში.

ორნი ერთი გულით

**როცა ცოლი არასწორად იყენებს თავის ძალაუფლებას**

**„ორნი ჯობიან ერთს, რადგან კარგი გასამრჯელო აქვთ თავიანთ შრომაში.“ (ეკლესიასტე 4:9)**

მეუღლეებს უნდა მოჰქონდეთ ერთმანეთისთვის ზრდა და კურთხევა. თუ ქმარი არასწორად იყენებს საკუთარ ძალაუფლებასა და ძალას, ეს გადაიქცევა ცოლზე ბატონობაში. მაგრამ რა ხდება მაშინ, როცა ცოლი იყენებს საკუთარ ძალაუფლებას არასწორად?

ცოლს გააჩნია უნარი გავლენა მოახდინოს ქმარზე და შექმნას ოჯახში ხელსაყრელი გარემო მეუღლეებს შორის ახლო ურთიერთობის ასაშენებლად. როცა ეს გავლენა მავნე ხდება, იგი გადაიქცევა საშიშ რალაცად, სახელად „მანიპულაცია“. მანიპულაცია ხშირ შემთხვევაში გააზრებული არჩევანია, რომელსაც ცოლი შიშის გამო აკეთებს. მას თავდაცვის ინსტინქტი უფრო მართავს, ვიდრე სიყვარული.

თანამედროვე გოგოების უმრავლესობას არავინ არიგებს სიბრძნეში. ყველაფერი, რაც მათ ისწავლეს ახალგაზრდულ წლებში, არის მამაკაცების მანიპულირება და ცდუნება. ვიღაცით ან რამით მანიპულირება ნიშნავს სხვისი სისუსტის გამოყენებას ეგოისტური მიზნებით. ქმრის შემთხვევაში, ეს სისუსტე ხშირად მისი გულის ან საკუთარი გრძნობების სათანადოდ გამოხატვის უუნარობაა. ჯანსაღ ოჯახში ცოლი მოცემულ შემთხვევაში გაგებით ეკიდება ქმრის სისუსტეებს და არ ეთამაშება მათ.

მანიპულაციას გააჩნია სხვადასხვაგვარი ფორმა. ცოლს არ შეუძლია ქმრისადმი პატივისცემის გამოხატვა, და ამით აიძულებს მას იგრძნოს თავი სუსტად და დამცირებულად; ან პირიქით, ეპირფერებოდეს ქმარს იმისათვის, რომ მისგან მიიღოს ის, რაც მას სჭირდება. ორივე შემთხვევაში ერთი ადამიანი თამაშობს მეორეს სისუსტეებზე. ქმარს ხომ დიდი მოთხოვნილება გააჩნია იმაში, რომ ვინმე აფასებდეს და პატივს სცემდეს მას. ჩვეულებისამებრ თვალთმაქცი ტყუილის მეშვეობით ცდილობს თავისთვის გარკვეული სარგებლის მოპოვებას. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ არ შეიძლება ქმრისთვის კომპლიმენტების თქმა. ყველა ცოლი რეგულარულად და წრფელად უნდა ამხნევედეს ქმარს და ასე მათ თვითშეფასებას უნდა ამაღლებდეს. ეს ოჯახის თავს უქმნის (და შვილებსაც კი) უსაფრთხოების გრძნობას. ასევე, ბრძენი ქმარი კომპლიმენტებს ეტყვის ცოლს, გაამხნეებს

## იზრძოლე რომორც ძალმა

რა მას თავისი სიყვარულით. საპასუხოდ მისი ცოლი აყვავდება და მეუღლეს არანაკლებ სიყვარულს აჩუქებს.

ამ თემაზე შეიძლება ერთი ბიბლიური ამბის გახსენება. სამსონს ჰქონდა სისუსტე ქალების მიმართ. ერთხელ იგი დაღლილი ეძებდა ადგილს მოსასვენებლად, და ლამაზმანმა დალილამ გამოიყენა მისი სისუსტე საკუთარი სარგებლისთვის. როცა სიახლოვეს ბოროტად იყენებენ, იგი გადაიქცევა ცდუნებაში და ქალის მოთხოვნილება მამაკაცისთვის ტრიალდება მის წინააღმდეგ, და არა მის სასიკეთოდ. ამგვარ სიტუაციაში მამაკაცის ძალა არ იზრდება, პირიქით, მცირდება. ასე, რომ მარტო მამაკაცები როდი იქცევიან მოღალატურად ქალებთან მიმართებაში.

**„რომ გაიხსნას უცხო ქალისაგან, უცხოტომელისაგან, რომლის სიტყვებიც ლაქარდიანია, რომელმაც დატოვა თავისი სიყმანვილის მეგობარი და თავისი ღმერთის აღთქმა დაივიწყა. რადგან მის სახლს სიკვდილისაკენ მიჰყავს და მის ბილიკებს – მკვდრებისკენ. არც ერთი მასთან შემსვლელი უკან არ ბრუნდება და ველარ ჰპოვებენ სიცოცხლის გზებს.“ (იგავები 2:16-19)**

მაცდური ქალი იყენებს თავის სიტყვებს ცდუნებისა და ტყუილისთვის და არა დახმარებისა და კურთხევისათვის. იგი მიატოვებს თავის ქმარს, ამით წყვეტს ღმერთთან აღთქმას. თითქოს საკმარისი არ იყოს და ამის შემდეგ სწორი გზიდან სხვა მამაკაცებსაც გადაახვევინებს. მისი მსხვერპლები დაბრმავებულები ცვლიან სიცოცხლეს დროებით სიამოვნებაზე, რომელსაც საბოლოო ჯამში სიკვდილამდე მიჰყავთ. სიბრძნე ყველას ღიად მიმართავს, ხოლო ცდუნება სიტყვას ჩასწურჩულებს ყურში.

**„და აცდუნა თავისი მრავალი სიტყვით, თავისი მლიქვნელი ბაგით მოხიბლა იგი.“ (იგავები 7:21)**

მაცდური სიტყვები და მლიქვნელობა — ცდუნების იარაღებია. ყურადღება მიაქციეთ: „ბაგით მოხიბლა იგი.“ სიტყვებს აქვთ ძალა დაატყვევონ და გაათავისუფლონ, ააშენონ და დაანგრიონ. მაცდური ქალი პარავს კაცებს სიცოცხლეს, მაშინ როცა ბრძენი ქალი იცავს ამ სიცოცხლეს.

### **ფოკუსირებული იყავით თქვენი ქმრის ძლიერ მხარეებზე**

მეც კი არ შემიძლია ჩამოვთვალო ჩემი ცხოვრების ყველა

## ორნი ერთი გულით

დანგრეული სფერო, რომლებიც გადმოვიტანე ჩემს ქორწინებაში. ჯონსაც ჰქონდა თავისი პრობლემები და ჩვენ არასოდეს არ გამოგვდიოდა თანხმობის მიღწევა კამათებში, რადგან ერთადერთი, რასაც ჩვენ ვაკეთებდით — ნიხლს ვაჭერდით ერთმანეთის სუსტ მხარეებს. არავის აქვს ისეთი სიახლოვე, როგორც ქმარს და ცოლს. და ღმერთს არასოდეს დაუგეგმავს, რომ ახლო ადამიანები ყურადღებას ამახვილებდნენ ერთმანეთის სუსტი მხარეების შესწავლაზე.

ვიცი რა სფეროებში ვუშვებ შეცდომებს. ჯონმაც იცის, რა სფეროებშია იგი ძლიერი. ჩვენ ერთმანეთის ცხოვრებაში იმისათვის ვართ, რომ დავეხმაროთ სუსტი მხარეების გაძლიერებაში. მაგრამ, განა ადამიანს აძლიერებს ის, რომ მისი მეუღლე გამუდმებით ახსენებდეს მას მისი სუსტი მხარეების შესახებ? როგორც უკვე ვთქვი, გაცილებით სასარგებლოა შეახსენო ადამიანებს მათი ძლიერი მხარეების შესახებ. წარმოიდგინეთ ქალაქი, რომელსაც შემორტყმული აქვს კედელი. მტერი თუ შემოესეოდა, განა დაეხმარებოდა მათ ის ფაქტი, რომ გამუდმებით მიეთითებინათ მის გასაგონად კედლის სუსტი ადგილების შესახებ? პირიქით, მათთვის აუცილებელი იქნებოდა სასწრაფოდ გაეძლიერებინათ ეს სუსტი ადგილები თავის დასაცავად. აღდგენაში იგულისხმება სისუსტის გაძლიერება და არა გამუდმებით მისი სისუსტის გაკრიტიკება.

ჩვენი ერთობლივი ცხოვრების რალაც მომენტში მე და ჯონმა აღმოვაჩინეთ, რომ გამუდმებული კრიტიკა ერთმანეთის მიმართებაში არ მოქმედებს, ამიტომ ნაცვლად იმისა, რომ თითო მიგვეშვირა სხვის სისუსტეებზე, ყოველმა ჩვენგანმა დაიწყო საკუთარი ცხოვრების აშენება, მეუღლის ძლიერ მხარეებზე ფოკუსირებით. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მეტი ყურადღების გამახვილება დავინწყეთ ერთმანეთის ღირსებაზე. ასევე ორივეს გვჭირდებოდა რალაცის შეცვლა საკუთარი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

უპირველესყოვლისა, მე შევცვალე ჯონთან ჩემი საუბრის მანერა. მეორე, შევწყვიტე მისი ნაკლოვანებების განსჯა უცხოებთან. მესამე, გააზრებული გადანწყვეტილება მივიღე არ გავჩერებულყავი იმ ქალების კომპანიაში, სადაც კაცებს აძაგებდნენ. ეს მართლაც მნიშვნელოვანი იყო, რადგან მე თავის მხრივ, იმედი მქონდა, რომ ჯონი არ დაიწყებდა იმ მამაკაცებთან საუბარს, ვინც ქალებს აძაგებდნენ. მიუხედავად იმისა, მიგაჩნიათ თუ არა საკუთარი თავი მართლად, საუბარში ნათქვამი

## იზრძოლე რომორც ძალმა

ან მოსმენილი აგდებული შენიშვნები ვინმეს მიმართ საბოლოო ჯამში გავლენას მოახდენენ მთელს თქვენ მსოფლმხედველობაზე. მამაკაცების ლანძღვა საშიში და გადამდებია, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ჩუმად იყოთ და უსმენდეთ რა სარკაზმულად ახსენებენ საპირისპირო სქესის წარმომადგენლებს სხვა ქალები. იცოდეთ, რომ მსგავსი საუბრები თანდათან გარყვნიან თქვენს შეხედულებას ჭეშმარიტებასა და ღირსებაზე.

მე აგრეთვე მიჩვენია არ ვატარებდე დროს იმ ქალების გარემოში, რომლებიც ღიად განიხილავენ საკუთარ სექსუალურ ცხოვრებას სხვებთან. არ ვამბობ იმ ქალების შესახებ, რომლებიც მიმართავენ სხვებს დახმარებისთვის ან რჩევისთვის, არამედ მათზე, ვისაც სიამოვნებას ანიჭებთ სხვადასხვა პიკანტური დეტალების განხილვა, რომლებიც მათ ქმრებს ეხებათ. ასეთი რაღაცეების მოსმენა არ მინდოდა და როცა შემდეგ ვხედავდი მათ ქმრებს, ცოტაოდენ უხერხულად ვგრძნობდი თავს, რადგან მათი ცოლების ჭორიკნობა მქონდა მოსმენილი.

ის, რაც ხდება ქორწინებაში და ცოლ-ქმრულ სარეცელზე, მათთვის უნდა იყოს ძალის, სიცოცხლის და მხარდაჭერის წყარო. იგავების წიგნი არაერთხელ ადარებს მეუღლეების პირად ცხოვრებას სუფთა წყლის წყაროს. როგორ შეიძლება ეს წყალი არ აიძვრეს, თუ წყაროდან ძალიან ბევრი ადამიანი დაღვეს? საუბარი საკუთარ სექსუალურ ცხოვრებაზე ისე, თითქოს ეს იყოს რაიმე რომანი ან მორიგი სტატია „კოსმოპოლიტენის“ ყურნალიდან — არ არის ქრისტიანული საქციელი. იაკობის მიმართ წერილში ასეთი რამ არის ნათქვამი სიტყვის ძალაზე:

**„განა მოედინება ერთი წყაროსთვალისა და ტკბილი და მწარე? ჩემო ძმებო, განა შეუძლია ლელვის ხეს ზეთისხილი მოისხას, ანდა ვაზს – ლელვი? ასევე ერთი წყაროდან არ შეიძლება მოედინებოდეს მლაშე და ტკბილი წყალი.“ (3:11-12)**

ჩვენ ყოველთვის ვილაპარაკებთ იმაზე, რითაც სავსეა ჩვენი გული. თუ თქვენი გულიდან მოედინება მშვენიერი, სიცოცხლის მომცემი გრძნობები, ისინი განაახლებენ სხვებს, მაგრამ თუ თქვენს გულში წყლის მაგვარი რამ იქნება, მაგრამ სიცოცხლეს არ მოაქვს, ფრთხილად იყავით. შეუძლებელია სვავდე მლაშე წყალს, რადგან იგი აღიზიანებს თვალებს და აშრობს კანს. მასში შეიძლება ბანაობა, მაგრამ მას არ შეუძლია წყურვილის დაკმაყოფილება. მხოლოდ ღმერთს შეუძლია ჩვენი მეშვეობით თავისი ცოცხალი წყლის გადმოღვრა.

## ორნი ერთი გულით

„სვი წყალი შენი ბინულიდან და ნაკადები შენი ჭიდან, იდინონ შენმა წყაროებმა ქუჩაში და წყლის ნაკადულებმა – მოედნებზე. მხოლოდ შენი იყოს ისინი და არა შენთან მყოფ უცხოთესლთა. კურთხეული იყოს შენი წყარო და გაიხარე შენი სიყრმის ცოლით, საყვარელი ფურ-ირმითა და მშვენიერი შველით. მისმა მკერდმა დაგაკმაყოფილოს ყოველ ჟამს, მისი სიყვარული გიტაცებდეს მუდამ!“ (იგავები 5:15-19)

ძალიან მომწონს ქორწინების სიყვარულის ეს პოეტური აღწერა. მხოლოდ ჩვენს სახლებში მოსჩქევს სუფთა წყალი. ქალს უნდა შეეძლოს ქმრის დატყვევება თავისი სიყვარულით. როცა წყარო გარეთ მიედინება — იგულისხმება მრუშობა, პორნოგრაფია ან ბინძური საუბრები, — იგი სხვა ადამიანის ხელში ვარდება და იმღვრევა. ის, რაც ორი ადამიანის კავშირში მშვენიერია ბინძური ხდება მაშინ, როცა მასში მონაწილეობას ღებულობს მრავალი ადამიანი. როცა საკუთარ ინტიმურ ცხოვრებას უცხოებს ვუზიარებთ, ვარღვევთ მის სინამდის.

## ქარიშხლის დანყნარება

ქმრები და ცოლები მოწოდებულნი არიან არა უბრალოდ ერთ სანოლში იწვნენ, არამედ ათბობდნენ და იცავდნენ ერთმანეთს.

**„დანებთან ორნი და თბილად იქნებთან, ერთი კი როგორ გათბება? და ერთს თუ დაამარცხებს ვინმე, ორნი დადგებიან მის წინააღმდეგ. სამმაგი ძაფი მალე არ განყდება.“ (ეკლესიასტე 4:11-12)**

ღმერთი არ გვპირდება უქარიშხლო ცხოვრებას, მაგრამ ჩვენ თავად შეგვიძლია მივიღოთ გადაწყვეტილება რომ დავანყნაროთ ეს ქარიშხლები. ოცი წლის მანძილზე, ცდების და შეცდომების მეშვეობით მივედი შემდეგ დასკვნამდე: გარე სტიქიები, რომლებიც ბობოქრობენ ჩემი ქორწინების გარეთ, არ წარმოადგენენ ჩემთვის არანაირ საფრთხეს, იქამდე, სანამ ჩემს ოჯახში ვპოულობ უსაფრთხოებასა და მოსვენებას. მაგრამ ქარიშხლები, რომლებიც ჩემს ქორწინებაში ხდება, შეიძლება წარმოადგენდნენ ჩემთვის რეალურ საფრთხეს. ამიტომ, რაც არ უნდა იდგეს ჩვენს წინააღმდეგ მთელი დღის განმავლობაში, ყოველ საღამოს ჩვენ უნდა ვპოულობდეთ სითბოს და უსაფრთხოებას ჩვენს საძინებელში.

## იბრძოლე რომორც ძალმა

დარწმუნებული ვარ (თქვენც კი იცით ეს), რომ შეიძლება იწვევს კაცთან ერთ სანოლში და არ გრძნობდე მის მიმართ არანაირ სიყვარულს. როცა ორი ადამიანი იწყებენ საკუთარი სარეცლის გაზიარებას სხვა ადამიანებთან, ამით ქურდავენ საკუთარ მეუღლეს; ასე ორივე იწვევენ მარცხს. არ ვიცი, რა მდგომარეობაში ყოფილა თქვენი ქორწინება. არ ვიცი, რა ქარიშხლები მძვინვარებენ ამ მომენტში თქვენი სარეცლის ფანჯრებს მიღმა. თქვენ არ შეგიძლიათ იმის გაკონტროლება, რაც გარეთ ხდება, თქვენს ძალაუფლებაშია მიიღოთ გადაწყვეტილება, რომ არ შემოუშვათ „უამინდობა“ სახლში. თუ თქვენ უკვე მიეცით ნება ნეგატიურ ზენოლას შემოვარდნილიყო გარედან თქვენს ქორწინებაში, გირჩევთ შეცვალოთ ეს დღესვე.

ცოლები პატივს უნდა სცემდნენ თავიანთ ქმრებს და თელიდნენ მათ ყველაზე ახლო მეგობრებად. ქმრებს უნდა უყვარდეთ თავიანთი ცოლები და ანდობდნენ მათ თავიანთი გულის ნადებს. დაოჯახებულ ადამიანებს დროთა განმავლობაში უფრო მეტად უნდა უყვარდეთ ერთმანეთი, ვიდრე თავიდან და უნდა ტკებოდნენ ერთად გატარებული წლებით.

### **„სამმაგი ძაფი მალე არ განყდება.“ (ეკლესიასტე 4:12)**

დარწმუნებული ვარ, რომ ეს სამმაგი ძაფი შეიძლება იყოს იმ ერთობის მაგალითი, სადაც ერთმანეთში დანუღნი არის ცოლის მიერ პატივცემული ქმარი, საყვარელი ცოლი და მათი შვილები, რომლებიც მათი კავშირით გაჩნდნენ. მშობლების განქორწინებების გამო ბევრმა ჩვენთაგანმა შეიძლება ვერ დავიმკვიდრეთ ჯანსაღი დამოკიდებულება სიყვარულისა და ფინანსების მიმართ, მაგრამ ცვლილებებისთვის ჯერ კიდევ გვიანი არ არის. მთელი თაობის პოტენციალის აღდგენა შესაძლებელი ხდება ყოველი ახალი თაობის დაბადებით. მოდით ამისათვის ერთად ვიბრძოლოთ.

### **ზეციერო მამა,**

მოვდივარ შენთან იესოს სახელით. აღადგინე ჩვენს ქორწინებაში ორი ადამიანის კავშირი, რომლებიც ერთნი გახდნენ. დაგვიბრუნე მმართველობის უფლება მთელს დედამიწაზე და მოგვიტევე, რომ ჩვენს ძლიერ მხარეებს ერთმანეთის წინააღმდეგ ვიყენებდით. მე ვლებულობ გადაწყვეტილებას რომ ჩემი სიტყვებით და საქმეებით ვავლენდე პატივისცემას ჩემი ქმრისადმი. მინდა, რომ ჩვენმა ცხოვრებამ დაუტოვოს ჩვენს შვილებს

## ორნი ერთი გულით

კეთილი მემკვიდრეობა. გააღვიძე ჩვენში პირველი სიყვარული ერთმანეთისადმი. აღადგინე ქმართან ჩემი ურთიერთობის სიბო, ძალა და სიახლოვე. გარემომიცავი ღვთისმობში მეგობრებით, რომლებიც დაეხმარებიან ჩემს ქორწინებას ზრდასა და განვითარებაში. დამანახე რა ცვლილებების მოხდენაა ამისათვის აუცილებელი. მომიტევე, რომ ვიყენებდი ჩემს სიტყვებსა და გავლენას არადანიშნულებისამებრ. მომიტევე, რომ ვწუნუნებდი შენს მიმართ. მამა, შენ გულუხვი და მონყალე ხარ ჩემს მიმართ. მე ვღებულობ გადანყვეტილებას ვქმნიდე ჩემს სახლში ისეთ ატმოსფეროს, რომელსაც შენ აკურთხებდი. ვღებულობ გადანყვეტილებას ჩემს ქმართან ერთად გავზდე ერთი მთლიანი ნაწილი და აღვადგინოთ დედამინაზე მმართველობის ჩვენი უფლება. ამინ.



## თავი მეთერთმეტი

### ბრძოლა სილამაზისთვის

ამ სწრაფად ცვალებადი სამყაროს პირობებშიც კი ზოგიერთი რამ უცვლელი რჩება. ქალების სწრაფვა, ყოველთვის რჩებოდნენ ახალგაზრდები და ლამაზები — უცვლელი სიდიდეა. სადაც არ უნდა გაიხედო, სახეზეა ქალების იმედგაცრუებული მცდელობები შეინარჩუნონ თავიანთი ქრობადი სილამაზე სხვადასხვა საშუალებების მეშვეობით. უნდა დავსვათ კითხვა: რატომ ექცევა ამდენი ყურადღება სილამაზის შენარჩუნებას? ვფიქრობ, რომ პასუხი არის სილამაზის კავშირში ჩვენს დაფარულ ადამიანურ სწრაფვასთან... სიყვარულის ნყურვილთან. ჩვენ გვიქრება სურვილი ვიკითხოთ ჟურნალები, ვუყუროთ ტელევიზორს ან ვიაროთ მაღაზიებში, თუ არ ვართ ამ ნყურვილით მავალნი.

ჩვენ არა უბრალოდ გვინდა ლამაზები ვიყოთ ... არამედ გვინდა, რომ სილამაზე გარემოგვიცავდეს. გვსურს, რომ მას ყველაფერში ვპოულობდეთ, რასაც ვხედავთ, რასაც ვეხებით, რასაც გემოს ვუსინჯავთ ან შევისუნთქავთ. ამ სურვილის მმართველობის ქვეშ ადამიანები იწყებენ საკუთარი სახლების და სხეულების მორთვას, ავსებენ კარადებს, ამწვანებენ ბალებს, ოთახებს და ზოგ შემთხვევაში კი, თავიანთ ქალაქებსაც კი. მაგრამ განა ასეთი სურვილი და მისგან წარმოქმნილი შედეგები არასწორია? შესაძლოა ჩვენ ვირჩევთ არასწორ მიდგომას, მაგრამ თავად ასეთ სურვილში არაფერი ცუდი არ არის, რადგან თავად ღმერთი არის სილამაზის ამ ძიების ინიციატორი და შემოქმედი ჩვენი სურვილისა — ვიყოთ ლამაზები.

**„ყოველივე მშვენივრად შექმნა თავის ჟამს.“ (ეკლესიასტე 3:11)**

მიაქციეთ ყურადღება, ამ მუხლში არ არის ნათქვამი, რომ იგი ყველაფერს თავის დროზე ლამაზად გააკეთებს, მასში ნათქვამია, რომ მან ყველაფერი ლამაზად შექმნა. უფალმა ლამაზად შექმნა ყველაფერი და არა რალაც-რალაცეები; ეს ნიშნავს იმას, რომ ყოველი ადამიანი და არა რამდენიმე რჩეული მშვენიერია თავისი ბუნებით. ჩვენ ვატარებთ ჩვენში აღთქმას იმის შესახებ,

## ბრძოლა სილამაზისთვის

რომ ღმერთი დაგვპირდა რომ მშვენიერებს შეგვექმნიდა. ჩვენ შექმნილნი ვართ მშვენიერებისა და სილამაზისთვის. ამიტომ, აღარ ჩნდება კითხვა იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა იყო მუდმივად ლამაზი... ჩვენ აუცილებლად ვიქნებით ასეთები. კითხვა მდგომარეობს მხოლოდ იმაში თუ სად და როდის მოხდება ეს. მარადისობაში უკვე აღარავინ იტყვის, რომ ღმერთმა იგი დააჯილდოვა სილამაზით, ხოლო ვიღაცა მის გარეშე დატოვა. იქ ყველა ადამიანი მშენიერი იქნება. ამასთან დაკავშირებით ჩნდება კიდევ კითხვა: თუ სილამაზე განკუთვნილია ყველასათვის, მაშინ როდის მივიღებთ მას ყოველი ჩვენგანი? კიდევ რა დრო უნდა გავიდეს, სანამ ყველა და ყველაფერი შეიმოსება სილამაზესა და მშვენიერებაში?

სილამაზისკენ სწრაფვასთან ერთად ღმერთმა მოგვცა იმის იმედიც, რომ ყველაფერი ძველი ერთ დღეს გადავა და დადგება ყველაფერი ახალი. დააკვირდით, მე არ მითქვამს, რომ ყველაფერი ძველი ახალგაზრდა გახდება, არამედ ყველაფერი ძველი განახლდება. ახალგაზრდობის დაბრუნება არ არის საკმარისი. ვიცი, მოიძებნება ქალები, რომლებიც არ დაეთანხმებიან ამ მტკიცებულებას. უსიხარულო და მძიმე ცხოვრებით დაღლილები და დაქანცულები, ისინი თავჩამოშვებულნი დაიწყებენ წუნუნს: „როგორ დავიღალე. უკვე დიდი ხანია ვცხოვრობ და აღარ მინდა ამ ცხოვრების ხელახლად გატარება.“ გთხოვთ, გამიგეთ, მე არ გთავაზობთ, რომ ხელახლად დაიწყოთ ან დაბრუნდეთ თქვენს ახალგაზრდობაში, მხრებზე დაგროვილი სიბრძნით და ნასწავლი გაკვეთილებით, რომლებიც აითვისეთ ცხოვრებაში. არცერთი ეს ვარიანტი ახლოსაც კი ვერ მივა იმასთან, რომელსაც მე სინამდვილეში ვგულისხმობ. ჩვენ უნდა ვისწრაფოდეთ რაღაც უფრო დიდისკენ, ვიდრე შესაძლებლობისაკენ შემოვატრიალოთ დრო და გამოცდილების დაბრძენებულ ჩვენს სახეზე გავიკეთოთ ახალგაზრდობის ნიღაბი. არა, ჩვენ გველოდება რაღაც, რასაც ვერ დაინახავ ფიზიკური თვალებით; თუმცა, გვწამს, რომ ეს „რაღაც“ მაინც არსებობს. ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებულები ვიყოთ ამაში, რადგან ვიცით, რომ...

**„რაც თვალს არ უნახავს, ყურს არ სმენია, კაცს გულში არ გაუვლია, ღმერთმა ის მოუჩინადა თავის მოყვარულებს.“  
(1 კორინთელთა 2:9)**

ჩვენ ვეძებთ იმას, რაც არასოდეს გვინახავს. გვესმის ხმები, რომელთაც არ შეეჩვია ჩვენი სმენა, და ვილტვით ოცნებებისა

## იბრძოლე როგორც ძალმა

და იდეებისაკენ, რომელთა მიღებაც ჩვენს გონებას არ შეუძლია ჩანასახშიც კი. ამ ალტექმების აღმატებული მშვენიერება ცდება ჩვენი გონების ფარგლებს. დიდი ხნის წინ, ღმერთმა ამ ალტექმების თესლი დათესა ადამიანების გულებში, იცოდა რა, რომ ერთ დღეს ისინი მასთან მიგვიყვანდნენ.

### რა განუმზადა მან ყველა მის მოყვარულთ

ყველა ჩვენთაგანი, მომაკვდავი ადამიანები, ვისწრაფით უკვდავებასა და მარადისობისკენ. ჩვენში ჩადებულია სწრაფვა რალაც უფრო დიდისკენ, ვიდრე მიწიერი ცხოვრებაა, და ეს სწრაფვა ჭეშმარიტად დიდია — იგი არ გვაძლევს მოსვენებას. მაგრამ საკუთარი ძალებით ჩვენ ვერასოდეს შევძლებთ უკვდავებისა და მარადისობის მიღწევას. ზოგჯერ მათაცებს იმ მოთხოვნის მშვენიერება და უბრალოება, რომელიც ღმერთმა წაუყენა მათ, ვისაც დაპირდა უკვდავებასა და მარადისობას. ეს მან მის მოყვარულთათვის განამზადა.

მე მქონდა ყველა წინაპირობა შემშინებოდა იმის, რომ ვერ გავივლიდი ამ შერჩევას, ღმერთს მარადისობა მათთვის რომ განემზადებინა, ვინც მას უყვარს. მაგრამ ჩვენ არაფრის არ უნდა გვეშინოდეს. მარადიული დღესასწაული გამზადებულია ზეცაში ყველასათვის, ვისაც უყვარს უფალი. ამავდროულად, ვფიქრობ ჩვენ არ შეგვიძლია სიტყვებით გამოვხატოთ სრულიად ჩვენი სიყვარული ზეციერი მამისადმი. როცა მე ვერ ვპოულობ სიტყვებს, რომ გამოვხატო სიყვარული ჩემი ერთერთი შვილისადმი, უბრალოდ ვეუბნები: „მე შენ ძალიან, ძალიან მიყვარხარ.“ სიმართლე რომ ვთქვათ, კი მიყვარს ჩემი შვილები სინამდვილეში ძალიან ძლიერად, მაგრამ მაინც არ შემიძლია გასაგებად გადმოვცე ჩემი დედობრივი სიყვარულის სიღრმე მათადმი. შესაძლოა, როცა მხურვალედ ვეხუტები მათ, ისინი ბუნდოვნად ხედავენ ღმერთის სიყვარულს, რომელიც იმ ნუთში ჩემს მეშვეობით გულში იკრავს მათ.

სულიერი წყურვილი ყოველთვის ზრდის ჩვენი წარმოსახვის უნარის ძალას. ღმერთი ხშირად გვიჩვენებს ჩვენს არასრულყოფილებას, რათა აღძრას ჩვენში სწრაფვა მივალწიოთ მის სრულყოფილებას. თუმცა არც გვინახავს და არც გვსმენია, უფალს ყოველთვის აქვს გამოცხადება მათთვის, ვისაც მეტი სწყურია.

**„ჩვენ კი გაგვიძლია ღმერთმა თავისი სულით.“ (1 კორ. 2:10)**

## ბრძოლა სილამაზისთვის

ჩვენს სხეულში არის ორგანო, რომელსაც აქვს უნარი აღიქვას ეს გამოცხადება, – ეს ჩვენი გულია. სწორედ ჩვენს გულს მიმართავს სულიწმიდა, როცა ჩასჩურჩულებს მას თავის საიდუმლოებებს, მაშინ, როცა უფსკრული ზეცასა და მიწას შორის დროთა განმავლობაში მეტად იზრდება.

ჩვენ მონოდებულნი ვართ ველოდოთ ისეთ გარდასახვას, რომელსაც შეუძლია დაანგროს ჩვენს წინაშე ყველა შეზღუდვა და ჩარჩო, რომლებიც აშენებულია ჩვენი ადამიანური ბუნებით. მონოდებულნი ვართ გავხდეთ მონმეები ისეთი მოვლენებისა, რომლებიც ცდება დროისა და სივრცის ფარგლებს. ასეთი გრანდიოზული ცვლილებები ელოდება ყველა უფლის შვილს.

### **რატომ არის მარადისობა ჩადებული ჩვენს გულებში?**

ჩვენი ანმყო სწრაფვა სილამაზისა და განახლებისაკენ — ეს მხოლოდ ზეციურის წინასახეა. დარწმუნებული ვარ, რომ ერთ დღეს ვიხილავთ ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს სრულ აღდგენას. მე მიწახავს ასეთი სწრაფვა იმ ქალებშიც, რომლებიც სასიკვდილო სარეცელზე იწვნენ, როცა ყველა მათი იმედი, დაებრუნებინათ დაკარგული ახალგაზრდობა, პრაქტიკულად დაკარგული იყო. მე ვნახე ბებიაჩემის სახის გამომეტყველება, როცა ვაკოცე მას უკანასკნელად გარდაცვალების წინ. იმ მომენტში იგი თითქოსდა თავისი ყოფილი სილამაზის აჩრდილი იყო. მის თავს ამშვენებდა ჭალარა თმების ქუდი. მისი ხელები, რომლებიც მე მეკავა ჩემს ხელებში, დაფარული იყო ისეთი დანაოჭებული და მშრალი კანით, რომ მომიწია დაძაბვა, რათა გამეხსენებინა, რამდენად ნაზი იყო ეს კანი მრავალი წლის წინ. რომ დავენარებულიყავი წარმოვიდგინე, რომ მისი კანი ასეთი ხდება მოსამზადებლად სულის გადასასვლელად სხვა სამყაროში. მალე იგი ჩამოიშორებს ამ ხორციელ შესამოსელს, რომელიც უკვე იმდენად ძველია, რომ ვეღარ შეუძლია მარადიულად ახალგაზრდა სულის შეკავება. ბებიამ გამიღიმა, მაგრამ მე ვერ ვიცანი მისი ღიმილი, რადგან კბილები ყვითელი და მოტეხილი ჰქონდა. ჩემმა უმცროსმა შვილებმა, რომელთაც მანამდე არ ენახათ დიდი ბებია, უკანაც კი დაიხიეს შიშით, როცა მას მივუახლოვდი, რათა უკანასკნელად მეკოცა დანაოჭებულ შუბლზე. როცა მისკენ დავიხარე, მივხვდი, რომ ის მისი სურნელი, რომელიც მე ჯერ კიდევ ახალგაზრდობიდან მახსოვდა, გამქრალიყო. ვიცოდი, რომ ვეღარ ვიხილავდი მას იქამდე, ვიდრე ყველაფერი ძველი არ შეიცვლებოდა ახლით.

**„ყოველივე მშვენივრად შექმნა თავის ჟამს. თვით მარადი-  
ულობა ჩადო მათ გულებში.“ (ეკლესიასტე 3:11)**

რატომ ჩადო ღმერთმა თავის მომაკვდავ შვილებში მარადისობა? იმისათვის, რომ გამუდმებით გული დაგვწყდომოდა? არა, ვფიქრობ, რომ მან ეს იმიტომ გააკეთა, რათა მოეცა ჩვენთვის შესაძლებლობა რომ ცოცხათი მაინც შევხებოდით იმას, რისი ბუნებრივად დანახვაც, მოსმენაც ან წარმოდგენაც შეუძლებელია. მარადისობა ჩვენს გულებში გვაიძულებს არა ერთი დღით ვცხოვრობდეთ, არამედ ვილტვოდეთ იმ დროისა და ადგილისკენ, რომლებიც ჯერ არასოდეს გვიხილავს.

სიკვდილი — არასასიამოვნო მოვლენაა ადამის და ევას ძეგბისა და ასულებისათვის. ჩვენ კარგად ვერ აღვიქვამთ მას, მეტიც — ის ჩვენი მტერია. შესაძლოა, სწორედ ამის გამოა რომ ჩვენ არა უბრალოდ გვინდა გავხდეთ მონმეები იმისა, თუ როგორ გარდაიქმნება უშნო იხვი დიდებულ გედად, მაგრამ იმისაც, თუ მოხუცი, დაღლილი გედი როგორ ინარჩუნებს ახალგაზრდობას მთელი ცხოვრების განმავლობაში? ადამისა ევას შვილებს გვაქვს სრული უფლება ვებრძოდეთ სიკვდილს და ვიბრუნებდეთ ჩვენს კუთვნილ სილამაზეს. ამ მიზნით ჩვენ ვოცნებობთ ვიხილოთ როგორ გარდაიქმნება სისუსტე ძალად, როგორ ინკურნება ავადმყოფობები და როგორ გვცილდება ნგრევა და სიღარიბე. გარდა ამისა, ჩვენ ასევე ვეცდებით ვებრძოლოთ მტრის ძალაუფლებას, რომელმაც დაიპყრო ჩვენი ედემის ბაღი და დაემუქრა ჩვენს უნარს ვიბატონოთ დედამიწაზე. ყოველი ჩვენგანი შეძლებისდაგვარად ცდილობს დაფარული განძის ამოთხრას და დაპირებული საგანძურის მიღებას, და ჩვენ მას აუცილებლად მივიღებთ!

როგორ გვინდა რომ ადამიანებმა კვლავ მიიღონ წართმეული ძალა და დაალაგონ თავიანთი ცხოვრება. ამას წინათ გავოგნდით, როცა ტელეგადაცემაში ვნახე თუ ერთმა ქალმა მედიცინის დახმარებით როგორ შეიცვალა სრულიად თავისი გარეგნობა და ცხოვრების სტილი. კამერების წინაშე იდგა რა და უჩვენებდა მაყურებლებს დიზაინერების შემოქმედებითობის შედეგებს, იგი ავლენდა გამაოგნებელ განსხვავებას იმ ქალთან, რომელიც იგი იყო ჯერ კიდევ ცოცხა ხნის წინ. გადაცემის გმირი წელში უფრო გამართული იყო და აღარ იხრებოდა. მას შეეძლო აღარ შერცხვენოდა საკუთარი გარეგნობის და დარწმუნებული ყოფილიყო საკუთარ თავში, რაც ასე აუცილებელია ყველა არარეალიზებუ-

## ბრძოლა სილამაზისთვის

ლი ოცნების აღსასრულებლად. მას მოსწონდა ის, რაც ყოველთვის ჰქონდა, უბრალოდ არ შეეძლო მანამდე თავისი ნამდვილი სილამაზის გამოვლენა. ეს ქალბატონი ყოველთვის ლამაზი იყო; უბრალოდ მას დასჭირდა საკუთარი თავის ნესრიგში მოყვანა. როცა მის დასახმარებლად გამოჩნდა სტილისტი, ადამიანი, რომელმაც დაინახა ამ „უშნო იხვში“ მშვენიერი გედი, - მათ ერთად შეძლეს იმის გაკეთება მის გარეგნობასა და ცხოვრებაში, რისი გაკეთებაც მას ერთს არ შეეძლო. არა და, ჩვენ ყველას გვაქვს შესაძლებლობა მივმართოთ ყველაზე ნიჭიერ სტილისტს სამყაროში.

**„მე მამას შევევდრები და ის სხვა ნუგეშისმცემელს მოგივლენთ, რათა თქვენთან იყოს საუკუნოდ.“ (იოანე 14:16)**

სულიწმიდის რჩევა გაცილებით ფასეულია, ვიდრე ტელე-შოუში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა, სტილისტების და დიზაინერების დახმარების მიღება და ერთ სტუდიაში ცნობილ ტელენამყვანთან ერთად ყოფნა — რადგან ეს ადრე თუ გვიან ყველაფერი უბრუნდება ჩვეულ დინებას, და ასეთი გადაცემების მონაწილეები წარსდგებიან კვლავ ჩვეულებრივი ცხოვრების წინაშე.

არ მინდა პესიმისტი მოგეჩვენოთ, მაგრამ მაინც როგორც არ უნდა შეიცვალოს თქვენი გარეგნობა, თქვენ ასევე უნდა ისწავლოთ საკუთარი თავის კარგ შინაგან ფორმაში შენარჩუნება, რათა ცვლილებები გრძელვადიანი აღმოჩნდეს და არა ხუთწუთიანები.

რამდენი ქრისტიანი არ განსხვავდება არაფრით ამ გადაცემის მონაწილეებისგან? საკუთარი ცხოვრების რაღაც გარკვეულ მომენტში ისინი განიცდიან რადიკალურ, ძირეულ ცვლილებას, მაგრამ როგორც კი აღმოჩნდებიან ჩვეულ გარემოებაში, კვლავ უბრუნდებიან თავიანთ ძველ ჩვევებს. მათი გადასვლა სიკვდილისგან სიცოცხლისკენ რჩება მხოლოდ ტკბილ მოგონებად. ცვლილებები, რომლებიც მათში ოდესღაც მოხდა, წარსულში რჩება. მაგრამ ასე არ უნდა იყოს.

## ხანგრძლივი ცვლილებები

**„მართლთა კვალი განთიადივითაა, რომელიც უფრო და უფრო ძლიერდება შუადღემდე.“ (იგავები 4:18)**

## იბრძოლე როგორც ძალმა

ეს მუხლი ყოველთვის იყო ჩემი ერთერთი საყვარელი მუხლი. აქ პოეტურ ფორმაში აღწერილია ჩემი ცხოვრება. ჩვენთვის თავად კარდინალური ცვლილებების მომენტი მწვერვალად კი არ უნდა იქცეს ჩვენს ცხოვრებაში, არამედ გზის დასაწყისად, ათვლის წერტილად, როცა ჩვენს შინაგანში ინთება სინათლე და ანათებს ჩვენი ცხოვრების პირველ ეტაპს. ეს თითქმის ჰგავს ზღაპარს ჯადოსნურ ქვეყანაზე: რაც უფრო მეტად ვუახლოვდებით მიზანს, მით მეტად განათებული იქნება ჩვენი გზა.

არასოდეს დამავინცდება ჩემი შვილის რეაქცია, როცა ვესტუმრეთ ერთ ქალს, რომელიც შიდას-ით იყო დაავადებული. ეს იყო ახალგაზრდა დედა, სახლიდან გამოგდებული მშობლების მიერ და ცხოვრობდა უხეშ მეგობარ ბიჭთან ერთად, ბავშვის მამასთან, რომელმაც გადასდო მას იმუნოდეფიციტის ვირუსი.

როცა მასთან სტუმრად წავედი, რათა ამ საცოდავისთვის გადამეცა პატარა თმის ფენი, რაღაც ტანსაცმელი და საკვები მისთვის და მისი ბავშვისთვის, თან გავიყოლე ჩემი ბიჭი. იმ დროს იგი რვა წლის იყო, და მხრებში მოიკუნტა, როცა დაინახა უნესრიგობა და სიღარიბე, რომლებიც იმ პატარა ბორბლებიან ფურგონში სუფევდა, სადაც ისინი ცხოვრობდნენ. მინდოდა მესწავლებინა ჩემი შვილისთვის თანაგრძნობა დაკარგულები-სადმი, მაგრამ ამის ნაცვლად იგი ჩაიკეტა საკუთარ თავში და როგორც ჩანს, სერიოზული შოკი გადაიტანა.

როცა ჩვენ ვბრუნდებოდით სახლში, შევეკითხე, თუ რატომ ჰქონდა ასეთი რეაქცია დანახულზე. „დედა, მე შემეშინდა“, - წრფელად გამომიტყდა იგი. ცოტა ხნით დაფიქრდი, და სიმართლე გითხრათ, ჩემზეც იმოქმედა ამ საწყლების უიმედო მდგომარეობამ. სიკვდილი დაემუქრა იმ ბავშვის სიცოცხლეს, მაშინ როცა მისი ახალგაზრდა და ეგოისტი მშობლები აგრძელებდნენ დაღმასვლას ნგრევისკენ. ყველაფერი მათ საცხოვრებელში მათ უიმედო მდგომარეობაზე მონიშნავდა — იატაკზე მიმოყრილი ტანსაცმლით დაწყებული და მაგიდაზე დადებული გადაუხდელი ქვითრებით და საკვები ტალონებით დამთავრებული. ისინი უგუნურად ეკიდებოდნენ იმას, რაც ჰქონდათ და ამიტომაც აღმოჩნდნენ მსოფლიოში ერთერთ ღარიბ ადამიანებად. ხშირად სიღარიბე გვიკაკუნებს კარებზე მაშინ, როცა ჩვენ არ ვაფასებთ იმას, რაც გვაქვს; ისევე როგორც ცდუნებები, რომლებიც იმ შემთხვევაში მოდის ჩვენს ცხოვრებაში, თუ არ ვიცით ვინ ვართ.

**„ყოველივე მშვენივრად შექმნა თავის ჟამს. თვით მარადი-**

**ულობა ჩადო მათ გულებში, მაგრამ საქმეს, რაც ღმერთმა მოიმოქმედა თავიდან ბოლომდე, ვერ ხვდება ადამიანი.“**  
(ეკლესიასტე 3:11)

### სწრაფვა გადარჩენისაკენ

ღმერთმა ყოველ ჩვენგანში ჩადო გადარჩენისკენ სწრაფვა და იმედი, მაგრამ ყველაზე საშინელი რამ ჩვენთვის არის ამ იმედის დაკარგვა. მის გარეშე, ჩვენ ვკარგავთ მომავალს. მარადიული ფასეულობების თვალსაზრისიდან გამომდინარე, ჩვენი ყველაზე დიდი სურვილი უნდა იყოს სწრაფვა ვიხილოთ ის, თუ როგორ გარდაიქნება ქაოსი წესრიგად. ახალგაზრდობა გამოდის მოხუცებულობიდან ისევე, როგორც ძველი იმოსება ახლით.

სწორედ ამიტომაც ახდენენ ჩვენზე შთაბეჭდილებას იმ ადამიანების დამონებები, რომლებიც გვაჩვენებენ თავიანთ „მანამდე და მერე“ სურათებს. ჩვენ, ვილაცას მეტად, ვილაცას ნაკლებად, მაინც გვიზიდავს რალაცის შეცვლის შესაძლებლობა ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ იცით რა? ასეც უნდა იყოს.

მე უბრალოდ ისლა დამრჩენია, რომ ვივარაუდო, ეს სურვილი ადამიანში მისი შექმნის დღეს იქნა ჩადებული, თუ მოგვიანებით გაჩნდა. რადგან ჩვენ ვართ ადამისა და ევას შვილები, ჩვენი პირველი სუნთქვით იწყება ჩვენი მოგზაურობა გარდაცვალებისკენ. ვიცი, ეს საკმაოდ არასასიამოვნოდ ჟღერს; და მიუხედავად იმისა, რომ გვესმის, რომ ეს ასეა, ძალიან არ მოგვწონს ამგვარ რალაცებზე ფიქრი. არცერთ ჩვენგანს, სინათლის შვილებს არ შეგვიძლია სიკვდილის აღქმა, როგორც სასიამოვნო მოვლენა, რადგან სინამდვილეში ჩვენ არ ვიყავით შექმნილნი სიკვდილისთვის. ყველა ცოცხალი არსებიდან ჩვენ (კაცები და ქალები) ერთადერთნი ვართ, ვინც ღმერთის ხატად იყო შექმნილი, რომელიც იძლევა სიცოცხლეს. ამიტომაც გონივრული იქნებოდა გვევარაუდა, რომ სიკვდილს და ნებისმიერ სხვა მოვლენას შეუძლია მოგვპაროს სიცოცხლე და ჯანმრთელობა, არ არის მისი ბუნების ნაწილი, ვისი ხატებაც დავიმკვიდრეთ. სწორედ ამიტომ უნდა ვიბრძოდეთ გამუდმებით სიცოცხლის შენარჩუნებისთვის.

ყოველი ცოცხალი არსებიდან მხოლოდ ჩვენ, ღმერთის ქმნილების გვირგვინი, განვიცდით უკვე მხოლოდ ფიქრის გამო სიკვდილის შესახებ და ომს ვუცხადებთ ყოველ ნაოჭს ჩვენს სახეზე — დაბერების მომასწავებელზე. შესაძლოა, ჩვენ ვებრძ-



## იბრძოლე რომორც ძალმა

ვით გარეგნულ გამოვლინებას, და გვაგინყდება შიდა მხარე? ყველა ცოცხალი არსებიდან მხოლოდ ჩვენ ვატარებთ კანზე სიბერის ნიშნებს ნაოჭების სახით.

### სიკვდილის შიშის მოშორება

ცხოველებს არ ეშინიათ სიკვდილის — ისინი ებრძვიან ამას. მათი სწრაფვა გადარჩენისკენ განსხვავდება ჩვენი სწრაფვისგან. ცხოველები არ კანკალებენ სიკვდილზე ფიქრით და არ უჩივიან იმ ფიზიკურ სისუსტეს, რომელსაც მოაქვს მათთან დაბერება.

მათთვის სიკვდილი — არ არის პირველი მტერი, რომლისაც ყველაზე მეტად უნდა ეშინოდეთ; ეს უბრალოდ ერთერთი მტერია, რომელთანაც მოუწევთ შეჯახება გადარჩენისთვის ბრძოლაში. მათთვის გადარჩენა ძირითადი მიზანია, რადგან მათ არ ექნებათ სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ, მაგრამ ჩვენ არ უნდა გვმართავდეს მხოლოდ ეს სწრაფვა. ჩვენ ვილტვით რაღაცა უფრო დიდისკენ. ვისწრაფით სიკვდილზე გამარჯვებისკენ, რადგან სიკვდილი — ჩვენი უკანასკნელი მტერია.

**„ხოლო უკანასკნელი მტერი, რომელიც განქარდება, სიკვდილია.“ (1 კორ.15:26)**

და

**„მაშინ ახდება დანერილი სიტყვა: „სიკვდილი შთაინთქა ძღვევით.“ (1 კორინთელთა 15:54)**

მამა ღმერთმა იცოდა რა შიშს გამოიწვევდა ჩვენში სიკვდილი, ამიტომაც იგი წინაღუდგა ამ შიშს და ჯვრის მეშვეობით შეუცვალა სახელი... სახელში ხომ დიდი ძალა დევს. იესომ შეცვალა სიტყვა „სიკვდილის“ მნიშვნელობა, რომელიც ნიშნავს „რადაცის დაკარგვას“, სიტყვით „მიძინება“, რომელიც მოსვენებას გულისხმობს. მისი საყვარელი შვილებისთვის სიკვდილი აღარ წარმოადგენს არსებობის დასასრულს; იგი მარადიული სიზმრის დასაწყისი ხდება. ჩვენ ამის მტკიცებულებას ვპოულობთ მათეს სახარების 9:24-ში, როცა იესომ გააგდო მომტირალენი გარდაცვლილი გოგონას სახლიდან: „ნადით აქედან, რადგან გოგონა არ მომკვდარა, არამედ სძინავს. და სასაცილოდ აიგდეს იგი.“ იმ მომენტშიც კი წინასწარმეტყველებდა იმ ალთქმის აღსრულების შესახებ, რომელიც უნდა განხორციელებულიყო რამდენიმე წლის შემდეგ. ღმერთის სიტყვაში ნათქვამია:

**„აი, მე საიდუმლოს გეუბნებით: ყველანი არ განვისვენებთ, მაგრამ ყველანი შევიცვლებით.“ (1 კორინთელთა 15:51)**

განა ჩვენ არ გვძინავს ყოველდღიურად? მაშინ პავლე ამ ნაწი-ყვეტში გულისხმობდა არა ღამის ან დღის სიზმარს. მან გად-მოიღო სულიწმიდის ენა და თავის წერილებში სიკვდილს უწოდებდა „ძილი“. ჩვენ აღგვეთქვა, რომ არა მოვკვდებით (არ დავიძინებთ), არამედ შევიცვლებით. სიტყვა „შევიცვლებით“ მოცემულ კონტექსტში ნიშნავს „გარდავისახებით, უკეთესები გავხდებით“. ბერძნული სიტყვა „შეცვლა“ ნიშნავს ყოველ მხრივ „შეცვლას“. ამგვარ გარდაქმნას გააჩნია ორი გზა: ან სამუდამოდ დაძინება, ან ზეცად ამაღლება იესოს მეორედ დაბრუნებისას.

მხოლოდ მამისათვის ცნობილი მიზეზებით, სიზმარი (დასვენება) არის ღრმა ცვლილებების წინამორბედი. ზოგი ადამიანი არ იხილავს სიკვდილს, თუმცა ყოველი ადამიანი, რომელსაც ღმერთი თავისას ეძახის, გადაიტანს ამ ცვლილებას. იესომ გადაიტანა სიკვდილის აგონია, რათა ჩვენ აღარ შეგვშინებოდა მისი. ზოგიერთ მის შვილს ელოდება ღრმა ძილი, ხოლო შემდეგ — ცვლილებები; ზოგნი კი უმაღვე შევიცვლებიან.

**ჩვენ ვიხილავთ ნამდვილ სილამაზეს**

ასეთი ცვლილებები სამყაროს ჯერ არ განუცდია. განსხვავება „მანამდე“ და „მერე“-ს შორის იმდენად დიდი იქნება, რომ ამას ვერ გადმოსცემს ვერცერთი სურათი და ვერცერთი მრავალსაათიანი გადაცემა. ვფიქრობ, რომ ამ გარდასახვის შემდეგ საკუთარ თავს შევხვდავთ და პირველად ვიხილავთ ჩვენს ნამდვილ სილამაზეს. ჩვენ გაკვირვებულები დავათვალიერებთ ერთმანეთს და აღტაცებულები ვიქნებით ამ ახალი სამყაროს სილამაზითა და ძალით. წარმომიდგენია, ბავშვებივით როგორ გადავხვებებით ერთმანეთს ტირილით და კივილით: „ნუთუ ეს შენ ხარ?... და მე ვერ მცნობ?“

ახლა ჩვენ მხოლოდ ბუნდოვნად შეგვიძლია ვხვდებოდეთ იმას, თუ რა გველოდება ზეცაში, თითქოსდა მომავლის ჩრდილს ვხედავდეთ. ჩრდილში არ არის არაფერი ცუდი; პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ის არამეტერიალურია და გაურბის სინათლის ბრწყინვალეობას. ამიტომ ნაცვლად იმისა, რომ უბრალოდ ვიჯდეთ და ვმსჯელობდეთ ამ ქვეყნის მშვენიერებების შესახებ, სადაც აღმოვჩნდებით ამგვარი საკვირველი ცვლილებების შემდეგ, დროა დავიწყოთ იმ ცვლილებების განხორციელება,

## იბრძოლე რომორც ძალმა

რომლებითაც აღსავსეა ჩვენი ყოველი ოცნება. ბუნდოვნად კი წარმოგვიდგენია ეს სრულყოფილი სამყარო, მაგრამ დანამდვილებით ვიცით როგორი იქნება იგი სინამდვილეში? ჩვენ, ღმერთის ასულებს მონდობილი გვაქვს დიდი საიდუმლო. დადგა დრო მივცეთ ამ საიდუმლოს საშუალება რომ გარდაგვექმნას ჩვენ.

**„ხოლო როცა ეს ხრწნადი უხრწნელებით შეიმოსება და ეს მოკვდავი – უკვდავებით, მაშინ ახდება დანერილი სიტყვა: „სიკვდილი შთაინთქა ძლევიტ.“ (1 კორინთელთა 15:54)**

ამაზე ფიქრისას, მე გამუდმებით ვავლებდი პარალელებს რეალურ სიტუაციებთან. დაფიქრდით შემდეგზე: მას, ვინც გადანყვეტს პლასტიკურ ოპერაციას ან რაიმე ქირურგიულ ჩარევას, ჯერ უტარებენ გასაუბრებას, ეკითხებიან მას იმის შესახებ, რისი მიღწევაც სურს ამ ოპერაციის მეშვეობით. შემდეგ უხსნიან რამდენად რეალურია მისი მოლოდინი. პლასტიკურმა ქირურგმა შეიძლება უთხრას: „ეს და ის რომც გაგიკეთოთ, მაშინაც კი ვერ გამოგივია ისეთი შედეგი, რომელიც თქვენ გინდათ. არ შემიძლია ეწლი ჯადის ლოყები მოგცეთ, მაგრამ შემიძლია დაგეხმაროთ ამასა და ამაში.“ (ამ მსახიობის მომაჯადოვებელი ღიმილის გამო ყველას სურს იგივე ლოყების ქონა, როგორც მას აქვს). შემდეგ, სხვადასხვა ქირურგიული იარაღების და საშუალებების დემონსტრირებით ექიმი აცნობს პაციენტს ოპერაციის ყველა დეტალს. იგი ადგენს დროს, რომელიც აუცილებელია სრული გამოჯანმრთელებისთვის და რისკის სიდიდეს, რომელიც ამ პროცედურას უკავშირდება. ბოლოს, ქირურგი ასახელებს თანხას, რომლის გადახდაც აუცილებელია ოპერაციისა და მკურნალობისთვის. ამ ყველაფრის შემდეგ პაციენტმა უნდა ანონ-დანონოს, ღირს თუ არა შედეგი ოპერაციაზე დახარჯულ თანხად, ძალისხმევად და დროდ.

პაციენტს აძინებენ და მიუხედავად იმისა, რომ იგი გაიღვიძებს ტკივილებით და იარებით სახეზე, მას ამოძრავებს იმედი, რომ ოპერაციის შემდეგ ბევრი რამ შეიცვლება უკეთესისკენ. დიახ, ამისათვის ქირურგიული ჩარევა იქნება საჭირო და მას მოუწევს ტკივილის გავლა, მაგრამ თუ ეს ადამიანი მოთმინებით გაივილის მკურნალობის კურსს და დაელოდება, სანამ იარები მოუშუშდება, საერთო ჯამში იგი სარკეში სრულიად შეცვლილ ადამიანს იხილავს.

ღმერთის მიერ ჩვენთვის მოცემული აღთქმა — ეს ჩემს მიერ აღწერილი ერთგვარი სურათია. თავის დროზე ჩვენ და-

## ბრძოლა სილამაზისთვის

ვიძინებთ დაჭრილნი და ნაიარებნი, დაბერებულები და დაღლილები, მოხრილები და გასუქებულები, ხოლო გავიღვიძებთ ჯანმრთელები, განახლებულები, ახალგაზრდები და ძლიერები.

მე ორჯერ გამიკეთეს ოპერაცია ნარკოზით. საერთო ანესთეზია — ეს ერთგვარი იძულებითი ძილია. ეს არის ღრმა ძილის მდგომარეობა, როცა პაციენტი ველარ გრძნობს ტკივილს და ვერ აღიქვამს რეალობას იმ მდგომარეობაში, როგორშიც მან იცის. სხეული შესაძლოა დაექვემდებაროს ნებისმიერ ჩარევას, ხოლო ტვინი ვერ იგრძნობს ამას. პირველად ოპერაცია გამიკეთეს ნარკოზით ხუთი წლის ასაკში, როდესაც თვალი მომაშორეს. დავიძინე ორი თვალით, ხოლო გავიღვიძე ერთით. კიდევ ერთხელ გამიკეთეს საერთო ანესთეზია, როცა მისწორებდნენ ცხვირს, რომელიც მოვიტყხე სერფინგის დროს. ამ ტრავმის გამო სუნთქვა მიჭირდა. იმ დროს 43 წლის ვიყავი, მაგრამ წინანდელი ოპერაციის გამო, რომელიც ხუთი წლის ასაკში გადავიტანე, მე პანიკურად მეშინოდა ნარკოზის. მეჩვენებოდა, რომ თუ დავთანხმდებოდი ამას, სრულიად დავეკარგავდი კონტროლს სიტუაციაზე. ისიც კი მახსოვს როგორ ამიტყდა შიშისგან კანკალი, როცა რეგისტრატურაში ვათანხმებდი ოპერაციის დროს.

თუმცა, ვიმყოფებოდი მშვენიერი, მზრუნველი ექიმის მზრუნველობის ქვეშ და ეჭვი არ მეპარებოდა ოპერაციის აუცილებლობაში, შიში მაინც დამდევდა კვალდაკვალ. ჯონიც კი დავითანხმე რომ ჩემთან ყოფილიყო მანამ, სანამ არ წამიყვანდნენ საოპერაციოში. ექიმი მამშვიდებდა როცა ნარკოზს მიკეთებდნენ, და გვერდით იმყოფებოდა ჩემთან, როცა გამოვფხილდი ნარკოზის შემდეგ. ბოლო, რაც მახსოვს იყო მისი კითხვა: „როგორ დაიზიანეთ ცხვირი? ქმარმა მოგატყხათ?“

ისე გავითიშე, რომ ვერც კი მოვასწარი პასუხის გაცემა, ხოლო როცა გამოვფხიზლდი ნარკოზის შემდეგ მაშინვე შევეცადე უკანონოდ გაკიცხული ჯონის გამართლებას: „არა! მე მოვიტყხე, როცა...“ და უეცრად მივხვდი, რომ იმ მომენტიდან, როცა ეს კითხვა დამისვეს დიდი დრო გასულა. ჩემი პასუხი შეიცვალა კითხვად შუა წინადადებაში: „უკვე დაამთავრეთ?“ - „კი, და თქვენ არაჩვეულებრივად გადაიტანეთ ოპერაცია!“ - მიპასუხა ექიმმა. იმდენად გახარებული ვიყავი, რომ ყველაფერი დამთავრდა, რომ თავბრუ მეხვეოდა.

ჯონი შემოვიდა თუ არა ჩემს პალატაში, შევეცადე გადამეცა მისთვის ექიმის სიტყვები: „ძვირფასო, არაჩვეულებრივად გადა-

## იბრძოლე როგორც ძალმა

ვიტანე ოპერაცია!“

ამ ჯერზე არცერთი ორგანო არ დამიკარგია — პირიქით, ერთერთი მათგანი აღმიდგინეს. მთელი გზის მანძილზე სახლისკენ ხალისიან განწყობაზე ვიყავი. ყველაფერი საშინელი უკან დარჩა. არაფერი მოუკვეთავთ, სამაგიეროდ აღმიდგინეს და განმიკურნეს ცხვირი.

ვფიქრობ, რალაც მსგავსი გველოდება ჩვენ, თუ საშუალებას მივცემთ სულიწმიდას უხელმძღვანელოს ჩვენს ცხოვრებას. ჩვენ შიშით წავალთ ოპერაციაზე, მაგრამ რომ გავიღვიძებთ, ყველაფერი უკან იქნება და უფალში დავისვენებთ.

**„ამიტომ არ ვცხრებით, მაგრამ თუ გარეგანი კაცი იხრნება, ჩვენი შინაგანი მაინც განახლდება დღითი დღე.“ (2 კორინთელთა 4:16)**

### როგორ გვიყურებს ღმერთი

გჯერათ თუ არა, რომ ღმერთს შეუძლია სრულიად შეგცვალოთ გარედან და შიგნიდან? დარწმუნებული ვარ, რომ ქრისტიანი ქალები ყველაფერში მშვენივრები უნდა იყვნენ. ჩვენ მოწოდებულნი ვართ დავანახოთ ამ ქვეყნიერებას ღმერთის სილამაზე. თუმცა ჩვენში ჩადებული კი არის სილამაზისკენ სწრაფვა, მაგრამ ჩვენს სულიერ მტერსაც არ სძინავს: როგორც ცნობილია, იგი თავს ესხმის ყოველი ინდივიდის უნიკალურობას. მოდით განვიხილოთ ჩვენი მტრის პოზიცია. იმისათვის, რომ მისმა საქმემ წარმატებას მიაღწიოს, მან რალაც უნდა მოგვპაროს. ვფიქრობ, რომ ეშმაკს პანიკურად ეშინია იმისა, რომ ჩვენ ბოლოს და ბოლოს გავიღვიძებთ და იმად ვიქცევით, რანიც ვართ სინამდვილეში. წინააღმდეგ შემთხვევაში რატომ აღძრავდა იგი გამუდმებით ქალებს (როგორც ახალგაზრდებს, ისე მოხუცებს) უგუნურად მოპყრობოდნენ ყველაფერს, რასაც ჭეშმარიტი ფასეულობა გააჩნია, და ფოკუსირებულები ყოფილიყვნენ მხოლოდ საკუთარ გარეგნულ სილამაზეზე? რატომ უნდა სჭირდებოდეს მას აიძულებდეს ქალებს უარი თქვან ძალაზე, სიბრძნეზე და ღმერთის აღთქმებზე, და გაცვალონ ისინი უგუნურებაზე და ამწუთიერ სიამოვნებებში? სილამაზით გაბუქებულ ამ წუთისოფელში, როგორ უნდა გამოიყურებოდეს ნამდვილი ქრისტიანი ქალი? როგორ უნდა იქცეოდეს იგი? როგორ იცმევდეს? როგორი ტონით უნდა ესაუბრებოდეს გარშემომყოფთ? მინდა დაგეხმაროთ ამ კითხვებზე პასუხების მოძებნა-

## ბრძოლა სილამაზისთვის

ში. რადგან სწორედ ჩვენშია დაფარული ის პოზიცია, ის როლი, ის ხმა, ის გარეგნობა, რომლებიც ჩვენ ასე გვჭირდება.

ამას წინათ მე ვიყავი ერთ კონფერენციაზე, რომლის დროსაც სულწინამდამ დამანახა თუ როგორ გვიყურებს ჩვენ:

„როცა შენ გიყურებ, მე რაღაც უფრო დიდს ვხედავ... ვხედავ ალტემატის აღსრულებას. მე ვხედავ ასულების თაობას, რომლებიც მტრისთვის ისეთ საფრთხეს წარმოადგენენ, რომ იგი ცდილობს ყველაფრის გაკეთებას რაც შესაძლებელია, რათა დაამახინჯოს მათი მსოფლმხედველობა, და გაანადგუროს მათი სილამაზე და მოპაროს მათ ჭეშმარიტი ძალა და ძალაუფლება.“

იგი სიცრუის მამა, და ამიტომ იგი მოგმართავთ თქვენ ჩაბნელებული შიშის მიღმა. ხოლო სინათლის მამა პირისპირ გელაპარაკებათ.

მტერი ცდილობს შეაღწიოს თქვენი გულის ყველაზე დაფარულ კუთხეებში და დაგჭრათ იმდენად ღრმად და სერიოზულად, რომ ეჭვის ქვეშ დააყენოს თქვენი არსებობაც კი.

ევედრეთ მამას და ის გაგიცხადებთ თავს. იგი ახლოს მოვა თქვენთან და ყველას გინოდებთ თავისას და საყვარელს.“

**„და დატკბება მეფე შენი მშვენებით — რადგან ის არის შენი უფალი და თაყვანი ეცი მას.“ (ფსალმუნი 44:12)**

როგორ შეგვიძლია პატივი მივაგოთ უფალს ჩვენი სილამაზით? როცა მივიღებთ მის სიტყვებს როგორც აბსოლუტურ ჭეშმარიტებას. მან გვინოდა მშვენიერი და ლამაზი. გაბედავთ ამის შემდეგ, რომ მას მატყუარა უნოდოთ? გაბედავთ, რომ მიიღოთ მისი სიყვარული? გამუდმებით დაუსვით საკუთარ თავს ეს კითხვები. არ შეიძლება იმის მინდობა, რასაც სარკეში ხედავთ, რადგან თქვენ ხომ თქვენს ანარეკლზე გაცილებით მეტი ხართ! მოდით ვილოცოთ:

### ზეციერო მამა,

მოვდივარ შენთან მისი სახელით, ვინც ყველაზე მშვენიერია, იესოს სახელით. გთხოვ, გამუდმებით შემცვალე. მინდა ისეთი ქალი გახდე, რომელიც არ ექვემდებარება შიშს. მომიტევე იმ შემთხვევების გამო ჩემს ცხოვრებაში, როცა ვენინააღმდეგებოდი შენს სიტყვას. მამა, შენ ყველაზე დიდებული ექიმი ხარ,

## იზრძოლე როგორც ძალმა

და მხოლოდ შენ ერთს შეგიძლია ჩემი ცხოვრების ყოველი სფეროს შეცვლა.

ჩვენ, ქალებს, შეგვიძლია ვიყოთ მშვენიერები შენს და გარშემო მყოფთა თვალში მიუხედავად ჩვენი ასაკისა. მე ვინანიებ შენს წინაშე იმას, რომ მივმართავდი უსიტყვო კერპებს, მაშინ, როცა ჭეშმარიტი ძალა შენში უნდა მომეძებნა. უარვყოფ მათ გავლენას ჩემს ცხოვრებაზე. ვდეენი მათ მოგონებებს ჩემი მესსიერებიდან, და მათ წარმოდგენებს ჩემი თვალებიდან. მინდა მხოლოდ შენ გხედავდე და გიყურებდე. დაე, შენი ხატება ჩრდილავდეს ნებისმიერ სხვას ჩემს ცხოვრებაში. ჩამიბეჭდე იგი სხვა დანარჩენებზე მეტად. გამიცხადე შენი თავი მეტად რეალურად და მომიახლოვდი. სრულიად გამოგცემ ხელთ ჩემი ცხოვრების ყოველ სფეროს. ამინ.

## თავი მეორე

### არასრულყოფილი, მაგრამ განუყოფელი

მთელ მსოფლიოში მოგზაურობისას მომისმენია საუბრები იმის შესახებ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია იყო ბუნებრივი. დროთა განმავლობაში დავინწყე კითხვის დასმა: „საკმარისია კი, პირდაპირ რომ ვთქვათ, იყო ბუნებრივი?“ ცნობილია, რომ საკუთარი თავის სხვად მოჩვენებით შორს ვერ წავალთ. თუმცა ღმერთი ხედავს ჩვენს გულებს, პრაქტიკულად ყველა ერთხელ მაინც ვცდილობდით გვეცხოვრა ისე, რომ სხვად წარმოგვეჩინა თავი. მაგრამ, ასეთ მომენტებში პირადად მე ვგრძნობდი, რომ ჩემთვის რალაც უფრო დიდი იყო გამზადებული. არ მშორდებოდა სწრაფვა რალაც უფრო ღრმა და აღმატებულისკენ, ვიდრე ნიღბის ქვეშ ცხოვრებაა.

ჩემი მსახურებისას წლების მანძილზე არაერთხელ მსმენია ადამიანებისგან, რომლებიც ჩემთან მოდიოდნენ ქადაგებების შემდეგ კონფერენციებზე, ასეთი სიტყვები:

„მომწონს, რომ ასეთი თავისუფალი ხართ... ბუნებრივი.“

„მადლობა თქვენ იმისათვის, რომ ასეთი ბუნებრივი ხართ!“

„ძალიან მომწონს რომ გახსნილი ხართ!“

იყო თავისუფალი კარგია, გახსნილობა — მნიშვნელოვანია, მაგრამ ყოველთვის მაშფოთებდა, როცა მეუბნებოდნენ რომ ბუნებრივი ვიყავი. სწორად გამიგეთ, კარგად ვხვდები რომ ეს ფრაზები ჩემს მიმართ კომპლიმენტის სახით იყო ნათქვამი, მაგრამ ზოგჯერ საკუთარ თავს ვიჭერდი იმ აზრზე, რომ მინდოდა გამეგო მსმენელებისგან რალაც უფრო აღმატებული, მაგალითად: „ო, რა ბრძენი ხართ“ ან „რა ძლიერი მქადაგებელი ხართ“. სასიამოვნო იქნებოდა დრო და დრო ასეთი შეფასების მოსმენა: „თქვენი ქადაგება ინტელექტუალური თვალსაზრისიდან გამომდინარე უღერდა საკმაოდ ჯანსაღად და დალაგებულად!“ მაგრამ ამის ნაცვლად მე მეხუტებიან მადლიერების სიტყვებით: „დაო, მადლობა თქვენ რომ ბუნებრივი ხართ.“



## იბრძოლე როგორც ძალმა

რა თქმა უნდა, არ ვაპირებ ჩემს ქადაგებებში მლიქვნელობას ხალხთან. რადგან, რომელი ჯანსაღ აზროვნებაში მყოფი ადამიანი ისურვებდა სახელი გაეთქვა როგორც არა წრფელს და მატყუარას? მე ნამდვილად არ მინდა, რომ მეძახდნენ მატყუარას. უბრალოდ საქმე იმაშია, რომ ზოგჯერ ძალიან მინდა ჩემს მიმართ მეტად პირადი, განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი კომპლიმენტების მოსმენა. მაგრამ ერთხელ, როცა მორიგი მსახურებიდან სახლში მივფრინავდი, კვლავ დავფიქრდი ამ საკითხზე - „იყო ბუნებრივი“ და უეცრად ვიგრძენი, როგორ დამელაპარაკა სულიწმინდა:

„ლიზა, შენგან რაღაც უფრო მეტი მჭირდება. შენ შეიძლება იყო ხის „ბუნებრივი“ ნაწილი, მაგრამ როცა ცეცხლში ჩაგაგდევენ, შენგან მხოლოდ ნაცარი დარჩება. მე მინდა, რომ არა მხოლოდ „ბუნებრივი“ იყო, არამედ მინდა „განუმეორებელი“ გაგხადო“.

ამ სიტყვებიდან მივხვდი, რომ იყო ბუნებრივი, ჯერ არ ნიშნავს იყო განუმეორებელი. რადგან კლოდ მონეს სურათის ასლი შეიძლება იყოს ნამდვილი, „ბუნებრივი“, მაგრამ იგი არ არის ორიგინალი. როცა ეს ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოცხადება მივიღე ჩემს ცხოვრებაში, ქვეცნობიერად მივხვდი: ღმერთს კვლავ უნდა რომ ცეცხლში გამატაროს, და ამიტომ როგორც ჩანს „ბუნებრივი“ ჩემთვის მეტად კომფორტული მდგომარეობა იყო, ვიდრე მანამდე ვხვდებოდი.

ჩემი ქრისტიანული გამოცდილებიდან ვიცოდი, რომ სიტყვა „ცეცხლი“ ღმერთის ბაგეში ნიშნავს „განსაცდელს“, ან ჩემს შემთხვევაში განსაცდელების ჯაჭვს. თითქმის ყოველთვის მიწვევს ცხოვრებისეული გამოცდების ჩაბარება მეორე ჯერზე და უფრო მეტად რთულ ფორმაში, რადგან პირველ ჯერზე უბრალოდ ვერ ვასწრებ გარკვევას, რაში მდგომარეობს ყოველი მორიგი ტესტი. ასევე ვეჭვობდი, რომ მელოდებოდა გამოცდა განუმეორებლობაზე, რადგან იმისათვის, რომ გაიგო თუ რა არის ნამდვილი და რა არა, არ არის საჭირო გამოცდის ჩატარება: ჩვეულებისამებრ ამის დადგენა შეიძლება ხელის მოკიდებით ან ზოგ შემთხვევაში სუნით.

მაგალითად, როგორ გავიგოთ ბუნებრივი ყვავილების თაიგულია თუ არა? უბრალოდ მიდიხართ მასთან ახლო და ყნოსავთ ან ეხებით მას ხელით... სამწუხაროდ, იგი ყალბი აღმოჩნდა! ეს ნამდვილი ბროლია? იღებთ ჭიქას ხელში; იგი ძალიან მსუბუქია

## არასრულყოფილი, მაგრამ განუმეორებელი

და გამოსცემს ყრუ ხმას, როდესაც თითებს არტყავთ. არა, ეს მინა-პლასტიკია. ხოლო, აი ბენვი თუა ნამდვილი? ყოველთვის ვცდილობ ხელი გადავუსვა მას და დავადგინო ნატურალურია თუ ხელოვნური.

სიმართლე გითხრათ, უკვე მომბეზრდა ეს ხელოვნური თაიგულები მათი პლასტიკის სუნით! ხელოვნური არომატიზატორები შთანთქავენ ყველა უცხო სუნს, მაგრამ საკუთარ არომატს არ წარმოქმნიან, ხოლო მე ყოველთვის მინდოდა შემეგრძნო ღმერთის სილამაზე და შემესუნთქა მისი თანდასწრების კეთილსურნელება. მხოლოდ მის თანდასწრებაში ვგრძნობ თავს ცოცხლად!

როგორ დავიღალე ხელოვნური სილამაზისგან! და თუმცა ნამდვილი ყვავილების მოვლა ძალისხმევას მოითხოვს, მირჩენია ერთადერთი ვარდის არომატი ხელოვნური ყვავილების მთელ თაიგულს. მინდა სუნით გავიგო, დაიწყო ამ ყვავილმა უკვე დაჭკნობა თუ არა. მინდა მისი გამხმარი ფოთლები ჩავდო ჩემს ბიბლიაში ან გავაშრო ჩამოკიდებული ყვავილები ჩემს კარადაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მომეცით რამე ცოცხალი, და მე შევერწყმები მას, მის სურნელს და ყვავილობას.

ოდესმე გიგრძენიათ თავი ისე, როგორც მე? ეძებთ ხელოვნურ ქრისტიანულ ცხოვრებაზე რაიმე დიდს, რომელშიც დღეს ცხოვრობთ? თუ თანახმა ხართ იცხოვროთ ხელოვნურ სამყაროში, რადგან გეშინიათ იოცნებოთ რაიმე დიდზე? ფიქრობთ, რომ ძალიან ძნელია იყო არა მხოლოდ ბუნებრივი, არამედ განუმეორებელიც? სად არის თქვენი განუმეორებლობა? სად არის თქვენი უნიკალური ხასიათი? სად არის თქვენი ძალა?

## უყურეთ არა პრობლემას, არამედ ფესვს

მრავალი წლის წინ დავპატიჟე ღმერთი ჩემს ცხოვრებაში და ვთხოვე შეეცვალა იგი. ერთ მშვენიერ დღეს მე მივეცი მას საშუალება მოეხდინა ოპერაცია ჩემს გულში, გაეკეთებინა ღრმა ჭრილობები და გამკლავებულიყო ჩემს ყველაზე ღრმა და გულის საიდუმლო პრობლემებს. დავიღალე პრობლემების ხილული გამოვლინებების მუდმივი დამალვით, რომლებიც ღრმად იყო გამჯდარი ჩემს გულში, და თავი ისე მომქონდა თითქოს ეს ფესვები არ არსებობდა. ამ ჭეშმარიტების გაცნობიერებამდე მე ვლოცულობდი ისეთი ლოცვებით, სადაც ვევედრებოდი ღმერთს მხოლოდ ვეკურთხებინე და ვუზრუნველყვე. ეს დაახ-

## იზრძოლე როგორც ძალმა

ლოებით ასე უღერდა: „მამა, ალავსე ჩემი ცხოვრება ლამაზი და სასიამოვნო საგნებით და მოვლენებით. გახადე ჩემი ცხოვრება მშვენიერი, რადგან შენ გიყვარვარ მე.“

მაგრამ ერთ დღესაც ჩემი ლოცვები შეიცვალა. გარემომიცვა რალაცა უფრო დიდმა ნყურვილმა, ვიდრე ჩემი ღმერთის მიმართ სიყვარული იყო. მომინდა მყვარებოდა იგი მთელი გულით და თაყვანი მეცა მისთვის სულით და ჭეშმარიტებით; დაღმტკბარიყავი მისი სილამაზით, და არა უბრალოდ მეყურებინა მისი სიკეთისთვის. ვიცოდი, რომ თვალები უნდა ამენია მინიდან და საშუალება მიმეცა მამისთვის ღრმად ამოეთხარა ჩემი გულის ნიადაგი. მხოლოდ გულით სუფთანი იხილავენ ღმერთს. მე ვოცნებობდი რომ მეტად ახლოს მენახა და მეგრძნო იგი. აღარ მაკმაყოფილებდა ის, რომ გამუდმებით მემეორებინა მისი ალტემები; მჭირდებოდა მისი გულის მოსმენა. ამ ლოცვის შემდეგ ღმერთმა დაიწყო შრომა ჩემს ინდივიდუალურობაზე და დღესაც აგრძელებს ამას.

რაიმეს უნიკალურობას ამტკიცებენ მეტად რთული გამოკვლევების მეშვეობით, ვიდრე უბრალო შეხებით. მაგალითად, ის გრძნობა, რომელიც თქვენ იგრძენით როდესაც ეხებოდით რაიმე რიგით საგანს ან შეისუნთქავდით მის სურნელს, ვერ შეედრება იმას, რაც თქვენ იგრძენით მაშინ, როცა ხედავდით რაიმეს, ერთადერთს თავის სახეობაში. მეორე შემთხვევაში თქვენ მეტად ღრმა გრძნობა განიცადეთ. მახსოვს ერთხელ გავიგე, რომ ერთერთმა ჩემმა თანაკლასელმა კოლეჯში ტყუილით დაიკავა მაღალი თანამდებობა წარმატებულ კომპანიაში. მან თავის რეზიუმეში ყალბი ინფორმაცია ჩანერა და არავინ არ შეამონმა სიმართლე იყო ეს თუ არა. ჩვენს პირად ცხოვრებაში ზოგიერთი რამ შეიძლება ჭეშმარიტი ჩანდეს, მაგრამ ღრმა შემოწმების შემდეგ აღმოჩნდება, რომ ისინი ასეთები საერთოდ არ არიან.

ვფიქრობ, ზოგმა ჩვენგანმა, ვინც სახელი გაითქვა, როგორც „ბუნებრივმა, უშუალომ“, ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ არ გავხდეთ „ბუნებრივი“ ურწმუნო. მსმენია, როგორ მოყავთ ადამიანებს ისეთი საექვო არგუმენტი საკუთარი ხორციელი საქციელის გასამართლებლად: „მე უბრალოდ ვცდილობ ვიყო ის, რაც ვარ!“ მაგრამ ხორციელი საქციელი არა მხოლოდ არა სასურველია, არამედ მას ნულამდე დაყავს ჩვენი ფასეულობა და ის ფასი, რომელიც გადახდილი იქნა, რათა ჩვენ გვრქმევოდა ღმერთის განუმეორებელი შვილები.

## არასრულყოფილი, მაგრამ განუმეორებელი

ზოგჯერ მეჩვენება, რომ ჩემს ენასა და ტვინს შორის პრაქტიკულად არანაირი კავშირი არ არის. ხშირად ვამბობ რაღაცას დაუფიქრებლად, შემდეგ ვნანობ. თუ ჩვენ უნდა ვიყოთ გულწრფელები და ბუნებრივები, რატომ არის რომ ღმერთი არაერთგზის გვიჩვენდა ვყოფილიყავით ფრთხილები საუბრებში? თუ არ ვივლით ჭეშმარიტებაში, ჩვენმა დაუფიქრებელმა სიტყვებმა და საქციელმა შეიძლება სხვები დააზიანონ.

**„[ღებო,] ჩვენ ხორცის მოვალენი არა ვართ, რომ ხორციელად ვიცხოვროთ, ვინაიდან თუ ხორციელად ცხოვრობთ, სიკვდილი არ აცდებათ, ხოლო თუ სულით აკვდინებთ ხორციელ საქმეებს, იცოცხლებთ. რადგან ისინი, ვინც ღვთის სულით წარიმართებიან, ღვთის შვილები არიან.“ (რომაელთა 8:12-14)**

უნარი, იცხოვრო სპონტანურ ემოციურ ერაქციებზე მაღლა (მიუხედავად იმისა, თუ რა ჰორმონალური დარღვევები არ უნდა ხდებოდეს თქვენს ორგანიზმში) — ღმერთისგან მაღლით მოცემული სიცოცხლის ნიჭია ჩვენთვის. თუ ჩვენ აღარ წარგვმართავს მინიერი, ადამიანური საჭიროება, ვიყოთ სასიამოვნონი გარშემომყოფთათვის, გავთავისუფლდებით აუცილებლობისგან, გამუდმებით ვამტკიცოთ საკუთარი სიმართლე და შევძლებთ იმ კედლებზე მაღლა ასვლას, რომლებიც ბოჭავენ მრავალი ადამიანის ცხოვრებას. ურთიერთობები ქრისტიანებს შორის უნდა იყოს ნიმუში ქვეყნიერებისათვის, რომელიც ჩადირულია წყენებში, ბოროტებაში და შურისძიებაში. ჩვენ განსხვავებულები უნდა ვიყოთ.

## ისწავლეთ კურთხევა, როცა გწყევლიან

**„აკურთხებდეთ თქვენს მანყევრებს და ლოცულობდეთ თქვენსავე შეურაცხმყოფელთათვის. ვინც ლოყაში გაგარტყას, მეორეც მიუშვირე. ვინც სამოსელი წაგართვას, მოსასხამსაც ნუ დაუჭერ.“ (ლუკა 6:28-29)**

ჯანსაღი აზროვნების მქონე რომელი ადამიანი ისურვებს მისი მანყევრის კურთხევას? ვის მოსწონს, როცა მას პირდაპირი გაგებით ლოყაში ურტყავენ (იმაზე აღარ ვლაპარაკობ, რომ მეორე მიუშვირო)? თქვენი მყისიერი „ბუნებრივი“ რეაქცია იქნება ასეთი: „კმარა, მე აქეთ უფრო უარესად დაგწყევლი და ლოყაში უფრო მტკივნეულად დაგარტყავ, ვიდრე შენ მე!“ მხოლოდ ჭეშმარიტ ღვთის შვილებს, რომლებიც სულით არიან

## იზრძოლე როგორც ძალმა

მავალნი შეუძლიათ გაჩუმება ან კურთხევა მაშინ, როცა მათ სინამდვილეში სურდათ დაენწყველათ ან დაერტყათ თავიანთი მტრისთვის. ხშირად ეს არ არის სანყისი რეაქცია, რომელსაც ვამყლავნებთ, მაგრამ დროთა განმავლობაში იგი უნდა იქცეს ჩვენი ბუნების ნაწილად.

როდესაც ვილაც გამუდმებით გწყევლით, თქვენ გაქვთ არჩევანი: ან შეეცადოთ თავად დაიცვათ თავი მტრის თავდასხმებიდან, ან სთხოვოთ ღმერთს ჩაერიოს ამ სიტუაციაში. შესაძლოა, თქვენ არ მგავხართ მე, მაგრამ მე საკუთარ მაგალითზე დავრწმუნდი, რომ ყოველთვის არ შემოიძლია საკუთარ ძალებთან გამკლავება. ხშირად მიჩნდება ცრუ დარწმუნება იმაში, რომ საკმარისია პრობლემის არსს ჩავწვდე, და შევძლებ მის მოგვარებას საკუთარი ძალებით. მაგრამ, თუმცა თქვენ თავადაც შეგიძლიათ ბევრი რამ, ჭეშმარიტება მდგომარეობს იმაში, რომ ჯობია ყველაფერი გადასცეთ ღმერთს ხელში. არ არის ძნელი ბევრი სიტყვის თქმა, მაგრამ შემდეგში შეიძლება აღმოჩნდეს, რომ გაცილებით უკეთესი იქნებოდა, თუ უბრალოდ გაჩუმდებოდით.

რა ხშირად მომიწია ლოცვაში მეკურთხებიან ჩემი მანყევრები. ყოველთვის, როცა ჩემს მიმართ გავიგონებდი ჩემს მიმართებაში არამთლად მამებელ სიტყვებს, საპასუხოდ ვაკურთხებდი ხოლმე ჩემს მანყევარ ადამიანებს. რატომ? ნუთუ მე მართლა მომწონდა ამის კეთება? სულაც არა... უბრალოდ მე ვეყრდნობოდი არა საკუთარ გრძნობებს, არამედ ვცდილობდი რეაგირება მომეხდინა სიტუაციაზე ჭეშმარიტებით ხელმძღვანელობით და ვაცხადებდი ღმერთის სიყვარულს ორივეს ცხოვრებაში. შესაძლებელია გიყვარდეს ადამიანი, რომლის საქციელიც არ მოგწონს? ყოველ შემთხვევაში, ეს საჭიროა, რადგან მხოლოდ ასე დარჩება ჩვენი სული დაუბინძურებელი. თუ ჩვენ ღმერთის სიტყვის მორჩილები ვიქნებით რომ გვიყვარდეს ჩვენი მტრები, მაშინ თავად უფალი ჩაერევა ჩვენს სიტუაციაში და შესაბამისად იმოქმედებს.

**„გიყვარდეთ თქვენი მტრები, დალოცეთ თქვენი მანყევრები, სიკეთე უყავით თქვენს მოძულეებს და ილოცეთ მათთვის, ვინც თქვენ გავინრობთ და გდევნით. რათა იყოთ თქვენი ზეციერი მამის ძენი, ვისაც თავისი მზე ამოჰყავს ბოროტთა და კეთილთა თავზე და წვიმას უგზავნის მართლებსა და უსამართლებს.“ (მათეს 5:44-45)**

## არასრულყოფილი, მაგრამ განუმეორებელი

ჩვენ, ღვთის შვილები, უნდა ვამტკიცებდეთ საკუთარ უნიკალურობას იმით, თუ როგორ ვრეაგირებთ მომხდარ სიტუაციაზე. ჩვენდა სამარცხვინოდ, ხშირად აღმოჩნდება ხოლმე რომ ვიჩენთ მონინააღმდეგეებს ქრისტეს სხეულშიც კი. მე ვამბობ „მონინააღმდეგეებს“ და არა „მტრებს“, რადგან შეიძლება რომ სხეულის ერთი ნაწილი რეალურად მტრობდეს სხვებთან? ასევე, ხშირად ჩვენ ქრისტიანები თავაზიანები ვართ მხოლოდ ერთმანეთთან და მათთან, ვინც გვიყვარს.

ჩვენი რეაქცია მტრებზე, გამოგონილებსა თუ რეალურებზე, უნდა იმეორებდეს ან ირეკლავდეს ჩვენს ზეციერ მამას. ღმერთი არის ჭეშმარიტება, ამიტომ იგი უნდა იყოს ჩვენთვის სრულყოფილი მაგალითი იმისა, როგორ ვიყოთ განუმეორებელი. ის ხომ ყოველთვის კეთილია მართალთა და უმართლოთა მიმართ. მას არ ვურჩევნივართ სხვა ადამიანებს იმის გამო, რომ ჩვენ გვიყვარს იგი და მისი ერთგულნი ვართ. ეს გვეხმარება შემდეგი დასკვნის გაკეთებაში: განუმეორებელი ადამიანები მდგრადნი არიან თავიანთ მოქმედებებში. არ შეიძლება ნივთი ჯერ ორიგინალი იყოს, შემდეგ ყალბი.

ამგვარად, განუმეორებელი ადამიანები რჩებიან საკუთარ თავებად ნებისმიერ სიტუაციაში. მათი გარემოცვა არ უნდა ახდენდეს მათზე გავლენას, საკუთარი თამაშის წესების კარნახით. საკუთარ სამუშაო ადგილზე მართალი ადამიანები ისეთებივე არიან როგორც საკუთარ ეკლესიაში. პირად ცხოვრებაში ისინი ისეთებივე არიან, როგორც საჯაროდ. განუმეორებელი ადამიანები ყოველთვის ღვთისმოსავნი და უნიკალურნი არიან, და სწორედ ამით განსხვავდებიან იმ ადამიანებისგან, რომლებიც უბრალოდ ცდილობენ იყვნენ „ბუნებრივები“. გახსოვთ მაგალითი ხის ნაჭერთან, რომელიც მოვიყვანე ამ თავის დასაწყისში? ცეცხლში ხე ნამდვილად არ არის იგივენაირი როგორც მის გარეთ! განუმეორებელი საგნები და ადამიანები იწრთვნებიან ცეცხლში, ხდებიან მეტად ძლიერნი და მტკიცენი, „ბუნებრივები“ კი მხოლოდ იწვიან.

### **ადამიანების და საგნების მოპყრობა მათი ფასეულობის გათვალისწინებით**

ტერმინი „განუმეორებელი“ და „უნიკალური“ ხშირ შემთხვევაში გამოიყენება ბროლის, ძვირფასი ქვების მქონე სამკაულების, ოქროს, ვერცხის და იშვიათი ფოლადის ნაკეთობებთან მიმართებაში. იშვიათად გაიგონებთ ასეთ ფრაზას: „ეს

## იბრძოლე როგორც ძალმა

ჭიქა უნიკალური მინისგან არის გაკეთებული.“ სიტყვა „უნიკალური“ შეიძლება გამოიყენო ალბათ მხოლოდ ბროლის მიმართ, რომელსაც მინაზე უფრო დეტალურად ამუშავებენ და ამიტომ მეტად ძვირადღირებულია. რამდენადაც ვიცი, ბროლი უბრალო მინასთან შედარებით კეთდება უფრო რთული ხერხით და მეტად შეუძლია თერმული დამუშავების გაძლება.

რა თქმა უნდა, არის ცხოვრებაში ისეთი შემთხვევები, როცა ვერც ბროლის სიმკვრივე ვერ უძლებს და ვერც მინის. იმის გამო, რომ მე ოთხი ბიჭი მყავს, ჩვენს სახლში არა ერთხელ დამტვრეულა უსასრულო რაოდენობის საუკეთესო ჭიქები. ამიტომ მე შევიძინე 24 პლასტმასის ჭიქა, რომლებსაც არ ემინიათ იატაკზე დაცემის და ამავედროულად ნამდვილ მინასაც გვანან. მინა და ბროლი დაცემისას იმსხვრევიან, ამიტომ ორივე ფრთხილ მოპყრობას ითხოვს.

როგორც წესი, რაც უფრო ძვირფასია ნივთი, მით ფრთხილად და მოწინებით მოპყრობას მოითხოვს. ბროლის ჭიქები ირეცხება არა ისე, როგორც უბრალო. მინისთვის ან პლასტმასის ჭიქებისთვის შეიძლება ჭურჭლის სარეცხი მანქანის გამოყენება, მაგრამ ბროლი ჯობია იქ არ ჩადოთ. მანქანაში შეიძლება გაიზაროს ან დაიმსხვრეს კიდევაც. ნივთის შექმნის მეტად ძვირადღირებული პროცესი ჯერ კიდევ არ იძლევა იმის გარანტიას, რომ იგი სხვებზე მეტ ხანს გაძლებს. ეს მაგალითი მაგონებს მე იმის შესახებ, თუ როგორ მოუწოდებს ღმერთი მამაკაცებს რომ პატივისცემით და მოწინებით ეპყრობოდნენ თავიანთ ცოლებს:

**„თქვენც ქმრებო, გონივრულად მოეპყარით ცოლებს, როგორც უუძღურეს ჭურჭელს, პატივი ეცით, როგორც სიცოცხლის მადლის თანამემკვიდრეებს, რათა ლოცვა არ დაგიბრკოლდეთ.“ (1 პეტრე 3:7)**

ერთი წუთით... რატომ უნდა აფასებდნენ ქმრები რაღაცა სუსტს? ხშირად ადამიანებს სძულთ სისუსტე. მაგრამ წმიდა წერილის ამ ადგილის ყურადღებით შესწავლით შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ ძირითადი ყურადღება აქ ჭურჭლის სისუსტეზე კი არ მახვილდება, არამედ იმაზე თუ რა არის მასში. განა ჭურჭელი უბრალოდ სათავსი არ არის? ქალებში კი არის რაღაც ღირსეული ნამდვილი პატივისცემისა. ამ გამონათქვამის პარაფრაზირება შემდეგნაირად შეიძლება: „მიუხედავად იმისა, რომ თქვენი ცოლი თქვენზე სუსტია, იგი ცხოვრების თანაბარი მემკვიდრეა მადლის მეშვეობით.“ ისეთი წარმოდგენა იქმნება,

## არასრულყოფილი, მაგრამ განუმეორებელი

რომ ღმერთი აფრთხილებს მამაკაცებს იმის შესახებ, რომ თუ იგი დაინახავს მათ ცოლებს დათრგუნულებს ან გულგატეხილებს, მაშინ ამ ქმრებსა და ღმერთს შორის პრობლემა წარმოიქმნება, და მათი ლოცვები დაბრკოლდება.

ეს მუხლი არ ასწავლის ქალებს იყენენ უნებისყოფონი, სუსტები და ნებისმიერ დროს მზად, რომ „დაიმსხვრენ“ – არამედ მოპყრობასა და პატივისცემაზეა. აუცილებელია ქალს ეპყრობოდე მეტად ფაქიზად იმის გამო, რომ იგი შექმნილი იყო მეტად რთული ხერხით. მამაკაცი გამოძერწილი იქნა თიხისგან, ხოლო ქალი შექმნა იგივე ოლონდ მეტად დამუშავებული მასალისგან. ეს იმას ნიშნავს, რომ მამაკაცის დამსხვრევა ისე ადვილი არ არის, როგორც ქალის. მამაკაცებს ვადარებ მინას, ხოლო ქალებს — ბროლს. შეიძლება არ ვარ მართალი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ასე ფვიქრობ. ჩემთვის ეს ფაქტი მონშობს იმაზე, რომ განუმეორებელ ქალებს არ ახასიათებთ სიტკიცე და სიმკვრივე — ისინი ნაზეები არიან და ადვილად მსხვრევადნი. გარდა ამისა, ყოველ ქალს შეუძლია გახდეს უფრო მეტად ძვირფასი, თავისში კეთილშობილი ხასიათის განვითარებით, – და მაშინ იგი ფასით მარგალიტზე ძვირფასიც კი გახდება.

## არასრულყოფილი ადამიანი შეიძლება იყოს განუმეორებელი

იმის გამო, რომ უნიკალურ ნივთებს გააჩნიათ დიდი მიმზიდველობა, ისინი, როგორც წესი, ძვირადაც ფასობენ, ისევე როგორც ბროლი მინაზე უფრო ძვირფასია. ასევე ყველამ ვიცით, რომ ძვირფასი ნივთები საჭიროებენ მეტ ხარჯს მათ შესაძენად და შესანახად. იმისათვის, რომ საქორწინო ბეჭდის ბრილიანტით შესაძენად საკმარისი თანხა დაეგროვებინა პატარძლისთვის (ჩემთვის), ჯონს თავის დროზე მოუწია მკაცრი დიეტის დაცვა და მთელი ორი თვის განმავლობაში ძირითადად მხოლოდ კარტოფილს ჭამდა. იგი ასეთ მსხვერპლზე წავიდა ჩემი პასუხის შემდეგ ერთ კითხვაზე, რომელიც მან დამისვა და ჩვენ ეს ესაა დავიწყეთ საქორწინო ბეჭდების ძიება.

საიუველირო მაღაზიაში შესვლამდე დიდი ხნის განმავლობაში ვიდექით შესასვლელთან, ვათვალიერებდით დახლებს და ვტკბებოდით სხვადასხვა ფორმის და ზომის საქორწინო ბეჭდებით. მივანიშნე რამდენიმე ბეჭედზე, რომლებიც გაცილებით დიდი და ძვირად ღირებული იყო, ვიდრე ისინი, რომლების ყიდვაც უნდოდა ჩემს საქმროს. საბოლოოდ, ჯონი დაიღალა გაურკვევლობით და პირდაპირ მკითხა:



## იზრძოლე რომორც ძალმა

„როგორი ბეჭდები უფრო მოგნონს: ნახევარ-კარატიანი ბრილიანტები თუ ერთ-კარატიანი? ჩემის აზრით, ერთ-კარატიანი ქვები ძალიან დიდია.“ რალაცა დროით ჩავფიქრდი და ვუპასუხე: „მე უფრო მეტად მომწონს ბეჭდები ერთ-კარატიანი ქვებით!“ ჩვენ მივედით გამყიდველთან და როცა გავიგეთ ფასები ჩემს მიერ მონონებულ ბეჭდებზე, ჯონი დალონდა — ეს მას სახეზე ეტყობოდა. ასეთი საჩუქრის ფასი გაცილებით აღემატებოდა იმ თანხას, რომლის მოგროვებაც შეძლო ჩემმა საქმრომ.

მივხდვი, რომ ზედმეტი მომივიდა და შევეცადე გამომესწორებინა შეცდომა და ვუთხარი, რომ გამიხარდებოდა ნებისმიერი ნაჩუქარი ბეჭედი. შემდეგ შევთავაზე აღარ აგვერჩია ბეჭდები ბრილიანტებით, რათა ჩემი საქმროს საჩუქარი ჩემთვის სურპრიზი ყოფილიყო.

იმ საღამოს ჯონმა მიიღო გადაწყვეტილება. მას არანაირად არ შეეძლო ჩემთვის ერთ-კარატიანი ბეჭდის ყიდვა და მან მყისვე დახაზე გეგმა როგორ გაეკეთებინა მას ეს უახლოეს დროში. შემდეგ მან დაიწყო ფასების მოძიება ბრილიანტის საბითუმო ვაჭრებთან.

ჯონმა წინადადება გამიკეთა ჩემს დაბადების დღეზე. (შესაძლოა, იმიტომ რომ არ ჰქონდა ფული კიდევ ერთი საჩუქრისთვის.) იგი ძალიან ალტაცებული იყო, როცა ბეჭედს მჩუქნიდა, მე კი სრულიად გავოგნდი! მოგვიანებით იმ საღამოს, ჩვენ შევედით მის სახლში, და მან მაჩვენა ნაყიდი ბრილიანტის ჩეკი, სადაც მისი წონა, ფერის და სისუფთავე იყო მითითებული.

ყველაფერი კანონიერად იყო გაკეთებული. მე მივიღე საჩუქრად უნიკალური ბრილიანტი, მაგრამ ეს საერთოდ არ ნიშნავდა იმას, რომ მას არ ჰქონდა არანაირი ნაკლი. სინამდვილეში ნამდვილი ბრილიანტი ნაკლის გარეშე — იშვიათობაა. ბრილიანტების უმრავლესობას მაინც აქვს გარკვეული შენარევები და სწორედ ისინი ქმნიან ქვას განუმეორებელს. ჯონმა მაჩვენა ჩემი ბრილიანტის ხილული ნაკლოვანებები — ეს იყო ნახშირბადის ნალექები ქვის ძირში.

ეს კარგი ამბავია ყველა ჩვენგანისათვის: იმისათვის რომ ვიყოთ განუმეორებლები ან უნიკალურნი, არ გვჭირდება აბსოლუტურად უნაკლონი ვიყოთ! სწორედაც რომ ჩვენი ნაკლოვანებები გვქმნიან განუმეორებლებად. საერთოდ, თუ ჩვენ ვცდილობთ ვაჩვენოთ ყველას, რომ არ გვაქვს ნაკლი, მაშინ

## არასრულყოფილი, მაგრამ განუმეორებელი

აშკარა ხდება ჩვენი ხასიათის სიყალბე. რა ბედნიერებაა, რომ არავინ არ ვართ სრულყოფილი!

### რატომ არის ნაკლოვანების მქონე უკეთესი

რა თქმა უნდა, თუ თქვენ არ განყოფილხართ არასრულყოფილი, მაგრამ ამასთან განუმეორებელი საგნები, გაქვთ კიდევ ერთი ვარიანტი. შეგიძლიათ იყიდოთ რაღაც „სრულყოფილი“ და ნაკლოვანების გარეშე. შეგიძლიათ იყიდოთ ბეჭედი ცირკონით. ამ ლამაზ, ხელით ნაკეთ ქვას არ აქვს ნაკლი და ამასთან ერთად... იაფიც ღირს! მას არ მოიძიებენ მინის სიღრმეებიდან, სადაც ტემპერატურა და წნევა გარკვეულად იმოქმედებენ. იგი იქმნება სტერილურად ლაბორატორიის სუფთა ატმოსფეროში. თქვენ შეიძლება გქონდეთ ბეჭედი ნამდვილი ცირკონით, მაგრამ შეცდომა იქნებოდა დაგეძახა ამ ქვისთვის „განუმეორებელი“ ან „უნიკალური“. ვიცი, მათ სწორედ ასე ეძახიან სხვადასხვა სარეკლამო ინტერნეტ-საიტზე, მაგრამ ნამდვილი ცირკონიც კი — ეს უზრალოდ გაყალბებული ბრილიანტია. შეგიძლიათ ჩასვათ იგი ოქროში და ბევრი ვერც კი მიხვდება სიმართლეს. მაგრამ თუ თქვენ იყიდით ბრილიანტს და შემდეგ გაარკვევთ რომ მასში ცირკონია... თავს მოტყუებულად იგრძნობთ. ის, რომ ამ ქვას არ აქვს ნაკლი, პრაქტიკულად არ აბათილებს მის დაბალ ფასს.

შეუიარაღებელი თვალთ შეუძლებელია გაარჩიო ცირკონი ბრილიანტისგან, რადგან სხვაობა მათ შორის პრაქტიკულად შეუძინეველია. მხოლოდ ამ საქმეში გამოცდილ ადამიანს შეუძლია აღმოაჩინოს განსხვავება.

სიტყვისთვის ვიტყვი, რომ ერთხელ როცა ჯონი დაბრუნდა ფილიპინების კუნძულებიდან, ჩამომიტანა საჩუქარი ერთი ადამიანისგან. შესახედაობით ეს იყო ლალის კომპლექტი, რომელიც შედგებოდა ბეჭდისა და საყურეებისგან. მჩუქებელმა დაარწმუნა ჯონი, რომ ეს ნამდვილი ქვებია, მაგრამ ჩვენ რატომღაც გვეპარებოდა ეჭვი. და მაინც, მე და ჯონს გვიხაროდა საჩუქარი და გადავწყვიტეთ არ შეგვემოწმებინა მისი ნამდვილი ფასი. მაგრამ დადგა დღე, როცა მომინდა მეჩუქებინა ეს სამკაულები სხვისთვის, და მაშინ მომინა სიმართლის გაგება.

საპარიკმახეროს გვერდით, რომელშიც რეგულარულად დავდივარ, იყო საიუველირო მაღაზია, ამიტომ ერთხელ თან გავიყოლე სამკაულები და მივეცი იუველირს შესაფასებლად. როცა ბეჭედი აიღო ხელში, თავი ეჭვით გააქნია და მიკროს-

## იბრძოლე როგორც ძალმა

კოპის ქვეშ ქვის შესწავლის შემდეგ ყველა მისი ეჭვი სრულიად გამართლდა. ჩემი „ლალი“ არა მხოლოდ ყალბი იყო, არამედ განსხვავდებოდა კიდევაც დაბალი ხარისხით. იგი სავსე იყო მრავალი ჰაერის ბუშტით. იუველირმა ამიხსნა, რომ ეს „ძვირფასეულობა“ ჰგავს უცოდინარი მოწაფის გაყალბებას ქიმიის გაკვეთილზე. რა თქმა უნდა, ამ ბეჭედის ჩუქება მაინც შეიძლებოდა ვინმესთვის, მაგრამ ველარ ვეტყოდი რომ მასში ნამდვილი ლალია. იგი გამოდგებოდა ნვეულების სამკაულად.

გამადიდებელი შუშით და კაშკაშა სინათლეზე ადვილია სიყალბის და ფარული დეფექტების აღმოჩენა. გაცილებით უკეთესია იყო არასრულყოფილი, მაგრამ განუმეორებელი, ვიდრე ეცადო გამოიყურებოდე სხვების თვალებში სრულყოფილად და ამავე დროს ყალბად იქცეოდე.

ვფიქრობ, რომ ამ ქრისტიანი-ქალებისგან ძალიან უმიზეზოდ ითხოვდნენ სრულყოფილებას ყველაფერში. ამის გამო ბევრი ჩვენგანი ჩაიკეტა საკუთარ თავში და არაბუნებრივი გავხდით. ამან ის გამოიწვია, რომ ხალხი უხერხულად გრძნობდა თავს ჩვენს თანდასწრებაში. სანამ ვიმალებოდით ნიღბებში, ჩვენი სიტყვები გახდა გაუგებარი, და ამ გრიმის და არაბუნებრივობის გამო ვერავინ ვერ გებულობდა იმ სიტყვებს, რომლებსაც მთელი ზედაპირულ საუბრების განმავლობაში წარმოვთქვამდით. ჩვენ უგუნურად დავიჯერეთ, რომ სრულყოფილად მოჩვენების მცდელობები უკვე გვქმნიდა ასეთებად. ნაცვლად იმისა, რომ საკუთარი სინათლით სხვები აგვენთო, მხოლოდ ვამძიმებდით მათ.

განუმეორებლობა. სიტყვა „განუმეორებელი“ გამოიყენება ვინმე ან რაიმე უნიკალურის ან ორიგინალურის აღსაწერად და არის სიტყვა „სიყალბის“ ან „ასლის“ ანტიონიმი. განუმეორებელი საგანი — ერთადერთია თავის სახეობაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ხასიათის უნიკალურ თვისებებს ვერ შეიძენ ძალით, არამედ გამოიწვრობა დროთა განმავლობაში. თითქოსდა ჩვენი ნაკლოვანებები იძენენ სხვა სინათლეს ჩვენი შინაგანი სილამაზის წყალობით.

ტერმინი „ნამდვილის“ განმარტება უფრო ადვილია. ნამდვილი საგანი — არის ისეთი, რომელსაც გააჩნია ფიზიკური არსებობა.

ღმერთი ეძებს თავის ასულებში უნიკალურობას და განუმეო-

## არასრულყოფილი, მაგრამ განუმეორებელი

რებლობას. ის გვთავაზობს, რომ ჩვენი ცხოვრებით ვირეკლავდეთ სილამაზეს, რომელიც ჩადებულია ჩვენში შემოქმედის მიერ, და ფასს, რომელიც გადახდილია ჩვენი ხსნისთვის. მას სურს გვხედავდეს თავის ძვირფას ქვებად, რომლებმაც საშუალება მისცეს, რომ მათი ნაკლოვანებები გამოცდილიყო ცეცხლით. ნამდვილი ნივთი არის ის, რომელიც ფაქტობრივად არსებობს, ხოლო განუმეორებელი, ან უნიკალური — ის, რომელსაც გააჩნია ფასეულობა და თავისი შექმნის სირთულე.

როცა ჯონ კიტსი თავის ნიგნში წერდა ჭეშმარიტებასა და სილამაზეს შორის კავშირზე, მას ვერ წარმოედგინა ის, რომ შეიძლება სილამაზის მიღწევა ჭეშმარიტებისგან დამოუკიდებლად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ ადამიანი ეძებს ჭეშმარიტებას, იგი აღმოაჩენს ასევე სილამაზესაც, რომელიც ჩადებულია ამ ჭეშმარიტებაში. თუ კიტსი მართალია და ეს ორი თვისება განუყრელია, რას აღმოვაჩენთ თუ სილამაზეს დავუწყებთ ძიებას ჭეშმარიტების გარეთ?

შესაძლოა ამ შეკითხვაზე პასუხის უკეთ გაცემა თუ შევხედავთ ჩვენს დღევანდელ ცხოვრებას. მე მექმნება წარმოდგენა, რომ ჩვენმა საზოგადოებამ გადაწყვიტა მიეღწია სილამაზისთვის რეალობის პოზიციიდან, და არა ჭეშმარიტების პოზიციიდან. ძნელია პოეტური ჰარმონიის პოვნა შემდეგ სიტყვებში: „სილამაზე რეალობაა; რეალობა — სილამაზე.“ რატომ? იმიტომ, რომ ეს სიტყვები უბრალოდ მოკლებულია აზრს. რეალობა იშვიათად არის ლამაზი, ხოლო სილამაზის მიღწევა ჩვენი ცხოვრების მრავალ სფეროში არარეალურია. კიტსი უკავშირებდა სილამაზეს ჭეშმარიტებას, რადგან ჭეშმარიტება თავიდანვე არის ღმერთის ბუნების ნაწილი, რაც მას არა მარტო მშვენიერად აქცევს, არამედ რყევადაც. რეალობა ცვალებადია და ამიტომაც დაკავშირებულია მხოლოდ გარკვეულ პერიოდთან ან დროის მომენტთან.

იმისათვის, რომ უკეთ ავხსნა თუ რას ვგულისხმობ, მოდიტ განვიხილოთ რამდენიმე ტერმინი. უპირველესყოფისა, განვიხილოთ სიტყვა „ჭეშმარიტების“ მნიშვნელობა. იგი შეიცავს თავისში ისეთ თვისებებს, როგორებიცაა პატიოსნება, სინრფელე, უმნიკვლობა და ერთგულება. თუ ირგვლივ გავიხედებით, დავინახავთ, რომ ჩვენს საზოგადოებაში ჭეშმარიტება იქცა იშვიათ სათნოებად. როცა ჭეშმარიტება გვიცხადდება, იგი ითხოვს საპასუხო რეაქციას ჩვენგან. მივიღებთ კი ჩვენ გამოწვევას და და

## იბრძოლე როგორც ძალმა

ვინცებთ შეცვლას თუ უარყოფთ მას და მეტად ხელსაყრელად ვარჩევთ ტყუილში ცხოვრებას? მხოლოდ ჭეშმარიტებას შეუძლია სიცრუის გავრცელების შეჩერება.

ქვეყანაზე არასოდეს ყოფილა ასეთი ძლიერი საჭიროება სილამაზესა და ჭეშმარიტებაში როგორც ახლა. ადამიანებს ყველგან უცრუვდებათ იმედები ცხოვრებისეულ ფასეულობებში. მათ უკვე აღარ იციან, ვის ან რას ენდონ. სიცრუე გამუდმებით ესხმის თავს ხალხს, უტევს მათ ყველა ფრონტზე და გამუდმებით თანდათანობით ანგრევს მათი ცხოვრების ყოველ სფეროს. იგი წარმოქმნის ხალხში იმედგაცრუებას, ისე რომ მრავალი მათგანი წყვეტს ჭეშმარიტების ძიებას და ეგუებიან რეალობას. არასოდეს აურიოთ რეალობა ჭეშმარიტებაში. ჭეშმარიტება უცვლელია, მაშინ, როცა რეალობა უკეთეს შემთხვევაში ცვალებადია.

ადამიანები, რომლებიც შეეგუვნენ რეალობას, ერგებიან გარემოებას, კულტურასა და დროს, რომლებშიც ცხოვრობენ, მაშინ როცა ადამიანები, რომლებმაც აღმოაჩინეს ჭეშმარიტება არ მიდიან კომპრომისებზე გარშემო საზოგადოების გავლენის ქვეშ. ჭეშმარიტება ყოველთვის რჩება უცვლელი და დრო და დრო გვეწვევა ჩვენ, რათა შეგვეძლოს მისი სიბრძნის მიღება. რეალობა შენდება იმაზე, რაც არის ახლა, მაშინ როცა ჭეშმარიტება ილტვის იმისკენ, რაც შეიძლება რომ ყოფილიყო. რჩევები, რომლებსაც გვთავაზობს რეალობა გვაიძულებენ უგუნურად დავიჯეროთ ის, რომ არ ხერხდება რაიმეს არასოდეს შეცვლა.

გამოცხადება, რომელსაც გვაძლევს ჭეშმარიტება აღძრავს ჩვენში იმედს, რომ არსებობს რაღაც უფრო დიდი, ვიდრე ხილული სამყარო. რეალობა ამართლებს ადამიანებს, რომლებიც ცრუობენ და ალამაზებენ თავიანთ სიტყვებს... ვითომ და სხვანაირად არ შეიძლებაო. რეალობის შეგუებით ჩვენს საკუთარ თავს ვწირავთ სიცრუეში ცხოვრებისთვის. სიბრძნე კი უარს ამბობს დაემორჩილოს რეალობას, და გამონწევას გვიკეთებს, რომ ავმალდეთ საზოგადო სტანდარტებზე მაღლა და ღიად გამოვაცხადოთ ჭეშმარიტება. სიბრძნე გვარიგებს იგავების წიგნის მიშვეობით:

**„რადგან ჭეშმარიტებას წარმოთქვამს ჩემი პირი და უკეთურება სისაძაგლეა ჩემს ბაგეთათვის. სამართლიანია ყოველი ნათქვამი ჩემი პირისა, არაა მათში არაფერი დაკლაკნილი და მრუდე. ყოვლად ნათელია ისინი გონიერისთ-**

არასრულყოფილი, მაგრამ განუმეორებელი  
ვის და სიმართლე ცოდნის მპოვნელთათვის.“ (8:7-9)

**კავშირი გულის დონეზე**

მთელს მსოფლიოში მოგზაურობით და მსახურებებსა და კონფერენციებზე გამოსვლით მაქვს შესაძლებლობა მივმართავდე ქალებს უფრო პირად დონეზე. აღმოვაჩინე, რომ ჩემი მსმენელები ჩემს მიერ ნათქვამ სიტყვებს სხვადასხვანაირად აღიქვამენ. ზოგს შეუძლიათ მიიღონ ის, რასაც ვლაპარაკობ, ინტელექტის დონეზე. შეეხება მათ ჩემი უწყება თუ არა, იმაზეა დამოკიდებული როგორ გადავცემ, მოუსმენიათ თუ არა მათ მსგავსი რამ, უღერს ჩემი სიტყვები დამაჯერებლად და ასე შემდეგ. თუ მე გავივლი ამ ტესტს, ჩემი ქადაგება მოხდება მათ აზროვნებაში და დამუშავდება მასში დანარჩენ ინფორმაციასთან ერთად, რომელიც მათ მიიღეს.

ასეთი ქალები, რომელთაც აქვთ ანალიტიკური აზროვნება ხშირ შემთხვევებში მისმენენ იმისათვის, რომ მოძებნონ შეცდომები ჩემს ქადაგებებში. ჩვეულებისამებრ ისინი ამას საკუთარი უსაფრთხოებისთვის აკეთებენ. ეს არის კავშირი გონების დონეზე. სხვათა შორის, აღმოვაჩინე, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც მისმენენ იმ იმედით, რომ დამიჭირონ შეცდომებზე ან უგუნურ ნათქვამზე, არასოდეს ვუცრუებ იმედებს.

ქალების კიდევ ერთი ტიპი კი მღებულობს მშვინვიერ, ემოციურ დონეზე. მათ ესმით ის, რაზეც ვლაპარაკობ, და ამუშავებენ ჩემს სიტყვებს თავიანთი ემოციების მეშვეობით. ისინი აღიქვამენ ჩემს მიერ ნათქვამს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოვწონვარ მათ როგორც ადამიანი ან თუ გრძნობენ, რომ ჩვენს შორის არსებობს რაიმე ემოციური კავშირი. შესაძლოა, ჩემი გამოსვლებით ერთობიან და ხშირ შემთხვევაში ჩემს სიტყვებს იქიდან გამომდინარე აღიქვამენ, გამომდის თუ არა მათი შთაგონება და მათი ყურადღების ემოციურად მიპყრობა... ეს არის კავშირი სამშვინველის დონეზე.

არსებობს ქალთა კატეგორია, რომლებთანაც გვიმყარდება ყველაზე ღრმა და მყარი კავშირი — გულის დონეზე. ეს ხდება მაშინ, როცა ზიხართ დარბაზში და უეცრად გრძნობთ, რომ სცენაზე გამოსვლელი ადამიანი თავისი ქადაგებით აღვიძებს თქვენში დაფარულ ფიქრებსა და გრძნობებს. შესაძლოა, ეს მქადაგებელი სცენიდან იგივე სიტყვებს წარმოთქვამს, რომელთაც სულიწმიდა დაფარულში ჩაგჩურჩულებდათ. თქვენ დაკავშირე-

## იბრძოლე რომორც ძალმა

ბული ხართ ასეთ ადამიანთან არა მხოლოდ გონებრივ და ემოციურ დონეზე — თქვენი კავშირი გაცილებით ღრმაა. იგი ჩნდება იმიტომ, რომ თავად თქვენი სული ეხმიანება წარმოთქმულ სიტყვებს. თქვენ შეიძლება არც კი მოგწონდეთ როგორ არის მქადაგებელი ჩაცმული, როგორ გადმოსცემს აზრებს. შესაძლოა, მის სიტყვებში თქვენ ამჩნევთ გარკვეულ შეცდომებს, მაგრამ თუ თქვენ გულის დონეზე დაუკავშირდით ამ ადამიანს, ვერაფერი შეგიშლით ხელს გაიგონოთ ის, რასაც ამბობს. ასეთი კავშირისას არაფერს აღარ აქვს მნიშვნელობა, გარდა იმისა, რის მიტანასაც ცდილობს მქადაგებელი. როცა მსახურებაზე ამგვარი კავშირი მიჩნდება მქადაგებელთან, მე ხშირად მესმის, როგორ ჩამჩურჩულებს სულიწმიდა ყურში სიტყვებს, რომლებიც სცენიდან ნათქვამიც არ იყო.

პირველი დონე — ინტელექტის დონეზე კავშირია. მეორე — მშვიდვიერ დონეზე, ანუ ემოციურ დონეზე. მესამე დონე — კავშირი გულის ანუ სულის დონეზეა. რა თქმა უნდა, თქვენ იგრძნობთ კავშირს ადამიანებთან სამივე დონეზე. კავშირის ეს ყოველი კატეგორია არის ნორმალური და აუცილებელი, მაგრამ მხოლოდ უკანასკნელი — გულის დონეზე. რეალობის მეშვეობით ამგვარი კავშირის მიღწევა შეუძლებელია... ხოლო ჭეშმარიტებისა და სილამაზის მეშვეობით კი — შესაძლებელი.

### მთელი დედამიწა არ არის საკმარისი

არ არის საკმარისი იყო უბრალოდ ბუნებრივი. აუცილებელია გავცდეთ იმის ფარგლებს, რაც ჩვენ გაგვანჩნია და ასე გამაღებთ ვისწრაფვით სილამაზისა და ჭეშმარიტების აღსადგენად. შეიძლება დავინახოთ, რომ მსგავსი რამ არაერთხელ ხდებოდა მეფე დავითის ცხოვრებაში. მისი ცხოვრებისეული კრედიო ასე უღერს: „ღმერთო, მე სინამდვილეში ბევრი მაქვს, მაგრამ ჭეშმარიტების შემეცნების წყალობით მეტისკენ ვილტვი.“ დავითი არაერთხელ აცხადებს, რომ ღმერთის ჭეშმარიტება ადრე თუ გვიან სძლევს დღევანდელი რეალობას.

**„თუნდაც ჯარმა რომ დაიბანაკის ჩემს წინააღმდეგ, არ შეშინდება გული; თუ ომი ატყდა ჩემს წინააღმდეგ, მაინც იმედი მაქვს. ერთს ვთხოვდი უფალს, ამას ვევედრები: რომ დავემკვიდრო უფლის სახლში ჩემი სიცოცხლის მანძილზე, ვუმზერდე უფლის სიმშვენიერეს და მის ტაძარს ვიხილავდე.“ (ფსალმუნი 26:3-4)**

## არასრულყოფილი, მაგრამ განუმეორებელი

რეალობა დავითისთვის ნიშნავდა უწყვეტ ომებს, ცხოვრებას მტრების გარემოცვაში და მეგობრების ღალატს. და მაინც, მიუხედავად ყველაფერი ამისა, იგი ილტვოდა ერთისკენ — ღმერთის შემეცნებისკენ. რალაცნაირად დავითს შეეძლო დაენახა იმაზე შორს, ვიდრე რეალობაში ხდებოდა და დაენახა საკუთარი თავი ჭეშმარიტების ტახტზე მშვიდობისა და უზრუნველი სილამაზის ადგილზე.

ის, რაც გაგვაჩნია — სულაც არ არის ყველაფერი, რისკენაც ვილტვით. ის, რასაც ვხედავთ — არ არის ყველაფერი, რასაც ვეძებთ. ის, რაც გვესმის — არ არის ის სიმღერა, რომელიც ჩვენს გულში ჟღერს.

მშენიერი ყვავილების კეთილსურნელება გვახარებს, მაგრამ მას არ შეუძლია ჩვენი არსის შეცვლა. წყალი, რომელსაც ვსვამთ, ვერ კლავს ჩვენს წყურვილს. საკვებს, რომელსაც ვჭამთ, არ შეუძლია ჩვენი სულიერი შიმშილის დაკმაყოფილება. ჩვენს გულში დათესილი იქნა მარადისობის თესლი და არანაირ მინიერ სიკეთეს არ შეუძლია ჩვენი დაკმაყოფილება. დედამინის სიუხვე და სილამაზე მოგვეცა ჩვენ მხოლოდ იმისათვის, რომ აღეძრა ჩვენში სწრაფვა რაღაც უფრო მეტისთვის.

ჩვენ ვისწრაფით არა უბრალოდ რაღაცა ნამდვილისკენ — არამედ გვწყურია მარადიული და განუმეორებელი.

თქვენ ორიგინალად დაიბადედ და ნუ გახდებით ასლი<sup>1</sup>

თუ თქვენ ისწრაფით განუმეორებლობისაკენ აუცილებელია გააცნობიეროთ საკუთარი ორიგინალურობა. ორიგინალი — ეს რაღაცა უფრო ახლის დასაწყისია. ორიგინალი — ეს ხელოვნების უნიკალური ნიმუშია და არა ასლი ან სიყალბე. გახსოვთ, რომ თქვენში არის რაღაც უნიკალური და ორიგინალური? თქვენ უნდა გახდეთ ის, რაღაც ღმერთმა შეგქმნათ.

მაგალითად, მე მძულს ქალის კოლგოტკები, და მიმაჩნია ისინი ბოროტების განსახიერებად. მე მაქვს საბაბი ვფიქრობდე, რომ ისინი ჯანმრთელობისთვის საზიანოა და ცელულიტის ძირითადი მიზეზია, ამიტომაც არ ვატარებ მათ. თუ ვინმე ფიქრობს, რომ კოლგოტკები ლამაზი და სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის, ეს მისი საქმეა. არ მოგიწოდებთ არ ატაროთ ეს რაღაცეები მხოლოდ იმიტომ, რომ მე არ მომწონს. მაგრამ, თუ ვინმეს მიაჩნია, რომ მათი ტარება არის ღმერთის დადგენილება,



## იბრძოლე როგორც ძალმა

მაშინ ჩნდება კითხვა, თუ რამდენად იცის ამ ადამიანმა ბიბლია. კოლგოტკები არ გვაახლოებენ ღმერთთან და არც გვაშორებენ მას. უბრალოდ ეს ქალის ტუალეტის საკმაოდ ელასტიური და მოუხერხებელი ნივთია, რომელიც მაღავეს ფენის ნაკლოვანებებს. ვფიქრობ, რომ გავარკვიეთ ეს საკითხი.

გააცნობიერებთ თუ არა საკუთარ უნიკალურობას, თუ შეეცდებით გახდეთ ყველა სახის ნაზავი, რომელსაც ხედავთ, მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული. გაიგეთ შემდეგი: მთელი მსოფლიო გიყურებთ იმედით, რომ თქვენ ორიგინალი ხართ.

### **ზეციერო მამა,**

მოვდივარ შენთან იესოს სახელით. მინდა ვიყო ბრილიანტი და არა ცირკონი. თანახმა ვარ ვიყო არა სრულყოფილი, მაგრამ განუმეორებელი. მინდა ამ ცხოვრებაში სიბრძნით დავდიოდე. მამა, მომიტევე ის წლები, როცა უბრალოდ ვცდილობდი ვყოფილიყავი ბუნებრივი. მომიტევე, რომ ტკივილს ვაყენებდი მათ, ვინც გულს მტკენდა და ცილს მწამებდა. ვლებულობ გადაწყვეტილებას ვაკურთხებდე მათ, ვინც მწყევლის მე, და სიკეთე ვუყო მათ, ვინც ბოროტად იყენებს ჩემს ნდობას ან შეურაცხმყოფს. ამინ.

## თავი მეცამეტი

### ბრძოლა სამკაულეჯისთვის

მე ყოველთვის მომწონდა ქვეები. ბავშვობაში ვაგროვებდი სხვადასხვა პატარა ქვეებს. ჩემს მეგობარ მარსისთან ერთად ყურადღებით ვათვალიერებდით პატარა მდინარეების ფსკერს და მიწის ნაკვეთებს, სადაც შეიძლებოდა რამდენიმე პატარა ქვის მოძებნა. მახსოვს, საათობით როგორ ვიქექებოდით ხრემში, რომლითაც ჩემი მეზობლები გეგმავდნენ ბილიკის დაგებას თავიანთ სახლამდე. ჩვენ ვეძებდით საათების განმავლობაში მსურვალე მზის ქვეშ, იმ იმედით, რომ ვიპოვიდით „მძივებს“, რომლებიც იქნებოდნენ იმის მსგავსნი, რომლითაც ინდიელები აკეთებდნენ თავიანთ სამკაულებს. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს მათ ვპოულობდით. ჩვენ გვქონდა მნიშვნელოვანი მისია: მოგვეძებნა ეს დამარხული საგანძური იქამდე, სანამ მათ დაფარავდა ასფალტი და სამუდამოდ დაიკარგებოდა.

როცა ბავშვი ვიყავი, ჩემი სეირნობები მეჩვენებოდა საგანძურის ძიებად. მე ვჩხრეკდი ქუჩებს და ტროტუარებს და ვნადირობი ლამაზ მინერალებზე. ვთხრიდი ორმოებს ჩემი სახლის ბაღში, ვეძებდი მიწაში მარმარილოს, გრანიტს, ფიქალს და აქატს. ფულს ვინახავდი რომ მეყიდა ბაზრობებზე აქატი და ქვეები სახელად „აპაჩების ცრემლები“.

საგანძურის ძიებისას არ შემოვიფარგლებოდი მხოლოდ ქვეებით. ერთხელ, ზაფხულში მომიწია ტბა ფრიმენის ნაპირზე ძიება. ვეძებდი ნიჟარებიან მოლუსკებს და მჯეროდა რომ რომელიღაცაში მარგალიტი იქნებოდა. ჩემს ნადავლს ვალაგებდი პლასტიკის ჭურჭელში და ვცდილობდი მამაჩემის დარწმუნებას, რომ აუცილებელი იყო ნაგველო ეს მოლუსკები სახლში და მოგვეშინაურებინა. ჩემს ოცნებებში ვხედავდი, როგორ დავსვავდი ჩემს მოლუსკებს მკაცრ დიეტაზე, რომელიც მხოლოდ ქვიშისგან შედგებოდა, და ისინი საპასუხოდ მაჩუქებდნენ მშვენიერ მარგალიტს. მაგრამ მალევე ყველა მოლუსკი კვდებოდა, და სანამ მამა გადაყრიდა ამ აყროლებულ გროვებს, შევძელი მისი დარწმუნება, რომ გაეხსნა თითოეული ნიჟარა და ენახა, ხომ არ იყო შიგნით მარგალიტი. მქონდა რა დანაშაულის შეგრძნება

## იზრძოლე როგორც ძალმა

საკუთარი „შინაური ცხოველების“ დაღუპვის გამო და ძნელად ვუძლებდი გახრწნის საშინელ სუნს, ვაკვირდებოდი პროცედურას უსაფრთხო მანძილიდან. ვიჯექი და ვუყურებდი მამაჩემი როგორ წმენდა თავის ჯარის დანით ყოველ ნიჟარას, სანამ მას წყალში გადააგდებდა და ვუსმენდი მის მოთხრობებს დიდ რვაფეხებზე და მარგალიტების მაძიებელ იაპონელ გოგოებზე. ჩემი წარმოსახვა მიხატავდა ამ პატარა „ქალთევზებს“, რომლებიც ზღვაში ყვინთავდნენ რათა ზედაპირზე ამოელოთ მასში დამალული საგანძური. ისინი შრომობდნენ, და მიჰქონდათ მარგალიტები მათთვის, ვისაც არ შეეძლო დიდი ხნით სუნთქვის შეკავება წყლის ქვეშ.

ვოცნებობდი აღმოვჩენილიყავი ოკეანის ნაპირზე და შემეხედა ამ სილამაზისთვის. მე იმდენად არ მაინტერესებდა მარგალიტები, როგორც ძიების პროცესი. და იმ დროს, როცა მამა მიყვებოდა მორიგ ისტორიას, მისი დანა მოულოდნელად წააწყდა რაღაც მკვრივს მოლუსკის რბილში. ეს მარგალიტი იყო! ის იყო პატარა, ბრტყელი და უცნაური ფორმის, მაგრამ ეს ხომ მარგალიტი იყო! თავს ველარ ვიკავებდი აღფრთოვანებისგან. მომიცვა აღუნერელმა სიხარულმა, მე ხომ მართალი აღმოვჩნდი: ჩემს აყროლებულ მოლუსკებში მართლაც იყო დამალული ჭეშმარიტი სილამაზე, საჭირო იყო უბრალოდ ყურადღებით დაკვირვება.

## იშვიათი მოძებნა უბრალოებს შორის

ჩემმა ერთერთმა შვილმა მე მგონი დაიმკვიდრა ჩემგან სწრაფვა იშვიათი სილამაზის მოსაძებნად უბრალო ნივთებს შორის. ერთხელ მე და ჯონი მივდიოდით ჩვენს ყოველწლიურ დირექტორთა საბჭოს შეკრებაზე და უეცრად გაისმა ზარი სახლიდან. ეს იყო ათი წლის ალექი, რომელიც აღფრთოვანებით გვიყვებოდა როგორ გააკეთა ახლა 30 დოლარი. მისი მონაცოლიდან გავიგეთ, რომ ჩვენი არ ყოფნის დროს ალექმა ამოთხარა პატარა ქვები უკანა ეზოში, გარეცხა ჭურჭლის სარეცხ მანქანაში და შეეცადა მიეყიდა მეზობელი ბიჭებისთვის თვითნაკეთი დახლიდან, რომელიც მან მოაწყო პირდაპირ შუა ქუჩაში. გარეთ ტემპერატურა ნულზე ნაკლები იყო და ვფიქრობ, ჩვენს მეზობლებს უბრალოდ უკვირდათ, როცა დაინახეს ახალგაზრდა გამყიდველი, რომელიც მუშაობდა მკაცრ იანვრის ყინვაში. მათ შორის აღმოჩნდა ერთი კეთილშობილი ბიძა, რომელიც არა მხოლოდ დათანხმდა მოესმინა როგორ უკეთებდა რეკლამას ალექი ერ-

## ბრძოლა სამკაულებისათვის

თერთ თავის საყვარელ მინერალს, არამედ იყიდა კიდევაც იგი ჩვენი შვილისგან 30 დოლარად. სანამ მოვასწრებდი გაკვირვების გამოხატვას, ყურმილში გაისმა ალექის მწარე ოხვრა:

„დედა, უფრო მეტად უნდა გამეყიდა... მე მგონი საფირონიც ჰქონდა შიგნით.“

რა არაჩვეულებრივი ნიჭია — შეგეძლოს სილამაზის დანახვა უხეში და დაუმუშავებელი ზედაპირის ქვეშ. მაგრამ მინდა გკითხოთ: „განა ზუსტად ასე არ გიყურებთ თქვენი ზეციერი მამა?“

ყურმილი რომ დაკვიდეთ მე და ჯონი კიდევ დიდი ხნის განმავლობაში ვხარხარებდით. ალექი ჰგავდა ამა ქვეყნის იმედგაცრუებულ ხალხს. იგი ეძებდა შინაგან სილამაზეს ყოველ ნივთში და არ სურდა მოსმენა, როცა ეუბნებოდნენ, რომ იგი იქ არ არის.

გავიდა გარკვეული ხანი და შობაზე ჩვენ ვაჩუქეთ ალექს ქვების საპრიალებელი კომპლექტი. იგი შედგებოდა ჭიქისა და რამდენიმე დაუმუშავებელი ქვისგან, საპრიალებელ დაფებისგან და რამდენიმე აქსესუარისგან, რომლებშიც შეიძლებოდა მზა ქვის ჩასმა.

მათთვის, ვინც იცის, ვეტყვი: ქვების გაპრიალება — რთული საქმეა, რომელსაც ახლავს გამუდმებული ხმაური. თავიდან დებთ ქვას დაზგაზე, შემდეგ უნდა ჩასვით პირველი საპრიალებელი დაფა და ამუშავებთ მინერალს რამდენიმე კვირის განმავლობაში. შემდეგ ცვლით დაფას მეტად პრიალა დაფაზე და მთელი პროცესი ხელახლად იწყება. ზოგჯერ, როცა მარტო ვიყავი ჩვენს დიდ სახლში, უეცრად შევხტებოდი ხოლმე ხმაურისგან... ეს რა ხმები მომესმის სარდაფიდან? შემდეგ მახსენდებოდა... ეს ხომ ქვების გასაპრიალებელი მანქანაა. მოუთმენლად ველოდი როდის დამთავრდებოდა ეს ხანგრძლივი პროცესი: რატომ იწელება ყოველთვის ასე დიდ ხანს? ამ კითხვას ვუსვამდი ალექს და ჯონს, მაგრამ ისინი მარწმუნებდნენ, რომ ჯერ არ დამდგარიყო დრო ქვების დაზგიდან ამოსაღებად.

ბოლოს და ბოლოს ის დღეც დადგა. ბევრი პრობლემები შეგვექმნა თუ სად შეგვენახა ქვის ნარჩენები, მას ვერც ჩარეცხავდი და ვერც ეზოში ბალახზე ვერ გადაყრიდი. ბოლოს და ბოლოს ბოლომდე ავავსეთ პაკეტი და გადავაგდეთ გარეთ ნაგვის

## იზრძოლე როგორც ქალმა

ურნაში. დიდი ხანი მოგვინია დაზგასთან წვალემა და როგორც იქნა ქვებიცი გამოჩნდა. ისინი იყო ბრწყინვალე, გლუვი და დიდად დაპატარავდნენ ზომებში მას შემდეგ რაც დაზგაში ჩავდეთ. მათ შორის ერთმა მინერალმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. რამდენიმე კვირის წინ იგი გავატარეთ საპრიალებელში როგორც მტვრიანი, დაუმუშავებელი ამეთვისტოს ნატეხი, ხოლო ახლა იგი გადაიქცა პატარა, ბრწყინვალე მენამული ფერის კენჭად. როცა ხელში ვაგორავებდი მას, რომ შემემომწებინა მისი პრიალა ზედაპირის ყველა მხარე, ვიგრძენი როგორ მომმართავდა სულიწმიდა:

„ქვა, რომელიც შენ გიჭირავს ხელში თავისი ქიმიური, მოლეკულური სტრუქტურით იდენტურია ძვირფასი ამეთვისტოსი, მაგრამ დიდად განსხვავდება მისგან ფასში. ეს ქვა არ არის ძვირფასი, რადგან მას არ აქვს ნახნაგები, რომლებიც მიანიჭებდა მას სიკაშკაშეს. ამით იგი ჰგავს ჩემს ზოგიერთ შვილს. არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთ ცხოვრებაში განიცდიან გამუდმებულ ზენოლას, რომელიც დროთა განმავლობაში აპრიალებს ყველა მათ წვეტიან კუთხეს. მე მიყვარს ისინი, რადგან ჩემი შვილები არიან, და ძალიან მინდა რომ მათ დაუბრუნდეთ წინანდელი სიკაშკაშე, წინანდელი სწორი ხაზები და ბრწყინვალეობის სილამაზე.“

სრულიად ჭეშმარიტება იყო; განსხვავება იმ მენამულ ქვას, რომელიც ხელში მეჭირა, და ოქროში ჩასმულ ძვირფას ამეთვისტოსთან მდგომარეობდა მათი დამუშავების მეთოდში. დღემდე ვფიქრობ ამ ღრმა გამოცხადებაზე, რომელიც მაშინ მივიღე.

## ცეცხლის წყურვილი

არის რალაც საოცარი ყოველ ქვაში, რომელიც გარდატეხს სინათლეს, მაგრამ გავიზარდე რა, მეტ მნიშვნელობას ვანიჭებ ძვირფასი ქვების კაშკაშა ბრწყინვალეობას. ასეთ სილამაზეს ვერ ამოთხრი ხრეშში, იგი ძვირი ღირს! საკმაო ხანი მიცხოვრია, რათა გამეგო ყველაფერი მშვენიერი, რაც არის ჩემს ცხოვრებაში. დაბადებული იყო ხანგრძლივი წვის და მკაცრი ჭრის პროცესში.

ჩემს ცხოვრებაში ბევრი სფერო და გაკვეთილი ყოფილა, სადაც ღმერთს სურდა წარმოექმნა ძვირფასი ქვები, მაგრამ მე ვაძლევდი მას საშუალებას შეხებოდა ამ სფეროებს მხოლოდ სათამაშოდ დაზგით. ნაცვლად იმისა, რომ თავად ღმერთის ხელში

## ბრძოლა სამკაულებისათვის

გადამეცა, ვწუნუნებდი, ვდრტვინავდი, რომ ცხოვრება (ღმერთი) უსამართლოა ჩემს მიმართ! იყო დრო, როცა გავუბოდი უფალს, თუმცა იგი მეუბნებოდა რომ მივახლოვებოდი მას; ან თავით ვეშვებოდი იმ ურთიერთობებში, რომლის შეწყვეტასაც მთხოვდა. იმ დროს გამუდმებით საპრიალებელი დაზვის მტვერი იდგა ჩემს ცხოვრებაში. მე კვლავ და კვლავ ვენინააღმდეგებოდი მას და გავუბოდი იმ სილამაზეს, რომლის მოცემაც მას ჩემთვის შეეძლო, თუ მე მყისვე და უპირობოდ დავემორჩილებოდი მას.

ჭეშმარიტება მდგომარეობს იმაში, რომ თითქმის ყველა ქალს უყვარს ძვირფასი ქვები და საერთოდ სამკაულები. ჩვენ ასე ვართ შექმნილნი. სანამ შემენინააღმდეგებით და დაიწყებთ პირველი პეტრეს წერილიდან ნაწყვეტების ციტირებას, შეეცადეთ გულით მომისმინოთ, თუ რისი თქმა მინდა თქვენთვის. მე არ ვგულისხმობ, რომ ჩვენ თაყვანს უნდა ვცემდეთ ძვირფას ქვებს ან მათზე ვამყარებდეთ იმედს; საუბარი მიდის მხოლოდ იმის შესახებ, რომ ყოველ ქალს გააჩნია ღმერთის მიერ ჩადებული უნარი სათანადოდ აფასებდეს ძვირფასი ქვების სილამაზეს. თუ არა და რატომ ჩადო ღმერთმა მინაში დიდი რაოდენობით ძვირფასი მინერალები, თუ არა იმისათვის, რომ მის შვილებს ამოეთხარათ და დამტკბარიყვნენ? მაგრამ რა ფასი გააჩნია ქვას ღირსეული ჩარჩოს გარეშე?

ღმერთის სიტყვაში შეიძლება მრავალი ნაწყვეტის პოვნა, სადაც ნახსენებია ძვირფასი ქვების შესახებ. ღმერთმა დაავალა გამოცდილ ნიჭიერ ხელოსნებს, რომ გაეკეთებინათ სამკერდული აარონისთვის და ჩაესვათ მასში თორმეტი ძვირფასი ქვა, რომლებიც სიმბოლიზირებდნენ ისრაელის თორმეტ ტომს.

**„ქვათა ოთხი მწკრივი ჩასვეს მასში. პირველი მწკრივი: ლალისა, ტოპაზისა და ბივრილისა; მეორე მწკრივი: ზურმუხტი, საფირონი და ალმასი. მესამე მწკრივი: იაგუნდი, აქატი და ამეთვისტო. მეოთხე მწკრივი: ქრიზოლითი, ონიქსი, იასპი; ოქროს ბუდეებში იყო ჩასმული. ისრაელიანთა სახელების მიხედვით იყო თვლები; თორმეტი ქვა მათი სახელების მიხედვით; მსგავსად საჭრეთელით ამოკვეთილისა, თითოეული თორმეტი შტოდან, თავისი სახელის მიხედვით.“**  
(გამოსვლა 39:10-14)

ძვირფასი ქვები არ მიუწებებიათ ქსოვილისთვის სუპერნობითი — თითოეული მათგანი აკურატულად იყო ჩასმული

## იბრძოლე როგორც ძალმა

თავის ბუდეში როგორც სიმბოლო, რომ ყოველი ტომი იყო არა მხოლოდ უნიკალური, არამედ ძალიან ძვირფასი ღმერთის თვალში. ვფიქრობ, რომ სწორედ ასე გვიყურებს უფალი, თავის შვილებს. მალაქიას წიგნში ასე არის აღწერილი ღმერთის სიყვარული თავისი შვილების მიმართ:

**„ჩემი იქნებიან ისინი,“ – ამბობს უფალი, – იმ დღისთვის, როცა უნჯად გავამზადებ მათ და შევიბრალებ, როგორც კაცი შეიბრალებს თავის შვილს, რომელიც მას მორჩილებს. კვლავ დანახავთ განსხვავებას მართალთა და უკეთურს შორის. ღვთის მორჩილსა და მის ურჩს შორის.“ (3:17-18)**

როგორ გარდაგვექმნის ღმერთი ჩვენ ძვირფას ქვებად? ვფიქრობ, რომ ეს ხდება სინათლისა და ცეცხლის გამოცხადებით.

**„გავატარებ ცეცხლში ამ მესამედს და გავწმენდ, როგორც ვერცხლი იწმინდება და გამოვცდი მათ, როგორც ოქრო გამოიცილება. მაშინ ახსენებენ ჩემს სახელს და მეც შევინყნარებ მათ, ვიტყვი: ეს არის ჩემი ერი. იტყვიან ისინი: უფალია ჩემი ღმერთი.“ (ზაქარია 13:9)**

ცეცხლი გვწმენდს ჩვენ. იგი აშორებს ძვირფასეულობას ნაგვისგან და ხილულს ქმნის იმას, რაც დაფარული იყო. ვერცხლს თუ გააცხელებთ დნობის ტემპერატურამდე, ყველა მისი მინარევი ამოვა ზედაპირზე. როცა ჩვენი უწმინდურებები ზედაპირზე ამოდის, უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება: მივატოვოთ ყველაფერი ისე, როგორც არის, ან მივცეთ საშუალება ღმერთს მოგვაშოროს ისინი ცხოვრებიდან. თუ მივცემთ მინარევებს ან უწმინდურებებს საშუალებას დარჩნენ ჩვენს ცხოვრებაში, ისინი კვლავ ჩავლენ სიღრმეში, როცა ღუმელი გაცივდება. ეს გამოცხადება ცეცხლით განმენდაზე ხშირად მოდის ჩვენს ცხოვრებაში მაშინ, როცა საკუთარ თავთან მარტო ვრჩებით. ხშირად სწორედ ლოცვის დროს გვაჩვენებს ღმერთი ჩვენს უსუფთაობებს.

## ცეცხლი ააშკარავებს ნამდვილ ბუნებას

სინამდვილეში არ მომწონს ეს ჭეშმარიტება, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: ცეცხლი ააშკარავებს ჩვენს ნამდვილ ბუნებას. ვისურვებდი წარმომედგინა, რომ სწორედ ისეთი ვარ, როგორსაც მაჩვენებენ ტელევიზორში. მომწონს ჩემი გრიმირე-

## ბრძოლა სამკაულებისათვის

ბული სახე და დამუშავებული იმიჯი. მომწონს როგორ გამოვიყურებო მას შემდეგ, რაც ჩემზე მთელი ერთი საათი ინვალეს მათ, ვინც იცის როგორ დააყენოს ჩემი თმა. მომწონს რბილი განათება, მოვლენების კონტროლირებადი განვითარება და ტაშისმკვრელი მაყურებლების ბრბო. თუმცა არაფერ ამას არ გამოაქვს ზედაპირზე ჩემი ნაკლოვანებები, ისინი ვლინდება მაშინ, როცა ჩემს ცხოვრებაში რამე სერიოზული ხდება.

**„აჰა, მე გამოვადნე, მაგრამ არა როგორც ვერცხლი, ნამების ბრძმედში გამოვცადე.“ (ესაია 48:10)**

ვისურვებდი, რომ უფალს ჩემთვის სხვანაირად ეთქვა. კარგი იქნებოდა ასეთი რამის მოსმენა: „მე შენ გამოვცადე საუნაში სპა-ცენტრში“.

ესთერის წიგნში არის ასეთი ადგილი: „როცა მოუწევდა ყოველ ყმანვილქალს რიგი მეფე ახაშვეროშთან შესასვლელად, თორმეტი თვის ბოლოს, როგორც დანესებული იყო ქალებისათვის...“ (ესთერი 2:12). ერთხელ ჩემს ქმარს ვუთხარი, რომ მასაც ესთერზე არა ნაკლები ეყოლებოდა სახლში მთელი წელი სილამაზის სალონში რომ გამეტარებინა. მაგრამ ჩვენ, ესთერის მსგავსად არ ვართ სინამდვილეში ისინი, რანიც ვხდებით სპა-ცენტრებიდან გამოსვლის შემდეგ. ჩვენი ჭეშმარიტი ბუნება მხოლოდ ცეცხლში ვლინდება. ესთერი არაერთხელ იქნა გამოცდილი ჯერ კიდევ მანამ, სანამ გაივლიდა ერთწლიან კურსს „სპა-ცენტრში“ და ყოველთვის ირჩევდა მორჩილებას. ცეცხლი მართლაც ავლენს ჩვენს ნაკლოვანებებს, მაგრამ თუ ჩვენ საშუალებას მივცემთ მას დაგვადნოს, იგი გამოავლენს ჩვენს ჭეშმარიტ შინაგან სილამაზეს.

ერთხელ შაბათ-კვირას ჯონს უწევდა გამოსვლა ქრისტიანულ კონფერენციაზე ორ ეკლესიაში სან-დიეგოს რაიონში. მას ჰქონდა შესაძლებლობა წავეყვანეთ მე და ჩვენი ორი შვილი. დილით ადრე ჩვენ გავედით კოლორადო სპრინგსიდან და გავფრინდით კალიფორნიაში, მაგრამ როცა ჩავედით, აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენი სასტუმრო ოთახი დაკავებული იყო და გათავისუფლდებოდა მხოლოდ ექვსი-რვა საათის შემდეგ.

ჯონი გაემართა მსახურებაზე, ხოლო მე და ბავშვები ველოდებოდით როდის გათავისუფლდებოდა ოთახი. გარეთ წვიმდა, ამიტომ ჩვენ მაღაზიიდან მაღაზიაში გადავრბოდით, რათა არ დავსველებულიყავით და რომ არ მოგვეწყინა. შემთხვევით აღ-



## იზრძოლე როგორც ძალმა

მოვჩნდით საიუველირო მაღაზიაში, სადაც იყო ვერცხლის ნაკეთობების ფართო არჩევანი. ინტერესის გამო მოვისინჯე ბეჭედი ლურჯი ტოპაზით, რომელიც ძალიან მომეწონა. იდეალურად მიხდებოდა და მას შეეძლო შეეცვალა ჩემი ძველი ტოპაზიანი ბეჭედი, რომლიდანაც ქვა ამოვარდნილი მქონდა. როცა დავუბრუნე ნივთი გამყიდველს, გადავწყვიტე, რომ მსახურების შემდეგ მოვიყვანდი ამ მაღაზიაში ქმარს და ვაჩვენებდი ბეჭედს.

როცა ჯონი შემოგვიერთდა რამდენიმე საათის შემდეგ, ვთხოვე ეყიდა ჩემთვის ბეჭედი. ბოლოს და ბოლოს, სულ რაღაც ერთ თვეში ხომ ჩვენი ქორწინების ოცდა ერთი წლის იუბილე იყო, და იმ დღეს იგი სახლშიც კი არ იქნებოდა — ქვეყნის სხვა ნაწილში, ავსტრალიაში მიემგზავრებოდა. არ უნდოდა გაეკეთებინა საჩუქარი ცოლისთვის, რომელიც მას გაახსენებდა ხოლმე ქმარს? იგი დამთანხმდა ენახა ბეჭედი და ვახშმის შემდეგ ყველანი ერთად გავემგზავრეთ მაღაზიაში. მაღაზიის გამყიდველმა მიცნო და გადმოიღო ბეჭედი დახლიდან. მე გავიკეთე იგი თითზე და ვაჩვენე ჯონს.

„ნახე, როგორ მიხდება! მშვენივრად შემიცვლის იმ ბეჭედს, რომლის ქვაც დავკარგე, და იქნება ჩემთვის საჩუქარი ჩვენი ქორწინების იუბილეზე.“

„რა ღირს?“ - იკითხა ჯონმა.

„ორმოცდა ხუთი დოლარი,“ - უპასუხა გამყიდველმა.

„კარგი, ვიყიდოთ,“ - დამთანხმდა ჯონი.

და უეცრად ვიგრძენი თავი მოტყუებულად. ორმოცდა ხუთი დოლარი? ალბათ, ბეჭედი ნამდვილიც კი არ იყო. როგორ ავირჩიე ასეთი იაფფასიანი საჩუქარი ჩვენი ქორწილის ოცდა მეერთე იუბილეზე! სანამ ბეჭდის ფულს ვიხდიდი, ჯონი გავიდა ჰაერზე ბიჭებთან ერთად.

ახლა, როცა მარტო დავრჩი მაღაზიის მფლობელთან, გადავწყვიტე გამერკვია, ნამდვილი იყო ეს ქვა თუ გაყალბებას ჰქონდა ადგილი.

„ეს ლურჯი ტოპაზი ნამდვილია?“ - დავინტერესდი მე.

„არ არსებობს ასეთი რამ, როგორც ნამდვილი ლურჯი ტოპაზი.“ - მიპასუხა მან. ახლა უფრო მეტად დავიბენი.

## ბრძოლა სამკაულებისათვის

„კი მაგრამ მე მინახია ისინი,“ - დავიჟინე და თან ვმიშობდი, რომ ვიყიდე ბეჭედი უბრალო შუშით.

„ყველა ტოპაზს გააჩნია ყავისფერი ფერი, სანამ მას ცეცხლში არ გაატარებთ,“ - მოთმინებით ამიხსნა მან. — ლურჯ ფერს ისინი იძენენ მხოლოდ თერმული დამუშავების პროცესში.

შემდეგ მომიყვა ცეცხლში რომ აღმოჩნდება ყავისფერი მინერალი როგორ გარდაიქმნება ლურჯ ან მენამულ ფერის ქვად. თურმე, პატარა ნახევრად-ძვირფასი ქვები იზადებიან უშუალოდ ცეცხლში.

„ესე იგი ეს ყალბი არ არის?“ - კიდევ ერთხელ ვკითხე მე.

„ეს ნამდვილი ლურჯი ტოპაზია,“ - დამარწმუნა მალაზიის მფლობელმა.

ცეცხლი არა მხოლოდ ააშკარავებს ნივთის ნაკლოვანებებს, არამედ მის ფარულ სილამაზესაც ავლენს. ვინ იფიქრებდა, რომ მკრთალ ყავისფერ ქვებს შეუძლიათ შეიძინონ სხვადასხვა ფერები — ცისფერიდან ფირუზის ფერამდე?

## სიბნელეში დაფარული სილამაზე

მრავალი წლის წინ მაჩუქეს ამეთვისტოს შემცველი ქვა. გარედან იგი იყო უხეში და მტვრიანი. მისთვის რომ შეგეხედათ ვერც კი წარმოიდგენდით, რომ შიგნით დაფარული იყო ძვირფასი ბროლები. გარედან არაფერი არ მეტყველებდა სილამაზეზე, რომელიც შიგნით იყო დამალული. გარე მხარე მეტყველებს სიციხესა და წნევაზე, მაგრამ შიდა გვიჩვენებს თუ რა სილამაზე შეიძინა მინერალმა ცეცხლში დამუშავების შემდეგ. ძვირფასი ქვების უმრავლესობას მოიპოვებენ მთიან მაღაროებში. ეს მეტყველებს იმაზე, რომ იქამდე, სანამ მათ მოძებნიდნენ და ზედაპირზე ამოიტანდნენ, თავად ყალიბდებოდნენ მინაში დიდი წნევის ქვეშ.

ძალიან მომწონს მშვენიერი მაგალითი, რომელიც დაკავშირებულია ქვასთან და რომლის მოძებნაც შეიძლება ცნობილ ქრისტიანულ ზღაპარში „ირემი მთაზე“. მთელი მოთხრობის მანძილზე მისი გმირი, დიდი მშიშარა, აშენებს მორჩილების სამსხვერპლოებს, რათა დაემორჩილოს დიდ მწყემსს. ყოველთვის, როცა მსხვეპლს ალაველენს სამსხვერპლოზე, იგი ფერფლს შორის პოულობს მორიგ ქვას. ეს ქვები გარეგნულად არაფრით

## იზრძოლე როგორც ძალმა

არ გამოირჩევიან, მაგრამ იგი იღებს მათ და ინახავს თავის ჩანთაში როგორც მოგონებას შესწავლილი გაკვეთილის შესახებ. ერთხელ, იმედგაცრუებულმა, დიდმა მშიშარამ ლამის გადაყარა თავისი ქვები ჩანთიდან, იფიქრა, რომ უგუნურია, რომ ათრევს ამდენ სიმძიმეს. და მხოლოდ მოგვიანებით აღმოაჩინს, რომ ყოველი მათგანი ძვირფას ქვად გადაქცეულიყო.

ჩვენი ცხოვრების ყოველ ბნელ და მიტოვებულ ადგილში დაფარულია არაჩვეულებრივი სილამაზე. მხოლოდ მორჩილების გამოვლინებით განსაცდელების დროს ჩვენ ვღებულობთ გამოცხადებას იმის შესახებ, რომ ყველაფერი რაც ჩვენ გვჭირდება — არის ჩვენი მამა. სწორედ ასეთ მომენტებში უმნიშვნელო მასალა, რომლითაც მონყობილია ჩვენი ცხოვრება, მზად არის გადააქციოს ნამდვილ ძვირფასეულობად.

ყველაზე ცნობილი ძვირფასი ქვებიც კი, ისეთები როგორებიცაა „ინდოეთის ვარსკვლავი“ ან „იმედის ბრილიანტი“, ოდესღაც იყო უბრალო ნახშირბადის ნამტვრევები. მაგრამ დროთა განმავლობაში არაფრით გამორჩეული მინერალები გადაიქცა მშვენიერ ზურმუხტებად. ამისათვის საჭირო იყო მათი დაჭრა, დამუშავება და გაპრიალება. ჭრის დროს ქვა კარგავს თავისი წონის დიდ ნაწილს. ხშირ შემთხვევებში შესაძლებელი ხდება თავდაპირველი წონის 20%-ის შენარჩუნება. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რისი მიღწევაც უნდა იუველირს. სურს მას მიიღოს მეტად გამჭვირვალე ქვა, მაგრამ წონით ნაკლები, თუ პირიქით? როცა პროცესი დასრულებულია, ძნელია იმის დაჯერება, რომ უხეში, უფორმო ქვისგან გამოვიდა პატარა, სიმეტრიული, ბრწყინვალე ძვირფასი ქვა. მსგავსი სასწაულის მოხდენა უნდა ღმერთს ჩვენშიც.

### როგორ გადავიქცევით ძვირფას ქვებად

**„სიხარულით ვიხარებ უფალში, მოილხენს ჩემი სული ჩემს ღმერთში, რადგან მან ჩამაცვა მე ხსნის ტანსაცმელი, სიმართლის სამოსით შემოსა მე, როგორც ნეფე იდგამს ჯილას და როგორც სასძლო ირთვება თავისი სამკაულებით.“**  
(ესაია 61:10)

## ბრძოლა სამკაულებისათვის

პატარძლები ყოველთვის იკეთებენ სამკაულებს. ამ სამკაულებს ღმერთი გვაძლევს, როდესაც განსაცდელის პერიოდებს გავდივართ. სწორედ განსაცდელები ავლენენ ჩვენს ნამდვილ სილამაზეს და სვავენ ძვირფას ქვებს ჩვენი ცხოვრების ბუდეებში.

გადახედეთ გასულ წელიწადს. უარი გითქვამთ მშვენიერ სამკაულებზე, რომლებთაც გთავაზობდათ ღმერთი მხოლოდ იმიტომ, რომ გეშინოდათ გამოცდების, რომლების გავლაც აუცილებელი იყო მათ მისაღებად? თუ, შესაძლოა, თქვენ გაიარეთ ყველა გამოცდა, მაგრამ მთელი ამ დროის განმავლობაში გამუდმებით წუნუნებდით და ახლა გეშინიათ, რომ ღმერთი მშვენიერი ყელსაბამის მაგივრად გასაღების საკიდს გაჩუქებთ. შესაძლოა, მან უკვე გაჩუქათ ძვირფასეულობების მთელი კოლექცია, თქვენ კი უბრალოდ ვერ ხვდებით ამას.

ბიბლია ამბობს, რომ იესომ მის წინაშე მყოფი საზღაურის გამო დაითმინა ჯვარი. როდესაც ჩვენ გავდივართ განსაცდელს, დიდს თუ მცირეს, ჩვენი თვალეები გამუდმებით მიმართული უნდა იყოს მოსალოდნელ საზღაურზე. გნამთ, რომ ღმერთი მზად არის წაიღოს მთელი თქვენი ტკივილი და იმედგაცრუება და მოგცეთ სანაცვლოდ ძვირფასი ქვა? მოდით ერთად ვილოცოთ:

### **ზეციერო მამა,**

მოვდივარ შენთან იესოს სახელით. გთხოვ შენი სულიწმიდის ძალით წაიღო ჩემი ცხოვრებიდან დაუმუშავებელი ქვები და გარდაქმნა ისინი ძვირფას სამკაულებად. მომიტევე წუნუნი და დრტვინვა. მსურს რომ გადამადნო. მამა, იყოს შენი ნება. გამწმინდე შენი წმიდა ცეცხლით და მომანიჭე ჭეშმარიტი და განუმეორებელი ბრწყინვალეობა. გააპრიალე ჩემი ცხოვრება და ჩამსვი იმ ჩარჩოში, რომლისთვისაც განკუთვნილი ვარ. დამეხმარე ყველაფერს ვუყურებდე შენი თვალებით და აღასრულე ჩემს ცხოვრებაში შენი აღთქმა რომ მაქცევდი ლამაზად და ძლიერად, მიუხედავად ჩემი ასაკისა. ამინ.

## თავი მეთოთხეტი

### ბრძოლა ბავლენისთვის

**„და დებორა, წინასწარმეტყველი ქალი, ლაფიდოფის ცოლი, განსჯიდა ისრაელს იმჟამად. და ცხოვრობდა დებორას პალმის ქვეშ, რამასა და ბეთელს შორის, ეფრემის მთაზე. და ადიოდნენ მასთან ისრაელის ძენი განსასჯელად.“**  
(მსაჯულთა 4:4-5)

ისე ჩანს თითქოს ამ ქალს არ ჰქონდა ცუდი სამუშაო (მე ეგეთი ნამდვილად მესიამოვნებოდა) — იყო „ღმერთის ხმა“, იჯდე პალმის ქვეშ და განსჯიდე შენთან მოსულ ადამიანებს. თითქოსდა თვალწინ მედგას ეს სურათი: დიდი პალმის ქვეშ, რომელსაც ჩემი სახელი ჰქვია ვზივარ აბრეშუმის ბალიშებზე და განვსჯი. ყურადღებით ვუსმენ რა ადამიანებს, რომლებიც მოდიან ჩემთან საკამათო საკითხებით, ვაძლევ მათ ბრძნულ რჩევებს ღმერთისგან. ვფიქრობ, რომ როგორც ოთხი შვილის დედა (სამი მათგანი მოზარდია!), სავსებით მზად ვარ ასეთი როლისთვის.

რეზიუმეს დაწერა რომ მჭირდებოდა ამ თანამდებობისთვის, მასზე ჩემს გამოცდილებასაც აღვნიშნავდი როგორც „მრჩეველსა“ იმ სადაო საკითხებში, რომლებიც პირადად მე არ მეხება (მაგალითად, ისეთ საკითხებში, სადაც გარეულები არიან ჩემი მეგობრები ან ნათესავები). ყოველთვის ვცდილობდი სამართლიანად განმესაჯა ადამიანები, განსაკუთრებით მას შემდეგ რაც მივხვდი ჭეშმარიტებას იმის შესახებ, რომ იმ საზომით, რომლითაც განვსჯით, შემდეგში ჩვენ განგვსჯიან.

დიახ, თავიდან ვფიქრობდი, რომ სრულიად გამოვდგებოდი ისეთ თანამდებობაზე, სადაც საჭიროა მხოლოდ ლიმონათის წრუპვა და მოსულთა პრობლემების შემწყნარებლურად მოსმენა. გარდა ამისა, ძალიან შთამაგონებდა ის, რომ ჩემს კლიენტებს არა მხოლოდ უნდა მოესმინათ ჩემთვის, არამედ შეესრულებინათ ჩემი მითითებები. ჩემგან გამოვიდოდა ძლიერი უფროსი (რაც მაკლია საკუთარ სახლში).

სერიოზულად რომ ვთქვათ, მე, ისევე როგორც ნებისმიერი

## ბრძოლა გავლენისთვის

სხვა ქალი, გავაზვიადე დებორას თანამდებობის რომანტიულობა (წარმომადგენია რა იქნებოდა მის ადგილზე რომ ვყოფილიყავი). ბიბლიის მეტად ყურადღებით შესწავლით მივხვდი, რომ ჩემი წარმოდგენები დებორას ცხოვრებაზე იყო ძალიან შორს რეალობიდან. ბოლოს და ბოლოს, ვერც ერთი ადამიანი ვერ შევა ისტორიაში, თუ მხოლოდ იჯდება ერთ ადგილზე და იმსჯელებს იმაზე, თუ ვინ არის მართალი და ვინ დამნაშავე. ვფიქრობ, რომ დებორას ცხოვრება და მსახურება ატარებენ თავისში აქტუალურ გზავნილს, რომელიც მოწოდებულია გააღვიძოს ჩვენი თაობის ქალები.

### რა მოხდა ეჭუდის სიკვდილის შემდეგ

სწირად, როცა ვკითხულობთ ბიბლიურ ისტორიებს და წინასწარ ვიცით მათი დასასრული, არ შეგვიძლია ღრმად ჩავეშვათ რწმენის გმირების ცხოვრებისეულ ბრძოლებსა და მოვლენებში. ბრძოლები, რომლებშიც ისინი მონაწილეობდნენ, არ არის გამოგონილი, მათი შიშები დიდად არ განსხვავდება ჩვენისგან. ასევე მათი ლოცვები, ოცნებები და უკეთესი ცხოვრების იმედები თავიანთი შვილებისთვის ძალიან გავს ჩვენსას. მოდით დავბრუნდეთ ერთი-ორი მუხლით უკან და განვიხილოთ რა ვითარებებსა და პირობებში ცხოვრობდა დებორა და რატომ დაიკავა მან ეს პოზიცია.

**„და ეჭუდის სიკვდილის შემდეგ კვლავ იწყეს ისრაელის ძეთ ბოროტის კეთება უფლის თვალში.“ (მსაჯულთა 4:1)**

პირველ რიგში, უნდა გავიგოთ, ვინ იყო ეჭუდი თავის სიცოცხლეში. ოთხმოცი წლის განმავლობაში იგი იყო მსაჯული. მან საკუთარი მოვალეობების შესრულება დაიწყო იმით, რომ წინ აღუდგა ქვეყნის ყველა მტერს და მოისროლა ისინი მის ფარგლებს გარეთ. მისი ხელმძღვანელობით ისრაელიანელებმა დაამარცხეს მოაბელები და ბრძოლაში მოკლეს 10000 საუკეთესო მეზრდელი. ამ გამარჯვებამ ძლიერ შთააგონა ერთი ადამიანი, შამგარი, რომელმაც მოკლა 600 ფილისტიმელი ხარის საგმირით, ანუ ბოძით, რომელზეც აბავდნენ საქონელს. მის ადგილზე ამ იარაღს არ ავირჩევდი, მაგრამ ეს ნაწყვეტი მოწმობს ერთ ძალიან მნიშვნელოვან პრინციპზე: როცა ღმერთი თქვენთან არის, არ აქვს მნიშვნელობა, რა გაქვთ ხელში, უბრალოდ დაიწყეთ მისი გამოყენება. გადამწყვეტი ბრძოლის მოგებით და ისრაელის საზღვრების და ქვეყანაში წესრიგის აღდგენით, ებრაელი ერი ტკბებოდა მშვიდობით ოთხმოცი წლის განმავლო-

## იბრძოლე როგორც ძალმა

ბაში. ისრაელიანელების უმრავლესობას ცხოვრების მანძილზე მონანილეობა არ მიუღია ომში. მაგრამ ბედის ირონიით ჩვენ ვხდებით ყველაზე მეტად სუსტები მაშინ, როცა ვცხოვრობთ მშვიდად და უდარდელად. დროთა განმავლობაში ისრაელიანელებს დაავინყდათ, ვისი წყალობით ცხოვრობდნენ მშვიდობაში თითქმის მთელი საუკუნე, მიუხედავად გარშემომყოფი მტრებისა. შეიძლება, მათ ისიც დაავინყდათ თუ რის გამო ვარდებოდნენ პრობლემებში ადრე, ან უბრალოდ ფიქრობდნენ, რომ ღმერთი არ აქცევდათ ყურადღებას მათი ცხოვრების წესს. შესაძლოა, იფიქრეს, რომ ღმერთმა ითამაშა თავისი როლი მათი ერის ცხოვრებაში და ახლა მათ თავად უნდა გადაწყვიტონ, თუ როგორ ააშენონ საკუთარი ცხოვრება. ბოლოს და ბოლოს, ისინი ხომ მისი რჩეული ერია, და ის ხომ ყოველთვის ეხმარებოდა მათ, რაც არ უნდა მომხდარიყო. მათ ისევ რომ დამუქრებოდათ საფრთხე, მორიგი ხარის საგმირი უპრობლემოდ გაუწევდათ დახმარებას. ამიტომ, ჯერ კიდევ თავიანთი საყვარელი მსაჯულის, ეჭუდის გარდაცვალების გლოვის დღეები დასრულებული არ იყო, რომ ისინი დაუბრუნდნენ იმას, რასაც ღმერთი ბოროტებას ეძახის. ამ ნაწყვეტში დაწერილია „კვლავ იწყეს ბოროტის კეთება“, და ეს ნიშნავს, რომ ისრაელიანელები პირველად არ ვარდებოდნენ ცოდვაში.

დიახ, მე მახსოვს, რომ ჩვენ პოლიტკორექტულ, ლიბერალურ და ტოლერანტულ საზოგადოებაში სიტყვა „ბოროტება“ საკმაოდ იშვიათად გამოიყენება, რადგან იგი გულისხმობს რომ უნდა არსებობდეს „სიკეთეც“, რომელიც ძალიან აშინებს მრავალ ჩვენთაგანს, რადგან ჩვენ გადავწყვიტეთ ჩავვეთვალა ყველაფერი (მათ შორის ერთი ადამიანის მიერ მეორეს მოკვლა) პირად საქმედ და ყველას არჩევნად. ის, რაც თქვენთვის ბოროტებაა, ჩემთვის შეიძლება იყოს სიკეთე, ხოლო ის, რაც თქვენთვის სიკეთეა, მე შემიძლია ჩავთვალო ბოროტებად... გასაკვირი არაა, რომ ამდენი ადამიანი სრულიად დაიბნა. მაგრამ ცოტა ხნით მივატოვოთ ჩვენი თანამედროვე საზოგადოება... ღმერთმა შეძლო იმის განსაზღვრა, თუ რა არის ბოროტება ისრაელიანთა ცხოვრებაში, და შესაბამისი ზომებიც მიიღო.

**„და ხელში ჩაუგდო ისინი უფალმა იაბინს, რომელიც ხა-ცორში მეფობდა. და მისი მხედართმთავარი იყო სისარა, რომელიც ცხოვრობდა ხაროშეთ-გოიმში. და შეჰღალადეს ისრაელის ძეთ უფალს, რადგან სისარას ცხრაასი რკინის ეტლი ჰქონდა, და ის სასტიკად ჩაგრაჲდა ისრაელის ძეთ ოცი წელიწადი.“ (მსაჯულთა 4:2-3)**

## ბრძოლა გავლენისთვის

თავისი ერის შეცდომების საპასუხოდ ღმერთმა უფლება მისცა, იაბინს, ქანაანის მეფეს, რომ დაემონებინა ისინი. ყურადღება მიაქციეთ სიტყვებს „ხელში ჩაუგდო“, რომელიც მეტყველებს იმაზე, რომ ღმერთმა მისცა იაბინს ნება გაემარჯვებინა. და თითქოს ეს დამცირება არ იყო საკმარისი, ღმერთმა დააყენა მათზე მხედარმთავარი, სახელად სისარა, რომელიც „სასტიკად ჩაგრაგდა ისრაელიანელებს“, და თავის ჯარში ჰყავდა 900 რკინის ეტლი. (ისრაელიანელები მალე მიხვდნენ, რომ ხარის საგმიროს ქნევა ამ სიტუაციაში უადგილო იყო). ღმერთის შვილებმა, მათზე დატყუებული უბედურებებით დათრგუნულებმა, კვლავ დაიწყეს თავიანთი უფლის მოხმობა. ამ ჯერზე, ზუსტად თუ ვიტყვით, ისინი შეჰლაღადებდნენ მას მთელი ოცი წლის მანძილზე.

### დებორას გამოჩენა

სწორედ ასეთ რთულ, არეულ დროში გამოჩნდა დებორა — ერთადერთი ადამიანი, რომელსაც შეეძლო იმ საკმაოდ მძიმე პერიოდში შეესრულებინა მსაჯულის და წინასწარმეტყველის ფუნქციები. ჩნდება კითხვა: რატომ დააწვა მთელი სიმძიმე ქალის მხრებს? სავარაუდოდ ყველა გავლენიანი და ძლიერი მამაკაცი დათრგუნული იყო რკინის ეტლებით, რომელიც ეკუთვნოდა გარყვნილ და სასტიკ მხედარმთავარ სისარას. ალბათ უკანასკნელმა არა ერთხელ იცინა იმაზე, რომ ისრაელიანელებმა ქალს მისცეს საშუალება ეხელმძღვანელა მათთვის. შესაძლოა, მასში არც კი დაუნახია დიდი ერის ლიდერი. ბოლოს და ბოლოს, რა ზიანი შეეძლო მიეყენა მისთვის ერთადერთ ქალს, რომელიც იჯდა სადღაც უდაბნოში? მაგრამ, როგორც შემდეგში ვნახავთ, მას ბევრი რამ შეეძლო.

დიახ, ისრაელიანელებმა თავიანთი უგუნურებით გადაუხვიეს სწორი გზიდან, მაგრამ შემდეგ მოინანიეს და დაიწყეს ღალატი. ხოლო დებორა აღმოჩნდა უდაბნოში, ორ ნახევრად დანგრეულ ქალაქს შორის, სადაც შენობაც კი არ იყო სასამართლოს ჩასატარებლად. მას ჰქონდა პალმა — დებორას პალმა. ეს ადგილი, რომელიც იყო მტვრიანი გზის პირას და აკავშირებდა ორ ქალაქს, სიმბოლიზირებდა მის თავშესაფარს და ოაზისს, სადაც მას შეეძლო თავის შეფარება უსამართლობისა და შევიწროებისგან. ქალაქების კედლები, რომელთა მიღმაც შეიძლებოდა დამალვა, იყო ნანგრევებში, ხოლო მათ ირგვლივ მყოფი სოფლები ველარ ყვავოდნენ. ისრაელს არა მხოლოდ გარე პრობლემები



## იბრძოლე როგორც ძალმა

ჰქონდა, არამედ შიდაც. ერს არა მხოლოდ თავს ესხმოდნენ და ანადგურებდნენ ქანაანელები, არამედ შიდა კონფლიქტებიც უხვად იყო. ღმერთის ხალხს შორის იყო უთანხმოება და ბრძოლები.

ამას ვხედავთ, რომ სიმართლეა, რადგან დებორა თავისი დროის უდიდეს ნაწილს უთმობდა ისრაელიანთა შორისდავის გადანყვეტას. იგი დროს არ ხარჯავდა ქანაანის სასამართლოებში და სისარასთან არ აგვარებდა სადაო საკითხებს, რომლებიც ეხებოდა ისრაელი სახელმწიფოს საზღვრების დარღვევას. ეჭვი მეპარება, რომ ვინმე მოუსმენდა მას საერთოდ ამ დაწესებულებებში. როგორც ისრაელის მსაჯული, ეს ბრძენი ქალბატონი აგვარებდა საკუთარი ერის დავას და ცდილობდა შეეკავებინა ისრაელიანელები ჩხუბისგან, სიხარბისგან და ერთმანეთზე ჩივილისგან.

როგორც წინასწარმეტყველი დებორა ასევე ღმერთის ხმასაც წარმოადგენდა, რომელიც მიმართული იყო მის დაუმორჩილებელ შვილებისკენ. იგი ერთდროულად უსწორებდა და აწყნარებდა მათ. სახელი დებორა ნიშნავს „ფუტკარს“. დარწმუნებული ვარ, რომ მას არა ერთხელ უგვრძნია თავი ხმაურთან სკაში, როცა ცდილობდა მოესმინა ყველა საჩივარი და ამავდროულად გადაეცა გამამხნეველი და დამხმარე ღმერთის სიტყვა თავისი ერისთვის. ეს მოუსვენარი ქალი, შესაძლოა იყო მთელი ისრაელის უკანასკნელი იმედი; ბოლოს და ბოლოს ის რომ არა — მათ ვერ ექნებოდათ პატიების იმედი საკუთარი ურწმუნოების გამო.

მაგრამ, მალე ეს ყველაფერი შეიცვალა. დადგა დღე, როცა დებორა უკვე ველარ დაჯდებოდა უბრალოდ ერთ ადგილზე და ვერ განსჯიდა კონფლიქტებს მის ხალხს შორის, და ველად უყურებდა უიმედო დავებს მაშინ, როცა ბოროტი და სასტიკი მტერი დასცინოდა მათ ღმერთს და იპყრობდა მათ მიწებსა და ქალაქებს ერთი მეორეს მიყოლებით. იგი დაიღალა გოდების და სასონარკვეთილების ხმებით და გადანყვიტა შეეცვალა ისინი სიმღერით.

დებორას სიმღერაში ნათქვამია, რომ დადგა დღე, როცა იგი აღდგა და მოუწოდა საქმის გარეშე მყოფ მებრძოლს სახელად ბარაკს. ამით მან მიატოვა თავისი მდგომარეობა და საყვარელი საქმიანობა, რომელსაც ეწეოდა ბოლო ოცი წლის განმავლობაში. უკან დასაბრუნებელი გზა აღარ იყო. მას უკვე აღარ შეეძ-

## ბრძოლა გავლენისთვის

ლო პასიურად ჯდომა და ლოდინი, თუ როდის მოვიდოდა თავად პრობლემები და საშინელებები მასთან. მისთვის საკმარისი იყო. იგი დაიღალა დიდის მოლოდინით, სანამ პრობლემებისთვის შუამდგომლობდა... დადგა დრო მტერთან შესაბრძოლებლად. ბიბლიის სხვა თარგმანებში ამ ნაწყვეტში გამოყენებულია ისეთი სიტყვები, როგორც „ახლა“, „ერთ დღეს“ ან „მაშინ“. ყოველთვის საინტერესოა დროის ელემენტის გამოკვლევა წმიდა წერილში. მე მაინტერესებს რატომ „მაშინ“? რატომ არ გამოჩნდა დებორა ოცი წლით ადრე? რას ელოდებოდა იგი?

**„და კაცები გაუგზავნა და მოუხმო ბარაკს, აბინოყამის ძეს, კედემ-ნაფთალიდან.“ (მსაჯულთა 4:6)**

ბარაკი ცხოვრობდა თავშესაფარ ქალაქში სახელად კედემი. საინტერესოა, რომ სიტყვა-სიტყვით სახელი ბარაკი ნიშნავს „ელვას“. ღმერთმა მოამზადა თავისი ელვა, რათა მოულოდნელად დაერტყა მტრისთვის ქალაქიდან, სადაც იმალებოდნენ დაშინებული ლტოლვილები.

**„და უთხრა მას: „აი, რა გიბრძანა უფალმა, ისრაელის ღმერთმა. წადი და ადი თაბორის მთაზე და თან წაიყვანე ათი ათასი კაცი ნაფთალის ქეთაგან და ზებულუნის ქეთაგან.“ (მსაჯულთა 4:6)**

მე მაცებს ამ სიტყვების ძალა. ხშირად არ გვემის ასეთი ბრძანებები, ხოლო რომლებსაც ვისმენთ გავს ადამიანების გაუბედავ შემოთავაზებებს, რომლებიც დაახლოებით ასე ჟღერს: „მე ვლოცულობდი ამ სიტუაციაზე და ვიფიქრე, რომ შეიძლება, უნდა დაფიქრდე იმის შესახებ, რომ შეაგროვო ორიოდ ათასი ადამიანი, და შესაძლებელია ისინი თაბორის მთაზე განლაგო.“ არა, დებორამ სრულიად უარყო საკუთარი თავი და საკუთარი აზრი და არ დაიწყო ზედმეტი კითხვების დასმა. მან მოისმინა ღმერთისგან სიტყვა, და მისი ერთადერთი პასუხისმგებლობა იყო ამ უწყების გადაცემა ადრესატისთვის.

როდესაც ღმერთი იწყებს რაიმეს შეცვლას, იგი ამას თითქოსდა საჩქაროდ აკეთებს. იგი პასუხობს ჩვენს ლოცვებს და თხოვნებს რაიმე მყისიერი მოვლენით, რომელსაც შეუძლია ჩვენი იმედგაცრუების წრის დარღვევა. თუ ჩვენ ბრძენები ვიქნებით, მოვუსმენთ მას და დავიწყებთ იგივენაირად სასწრაფოდ მოქმედებას მისი მოწოდების თანახმად.

## იბრძოლე როგორც ძალმა

ისტორიულად ისე მოხდა, რომ მყისიერი მორჩილება და სიმტკიცე წამახალისებელი გახდა ადამიანში დაფარული ლიდერული თვისებებისა, რომლებიც ეხმარებათ მათ მოაგროვონ გაფანტული მეომრები და დაარწმუნონ ისინი იმაში, რომ ღმერთი აჩუქებს მათ გამარჯვებას. დებორას სიტყვები დაეხმარა ბარაკს ძილი შეეწყვიტა და გაეღვიძა. მთელი ერი აენთო სულით: უფალი იბრძოლებს მათთვის მტრის წინააღმდეგ, ისე როგორც ეს ადრე ხდებოდა! ღმერთი დაპირდა, რომ თუ ბარაკი შეაგროვებდა და წარუძღვებოდა მეომრების საჭირო რაოდენობას, იგი დანარჩენს გააკეთებდა.

**„და მე კიშონის ველთან მოგიყვან სისარას, იაბინის მხედართმთავარს, მის ეტლებსა და მის ჯარს და ხელში ჩაგაგდებინებ.“ (მსაჯულთა 4:7)**

ისე ჟღერს თითქოს მოგვარებული გარიგებაა. სისარა, მისი არმია და ყველა მისი მრისხანე ეტლი გადაეცემა ბარაკს ხელში. დადგა დრო, რომ სასტიკები და ძლიერნი დაცემულიყვნენ სუსტებსა და დამცირებულების წინაშე. თქვენ შეიძლება იფიქროთ, რომ ბარაკი სიხარულით უნდა დათანხმებოდა ამას, მაგრამ იგი დაეჭვდა. რატომ? ღმერთის ბრძანებები და დაპირებები საკმარისი აღმოჩნდა მისთვის, რომ სიზმრიდან გაეღვიძა, მაგრამ არა საკმარისი, რათა აღედრა იგი მოქმედებისთვის. მას ეშინოდა. ოცმა წელიწადმა, რომელიც ბარაკმა თავშესაფარ ქალაქში გაატარა, დაასვეს მას თავისი ბეჭედი და ათი ათას მოხალისესთან ერთადაც კი მან უარი თქვა გასულიყო სისარას წინააღმდეგ თუ დებორა არ გაყვებოდა მათ. აი რა უთხრა მან დებორას:

**„თუ წამომყვები, წავალ და თუ არ წამომყვები, არ წავალ.“ (მსაჯულთა 4:8)**

მოდით გავჩერდეთ ერთი წუთით და დავფიქრდეთ მის პასუხზე. რა თქმა უნდა, იგი მეტყველებს იმ პერიოდის შესახებ, რომელშიც ეს ადამიანი ცხოვრობდა. ჩვენს წინაშე არის მამაკაცი, რომელიც ისე დათრგუნული და იმედგაცრუებულია, რომ საერთოდ დაავიწყდა თავისი სახელის მნიშვნელობა. მებრძოლს, რომელსაც სახელად ერქვა „ელვა“, წესით არავისი და არაფრის არ უნდა ეშინოდეს და ყოველთვის უნდა იყოს სრულ საბრძოლო მზადყოფნაში. შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორ მიმართა მას დებორამ ღმერთისგან მეორედ:

## ბრძოლა გავლენისთვის

**ელვა, „აი, რა გიბრძანა უფალმა, ისრაელის ღმერთმა, ნადი და ადი თაბორის მთაზე, და თან წაიყვანე ათი ათასი კაცი.“ (მსაჯულთა 4:6)**

ეს ვარიანტი სრულიად სხვა ფერს ანიჭებს ამ ნაწყვეტს. მე, მაგალითად, მიჭირს კიდევაც წარმოდგენა, რომ ელვას შეიძლება დასჭირვებოდა საომარ ლაშქრობაში ფუტკრის კომპანია. მაგრამ ბარაკმა არა უბრალოდ სთხოვა დებორას გაყოლოდა მას, მან უარი თქვა რაიმე გაეკეთებინა საერთოდ მის გარეშე. ფაქტობრივად, მან უარი თქვა შეესრულებინა როგორც მისი მინიერი მხედარმთავრის, ისე მამა-ზეციერი ბრძანებლის ბრძანება, იმ პირობით, თუ მის პირობებს არ მიიღებდნენ. ეს მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად დაშინებულნი იყვნენ იმ დროს მამაკაცები.

**„და უთხრა დებორამ: „წამოყოლით წამოგყვები, ოღონდ ამ გზაზე, რომელსაც შენ დაადგები, შენი აღარ იქნება დიდება, რადგან დიაცის ხელში ჩააგდებს უფალი სისარას.“ და ადგა დებორა და წაყვა ბარაკს კედემში.“ (მსაჯულთა 4:9)**

დებორა ადვილად დათანხმდა გაყოლოდა მას, მაგრამ გააფრთხილა, რომ ასეთ შემთხვევაში იგი დაკარგავდა დიდებას, რომელსაც ეს გამარჯვება უმზადებდა, და შეხვდებოდა ქალს. მომწონს, რომ დებორამ მიმართა თავისი ძალაუფლება და გავლენა იმაზე, რომ ბარაკში მორჩილება გაეღვიძებინა. იგი არ შეეცადა აეძულებინა იგი დამორჩილებოდა ბრძანებას, თავისი მაღალი მსაჯულის ან ღმერთის წინასწარმეტყველის პოზიციის გამოყენებით. იგი უბრალოდ დაპირდა მას თავის მხარდაჭერას და ძალას.

ყველა ქემმარიტი ლიდერი, მამაკაცი და ქალი მხარს უნდა უჭერდნენ თავიანთ ქვეშევრდომებს, და არ უნდა „ანვებოდნენ“ მათ თავიანთი სამსახურებრივი პოზიციით. როცა ბავშვები დაშინებულები არიან, მათ არ სჭირდებათ ვინმე, ვინც დასაძინებლად დაანვენს. მათ არ ეზარებათ დაწოლა, უბრალოდ უნდათ, რომ ვინმე იყოს მათთან ახლოს. თუ აქამდე არ წაგიკითხავთ ეს ბიბლიური იტორია, შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ დებორამ გადაწყვიტა მიეთვისებინა სისარას ამ გამარჯვების დიდება, მაგრამ ეს ასე არ იყო. დიდება შეხვდა სხვა ქალს, იაყელს, რომელიც მალე გამოჩნდება მოვლენების არენაზე.

## იბრძოლე რომორც ძალმა

### მტერი დამარცხებულია

დებორა და ბარაკი წავიდნენ კედეში, სადაც მათ ელოდათ ათი ათასი ნეფთალელი და ზებულონელი. ვიდრე ეს ხდებოდა, ჯაშუშმა, სახელად ქებერმა, ამცნო მათი შეთქმულების შესახებ სისარას.

**„და შეატყობინეს სისარას, რომ ბარაკ აბინოყამის ძე თაბორის მთაზე იყო ასული და იხმო სისარამ მთელი თავისი ეტლიონი, ცხრაასი რკინის ეტლი, და მთელი ხალხი, რომელიც მასთან იყო, ხაროშეთ-გოიმიდან კიშონის ხევამდე.“**  
(მსაჯულთა 4:12)

წარმოიდგინეთ, რას განიცდიდნენ იმ დროს ისრაელიანელები: „ო, არა, მტერმა გაიგო ის, რაც ჩაფიქრებული გვქონდა, და შეაგროვა ჩვენს წინააღმდეგ თავისი ძალები.“ მაგრამ მე მომწონს ის, როგორც მოქმედებდა ღმერთი. სისარამ იფიქრა, რომ ადვილად ჩაახშობდა აჯანყებას, მაგრამ ამის ნაცვლად მან მარცხი განიცადა. ის, რაც მას მიაჩნდა საიდუმლო დაზვერვად, სინამდვილეში იყო ღმერთის სატყუარა. ეს იმას ნიშნავს, რომ მტრის დასამარცხებლად ღმერთს შეუძლია ჭორების გამოყენებაც. დებორა სულში უკვე ხედავდა გამარჯვებას და არ აპირებდა იმედგაცრუებას, თუმცა მტრის ჯარი იყო სრულ საბრძოლო მზადყოფნაში. ღმერთის ქალისთვის ეს მხოლოდ ერთი რამის მიმანიშნებელი იყო: დადგა მტრის დამარცხების დრო!

**„და უთხრა დებორამ ბარაკს: „ადექი, რადგან ეს ის დღეა, როცა ხელში ჩაგიგდო სისარა უფალმა. თვით უფალი წაგიძღვება წინ.“ და ჩავიდა ბარაკი თაბორის მთიდან და ათი ათასი კაცი ჩამოჰყვა.“** (მსაჯულთა 4:14)

თაბორის მთაზე ბარაკი და მისი ხალხი მტრის ალყაში აღმოჩნდნენ, მაგრამ დებორამ თამამად განაცხადა: „უფალი წაგიძღვება წინ.“ საიტერესოა, ნეტა მის ადგილზე მე როგორ მოვიქცეოდი? ვშიშობ, რომ ჩემი სიტყვები გამოხატავდნენ იმას, რასაც ჩემი თვალები იხილავდნენ: „ო, საშინელებავ! ჩვენ ალყაში ვართ და უკან დასახევი გზაც არ გვაქვს!“ და არა იმას, რასაც ღმერთი დაპირდა: „მათ თქვენს ხელში ჩავაგდებ.“ შესაძლებელია, რომ დებორას უნარი გაეხედა არსებული მდგომარეობის მაღლა გახდა კიდევაც ის მიზეზი, რომლითაც ბარაკმა სთხოვა მას შეერთებულიყო მათ სვლაში. იმიტომ, რომ როცა ასეთი დებორები — ქალები, რომელთაც აქვთ წინასწარმეტყველების

## ბრძოლა გავლენისთვის

ნიჭი, - იმაღლებენ ხმას, გენერლები იღვიძებენ ძილისგან. ნახეთ, შემდეგ რა მოხდა:

**„და დააფრთხო უფალმა სისარა და მთელი მისი ეტლიონი და მთელი ლაშქარი ბარაკის მახვილის პირით და გადმოხტა სისარა ეტლიდან და ფეხით გაიქცა.“ (მსაჯულთა 4:15)**

მე მომწონს ეს ნაწყვეტი. აქ ნათქვამია, რომ ბარაკის ჯარის დანახვისას სისარა თავისი არმიით და შიშის მომგვრელი ეტლებით დაიბნა. ისრაელის ძეთ რჩებოდათ მხოლოდ ის, რომ ეშიშვლებინათ მახვილები, რათა მტერი დამარცხებულიყო და გაქცეულიყო შიშით. სისარაც შეეცადა გაქცეულიყო ბრძოლის ველიდან, მაგრამ შეხვდა თავის სიკვდილს თავისივე მოკავშირის კარავში.

ბარაკი თავისი მებრძოლეებით დაედევნა სისარას ეტლებს და ჯარს ხაროშეთ-გოიმამდე. იმ დღეს მახვილისგან დაეცა სისარას მთელი არმია; არც ერთი ადამიანი არ გადარჩენილა. ათი ათასი მამაცი ბარაკის ხელმძღვანელობით არა უბრალოდ თავს დაესხნენ მათზე რიცხოვნობიდან ჭარბ მონიანაღმდეგეს, არამედ გაიმარჯვეს კიდევაც, ხოლო შემდეგ უმოწყალოდ დევნიდნენ ქანაანელებს, სანამ ყველა არ განწყვიტეს.

**„და გაიქცა სისარა ფეხით იაყელის, ხებერ-კენიელის ცოლის, კარვისაკენ, რადგან ხაცორის მეფის, იაბინისა და კენიელი ხებერის სახლს შორის მშვიდობა სუფევდა.“ (მსაჯულთა 4:17)**

სისარა გაიქცა თავისი მოკავშირის ხებერ კენიელის კარავისკენ. ხებერმა როგორღაც მოახერხა მშვიდობის დამყარება მეფე იაბინთან, თუმცა მას, როგორც ითროს, მოსეს სიმამრის შთამომავალს, არ უნდა დასჭირებოდა ეს. ვფიქრობ ხებერი არ იყო სახლში, რადგან მან გაყიდა ბარაკი და ახლა უსაფრთხო მანძილზე ელოდებოდა ბრძოლის დამთავრებას. სისარა იმედოვნებდა, რომ თავისი მოკავშირის კარავში იგი უსაფრთხოდ იქნებოდა. მაგრამ როცა ღმერთი ინყებს თავისი მტრების განკითხვას, ისინი ვერსად დაიმალებიან.

**„და გამოვიდა იაყელი სისარას შესახვედრად, და უთხრა მას: „მობრძანდი, ბატონო ჩემო, შემობრძანდი ჩემთან, ნუ გეშინია“. და შევიდა სისარა მასთან კარავში და დამალა ფარდაგის ქვეშ.“ (მსაჯულთა 4:18)**

## იბრძოლე როგორც ქალმა

იაყელი გამოეგება მას. ვფიქრობ მან გაიგონა ღმერთის განკითხვის მოახლოების ხმა და ელოდებოდა ხელსაყრელ წუთს. ქალმა მიიპატიჟა სისარა თავის კარავში და დააფარა მას ფარდაგი. ეს მაგონებს რაჰაბს გამოსვლის წიგნიდან, რომელმაც საკუთარ სახლში დამალა ისრაელიანელი მზვერავები. თუმცა იაყელი ისრაელიანელს არ მალავდა, არამედ ღმერთის მტერს და კარგად იცოდა ეს. მტერმა მოისურვა დაღევა და სთხოვა მას, მაგრამ ამის ნაცვლად იაყელმა მას რძე მიანოდა. რატომ? უნდოდა რომ დაეძინებინა. სისარამ დალია რძე და სთხოვა იაყელს ედარაჯა კარვის შესასვლელთან, რათა დაემალა მისი ადგილსამყოფელი. ქალი დათანხმდა, მაგრამ იგი მას იქამდე დარაჯობდა, სანამ სისარას ღრმად არ დაეძინა.

**„და იაყელმა, ხებერის ცოლმა, აიღო კარვის პალო, ხელში ურო დაიჭირა და მას ფეხაკრეფით მიეპარა, მას კი დაღლილს ეძინა, და ჩაურჭო პალო საფეთქელში და მიწას დააჭედა და მოკვდა.“ (მსაჯულთა 4:21)**

ეს იყო საკმაოდ სასტიკი მკვლელობა, თუ არა მეტი, მაგრამ პალოს და უროს გამოყენებაში დევს გაკვეთილი ყოველი ჩვენგანისთვის: ღმერთი ყოველთვის იყენებს იმას, რაც ხელთ გვაქვს. ის აკურთხებს იმას, რისი ალებისთვისაც მზად ვართ.

გახსოვთ, როცა დავითმა უარი განაცხადა რომ ებრძოლა საულის ჯავშანში, რადგან მას სჭირდებოდა დრო გამოეცადა ისინი და შეჩვეოდა მას. როცა ეჯახებით მტერს, არ ღირს ახალი მეთოდების ან ტექნიკური ილეთების გამოცდა. გამოიყენეთ ის, რაც გიჭირავთ ხელში და ის, რაც არაერთხელ ყოფილა ძლიერი და სანდო. რა გაქვთ ხელში?

**„და, აჰა, ბარაკი მოსდევს სისარას. და გამოეგება იაყელი, და უთხრა მას: „მოდით, გაჩვენო კაცი, შენ რომ ეძებ.“ და შევიდა მასთან ბარაკი და აჰა, სისარა მკვდარი აგდია, საფეთქელში პალო ჩარჭობილი.“ (მსაჯულთა 4:22)**

ღმერთს თავისი დრო აქვს: ბარაკი აღმოჩნდა იაყელის კარავთან სწორედ იმ მომენტში. რით შეიძლებოდა ეს დამთავრებულიყო, იაყელს ამ მომენტამდე რომ არ მოეკლა სისარა? გაჩაღებულ ომში, მას შეეძლო სიცოცხლის დაკარგვა იმის გამო, რომ დამალა თავის კარავში ისრაელიანელების მტერი. მაგრამ, იგი არა მარტო არ დასაჯეს, არამედ აამაღლეს. იგი გავიდა ბარაკთან და თავმდაბლობით აჩვენა მისი მტერი, რომელსაც ეძებდა — მკვდარი იატაკზე მყოფი.

## ბრძოლა გავლენისთვის

**„და დაამორჩილა ღმერთმა იმ დღეს იაბინი, მეფე ქანაანისა, ისრაელის ძეთა წინაშე.“ (მსაჯულთა 4:23)**

რაა? ისინი არც კი შეხვედრიან იაბინს ბრძოლის ველზე? სამაგიეროდ ღმერთი შეხვდა მას. სწორედ იმ დღეს ქანაანელების მეფემ დაკარგა თავისი მეფობა. მოგვიანებით ისრაელიანელებმა მოიპოვეს ძალაუფლება მთელს ქვეყანაზე. შენიშნეთ, რომ იაბინი უპირველესყოვლისა დამარცხებული იყო ისრაელიანელების გულში, და მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ იგი საბოლოოდ დამარცხდა მათი ხელით.

**„და თანდათან დამძიმდა ისრაელის ძეთა ხელი იაბინზე, ქანაანის მეფეზე, ვივრე არ მოსპეს იაბინი, მეფე ქანაანისა.“ (მსაჯულთა 4:24)**

### ეს მისი ისტორიაა, მისი საგალობელია

ბრძოლებში გამარჯვება მიიღწევა სულიერ სამყაროში გაცდილებით ადრე, სანამ ისინი ცხადში დამთავრდებოდეს. თქვენ უნდა მისცეთ შესაძლებლობა ღმერთს მოაგვაროს იგი მაშინ, როცა მუხლებზე დგახართ, იქამდე სანამ ძალას მიიღებდეთ მტრის წინაშე წარსადგომათ. თუ თქვენ ვერ იხილავთ სულში, თუ როგორ მარცხდება თქვენი მტერი, მაშინ ვერ მიიღებთ ძალას, რომელიც აუცილებელია რეალური ბრძოლისათვის. როცა ისრაელიანელებმა გააცნობიერეს, რომ ღმერთი კვლავ იბრძვის მათთვის, ისინი აღარ უყურებდნენ მტერს როგორც დაუმარცხებელსა და ყოვლისშემძლეს.

ძალიან მომწონს წმიდა წერილის ეს თავები, რადგან მათში მოყვანილია როგორც თავად ისტორია დებორაზე, ასევე მისი საგალობელი. მონათხრობი გვაცნობს იმ დეტალებს, რაც მიწაზე ხდებოდა, მაშინ როცა საგალობელი გვეხმარება შევხედოთ იმას, თუ რა ხდებოდა ამ დროს ზეცაში.

როგორც ახალი აღთქმის ქრისტიანები, ჩვენ იშვიათად ვომოთ ისე, როგორც ღმერთი არიგებდა ისრაელის ძეთ, ამიტომ სულიერი სამყაროს დანახვა არსებითად მნიშვნელოვანია.

**„რადგან ჩვენი ბრძოლა არ არის სისხლისა და ხორცის წინააღმდეგ, არამედ მთავრობათა წინააღმდეგ, ხელმწიფებათა წინააღმდეგ, ამ სოფლის სიბნელის მპყრობელთა წინააღმდეგ, ცისქვეშეთის ბოროტების სულთა წინააღმდეგ.“ (ეფესელთა 6:12)**



## იბრძოლე რომორც ძალმა

ეს საგალობელი უფრო ნაკლებად სისხლიანია, ვიდრე უროსა და პალოს მოთხრობა.

დებორას საგალობელი

**„მოიშალა დაბა სოფლები ისრაელში, მოიშალნ ვიდრე არ აღვდექი მე, დებორა, ვიდრე არ აღვდექი მე, დედა ისრაელში.**

**გაიღვიძე, გაიღვიძე დებორა. გაიღვიძე, გაიღვიძე, თქვი საგალობელი! ადექი ბარაკ, დაატყვევე შენი ტყვე, აბინოყამის ძეო!.“ (მსაჯულთა 5:7,12)**

რას ვხედავთ აქ? ისრაელში აღარ იყვნენ მებრძოლებ, და ამიტომ მოუწია დედას მწვერვალზე ასვლა? ღმერთი დღესაც ხომ არ პირებს იგივეს გაკეთებას?

მინდა შევნიშნო ასევე: ქალები თაყვანს სცემენ ღმერთს და აღიდებენ მას, მაშინ როცა მამაკაცები ამარცხებენ მტერს ბრძოლაში. თუ შეამჩნიეთ, აქ ნახსენები არის ბარაკის მამა? ეს კიდევ ერთხელ მონიშნავს მისიის მნიშვნელოვნებაზე, რომელიც ჩვენ შთამომავლებზე დაკისრებული, და იმაზე, რომ მათ მოუწევთ შეჯახება იმ მტრებთან, რომელთა დამარცხებაც თავის დროზე ვერ მოხერხდა.

**„შამგარის დროს, ყანათის ძისა, იაყელის დროს ჩაკეტილი იყო გზები და ბილიკებით მავალნი ირიბი გზებით დადიოდნენ.**

**მოიშალა დაბა სოფლები ისრაელში, მოიშალნ ვიდრე არ აღვდექი მე, დებორა, ვიდრე არ აღვდექი მე, დედა ისრაელში.**

**ზეციდან იბრძოდნენ ვარსკვლავები, თავიანთი გზებიდან ებრძოდნენ სისარას.**

**კიშონის ხევმა წაღეკა ისინი, ძველმა ხევმა, კიშონის ხევმა. გაემართე სულო ჩემო ძლიერებით.“ (მსაჯულთა 5:6-7, 20-21)**

იაყელის გადანყვეტილებამ გამოეყენებინა ის, რაც ხელთ ჰქონდა, იმდენად განადიდა იგი ისრაელიანთა თვალში, რომ

## ბრძოლა გავლენისთვის

საგალობლის ავტორებმაც გადაწყვიტეს იგი სახელით მოეხსენებინათ მთელი დროის მანძილზე. ამ ქალს ესმოდა: თუ მტერი მოვა თქვენს სახლში, აუცილებელია მისი განიარაღება ნებისმიერი რამით, რაც ხელში ჩაგივარდებათ.

### რა გაქვს ხელში?

ღმერთი ყოველთვის გამოიყენებს იმას, რაც თქვენს ხელშია, - თუნდაც სრულიად უმნიშვნელოს. პირველად ეს კითხვა გვხვდება მაშინ, როცა ღმერთი ელაპარაკებოდა მოსეს, მაგრამ მასში არებული სიბრძნე დღესაც აქტუალურია. ღმერთი გამოეცხადა მოსეს აღმოდებული ბუჩქის მსგავსად, და მას შემდეგ რაც მან უფალს წაუყენა არგუმენტები თავის დაღწევის მიზნით, ღმერთმა ჰკითხა:

**„და თქვა უფალმა: „რა გაქვს ხელში?“ თქვა: „კვერთხი.“ (გამოსვლა 4:2)**

ვფიქრობ, მოსე თვლიდა კვერთხს სრულიად ჩვეულებრივ ნივთად და ვერც კი ხვდებოდა, რომ მას შეეძლია მისი დახმარება, რათა გაემარჯვებინა ფარაონის მთელს არმიასზე. ბოლოს და ბოლოს, კვერთხი არის უბრალოდ გათლილი ჯოხი, და მწყემსი მოსე ლოგიკურად თვლიდა, რომ მასში არაფერი ზებუნებრივი არ იყო. და ეს სრული სიმართლეა: არცერთ ჩვენთაგანში არ არის არაფერი ზებუნებრივი მანამ, სანამ ღმერთის არ სცხებს თავისი სულით იმას, რაც ჩვენს ხელშია. შეხედეთ ამ მაგალითებს:

- აბიგაილმა გამოიყენა ქონების თავისი ნაწილი რათა განრისხებული მამაკაცებისთვის არ მიეცა უფლება, რომ დაეღუპათ მისი სახლეულობა.
- იაყელმა გამოიყენა ურო და კარვის პალო მტრის არმიის მხედარმთავრის მოსაკლავად.
- სამსონმა გამოიყენა ვირის ყბა ათასი ადამიანის გასანადგურებლად.
- რუთმა გამოიყენა ხორბლის მარცვლები, რომელთაც იგი აგროვებდა მინდორზე.
- სამუელმა გამოიყენა ზეთისხილის ზეთი, რათა ეცხო მწყემსი დავითი ისრაელის მეფედ.

## იბრძოლე როგორც ქალმა

- დავითმა გამოიყენა შურდული და ქვა, რათა გაემარჯვებინა ძლიერ ფილისტიმელ ბერძოლ გოლიათზე.
- უსახელო ქალბატონმა, რომელიც იმყოფებოდა კომკის მწვერვალში ალყაშემორტყმულ ქალაქში, გამოიყენა დოლაბის ნამსხვრევი, მტრის წინამძღოლის მოსაკლავად და თავისი ქალაქის გადასარჩენად.
- უსახელო ბიჭმა გამოიყენა ხუთი პური და ორი თევზი, რათა დაეპურებინა ხუთი ათასი ადამიანი.
- იმედგაცრუებულმა ქალმა გამოიყენა ალებასტრონის ჭურჭელი რათა ეცხო იესოს ფეხები ნელსაცხებლით.

რატომ ვართ ჩვენ ასე დაკავებულები რალაცა უჩვეულოს ძიებით, მაშინ როცა ღმერთი მხოლოდ იმას გვთხოვს, რომ გამოვიყენოთ ის, რაც ხელში გვაქვს? გაიგეთ, რომ უბრალო საგნები ღებულობენ ზებუნებრივ ძალას, როცა თავად უფალი სცხებს მათ. გამოიყენეთ ის, რითიც ღმერთმა უკვე აღგჭურვათ. როცა ვამბობ „ის, რაც თქვენს ხელშია“, მე ვგულისხმობ ყველაფერს, რაც მოგენდოთ. შესაძლოა ეს ფული იყოს ან დანაზოგი. თუ თქვენ უარს ამბობთ გადასცეთ ღმერთის ხელში ყოველივე, ეს ცხადად მეტყველებს თქვენი გულის ნამდვილ მდგომარეობაზე.

მრავალი წლის წინ მიხვდი თუ რა მქონდა ხელში. ეს იყო ღმერთის სიტყვა, რომელიც ღმერთმა გააცოცხლა ჩემს ცხოვრებაში. ჩემმა სწრაფვამ თავისუფლებისკენ მოაველინა ქვეყნად წიგნები, რომლებშიც საუბარია ღმერთის მადლსა და ძალაზე. ყოველი ჩემი წიგნი არის მოწმობა იმისა, თუ რა გააკეთა უფალმა ჩემს ცხოვრებაში. წიგნი „მე არ ვაკონტროლებ ჩემს ცხოვრებას და ეს მომწონს!“ მე გავაზიარე ის, თუ როგორ მომცა მან შესაძლებლობა შევხვედროდი პირისპირ ჩემს შიშებს და დამემარცხებინა ისინი. „ქალის ჭეშმარიტი ფასეულობა“ მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ უფალმა როგორ მაჩვენა, თუ რას აქვს ნამდვილი ფასეულობა ჩემს ცხოვრებაში. წიგნი „შენ არა ხარ შენი წონა“ მე ვყვები გამოცხადებაზე ღმერთის თავისუფლების შესახებ, რომელიც ჩვენ შეიძლება გვქონდეს ამ ამოო წუთისოფელში. „განრისხებისას ნუ შესცოდავთ!“ - არის მოთხრობა იმის შესახებ, თუ მე ღმერთის სიბრძნის მეშვეობით როგორ ვისწავლე საკუთარი რისხვის დამარცხება. „ამბორი ცრემლებამდე“ წიგნის წყალობით ჩემი ნეგატიური სექსუალური გამოცდილება გადაიქცა გამხნეებად მრავალი ღმერთის ასულისთვის. არა-

## ბრძოლა გავლენისთვის

უშავს, რომ მე არ მაქვს ურო ან კარვის პალო, სამაგიეროდ მაქვს ჩემი ლეპტოპი. ამ „იარაღის“ წყალობით ჩემი ცოდნა და გამოცდილება გადაიტყვევა ნიგნებად, რომლებიც მოუთხრობენ ხალხს სახარების გარდამქნელი ძალის შესახებ. რატომ არის ასე მნიშვნელოვანი ვიცოდეთ რა გვაქვს ხელში?

**„როცა გაიწვდი შენს ხელს განსაკურნებლად, ნიშნებისა და სასწაულების მოსახდენად შენი წმინდა მსახურის იესოს სახელით.“ (საქმეთა 4:30)**

როგორ ხდება ეს? როცა ჩვენ გადავცემთ მას იმას, რაც ხელში გვაქვს, იგი გვაძლევს იმას, რაც მას აქვს ხელში.

### ზეციერო მამა,

მოვდივარ შენთან იესოს სახელით. გამიცხადე თუ რა მაქვს ხელში. მინდა რომ შენი მკურნალი ძალა მოქმედებდეს ჩემგან, და ათავისუფლებდეს გარშემო მყოფ ადამიანებს. მამა, სცხე სულით ჩემი ცხოვრების ის სფეროები, სადაც გავცვალე შენი სიტყვა ხორციელ გულისთქმებზე. გამოავლინე შენი თავი ჩემი ცხოვრების ყოველ სფეროში ისე, როგორც შენ გსურს. მე დავწერ, ვიქადაგებ, ვიგალობებ, გავცემ, შევქმნი, ვიმსახურებ და გონივრულად წარვმართავ ჩემს ცხოვრებას. გამოალვიძე ჩემში დედის გული. მომეცი მე როგორც იაყელს, მომენტის მნიშვნელოვნების გაგება. მინდა თავად შევიცვალო და გარშემომყოფების ცხოვრებასაც გარდავქმნიდე. მაჩვენე იმის ძალა, რაც ხელში მაქვს, რათა ვიყო პასუხი პრობლემებზე და არა პრობლემა. სცხე სულიწმიდით ის, რაც ხელში მაქვს და დამეხმარე გამოვიყენო ეს ჩემს სულიერ ბრძოლაში. ამინ.

## თავი მეთხუთმეტი

### მომენტის მნიშვნელოვნება

იმის გამო, რომ თქვენ მიიღეთ გადაწყვეტილება მომსახურებოდით ცოცხალ ღმერთს, მომენტის ან ანმყო დროის მნიშვნელოვნება მეტად გაიზრდება თქვენს ცხოვრებაში. ერთხელ, დილით გაღვიძებულმა გავიგონე ჩემს სულში სიტყვები: „შენი წარსული და მომავალი გადაიკვეთება ამ მომენტში, შენს ანმყოში“ რას ნიშნავს ეს? ჩემთვის ეს ნიშნავს, რომ მე საგულდაგულოდ უნდა ვწონიდე ჩემს სიტყვებს და საქციელს.

ჩვენს მიერ ამჟამად მისაღებ გადაწყვეტილებებზე შეიძლება გავლენას ახდენდეს ჩვენი წარსულის ხმა. შესაძლოა შიში გაფრთხილებთ: „ნუ გააკეთებ ამას... ბოლოს შენ მარცხი განიცადე... გასულ ჯერზე შენ ტკივილი მოგაყენეს... აღარ ღირს გარისკვა.“ ან შეიძლება ეს სიამაყის რჩევაც იყოს: „შენ ისეთი ნიჭიერი ხარ, რომ არც კი გჭირდება ღმერთს სთხოვდე კუთხევას... ყველაფერი, რასაც არ უნდა მოკიდო ხელი — გამოდის, რატომ უნდა ეძებო ღმერთი? ეს დროის ფუჭი კარგვაა.“ მაგრამ ეს შეიძლება რჩევა იყოს, ნაკარნახები თქვენი რწმენით ღმერთის ერთგულებისადმი: „უფალს არასოდეს უღალატია ჩემთვის. რატომ უნდა დავეჭვდე მასში ახლა?“

დამოუკიდებლად იმისა, თუ ვის რჩევას უგდებთ ყურს, ერთი ჭეშმარიტება ზუსტად ვიცი: არჩევანი, რომელსაც თქვენ ახლა აკეთებთ, ცუდი იქნება თუ კარგი, ეჭვ გარეშე გავლენას მოახდენს თქვენს მომავალზე. შესაძლებელია, რომ წარსულს არ მისცე საშუალება გავლენა მოახდინოს ჩვენს გადაწყვეტილებაზე, მაგრამ შეუძლებელია ხელი შეუშალო დღევანდელ გადაწყვეტილებას გავლენა მოახდინოს ჩვენს მომავალზე. ამიტომ, გვესმის რა რომ ჩვენი ცხოვრება შენდება ჩვენს გადაწყვეტილებებზე, რა უნდა გავაკეთოთ, რათა გავაცნობიეროთ მომენტის მნიშვნელოვნება?

### ფართო არჩევანი და მცირე დრო

„ხოლო მას, ვისაც ჩვენში მოქმედი ძალით შეუძლია განუ-

**ზომლად მეტის კეთება, ვიდრე ჩვენ ვთხოვთ ან ვფიქრობთ.“  
(ეფესელთა 3:20)**

უნდა ვაღიარო, რომ სიტყვა „ხოლო“ ზევით მოყვანილ კონტექსტში ადრე ძალიან მთრგუნავდა. მახსოვს, როცა ქრისტიანი გავხდი, ყოველი ბიბლიური ისტორია ცოცხლდებოდა ჩემთვის და რეალური ხდებოდა. ღმერთი აღარ მეჩვენებოდა შორეული და ცალკედ მყოფი, რომელიც მიყურებდა თავისი ტახტიდან მაღლა ზეციდან და ეძებდა შესაძლებლობას დავესაჯე ყოველი წვრილმანი შეცდომისთვის. ახლა უფალი ახლოს მყოფი გახდა ჩემთვის ყველა დამოკიდებულებაში და გამუდმებით შთამაგონებდა სულ ახალი და ახალი გამარჯვებებისათვის. ძველი აღთქმის შესწავლით დავინახე, რომ მისი დანერის დროს კითხვაც კი არ ჩნდებოდა, რომ მონაწილეობდა თუ არა ღმერთი თავისი ერის, ისრაელის ცხოვრებაში. მან შეარყია მთები და მიყვებოდა მათ უდაბნოში გავლისას როგორც ღრუბელი დღისით და ცეცხლის სვეტი ღამით. იგი კვებავდა მათ მანით ზეციდან და აწყურებდა წყლით კლდიდან. იგი იმდენად ყურადღებით უსმენდა მათ, რომ მის ყურამდე მიდიოდა უკმაყოფილობაც და ნუნუნიც, რომელსაც ჩურჩულით წარმოთქვამდნენ კარვის კუთხეში. მას ესმოდა როგორ ჭორაობდა ხალხი მოსეს ზურგს უკან და განიკითხავდნენ ერთმანეთში მის „პატიოსან“ დამოკიდებულებას მათთან. მათ აჯანყებაზე ღმერთი პასუხობდა იმით, რომ იხსნებოდა მიწა და ყლაპავდა უწმინდურებს ან დამნაშავეებს შეეყრებოდათ კეთრი — როგორც გაფრთხილება ყველა დანარჩენისთვის.

ხოლო ახლა ამ ყოვლისშემძლე ღმერთმა შემიყვარა მე და მიწოდა თავისი! მე მეტად და მეტად დავიწყე გახსნა მის წინაშე და ყოველ დღე ყურადღებით ვაკვირდებოდი საკუთარ სიტყვებსა და ქცევას. გარეთ რომ ვსეირნობდი გონებაში იმ ხალხისთვის ვლოცულობდი, ვინც გვერდს ჩამივლიდა. როცა მარტო ვიჯექი პარკის სკამზე, ვმსჯელობდი იმაზე, გამომივიდოდა თუ არა სინამდვილეში „მთების გადაადგილება“. რადგან არ მსურდა გავმხდარიყავი რაიმე კატასტროფის მიზეზი, მე ბავშვურად გულუბრყვილოდ ვლოცულობდი, რათა ღმერთს „უბრალოდ შეერყია“ ეს მთები და ველოდებოდი ღმერთის წინაშე როგორც მოწმობას შესმენილი ლოცვებისა და დააფასა ჩემი რწმენა. სახლში დაბრუნების შემდეგ მე სრულიად სერიოზულად ველოდებოდი მომესმინა რადიოში, რომ სადღაც კატალინის მთებში მოხდა მცირე მიწისძვრა. გთხოვთ სწორად

## იბრძოლე როგორც ძალმა

გამიგეთ: საერთოდ არ მსურდა, რომ ვინმეს ეზარალა ჩემი ლოცვებისგან; უბრალოდ მეჩვენებოდა, რომ ცუდი არ იქნებოდა ღმერთის მხრიდან, მოეცა ჩემთვის რაიმე ნიშანი. (ეს არ მომხდარა).

როცა ინვალიდის ეტლში მჯდარი ადამიანების გვერდით გავდიოდი, ყოველთვის ვეკითხებოდი ღმერთს, საჭიროა რომ მივიდე მათთან და ვკითხო: „გინდათ განკურნება?“ და ყოველჯერზე ჩემს გონებაში ჩნდებოდა დილემა. ერთის მხრივ, მე ვიცოდი და მჯეროდა იმის, რომ ღმერთი მკურნალია. მთელი ბიბლია თავიდან ბოლომდე არის ამის მოწმობა. მაგრამ, რა იქნება თუ ჩემი ლოცვით არაფერი მოხდება? ხომ არ შევარცხვენ მის რეპუტაციას თუ ამ ადამიანებს განკურნების იმედს მივცემ მხოლოდ იმისათვის, რომ მეტ იმედგაცრუებაში ჩავგადო? რაში მდგომარეობს პრობლემა: ჩემში თუ ჩემს ურწმუნოებაში მარხვისა და ლოცვის უკმარისობის გამო? ვიცოდი, რომ ღმერთი ყოველისშემძლეა, ამიტომ საქმე სრულიადაც არ არის იმაში, რომ მას არ შეუძლია სასწაულის მოხდენა. ძველი აღთქმის გამოკვლევისას მივხვდებით, რომ არც კი უნდა ვეცადოთ ეჭვ ქვეშ დავაყენოთ ღმერთის უნარი მოახდინოს ყოველგვარი სასწაული.

**„მარჯვენა შენი, უფალო, განთქმულია ძალით, მარჯვენა შენი, უფალო, მტერს მუსრავს. შენი დიდების აღმატებულობით ამხობ შენს წინააღმდეგ ამხედრებულებს; გზავნი შენს რისხვას და ჩალასავით ბუგავ მათ. შენი ნესტოების სუნთქვაზე დაგროვდნენ ნყლები, კედლად აღიმართნენ ღვარები, მორევები გამყარდა ზღვის გულში.“ (გამოსვლა 15:6-8)**

**„ვინაა შენი სადარი ღმერთთა შორის, უფალო? ვინაა შენი სადარი სინმინდით, დიდებულო. საკვირვებო ხოტბებით, მოქმედო სასწაულებისა? შენ გაინოდე მარჯვენა შენი: პირი უყო მათ მიწამ. შენ წარმართავ შენი წყალობით ამ ხალხს, შენ რომ იხსენი; წინ გაუქეხი შენი ძალით შენი წმინდა სამყოფელისკენ.“ (გამოსვლა 15:11-13)**

არა, მიზეზი მდგომარეობს სხვა რამეში, რალაც უფრო დიდში. რატომ არის რომ ღმერთის ძალა ასე იშვიათად ვლინდება ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში? მე მომწონდა ის, რასაც იგი აკეთებდა ძველი აღთქმის დროს, მაგრამ რა ვთქვათ აწმყოზე?

როცა წინ გავიხედე და დავინახე მომავალი ფანჯარაში, რომელსაც ალებს ჩვენს წინაშე გამოცხადების წიგნი, მე აღარ მრ-

## ბრძოლა გავლენისთვის

ჩებოდა კითხვა ან ეჭვი იმაზე, თუ ვინ არის მთავარი, ვინ არის გამარჯვებული, რომელიც დროის აღსასრულს დაჯდება ტახტზე!

**„ამის შემდეგ გავიგონე ცაში დიდი ხმა, როგორც ბევრი ხალხის ხმა, რომელიც ამბობდა: „ალილუია! ხსნა, დიდება და ძალა ჩვენი ღვთისა.“ (გამოცხადება 19:1)**

ეს ყველაფერი მშვენიერია... მაგრამ რა ვუყოთ ჩვენს ანმყოს? მაშინაც კი, როცა ღმერთი დუმს, მთელი ქმნილება აცხადებს მის ძალასა და დიდებულებაზე. და თუ მას მხოლოდ ჯოჯობისგან გადავერჩინე და სხვა აღარაფერი არ გაეკეთებინა ჩემს ცხოვრებაში, ასეთ შემთხვევაშიც კი იგი ღირსია მთელი დიდების, პატივისა და ქების. მაგრამ ღალატებს მისი სიკეთის დანახვით, რათა იხილოს მისი ძალაც. მინდა დავინახო როგორ მიწვდის იგი ხელს დღეს. მწამს, რომ ღმერთი სთხოვს თავის ასულებს შეშლადებდნენ მას იმ იმედით, რომ რაღაც უფრო დიდი ნახონ.

## მაჩვენე შენი ძალა

**„ხოლო მას, ვისაც ჩვენში მოქმედი ძალით შეუძლია განუზომლად მეტის კეთება, ვიდრე ჩვენ ვთხოვთ ან ვფიქრობთ.“ (ეფესელთა 3:20)**

ეს არის ღმერთის სურვილის ახალღმერთობისეული განცხადება. მაშ, სად არის ის „გაცილებით მეტი, ვიდრე ვითხოვთ ან ვფიქრობთ?“ ნაწილობრივი პასუხი ამ კითხვაზე შეიძლება ვიპოვოთ მუხლის პირველ ნახევარში. უფალს შეუძლია მოახდინოს ეს ყველაფერი „ჩვენში მოქმედი ძალით“. მან შეზღუდა საკუთარი თავი და ახლა ჩვენს არასრულყოფილებების და უგუნურებების მეშვეობით მოქმედებს. თუ ჩვენ კმაყოფილები ვართ ჩვენი ცხოვრების მსვლელობითა და მდგომარეობით, მაშინ აღარ გვჭირდება ვილოცოთ ამ ღმერთით, რომელიც ეფესელთა მიმართ წერილის 3:20-შია მოყვანილი.

თქვენ იცით რასაც ვგულისხმობ, ღმერთებზე, რომლებიც საშიშია და არ ექვემდებარება ჩვენს კონტროლს. მაგრამ თუ ჩვენ უკმაყოფილონი ვართ იმით, რაც ახლა გვაქვს, მაშინ დადგა დრო, რომ რაღაც მეტისთვის შევლადავოთ.

მაგალითს მოვიყვან ჩემი ცხოვრებიდან. ეს მოხდა მალევე



## იზრძოლე როგორც ძალმა

ჩემი წიგნის „ამბორი ცრემლებამდე“-ს გამოცემის შემდეგ. ვიჯექი სახლში და ვუსმენდი თაყვანისცემის მუსიკას და ვფიქრობდი ღმერთის სიკეთეზე. ახლახანს მომიწია მკითხველის ტელეფონის გულსატკენ ზარზე მეპასუხა და კითხვას ვსმამდი: „მე, ქალმა, რომელიც ცხოვრობს მამაკაცების გარემოცვაში, როგორ გადავწყვიტე დამენერა წიგნი ქალების სექსუალური სინმიდის შესახებ?“

საინტერესოა, რომ მე ვერ არასოდეს არ მიტევდნენ ასე ძლიერ ყველა ფრონტიდან, როგორც იმ წიგნის გამოცემის შემდეგ. ბევრმა მეგობარმა ზურგი მაქცია, ჩემზე ავრცელებდნენ ჭორებს, ხოლო მე საკუთარ თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს დავდიოდი დახურულ წრეში და ვცდილობდი საკუთარი თავის, საკუთარი პოზიციის და ოჯახის დაცვას. ჩემთვის ცხადია რომ ჩემს სიტყვებს იყენებენ ეგოისტური მიზნებით, არასწორად იგებენ, უსამართლოდ განიკითხავენ და სუბიექტურად განმარტავენ, - და უფლის თაყვანისცემის იმ მომენტში ძალიან მეცოდებოდა საკუთარი თავი.

ყველაფერი ხელიდან მიცვივდებოდა, და ეჭვები და იმედგაცრუებები უმოწყალოდ იმარჯვებდნენ ჩემზე. იმისათვის, რომ გამოვსულიყავი ამ ქაოსიდან, ვიცოდი ძალები უნდა მომეკრიბა. ძალიან მინდოდა ზეციდან მომესმინა გამხნევების სიტყვები, მაგრამ ამის ნაცვლად დავიჭირე ჩემსკენ მომართული კითხვა: „ლიზა, რისი გაკეთების უფლებას მომცემ შენს მსახურებებზე?“

გაკვირვებულმა და ცოტა დაბნეულმა ვუპასუხე: „ღმერთო, ჩემს მსახურებებზე შენ შეგიძლია გააკეთო ყველაფერი, რაც გსურს.“ და მაშინ ჩემში მოვისმინე შემდეგი სიტყვები: „მე მინდა ვეხებოდე ჩემს ასულებს და ვკურნავდე მათ მათი ვენერიული დაავადებებისაგან.“

აქ იყო ის, რაზე უნდა დავფიქრებულიყავი! მე ღმერთთან მოვედი ნუგეშისცემისთვის, ხოლო ამის ნაცვლად მივიღე ბრძანება რომ შემესრულებინა შეუძლებელი! სიტუაცია მეჩვენებოდა აბსურდულად: ვდგავარ სცენაზე და მოვუნოდებ ხალხს გამოვიდნენ წინ და ხაზში დადგნენ, მათი კონკრეტული დაავადებებისთვის სალოცავად. მივხვდი, რომ ღმერთი ასეთ ფორმას არ გულისხმობდა, ვკითხე: „უფალო, როგორ უნდა გამოიყურებოდეს ეს?“

„უთხარი მათ, რომ მე დარბაზში ვარ, რათა განგკურნო ისი-

## ბრძოლა გავლენისთვის

ნი. უთხარი, რომ მიყვარს ისინი და მინდა მათი განკურნება და მთელი მათი სირცხვილის წაღება. გამოათავისუფლე ჩემი განკურნების სიტყვა დარბაზში, ხოლო დანარჩენს მე გავაკეთებ.“

შემდეგ უფალმა მომცა ეს სიტყვა, რომლითაც უნდა მიმემართა მათთვის:

**„ადიდე, სულო ჩემო, უფალი და მთელი შიგნეულობავ ჩემო, მისი წმიდა სახელი! ადიდე, სულო ჩემო, უფალი, და ნუ დაივიწყებ რაც კეთილი გიყო! ის არის შემნდობი ყველა შენი ბრალისა, მკურნალი ყველა შენი სნეულებისა. საფლავიდან დამხსნელი შენი სიცოცხლისა, შენი გვირგვინდამდგმელი წყალობით და შებრალებით; სიკეთით აღმვსები შენი სიცოცხლისა, ორბივით განმაახლებელი შენი სიჭაბუკისა.“**  
(ფსალმუნი 102:1-5)

როცა ყურადღებით გადავხედე წმიდა წერილის ამ ადგილს მივხვდი, რომ იგი იდეალურად შეესაბამება მოცემულ მდგომარეობას. იგი იწყება ბრძანებით ჩვენი სულისა და მთელი შიგნეულობისადმი ადიდონ ღმერთის წმიდა სახელი და არ დაავინყდეთ ყველა მისი სიკეთე. ჩვენი მამა ღმერთი არა უბრალოდ გვპატიობს ყველა ჩვენს ცოდვას, არამედ სურს განკურნოს ყველა ჩვენი სნეულება. საინტერესოა რა ადვილად ვეთანხმებით იმას, რომ არ არსებობს ისეთი ცოდვა, რომელსაც ღმერთი არ მოგვითქვებდა, მაგრამ ზოგიერთი დაავადების განკურნების მიმართ ჩვენ რატომღაც დაეჭვებას ვინწყებთ. ღიად ვაცხადებთ ცოდვების მიტევების მისეულ უნარს, მაგრამ ხშირად გვავიწყდება ვახსენოთ მისი სურვილის შესახებ, რომ განგკურნოს ჩვენ; ხოლო თუ საერთოდ ვლაპარაკობთ ამაზე, მაშინ ვიზღუდებით მხოლოდ უბრალო ავადმყოფობით ან უწყინარი უძღურებებით.

ვენერიულ დაავადებების მიმართ ხშირად ვიყენებთ თესვის და მკის კანონს და არა სწავლებას მონყალებაზე, რომელიც აღემატება სასამართლოს. ქვეცნობიერად ჩვენ შეცდომით ვთვლით, რომ კაცები და ქალები, რომლებიც დაავადებულები არიან ვენერიული დაავადებებით, უბრალოდ ღებულობენ იმას, რაც დაიმსახურეს. მაგრამ სინამდვილეში ვლებულობთ კი ჩვენ თავადვე იმას, რაც დავიმსახურეთ? რადგან ყოველი ჩვენგანი ვიმსახურებთ სამსჯავროს, მაგრამ ამის ნაცვლად ღმერთი გვჩუქნის პატიებას. ჩვენი შეხედულება სწორი რომ ყოფილიყო, მაშინ არც ერთი ჩვენგანი საკუთარი ცოდვილი ბუნების გამო ვერ „მოიმკიდა“ ღმერთის წყალობას.

## იბრძოლე როგორც ძალმა

ღმერთი თავისებურად იქცევა ადამიანების აღდგენაში. მას არა მხოლოდ ამოყავს ჩვენი ცხოვრება ჭაობიდან, არამედ გვაგვირგვინებს ჩვენ თავისი სიყვარულით და თანაგრძნობით, ასრულებს ჩვენს სურვილებს თავისი სიკეთით და გვიბრუნებს ახალგაზრდობას! რატომ გვაძლევს იგი ამდენ კურთხევას?

### მას ძალიან ვჭირდებით

ახლა მოგიყვებით არც ისე კარგ შემთხვევაზე ჩემი ცხოვრებიდან. იყო დრო, როცა ეჭვი მეპარებოდა ღმერთის აღთქმებში განკურნებაზე და არ ვჩქარობდი მის გამოყენებას ჩემს ცხოვრებაში. იმ დღეს, როცა იესომ მომმართა პირადად, როცა მითხრა თავისი სურვილზე განეკურნა თავისი ასულები ჩემს მსახურებებზე, მე ვფიქრობდი მხოლოდ საკუთარ თავზე. იმ დროს მთლად კარგად ვერ ვიყავი, ამიტომ, ნაცვლად იმისა, რომ თვალის მომეშორებინა აზრებში არეულობისგან და მტრის შეტევებისგან, მე ჯერ კიდევ ვაგრძელებდი დაბლა ყურებას, და მეძალებოდა ეჭვები: „რა იქნება თუ იგი არ განკურნავს მათ? ხოლო, იმ შემთხვევაში თუ განკურნავს?“

მე არ ვამაყობ ჩემი შეცდომებით, მაგრამ წრფელად ვლოცულობ, რომ ისწავლოთ ჩემი შეცდომებიდან, ჩემი ურჩობისა და ურწმუნოებიდან. დრო გადიოდა და სულიწმიდა გამუდმებით მამხელდა იმაში, რომ უარს ვამბობდი მიმელო პასუხი საკუთარ ლოცვაზევე. მხოლოდ არასტანდარტული შთაგონებების შემდეგ ზევიდან მე დავიწყე ჩემს მიერ ჩატარებულ მსახურებებზე ღმერთის სიყვარულისა და განკურნების გამოცხადება. ქვემოთ მოყვანილია ერთი ნერილი მრავალთაგან, რომლებიც მე მივიღე ასეთი განკურნების მსახურების შემდეგ:

ლიზა,

თქვენ ილოცეთ განკურნებისთვის ვენერიული დაავადებებისაგან იმ ქალებისთვის, რომლებიც თქვენს მსახურებაზე იმყოფებოდნენ, – ეს ლოცვა მეც მეხებოდა. და თუმცა იმ მომენტში მე რეალურად განვიცდიდი, თუ როგორ მოძრაობდა ღმერთის ძალა ჩემში, და ძალიან მინდოდა მიმელო ეს განკურნება, ჩემი გონება აგრძელებდა ჩემთვის მტკიცებას, რომ სინამდვილეში მთლად კარგი არ ვარ ღმერთის სასწაულებისთვის და რომ სინამდვილეში ჩემთვის არ არის განკურთხენილი იგი. მომდევნო ორი კვირა გავატარე ლოცვაში, და ამ დროს ჩემს გულსა და გონებას შორის მიმდინარეობდა ბრძოლა. გამახსენდა მარია-

## ბრძოლა გავლენისთვის

მის სიტყვები, რომლებიც თქვით: „დაე მეყოს მე შენი სიტყვისამებრ“, - და ვიმეორებდი მათ კვლავ და კვლავ იქამდე, სანამ ჩემი გულის რწმენამ მორჩილებითა და სიყვარულით არ სძლია ეშმაკის სიმაგრეებს ჩემს გონებაში. ეს ჩემი პირველი მენსტრუალური ციკლია ოცდასამი წლის განმავლობაში, რამელსაც არ ახლავდა ჰერპესის გამოვლინება.

ოცდა სამი წლის განმავლობაში ეს ქალბატონი ყოველ დღე იტანჯებოდა თავისი დაავადებისგან და მისი თანმხლები სირცხვილისგან. დარწმუნებული ვარ, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში ღმერთს სურდა მისი განკურნება. რა მოხდებოდა ხმა რომ არ ამომელო იმ დღეს მსახურებაზე? დღესაც დაიტანჯებოდა იგი დაავადებისგან? ალბათ კი. რას იტყვით საკუთარ თავზე? ვინ ან რა ელოდება რომ თვისუფლებას იმ იმედით, რომ თქვენ გამოაცხადებთ მასზე ღმერთის სიტყვას? რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვართ შეუცვლელი, და მიუხედავად ამისა ღმერთი თავად ირჩევს რომ ჩვენს მეშვეობით შეასრულოს მან თავისი საქმე.

**„მაგრამ როგორ მოუხმონ მას, ვისიც არ ირწმუნეს? როგორ ირწმუნონ, ვისზეც არ სმენიათ? როგორ მოისმინონ მქადაგებლის გარეშე?“ (რომაელთა 10:14)**

ვიცი, რომ ეს ნაწყვეტი საუბრობს გადარჩენაზე, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ ღმერთმა მჭიდროდ დააკავშირა ცოდვების მიტევება განკურნებასთან. განა უნდა შევწყვიტოთ გადარჩენის შესახებ ქადაგება იმის გამო, რომ ყველა არ არის გადარჩენილი? უნდა შევწყვიტოთ იესოს უფლად აღიარება? არანაირად! ასეთ შემთხვევაში მას უნდა ვუნოდებდეთ მკურნალსა და მხსნელს. ჩვენ ვხედავთ, თუ რალაც მსგავსი როგორ ხდებოდა იესოს ცხოვრებაში. მან ასეთი კითხვა დაუსვა ხალხს:

**„რისი თქმა უფრო ადვილია: შენი ცოდვები მოგეტევა, თუ იმის თქმა: ადექი და გაიარე? ხოლო რათა იცოდეთ, რომ კაცის ძეს მინაზე ცოდვების მიტევების ხელმწიფება აქვს, - ასე უთხრა დავრდომილს: ადექი, აიღე შენი საწოლი და წადი შენს სახლში.“ (მათე 9:5-6)**

იესომ გამოაცხადა განკურნება, როგორც კაცის ძემ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის. მას ეს ღმერთის ძის პოზიციიდან რომ გაეკეთებინა, მაშინ, შესაძლოა ჩვენ კიდევ დავეჭვებულიყავით, უნდა მოვიქცეთ თუ არა ამგვარად.

## იზრძოლე როგორც ძალმა

ყოველი ქრისტიანი დამეთანხმება, თუ ვიტყვი, რომ ჩვენი უფლება და პრივილეგიაა — მივუტევებდეთ სხვებს, და ასევე ღმერთის პატიების გამოცხადება. მართალია? არც ერთ ჩვენთაგანს ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ ჩვენ მოგვენდო შერიგების მსახურება. როცა იესომ იკითხა: „რა უფრო ადვილია?“, იგი გულისხმობდა შემდეგს: „ჩემთვის განკურნება და ცოდვების პატიება ერთი და იგივეა!“ მას შეეძლო იმ ადამიანისთვის ორივეს მოცემა!

როგორც ღმერთის ასულებს, ჩვენ გვაქვს პრივილეგია არა მხოლოდ ვუზიარებდეთ იმ ძალას, რომლითაც იესო მიუტევებდა ხალს, არამედ ჩვენ უნდა ვუზიარებდეთ მის მკურნალ ძალასაც. გაიგეთ, რომ თუმცა ყველა, ვისაც ესმის ღმერთის განკურნების შესახებ, არ ლებულობს მას, ამის გამო ჩვენ არ უნდა შევწყვიტოთ ქადაგება ცოდვილების გადასარჩენად. იგივე ითქმის განკურნებაზე.

### მოვიდა დრო!

**„და როცა ღვინო შემოაკლდათ, ეუბნება იესოს დედამისი: „ღვინო აღარა აქვთ. ეუბნება მას იესო: რა გინდა ჩემგან, დედაკაცო? ჩემი ჟამი ჯერ არ დამდგარა. ეუბნება დედამისი მსახურებს: გააკეთეთ ყველაფერი, რასაც ის გეტყვით.“ (იოანე 2:3-5)**

კარგია, რომ ღმერთმა არ გამხადა იესოს დედად. ასეთ პასუხისმგებლობას ვერ გავუმკლავდებოდი... იესო დაახლოებით ოცდაათი წლის იყო იმ დროს, როცა ღვინო დაუმთავრდათ ქორნილში გალილეის კანაში. მარიამის ადგილზე მე ალბათ დოინჯს მოვიყრიდი და განვუცხადებდი: „იესო, ხალხი უკვე ოცდაათი წელია დამცინის და მანუხებენ თავიანთი კითხვებით შენზე! და ახლა, როცა ჩემს მეგობრებს დაუმთავრდათ ღვინო, შეგიძლია დაგვეხმარო?! ახლა თუ არა, სხვა როდის დადგება დრო, რომ გამოავლინო საკუთარი თავი? მე დედაშენი ვარ; და, შვილო, დავილაღე ლოდინით... მოვიდა დრო!“

მაგრამ მარიამს ეს არ გაუკეთებია. იგი უბრალოდ მიუბრუნდა ხალხს, რომლებიც ქორნილში მსახურობდნენ და უთხრა: „გააკეთეთ ყველაფერი, რასაც ის გეტყვით“, - და წავიდა. რატომ იყო იგი ასე დარწმუნებული? ალბათ იმიტომ, რომ როცა დედა ამბობს რომ დროა, ეს იგი მართლა დროა!

## ბრძოლა გავლენისთვის

ვფიქრობ, რომ არ მესმოდა დროის ძალის მნიშვნელობა მანამდე, სანამ დედა არ გავხდი. ბავშვების დაბადებამდე მე გამუდმებით მექმნებოდა ცრუ წარმოდგენა, რომ რალაცნაირად შემძლო დროის გაკონტროლება. მასხოვს, ჩავიხედე ივნისის კალენდარში და ამოვირჩიე რამდენიმე ხელსაყრელი დღე ჩემი შვილის დაბადებისთვის და დავინყე თხოვნა ლოცვაში: „ღმერთო, ჩემთვის მართლა აუცილებელია ვშვა ბავშვი ამ რიცხვებში, და არა ამაზე გვიან.“

მეჩვენებოდა, რომ უკეთესი იქნებოდა მშობიარობის „დანიშვნა“ სამუშაო კვირის ბოლოს, რადგან მაშინ ქმარი შეძლებდა ჩემთან ყოფნას შაბათ-კვირას. მაგრამ რალაც შეცდომა მოხდა; ჩემს მიერ არჩეულმა დღეებმა ჩაიარა, ხოლო მე ისევ დავდიოდი დიდი მუცლით.

ვგავდი გადამნიფებულ ხილს საცაა რომ გასკდება. კანზე გამიჩნდა დაჭიმვები (რომლებიც თავიდან მაგონებდნენ ქიბს) — იმის შედეგი, რომ ჩემი სხეული ცდილობდა დაეკავებინა მეტად გაზრდილი ბავშვი და ჩემი მუცელი. მეც უკვე გულფიცხი ვხდებოდი. ისეთ სიტყვებს როგორებიცაა: „თქვენ ჯერ არ გეყოლათ ბავშვი?“, რომლებსაც ერთი კვირის წინ ღიმილით აღვიქვამდი, ახლა ვრეაგირებდი ღია მტრობით. ჯონი უიმედოდ ცდილობდა ჩემს დაცვას საშიშ კონტაქტისგან ხალხთან, რომლებმაც არ იცოდნენ ჩემი მდგომარეობის შესახებ. მე ვგავდი ბომბს საათის მექანიზმით, რომელიც მზადი იყო აფეთქებულიყო ნებისმიერ მომენტში.

ბოლოს და ბოლოს, ორი კვირის შემდეგ ვადის გასვლიდან ჩემმა ექიმმა თქვა, რომ აუცილებელი იყო სამედიცინო ჩარევა. ხელოვნური შობა დაინიშნა შემდეგ დილას. მე მივედი იქ მაკიაჟით, ახალი მანიკურით და აღჭურვილი სამკაულებით. ვერც კი ვხვდებოდი რა მელოდებოდა. ჩემი მეგობრები იცინოდნენ, როცა ათვალეერებდნენ ჩემს სურათებს სამშობიაროდან. ტკივილების თორმეტი საათი, ცოტათი დასუსტებული გამაყურებელი საშუალებებით, არ გასულა ტყუილად — ჩემი მაკიაჟიდან კვალიც არ დარჩენილა. მე მეყოლა ჯანსაღი ბავშვი, მაგრამ დამენყო ჰემოროიდი და წოლით რეჟიმში ვიყავი ორი კვირის განმავლობაში.

ჩემი მეორე ორსულობის დროს ყველაფერი სრულიად განსხვავებულად ხდებოდა. მე დროულად გავიაზრე, რომ მენყებოდა შეტევები (რადგან პირველი შობის დროს გამაყურებლების

## იბრძოლე როგორც ძალმა

გავლენის ქვეშ ვიყავი), და ძლივს მივაღწიე სამშობიარომდე. ანერვიულებული შევევარდი სამშობიაროს მიმღებში. როცა ვეცადე ამეხსნა რეგისტრატურაში ჩემი მდგომარეობის მთელი სერიოზულობა, გულგრილად მიპასუხეს, რომ ყველა კაბინეტი კვლევისთვის დაკავებულია, რაზეც ვუპასუხე: „მე არ მჭირდება გამოკვლევა... მე უნდა ვიმშობიარო!“

ჩემმა ტონმა მედდა აიძულა თვალი მოენწყვიტა ჩემი სამედიცინო ბარათის შესწავლისგან.

- ეს თქვენი პირველი შვილია?
- არა, მეორე!

ამ სიტყვების შემდეგ სიტუაცია შეიცვალა. ყველამ დაიწყო სირბილი სამშობიაროში. რატომ? იმიტომ, რომ როცა დედა იძახის რომ დროა... ესე იგი, მართლა დროა.

### მოვიდა თქვენი დრო და არა თქვენი ჯერი

ჩემი შვილების შობის მეშვეობით ვისწავლე ერთი ძვირფასი გაკვეთილი: დედებს არ შეუძლიათ დროის კონტროლირება, მაგრამ მათ ზუსტად იციან, როდის დგება ის! ფრაზა „შენი დრო დადგა!“ დიდი ხნის განმავლობაში არ მასვენებდა. შენიშნეთ, მე არ მითქვამს: „შენი ჯერი დადგა.“ როცა ვილაცი ჯერი დგება, ყველა დანარჩენი უნდა გაჩერდეს მოლოდინში და აკვირდებოდნენ იმ ადამიანს, რომელიც ექცევა პროგრამის ცენტრში; მაგრამ როცა დგემა ვინმეს დრო, ყველა დანარჩენი უერთდება მას!

ძალიან ხშირად, როცა ღმერთი იწყებს თავისი ერის სულის აღძვრას, ჩვენთვის გასაგები ხდება, რომ იგი გვამზადებს რაღაც გრანდიოზულისთვის, და ჩვენ უგუნურად ვინცებთ ძალაუფლების პოზიციისთვის ბრძოლას, იესოს მონაფეების მსგავსად. უფალმა თქვა, რომ მისი დრო დადგა, ხოლო ამ დროს მოციქულებს უნდოდათ მხოლოდ ერთი რამ — გაეგოთ, ვინ იყო მათ შორის მთავარი. ძალაუფლებისთვის ბრძოლისთვის, მათ გამორჩათ ყველაზე მთავარი იქიდან, რისი თქმაც მათთვის მასწავლებელს სურდა, და გაიფანტნენ, როცა საჭირო იყო ჭეშმარიტებისთვის ბრძოლა.

ოც წელზე მეტი მსახურების გამოცდილების განმავლობაში არაერთხელ მინახავს ისეთი აზროვნების გამოვლინება, რომელიც აცხადებს: „დადგა ჩემი ჯერი!“ მესმოდა როგორ ამ-

## ბრძოლა გავლენისთვის

ბობდნენ მამაკაცები: ქალბატონებო დაჯექით. ახლა თქვენი ჯერი არ არის!“ მე მესმოდა, როგორ პასუხობდნენ ქალბატონები: „მამაკაცებო, თავად დაჯექით. ახლა ჩვენი ჯერია!“ მინახავს როგორ იცინოდნენ ირონიულად ახალგაზრდები, როცა მოხუცებულებს უყურებდნენ და ამბობდნენ: თქვენ, მოხუცებო, არაფერი არ გესმით! ჩვენ არ შეგვიძლია ველოდოთ იქამდე, სანამ დადგება ჩვენი ჯერი.“ მე ვყოფილვარ მონმე იმისა, თუ როგორ აჩერებდა უფროსი თაობა ახალგაზრდობას: „ჯერ არ დამდგარა თქვენი ჯერი. დაჯექით და გაჩუმდით!“ ჩვენ გამუდმებით ვურევთ ერთმანეთში სიტყვებს „დრო“ და „ჯერი“, მაგრამ უკანასკნელ დღეებში ყველაფერი შეიცვლება.

**„იქნება უკანასკნელ დღეებში, – ამბობს ღმერთი, – რომ ჩემი სულისაგან მოვაფენ ყველა ხორციელზე და იწინასწარმეტყველებენ თქვენი ძენი და თქვენი ასულნი და თქვენი ჭაბუკნი ჩვენებას იხილავენ და თქვენს მოხუცებულებს სიზმრები დაესიზმრებათ.“ (საქმეები 2:17)**

უკანასკნელი დღეების მოვლენებში მონანილეობას მიიღებს ყველა, რადგან ხალხი მიხვდება რომ მოვიდა ყველას დრო. ძეები და ასულნი იწინასწარმეტყველებენ, ახალგაზრდები ხილვებს იხილავენ, ხოლო მოხუცებულები — წინასწარმეტყველურ სიზმრებს.

მთელს მსოფლიოში მოგზაურობით მე არაერთხელ ვგრძნობდი, როგორ მეუბნებოდა ღმერთი გამეცხადებინა: „მოვიდა დრო!“ მაგრამ რისი დრო? იმისათვის, რომ ვიპოვოთ პასუხი, მოდით დავბრუნდეთ გალილეის კანაში.

მოვიდა დრო რომ ვიყოთ წრფელები და ვალიაროთ, რომ დაგვიმთავრდა ღვინო. მოვიდა დრო როცა უნდა შევწყვიტოთ და აღარ ვეძახდეთ წყალს ღვინოს. ნაცვლად იმისა, რომ ვკამათობდეთ ერთმანეთთან თუ რატომ გათავდა ღვინო, დადგა დრო მივმართოთ მას, ვისაც შეუძლია წყალი გადააქციოს ღვინოდ. მოვიდა დრო რომ შეწყდეს თეოლოგიური კამათი იმაზე, შეუძლია თუ არა ღმერთს წყლის ღვინოდ გადაქცევა. ჩვენ უნდა მოვიპატიჟოთ იგი ჩვენს ცხოვრებაში და პატიოსნად ვუთხრათ მას: „იესო, ჩვენ გაგვითავდა ღვინო.“ შემდეგ ყველაფერი მოვაშადლოთ და გავაფრთხილოთ მსახურები: „ყველაფერს, რასაც გეტყვით, გააკეთეთ.“



## იბრძოლე როგორც ძალმა

ვფიქრობ, იესოს მოსწონს როცა გვიმთავრდება ბუნებრივი ძალები და ვთხოვთ მას მის ძალას. მოვიდა დრო, რომ აღსრულდეს წინასწარმეტყველება ეფესელთა 3:20-დან.

მოდით დავაკვირდეთ თუ რა გააკეთა იესომ ქორწილზე:

**„იყო იქ ექვსი ქვის ჭურჭელი, იუდეველთა სანესო განწმენდისთვის. თითოში ორი თუ სამი სანყაული ჩადიოდა. ეუბნება მათ იესო: „დაავსეთ წყლით ეგ ჭურჭლები.“ და მათაც დაავსეს პირთამდე. და ეუბნება მათ: „ახლა ამოიღეთ და მიართვით სუფრის გამრიგეს!“ და მიართვეს. როცა სუფრის გამრიგემ გემო უნახა ღვინოდ ქცეულ წყალს (არ იცოდა საიდან იყო ეს, იცოდნენ მხოლოდ მსახურებმა, რომლებმაც ამოიღეს წყალი), მაშინ სუფრის გამრიგემ დაუძახა ნეფეს და ეუბნება მას: „ყველა კაცი ჯერ კარგ ღვინოს ჩამოდგამს, ხოლო როცა შეთვრებიან, მდარეს. შენ კი აქამდე ინახავდი კარგ ღვინოს.“ (იოანე 2:6-11)**

გნამთ თუ არა, რომ საუკეთესო ღმერთმა ბოლოსთვის შემოინახა? ვიცი, რომ ზოგჯერ ძნელია ამის დაფერება, როცა იმ ყველაფერს ვუყურებთ, რაც ჩვენს გარშემოა, მაგრამ მე მივიღე გადაწყვეტილება დაუღალავად მეთხოვა ღმერთისთვის მეტი, ვიდრე ჩემი თვალები ხედავენ... რას იტყვით საკუთარ თავზე? ქალებს გააჩნიათ ღმერთისგან მიცემული ნიჭი ესოდეთ მომენტის ძალა. შესაძლოა, სწორედ ამ მომენტში აღძრავს ღმერთი ჩვენს გულებს რომ მეტი მოვითხოვოთ? იესო, ხომ არ მოვიდა დრო?

### ზეციერო მამა,

მე მართლა მნამს, რომ ყველაზე საუკეთესო შენ ბოლოსთვის შემოინახე და მინდა ამაში მონაწილეობა მივიღო. მე ძალიან მჭირდება, რომ აღავსო ჩემი ცხოვრების ყოველი სფერო. დავიღალე წყლის სმით, რომელსაც ღვინოს ვეძახი. დავიღალე იმით, რომ მე მიკვლევენ ნაცვლად იმისა, რომ დამეხმარონ მშობიარობაში. მომიტევე, რომ შიშში ზურგს ვაქცევდი შენს აღთქმებს. მაჩუქე მე რწმენის ნიჭი, რათა მნამდეს და მიგიღო შენ როგორც მკურნალი. გთხოვ პატიებას იმის გამო, რომ ველოდებოდი როდის მოვიდოდა ვინმე და მეტყოდა, რომ დადგა ჩემი ჯერი, თუმცა შენ გამუდმებით ჩამჩურჩულებდი: „მოვიდა დრო!“ გამამაგრე შენი სიტყვით და შენი აღთქმებით. ამინ.

## თავი მეთექვსმეტი

### შენ გააკვირდებიან!

არის რალაც გამაღიზიანებელი როცა იცი, რომ გააკვირდებიან. თუმცა არავინ ვფიქრობთ, რომ შეგვიძლია სხვების თვალს თავი დავალწიოთ, ჩვენ ხშირად ვერ ვაცნობიერებთ, რომ ჩვენს ცხოვრებას გაცილებით უფრო მეტად აკვირდებიან, ვიდრე ამის წარმოდგენას შეძლებდა ყველაზე უკანასკნელი პარანოიდი. ვერ დავთვლი რამდენჯერ გავჩერებულვარ შუქნიშანზე, როცა ვმღეროდი და ჩემი მანქანის სალონში მუსიკას აყოლილი ვმოძრაობდი, და მხოლოდ შემდეგ შევამჩნევდი ხოლმე, რომ მე ცნობისმოყვარეობით მაკვირდებოდნენ გვერდზე მყოფი მანქანების მძღოლები. მაგრამ მე არ ვსაუბრობ ახლა შემთხვევით შემოხედვებზე შემთხვევითი მძღოლების მხრიდან შუქნიშნებზე. თქვენ და მე გვაკვირდება მეტად მნიშვნელოვანი და მრავალრიცხოვანი კომპანია.

არის მომენტები, როცა ვიცი, რომ ჩვენ არა მხოლოდ გვაკვირდებიან, არამედ შესაძლოა, ვიდეო ფირზეც აღბეჭდავენ ყველა ჩვენს მოქმედებას, რათა შეაფასონ ისინი. შესაძლოა თქვენ უკვე აღმოჩენილხართ ამგვარ მდგომარეობაში, როცა მონანილეობას ღებულობდით რაიმე კონკურსში ან სპორტულ შეჯიბრში. შესაძლოა, თქვენ გამოდიოდით სიტყვით კლასის წინაშე ან საქმიანი პრეზენტაციით რაიმე ფირმის წარმომადგენლების წინაშე. მსაჯულების, მასწავლებლების ან პოტენციური კლიენტების მზერა იყო მომართული ჩვენსკენ. ისინი იჯდნენ ხელებ დაკრეფილნი და ელოდნოდნენ, რომ მოვახდენდით მათზე შთაბეჭდილებას. კარგი ნიშნის, სამსახურის ან პრიზის მოსაგებად, ჩვენ უნდა გავგვეკეთებინა რამე ორიგინალური, რაც გამოგვყოფდა ჩვენი კონკურენტებისგან.

წრფელად გეტყვით, მძულდა ასეთი შემთხვევები ყველაზე მეტად. ცურვის შეჯიბრებებზე მე უბრალოდ ფეხები მეტლანდებოდა, როცა გამოაცხადებნენ ჩემს შეჯიბრს: „ორმოცდაათი მეტრი ბატერფლაით! მონანილეები სტარტზე!“ მე საპირფარეშოში მიწევდა გაქცევა ნერვიულობისგან. უკვე აღარ ვოცნებობდი გამარჯვებაზე; ყველაზე მეტად მინდოდა, რომ ცურვა მალე

## იბრძოლე როგორც ძალმა

დასრულებულიყო. თუ მიწვევა სიტყვით გამოვსვლა, ვინცები ნერვიულობას იმდენად, რომ მავინყდებოდა ყველაფერი, რაც მომზადებული მქონდა და აბსოლუტურად არ შემეძლო კონცენტრირება. მაგრამ რაც შეეხება კონცერტებს, თითქმის არასოდეს ვთანხმდებოდი მონაწილეობა მიმელო იმაში, რაც მაიძულებდა რომ სცენაზე ხალხის წინაშე გამოვსულიყავი. მეშინოდა ჩემი აუდიენციის, თუ მათი რიცხვი აღემატებოდა ორს.

სიმართლე რომ ვთქვა, ახლაც მიჭირს იმ სიტუაციებში გამკლავება, როცა იძულებული ვარ ვინმეს შევეჯიბრო. ჩემ მეუღლეს, ჯონს, მოსწონს შეჯიბრებები, მაგრამ როცა აღმოვჩნდები ადამიანების კომპანიაში, რომლებსაც სურთ საკუთარი უპირატესობის დამტკიცება სხვებზე, მაშინვე ვცდილობ მივახვედრო, რომ არ ვაპირებ მათთან შეჯიბრებას. თავაზიანად გავდივარ და რბილად ვეუბნები: „ჩავთვალთ, რომ ქვენ გაიმარჯვებ.“

უსიამოვნო შემთხვევების კიდევ ერთი სახეობა არსებობს, როცა თქვენ გაკვირდებიან. იგი არ უკავშირდება შეჯიბრს ან გამოსვლას, სადაც მარცხდებით შეჯიბრების დაწყებამდე. თქვენ ზენოლის ქვეშ მამინ შეიძლება აღმოჩნდეთ, როცა თქვენ უკვე გცნეს დამნაშავედ ან რაიმე ნაკლის მქონედ. რადგან ხალხი, რომელიც ელოდება, როდის დაუშვებთ თქვენ შეცდომას ან დაგიცდებათ ფეხი, თითქმის არასოდეს არ რჩებიან იმედგაცრუებულები.

### **რა ხდება მამინ, როცა ელოდებიან თქვენს მარცხს ან გამარჯვებას?**

საკმარისია დამკვირვებლის ნეგატიური ასპექტები. დადებითი ასპექტიც გააჩნია იმ მოვლენას, როცა გაკვირდებიან. როცა გაკვირდებიან, ეს გარკვეულწილად აღგძრავთ თქვენ, რომ დაანახოთ ყველას, რა შეგიძლიათ. ძალიან მიყვარს, როცა ვაკვირდები ჩემს ბიჭებს სპორტული შეჯიბრებების დროს. გამუდმებით ვამხნევებ მათ შეძახილებით ტრიბუნიდან: „ნამდვილი კაცი ხარ!“ ამ შემთხვევაში ჩემი შვილები გარკვეულ უკმაყოფილებას გამოხატავენ ჩემი ქცევით, ან ისე იქცევიან, ვითომ არ მიცნობენ ან არ ესმით, ეს კი მაიძულებს, რომ უფრო ხმამაღლად ვიყვირო. თამაშის ბოლოს ისინი ხელს ართმევენ მოთამაშეებს მონინააღმდეგე გუნდიდან და მხოლოდ შემდეგ ფრთხილად მოდიან თავიანთ შემარცხვენელ დედასთან. მაგრამ ყველაფერი იცვლება, როცა მანქანაში ვჯდებით: „დაინახე, რა გოლი გავი-

## შენ გაკვირდებიან!

ტანე? ნახე რა მაგარი პასი გავაკეთე?“ ისინი ძალიან შთაგონებულინი არიან თამაშით და სურთ დარწმუნებულები იყვნენ იმაში, რომ არაფერი გამომრჩა.

არის ასევე შემთხვევები, როცა მე და ჯონი საშინლად დაკავებულები ვართ, როდესაც უეცრად საქმეს გვანყვეტინებს ერთერთი ჩვენი შვილი, რომელიც ბატუტზე დგას ეზოში და ყვირის: „ნახეთ, რა ნახტომს შევასრულებ ახლა!“ იგი ეპატიჟება თავის მშობლებს, რომ გააკვირვოს თავისი ოსტატობით, რომელიც მან დახვეწა განმარტოვებული ვარჯიშების დროს. როცა ჩვენი ბიჭები პატარები იყვნენ, ისინი აღფრთოვანებით გვიჩვენებდნენ თუ როგორ ოსტატურად მოახერხეს „ლეგოს“ საბავშვო კონსტრუქტორით ფიგურების აწყობა, ან თავისი ოთახის დალაგება, ან რაიმე რთული სასკოლო დავალების შესრულება.

„დედა, მამა, ნახეთ!“ - ეს იყო ტრიუმფის და სიხარულის ყვირილი, გამონეული იმით, რომ მათ რაღაცას თავად მიაღწიეს ცხოვრებაში. მე და ჯონი ყოველთვის ვზეიმობდით მათთან ერთად და ვაჯილდოვებდით ტაშის კვრით ან რაიმე სხვა მათთვის შთამაგონებელი ხერხით. ჩვენ ყოველთვის ვიზიარებდით მათ აღფრთოვანებას და ვხვდებოდით, რომ ისინი ავიდნენ მანამდე მიუღწეველ დონეზე და ამის წყალობით შეიძინეს ძლიერი თვითდაჯერება. რაც უფრო მეტად ამხნევენ მშობლები თავიანთ შვილებს, მით მეტად სურთ მათ აფრენა. ჩვენ უყურადღებონი რომ ვყოფილიყავით შვილების მიმართ და არ გვეზიდა მათთან ერთად მცირე გამარჯვებები, ისინი დაღონდებოდნენ, რადგან ვერავის გაუზიარებდნენ თავიანთ სიხარულს. ხოლო, თუ ჩვენ შექების ნაცვლად გამოვიყენებდით კრიტიკას, ბავშვების სახეების აღფრთოვანებული გამომეტყველება დნებოდა ჩვენს თვალწინ. არის დიდი განსხვავება იმის შორის, როდის ელიან თქვენგან მარცხს და როდის — გამარჯვებას.

ჩემი ერთერთი შვილი განსაკუთრებით მგრძნობიარე იყო ამგვარი სიტუაციებისადმი. იგი ყოველთვის უფრო კარგად ასრულებს დავალებას, როცა ვეუბნები: „თხუთმეტი წუთის შემდეგ დავბრუნდები და შევამოწმებ, როგორ დაალაგე შენი ოთახი. დარწმუნებული ვარ, რომ შენ ყველაფერი მშვენივრად გამოგივა!“ - ვიდრე მაშინ, როცა მე მკაცრად ვაფრთხილებ: „თხუთმეტი წუთში დავბრუნდები და თუ შენ არ დაალაგებ შენს ოთახს — დაისჯები!“ პირველ შემთხვევაში ჩემი სიტყვები შთა-

## იბრძოლე როგორც ძალმა

აგონებენ შვილს რომ შემოქმედებითად მიუდგეს დავალების შესრულებას და ელოდოს ჯილდოს თავისი საქმისთვის, მაშინ, როცა მეორე შემთხვევაში მას მართავს სასჯელის საფრთხე. მე, მაგალითად, შემძლია სრულიად ჩამოვუშვა ხელები, თუ ხალხი, რომლებიც მაკვირდებიან, არ დაიჯერებენ იმას, რომ მე მშვენივრად შევასრულე ჩემს წინაშე არსებულ საქმეს. მაგრამ არიან ისინიც, ვინც არა უბრალოდ გვაკვირდება, არამედ იმედი აქვთ ჩვენი წარმატების; ისინი აღფრთოვანდებიან და ხარობენ.

**„ვინაიდან ქმნილება იმედით მოელის ღვთის შვილთა გამოცხადებას, რადგან ქმნილება თავისი ნებით კი არ დაემორჩილა ამაოებას, არამედ მისი დამმორჩილებლის მიერ სასოებით, რომ თვით ქმნილებაც გათავისუფლდება ხრწნილების მონობისაგან ღვთის შვილთა დიდების თავისუფლებისათვის.“ (რომაელთა 8:19-21)**

ჩვენ ისე არ გვაკვირდებიან, როგორც სპორტსმენებს შეჯიბრებებზე. მოცემულ შემთხვევაში ჩვენ ვიძყოფებით არა მხოლოდ ადამიანების ყურადღების ცენტრში, არამედ მთელი ქმნილების. ის საგნებიც კი, რომლებსაც როგორც ჩვენ გვეჩვენება არ აქვთ თვალები, შთაგონებით ელოდებიან იმ თავისუფლებასა და დიდებას, რომელსაც ღმერთი გაუცხადებს ქვეყნიერებას თავისი საყვარელი შვილების მეშვეობით. ქმნილება ყველა ცოცხალი არსების და მინერალური ნივთიერებების სახით არ აგვწონის კრიტიკულად და არ მოელის, რომ ჩვენ აღვაფრთოვანებთ მას ჩვენი ადამიანური მიღწევებით. ჩვენ არ ვლებულობთ მონაწილეობას შეჯიბრებაში, რომელშიც გაიმარჯვებენ მხოლოდ ძლიერნი და სადაც მეფობს დამღლელი მოუთმენლობის ატმოსფერო... მაყურებლები, რომლებიც გვაკვირდებიან, აღვსილნი არიან სასიხარულო მოლოდინით.

წარმოიდგინეთ ის ძალა და სიხარული, რომლებიც გაიღვიძებდა ჩვენში, ეს ჭეშმარიტება რომ გაგვეცნობიერებინა! დედამინა და მთელი მისი სავსება, აკვირდება რა ჩვენს მოქმედებებს მონინებით მოლოდინში, მოგვცემდა ენთუზიაზმს.

ქმნილებისათვის არ არის მნიშვნელოვანი, დავმარცხდებით თუ არა. ასეთი რამ უკვე გაგვიკეთებია. ჩვენ, ადამის შთამომავლები და მემკვიდრეები, ვიყავით მასში, როცა ჩაიდინა ცოდვა და განწირა მთელი ქმნილება საცოდავ არსებობაზე. მაინტერესებს, ქმნილებას სუნთქვა შეეკვრა თუ არა შიშში ჩვენს უგუნურ გაბედულებაზე, როცა ქალი და კაცი ჩაეჭიდნენ ღმერ-

## შენ გაკვირდებიან!

თის თანასწორად ყოფნას, და უარი თქვეს დამორჩილებოდნენ მის ერთადერთ მცნებას, რომელიც მან მისცა.

კანკალებდა თუ არა ქმნილება, როცა სიკვდილის ცივი ჩრდილი გავრცელდა ბალის სიგრილეზე? ტიროდა თუ არა იგი, როცა კაცი და ქალი განიდევნენ ედემის ბაღიდან და დაკარგეს ღმერთის თანდასწრება? ხომ არ გადაჩურჩულებდნენ ერთმანეთს მცენარეები, და ეკითხებოდნენ ერთმანეთს იმის შესახებ, თუ რა ელოდებოდათ მათ ახლა, როცა ისინი, ვინც უფლიდა მათ, გაგდებულნი იყვნენ მათთვის მიცემული სიუხვისგან? თრთოდნენ თუ არა ხეები, როცა ადამი და ევა ცდილობდნენ დამალულიყვნენ მათ შორის? ჩამოუვარდათ თუ არა ფოთლები, როცა მამაკაცი და ქალი გადიოდნენ მათ გვერდით და სამუდამოდ ტოვებდნენ ბაღს? ითელებოდა თუ არა მათ ფეხებ ქვეშ ბალახი, როცა ხვდებოდა, რომ ველარ შეძლებდა გასწორებას? რამდენი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ქმნილებამ იგრძნო თავისზე სიკვდილისა და ნგრევის გავლენა? გრძელდებოდა თუ არა ეს პროცესი დიდი ხანი, რამდენიმე საუკუნე, სანამ ცოდვით დაცემის შედეგები ცხადი გახდა?

ჩვენ ვიცით, რომ კაცმა და ქალმა პრაქტიკულად მალევე იგრძნეს საკუთარ თავზე ცოდვით დაცემის დამანგრეველი შედეგები. ტოვებდნენ რა ბაღს, ადამი და ევა გარემოცულები იყვნენ სიბნელით, სირცხვილით და სიკვიდილის ჩრდილით. მალევე მათ მოუწიათ უმწეოთ ყურება, თუ როგორ შემოვიდნენ მეტოქეობა, ღალატი, შური და მკვლელობა მათ ცხოვრებაში და წაართვეს შვილები. ადამის და ევას არჩევანმა გავლენა მოახდინა ყველაფერზე. მიუხედავად იმისა, რომ ცოდვით დაცემის შემდეგ მათ იცხოვრეს რამდენიმე ასეული წელიწადი, სიკვდილმა უკვე დაიწყო მეფობა დედამინაზე.

### ჩვენი ცოდვები და ღმერთის ნიჭი

**„მაგრამ სიკვდილი მეფობდა ადამიდან მოსემდე მათზეც, რომელთაც არ შეუცოდავთ, როგორც ადამმა შესცოდა, რომელიც მომავლის სახეა, მაგრამ მადლი არაა დანაშაულის ვით, რადგან თუ ერთის დანაშაულით მრავალი განწყდა, მით უმეტეს, ბევრად ჭარბობს მრავალთა მიმართ ღვთის მადლი და ნიჭი ერთი კაცის, იესო ქრისტეს, მადლით.“ (რომაელთა 5:14-15)**

როცა იესომ მიიღო გადაწყვეტილება გაეცა თავისი სიცოცხ-

## იბრძოლე რომორც ძალმა

ლე კაცობრიობისათვის, ყველა პროცესი დედამიწაზე შემოტრიალდა და დაიწყეს დაბრუნება პირვანდელ მდგომარეობაში. ბუნებასაც და ადამიანსაც დასჭირდათ დრო იმისათვის, რომ მათ ცხოვრებაში ცხადი გამხდარიყო სიკვდილის დამანგრეველი შედეგები, თუმცა მან კი მოიცვა მთელი დედამიწა თვალის დახამხამებაში, მით უმეტეს დრო დასჭირდება ყველაფრის უკან შემოსატრიალებლად. ორი ათასი წლის განმავლობაში სიკვდილი თანდათანობით კარგავდა ძალას და ვერც კი მოვასწრებთ აზრზე მოსვლას, რომ ის საერთოდ გაქრება. მე ძალიან მომწონს ეს ჭეშმარიტება: „მაგრამ მადლის ნიჭი უფრო ძლიერია, ვიდრე ჩვენს მიერ ჩადენილი დანაშაული.“ ერთი ადამიანის დანაშაულმა მრავალს მოუტანა სიკვდილი, მაგრამ დაე იცოდეთ: ღმერთის ნიჭი ყოველთვის უფრო ძლიერია, ვიდრე ყველა ჩვენი დანაშაული ერთად აღებული.

**„ხოლო ნიჭი იგივე არ არის, რაც შედეგი ერთი შემცოდისაგან, ვინაიდან მსჯავრი ერთისაგან გამოდის განსაკითხავად, ნიჭი მადლისა კი მრავალი დანაშაულის გასამართლებლად. ვინაიდან, თუ ერთის დანაშაულით სიკვდილი სუფევდა ერთის მიერ, მით უმეტეს ისინი, რომლებიც უხვად მიიღებენ მადლს და სიმართლის ნიჭს, იმეფებენ სიცოცხლეში ერთის, იესო ქრისტეს, მეშვეობით.“ (რომაელთა 5:16-17)**

ჩვენ უკვე აღარ ვცხოვრობთ ადამის წყევლის ქვეშ, არამედ იესო ქრისტეს სამართლიანი მმართველობის ქვეშ. ქმნილება უკვე გვიყურებს არა საყვედურით და უნდობლობით, არამედ იმედით და იმის გაცნობიერებით, რომ სიკვდილის მმართველობა დედამიწაზე დასასრულს უახლოვდება. ყველაფერმა ძველმა განვლო, ხოლო ახალის აღთქმა ვრცელდება ჩვენს წინაშე.

**„ხილული დროებითია, ხოლო უხილავი – საუკუნო.“ (2 კორინთელთა 4:18)**

სიკვდილი შეიძლება მეფობდეს ხილულ სამყაროში, მაგრამ იესო მეფობს მარადიულ უხილავ სამყაროში. ჩვენ ნამდვილად მივიღეთ თავისუფლება და გამართლება, თუმცა ჯერ არ მიგვიღწევია სრული აღდგენისთვის. შესაძლოა, რომ ყველაფერი, რაც ხდება ჩვენს დროში, არის ჩვენთვის ნიშანი? რა თქმა უნდა, ქვეყნიერების აღსასრული, რომელზეც ასე ბევრს საუბრობენ, დიდი სიჩქარით გვიახლოვდება. მისი დადგომით მოხდება დიდი ცვლილებები, და ხილული შთაინთქმება უხილავით, სიკვდილი — უკვდავებით, ხოლო ჩვენი მარცხი — სრული გამარჯვებით.

## შენ გაკვირდებიან!

მთელი ქმნილების წინაშე კაცობრიობის სირცხვილი შეიცვლება ღმერთის დიდებით და ჩვენ ავმალღებთ ზეცად, რომ ვიყოთ მასთან ერთად. როცა ეს მოხდება, ბოლოს და ბოლოს მივხვდებით თუ რას ნიშნავს „ქრისტეში“ ყოფნის დიდებული გამოცხადება და გარდამქმნელი ჭეშმარიტება. მაშინ, და მხოლოდ მაშინ კვლავ შეიძენენ მამაკაცები, ქალები და ქმნილება თავიანთ პირვანდელ თავისუფლებასა და დიდებას.

**„ამიტომ არ ვცხრებით, მაგრამ თუ გარეგანი კაცი იხრწნება, ჩვენი შინაგანი მანაც განახლდება დღითი დღე. ვინაიდან ჩვენი მსუბუქი და ხანმოკლე ტანჯვა დიდ და მომეტებულ საუკუნო დიდებას ქმნის ჩვენთვის, როცა ვუყურებთ არა ხილულს, არამედ უხილავს, ვინაიდან ხილული დროებითია, ხოლო უხილავი – საუკუნო.“ (2 კორინთელთა 4:16-18)**

ახლაც კი ქმნილებას სუნთქვა შეეკრა და სიხარულით ელოდება, როდის მივიღებთ სრულ გამარჯვებას ღმერთში. მთელი ქმნილება შემოგვღალადებს თავისი ხმით: „ადამის და ევას ძენო და ასულნო, ხომ არ დაგავინწყდათ რა მოიმოქმედა იესომ? განა არ იცით, რა ფასი იქნა გადახდილი თქვენში? თქვენ აღარ უნდა ცხოვრობდეთ სირცხვილში; ახლა თქვენ ღმერთის შვილები ხართ. ნუ უყურებთ მხოლოდ ხილულს. განა ვერ ხედავთ, რის გაკეთებას აპირებს უფალი?“ სადაც არ უნდა გავიხედოთ, ყველგან ქმნილება სასწაულებრივად მოგვმართავს: „ადამის და ევას ძენო და ასულნო, შენყვიტეთ ცხოვრება იმისათვის, რაც დროებითია და არ მოაქვს თქვენთვის ჭეშმარიტი სიხარული. ნუღარ უყურებთ იმას, რასაც საკუთარი თვალებით ხედავთ... არსებობს უფრო დიდიც!“

ქმნილებას ესმის რაღაც, რაც ჩვენ დაგვაინწყდა: ჩვენ აღარ გვემუქრება მარცხი, რადგან ახლა ყველაფერი უკვე დამოკიდებულია არა ჩვენზე... არამედ მასზე.

### ჩვენ უნდა ვსაუბრობდეთ ღმერთის ენაზე

**„როგორც წერია: „მწამდა და ამიტომ ვლაპარაკობდი,“ ჩვენც გვწამს და ამიტომ ვლაპარაკობთ. რაკი ვიცით, რომ, ვინც აღადგინა უფალი იესო, ჩვენც აღგვადგენს იესოსთან ერთად და წარგვადგენს თქვენთან ერთად.“ (2 კორინთელთა 4:13-14)**

ჩვენ კვლავ უნდა დავიბრუნოთ რწმენის ის სული, რომელიც



## იბრძოლე როგორც ძალმა

გვეუბნება უხილავის შესახებ და ჯერ-ჯერობით მიუღწეველზე, და შევწყვიტოთ გამუდმებით ფიქრი სიკვდილისა და ნგრევის ხილულ, რეალურ მტკიცებულებებზე, რომლებიც გვთრგუნავენ. როგორც ღვთის შვილები, ჩვენ უნდა ვსაუბრობდეთ მისი იმედისა და ძალის ენაზე.

**„რწმენა არის მტკიცე დარწმუნება იმაში, რასაც ვესაუბრებით, და-  
დასტურება იმისა, რასაც ვერ ვხედავთ.“ (ებრაელთა 11:1)**

ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ რწმენა არის იმ საგნების არსებობის ამკარა მტკიცებულება, რომლებიც ჯერ უხილავია ამ ხილულ სამყაროში.

არაერთხელ მსმენია როგორ სვამენ ადამიანები ამა თუ იმ სფეროში შემდეგ კითხვას: „რას ეცდებოდით ან ისურვებდით, ზუსტად რომ გცოდნოდათ, რომ არ დამარცხდებოდით?“ ეს საოცარი, გამომწვევი კითხვაა, რომელიც გვაიძულებს გავცდეთ ჩვენი შეზღუდული აზროვნების ჩარჩოებს. მაგრამ რამდენსაც არ უნდა ვოცნებობდეთ და წარმოვიდგენდეთ, რჩება ერთი მცირე პრობლემა: ადამიანები მაინც მარცხდებიან. ეს ფაქტი ცხადი არის ყველასათვის, იგი მტკიცდება კაცობრიობის მთელი ისტორიით. მაგრამ გამოსყიდვა — ღმერთის პასუხია კაცობრიობის ყველა წარუმატებლობაზე.

ჩვენ შეიძლება მოვიწვიოთ მაყურებლები საკუთარ გამოსვლაზე, თუ დარწმუნებულები ვართ, რომ ჩვენი წარმატება გარანტირებულია. მაგრამ როგორ ვიყოთ, თუ ვიცით, რომ მარცხი გველოდება? ადამმა და ევამ ჩუმად შეჭამეს აკრძალული ხის ნაყოფი, და სწამდათ, რომ ასე მიაღწევდნენ წარმატებას. ღმერთი არ აპირებს ასეთი გზით კაცობრიობის კიდევ ერთხელ გამოცდას: ჩვენ უკვე აღარ გვაქვს სამოთხის ბალი, სადაც ეს შეიძლებოდა რომ მომხდარიყო. ღმერთი აპირებს რომ აგვაგვსოს და მოიმოქმედოს ის, რისი გაკეთებაც მხოლოდ მას ერთს შეუძლია, და ამასთან არ დამარცხდეს. სწორედ ამ მიზეზით ღმერთმა უბრძანა მთელს ქმნილებას თვალყური ედევნა იმისთვის, რის გაკეთებასაც ის ცდილობდა. ცოდვით დაცემა მოხდა ედემის ბაღში დაფარულში, ხოლო პირვანდელ მდგომარეობასთან დაბრუნება მოხდება ყველას თვალწინ. ქმნილება მთლიანობაში და ყოველი არსება ცალ-ცალკე, ყველაფერი სრულიად განახლდება, და არა მხოლოდ შელამაზებული და გრიმირებული, არამედ სრულიად გარდაქმნილი. ძველი ცაც კი შეიცვლება ახლით.

## შენ გაკვირდებიან!

**„ვიხილე ახალი ცა და ახალი მიწა, ვინაიდან პირველი ცა და პირველი მიწა გარდახდნენ, და ზღვა აღარ იყო.“ (გამოცხადება 21:1)**

დასაწყისიდანვე, როცა ადამიანი ჯერ კიდევ აპირებდა შეცოდებას, ღმერთს უკვე ჰქონდა გეგმა, თუ როგორ განეახლებინა მიწა. მხოლოდ გამოცხადების წიგნში შემოქმედი აცხადებს ამ საოცარ ჭეშმარიტებას ოთხჯერ.

**„მე ვარ ანი და ჰოე, – ამბობს უფალი ღმერთი, – ის ვინც არის, ვინც იყო და ვინც მოდის, ყოვლისმპყრობელი.“ (გამოცხადება 1:8)**

ამ ისტორიის დასასრული კითხვის ქვეშ არასოდეს ყოფილა. არაფერი არ არის დამოკიდებული ჩვენზე ან ჩვენს მიღწევაზე... ყველაფერი იმყოფება ღმერთის ხელში. ჩვენ, ადამის ძენი და ასულები, ვუყურებთ ჩვენს გარშემო მყოფ სამყაროს და საკუთარ თავებს, და ვერ წარმოგვიდგენია ცხოვრება დამარცხების გარეშე, ცხოვრება ძალით აღსავსე და უნაკლო. აზრები სიცოცხლის არსებობაზე დასაწყისის და დასასრულის გარეშე იქცევა ჩვენი ადამიანური გონების „მარცხის“ მიზეზად. მაგრამ ის, ვისაც აქვს პასუხი ჯერ კიდევ იქამდე, სანამ კითხვას დავსვავთ, აღემატება ჩვენს ადამიანურ გაგებას. ის, ვისი მსგავსიც არავინ არის, შეგვცვლის ჩვენ თვალის დახამხამებაში, რათა ვავლენდეთ მის დიდებას.

**„ვინაიდან ვფიქრობ, რომ ახლანდელი ტანჯვანი არაფერია იმ დიდებასთან, რომელიც გამოცხადდება ჩვენს მიმართ.“ (რომაელთა 8:18)**

ქმნილება არ გაკვირდება გულ-ხელ დაკრეფილი და ლოდი-ნით, რომ ჩვენ მასზე მოვახდინოთ შთაბეჭდილება. არა, იგი სიხარულით გვიქნევს თავს და გვამხნევენს თავისი უნისონში შერწყმული ხმებით: „მიდით წინ, გოგოებო! იბრძოლეთ უშიშრად ბრძოლებში, რომლებშიც მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ გამარჯვება, და გამოიყენეთ ამისათვის იარაღი, რომელიც მოგანდოთ თქვენ თავად ღმერთმა. თქვენ ისინი ხართ, ვისაც ჩვენ ასე დიდ ხანს ველოდით. გამოიყენეთ თქვენი ძალა, რათა“:

## იზრძოლე როგორც ძალმა

შემოსოთ სხვები სიყვარულით;  
აღზარდოთ ისინი პატივით;  
აღჭურვოთ ისინი სიბრძნით;  
გაამხნევოთ ისინი ხედვით;  
აალორძინოთ მათი ოცნებები სინმინდით;  
აღადგინოთ მათი ძალები სიხარულით;  
გაათავისუფლოთ ისინი მისი ჭეშმარიტებით;  
მისცეთ მათ მომავალი მემკვიდრეობა;  
შემოსოთ ისინი სილამაზით;  
მთააგონოთ ისინი მისი მშვენიერებით;  
აღძრათ ისინი სინმინდით და მოშურნეობით.

## მოსასხამი პირსახოცისგან

წიგნის დასასრულს მინდა გაგიზიაროთ რამდენიმე მოგონება ჩემი წარსულიდან და იმედი მომავლისათვის. ეს სიზმარია: ანათებს მზე და ისმის ბავშვის სიცილი. მე კვლავ პატარა გოგო ვარ, მაცვია მხოლოდ მოკლე შორტი და ფეხშიშველი დავრბივარ ზაფხულის მზით გამთბარ ბალახზე. ჩემს ზურგს უკან ფრიალებს „ჩემი ძალის წყარო“ - მოსასხამი. ჩემს წაროსახვაში მე ვნახე საკუთარი თავი მიწას მოწყვეტილი და სინათლის სიჩქარეს აღმატებული სიჩქარით, ვნავარდობდი გათეთრებამდე გახურებულ მიწაზე.

სინამდვილეში მოსასხამის როლს ჩემს თამაშებში ყოველთვის ასრულებდა პატარა პირსახოცი, რომელსაც ხელზე მახამდა მეზობლის ბიჭების დედა, რომლებთანაც ვმეგობრობდი. თუ საკმარისად ჩქარა გავიქცეოდით, ეს თვითნაკეთი მოსასხამი, პარაშუტივით ფრიალებდა ქარზე ზურგს უკან. რატომღაც ყოველთვის ვცდილობდი ისე გავქცეულიყავი, რომ მოსასხამი არ შეხებოდა ჩემს ზურგს იქამდე სანამ არ მოვისურვებდი გაჩერებას. თითქოს მეშინოდა, ეს რომ მომხდარიყო, ჩემთვის მოცემული ძალა გამოილეოდა. რადგან ყველა ბავშვმა იცის, რომ მოსასხამს შეუძლია მოგცეთ ძალა მხოლოდ იმ შემთხვევაში,

## შენ გაკვირდებიან!

თუ იფრიალებს თქვენს ზურგს უკან. ქარის გარეშე, რომელიც წევს მათ მაღლა, იგი უბრალოდ ტანსაცმლის დეტალია.

ვიღვიძებ ღიმილით სახეზე: დილის მზის სხივები ნაზად მალვიძებენ ძილისგან. მეხსიერებაში კარგად აღიბეჭდა მოსასხამიც და ბიჭებიც, რომლებთანაც ვთამაშობდი, და ასევე... ის საბედისწერო დღე, როცა მე გამომრიცხეს სუპერ-გმირების რიცხვებიდან, რომლებიც ფრთიან მოსასხამებს ატარებდნენ. რატომ? მხოლოდ ერთადერთი მიზეზით: მე გოგო ვიყავი.

იმ დღეს ძალიან ცხელოდა გარეთ და მე გავიხადე ოფლიანი მაისური და ვემზადებოდი ამაღელვებელ მომენტთან შესახვედრად, როცა პირსახოცით შემმოსავდნენ, რომელიც მოსასხამის როლს ასრულებდა. მე ამაყად ვიდექი ჩემი საუკეთესო მეგობრების ფილის და სტიუარტის წინ, როცა მათმა დედამ დამისვა კითხვა: „არ გეჩვენება, რომ შენ საკმარისად დიდი ხარ, რომ ბიჭების წინ მაისური გაიხადო?“

მინდა შეგახსენოთ, რომ მაშინ შვიდ წლამდე ვიყავი, ხოლო ამ ასაკში ბიჭების და გოგონების მკერდი ერთნაირად გამოიყურება. მე ცოტათი დავიბენი. ბიჭების დედამ შემომთავაზა, რომ ჩამეცვა. მე მწუხარედ შევხედე მაისურს, რომელიც სველი ჩვარივით იდო მაღალ მწვანე ბალახში. გასულ ზაფხულს ყველაფერი სხვანაირად იყო... ხოლო ახლა ყველას მოგვინია მდუმარედ დავმორჩილებულიყავით ამ ველურ, პირველყოფლურ მოთხოვნას — არ გაგვეხადა მაისური ერთმანეთის წინ.

ჩემში გაჩნდა პროტესტი. დიახ, მე გოგო ვიყავი, მაგრამ არა ისეთი, როგორც ყველა. მე არ მეშინოდა წურბელების და ტკიპების და უყოყმანოდ ვყვინთავდი ჩემს ბიჭ მეგობრებთან ერთად ტალახიან წყალში. ვღებულობდი ნებისმიერ პირობას და უშიშრად ვეთანხმებოდი გასეირნებას „მუმიების სახლში“ (ბეტონის დაუმთავრებელი შენობა წარმოგვედგინა ეგვიპტურ სამარხად). განა სამართლიანი იყო ჩემი პირსახოცის ღირსების ეჭვ ქვეშ დაყენება? განა საკუთარი სურვილით არ გამოვედი გარეთ ჩემს მეგობრებთან, ნაცვლად იმისა, რომ სახლში მეთამაშა რომელიმე ბარბის თოჯინასთან ერთად? ეს უსამართლობა იყო.

იმ მომენტში მე ქვეცნობიერად ვგრძნობდი, რომ თუ ახლა ჩავიცმევდი მაისურს, მაშინ აღარასოდეს გავიხდიდი. იგრძნო რა ბიჭების დედამ რომ ვყოყმანობდი, შემომთავაზა, რომ მოსასხამი მაისურის ზევიდან მომეხვია. მე და ჩემმა მეგობრებმა

## იზრძოლე როგორც ძალმა

უნდობლობით გადავხედეთ ერთმანეთს. ეს უკვე აღარ იქნებოდა იგივე, და ყველამ ვიცოდით ეს. როგორ ვიგრძნობდი მზის სხივებს მაისურში? ქარის შრიალს? ძალას, რომელსაც მოსასხამი მაძლევდა? დამნუხრებული, მაგრამ ვხვდებოდი, რომ სხვა გამოსავალი არ მქონდა გარდა იმისა, რომ ჩამეცვა მაისური.

ამ გაუგებარმა სიტუაციამ ჩასაცემელთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად შეცვალა ჩემი როლი ჩვენს სამეულში. მე უკვე აღარ მთავაზობდნენ რომ თამაშში ვყოფილიყავი სუპერმენი, ბეტმენი ან რობინი. ახლა მე შემეძლო ვყოფილიყავი მხოლოდ კატა-ქალი, რადგან ყველა ჩვენგანისთვის ცხადი გახდა ის ფაქტი, რომ მე ვიყავი... გოგო.

მე უკვე აღარ დავრბოდი ბიჭებთან ერთად; ახლა ისინი გამირბოდნენ.

### **როგორ გადაიქცა მოსასხამიანი დამპყრობელი კატა-ქალად**

ჩემდა უნებურად ჩვენს თამაშებში აღმოვჩნდი მტრის მხარეს. ყველამ ვიცოდით, რომ კატა-ქალის მიზანი იყო კარგი ხალხის დაჭრა და მათი დაჩხაპნა. ბიჭები გარბოდნენ ჩემგან, ხოლო მე ძლიერ ვყვიროდი: „დაბრუნდით, დაბრუნდით! მე არ დაგჩხაპნით!“

მაგრამ ისინი არ მისმენდნენ. მოხდა გადატრიალება და ჩემმა როლმა თამაშში შეიძინა სხვა ელფერი. ან შემესრულებინა კატა-ქალის როლი, ან სახლში მეთამაშა ბარბით.

ო, ჯერ კიდევ მაშინ ვიგრძენი თუ რამდენად შეზღუდულია ქალის როლი. რამდენმა თქვენგანმა იცოდით, რომ რაღაც უფრო მეტი უნდა არსებობდეს? ხვდებით, რომ ქვეყნიერება ძალიან ხშირად ყოფს ქალებს ორ კატეგორიად — ბიჭების სათამაშოებად და კატა-ქალებად? (ყველაზე ნიჭიერი ქალები შეიძლება ორივეს ეკუთვნოდნენ).

ფაქტობრივად, თუ ვინმე არ განეკუთვნება ერთერთ ამ ჯგუფს, ეს არიან ქრისტიანი-ქალები. აღთქმის ასულები, სარას უშიშარი შთამომავლები, ის ქალები, რომლებიც აზანზარებენ მთელს სამყაროს და ეძებენ რაღაცა უფრო მეტს. ისრაელის დედები და ცეცხლოვანი დები, ახალგაზრდა და მოხუცებულები, თავისუფლებიან შეზღუდვებისგან და უგუნურებისგან და აღაპყრობენ თვალებს ზეცისკენ. ისინი ყოველთვის ხედავენ

## შენ გაკვირდებიან!

ქალაქს ჰორიზონტზე და ესმით, რომ შეიძენენ ჭეშარიტ თავისუფლებას მხოლოდ იქ, სადაც მეფობს ჭეშმარიტება. ისევე როგორც თქვენ, მათაც სწყურიათ რაღაც უფრო მეტი, ვიდრე შეიძლება საკუთარი თვალებით დანახვა. ისინი მზად არიან გადაიხადონ ნებისმიერი ფასი, რათა ჩამოიშორონ ამ წუთისოფლის კომმარი და მიაღწიონ თავიანთ ოცნებას.

სულ რამდენიმე წუთის წინ, ამ თავის დაწერისას, ჩემმა ერთერთმა შვილმა ძალიან გამაკვირვა იმით, რომ მიუხედავად გრილი შემოდგომის დღისა, შემოვარდა ჩემს ოთახში განითლებული ლოყებით. მას ზურგზე ამშვენებდა მოსასხამი. იგი უფრო გრძელი იყო, ვიდრე ჩემი პირსახოცი, და გაკეთებული იყო ორად დაკეცილი თეთრეულისგან. ბიჭი ხტუნაობდა გარეთ ბატუტზე და აკვირდებოდა თუ ქარი როგორ აფრიალებდა მის მოსასხამს. იგი აღფრთოვანებული შემოფრინდა ოთახში, რომ გაეზიარებინა ჩემთვის შთაბეჭდილებები. თავი ვერ შევიკავე და გამელიმა... დიახ, მოვიდა დრო შევმოსილიყავით სამოსში, რომელსაც ააფრიალებდა სულის ქარი და რომელიც მოგვცემდა ძალას გაგვერბინა ჩვენი დისტანცია ისე, ვიდრე ამას ჩვენი ადამიანური შესაძლებლობებით შევძლებდით.

ჩემმა შვილმა გაშალა მოსასხამი ხელის სიგრძეზე როგორც არწივი შლის ფრთებს და თქვა: „დედა, მე ფანჯრიდან სინათლეს ვფარავ, რათა მზის სხივებმა არ შეგიშალონ წიგნის წერაში!“

ღიმილით გადავუხადე მას მადლობა. შემდეგ მან მითხრა, რომ ელოდებოდა როდის დაბრუნდებოდა მისი ძმა სკოლიდან, რათა ეთამაშა მასთან „ქარის გამოკიდება“. როგორც ჩვეულებრივმა დედამ, შევნიშნე, რომ უკეთესი იქნებოდა დაელაგებინათ თავიანთი ოთახი, რომელიც ამ დღით არეული ვნახე.

ყურადღება არ მიაქცია რა ჩემს შენიშვნას, მან ენთუზიანით მიპასუხა: „კი მაგრამ დედა, ქალი ხომ მუდმივად არ იქროლებს!“

ო, ბავშვობის მარტივი ჭეშმარიტება — მას ესმის, რომ დაულაგებელი ოთახები ყოველთვის იქნება, ხოლო ქარი არა... ახლაც კი, როცა ვწერ ამ სიტყვებს, ის ჯერ კიდევ ელოდება თავის ძმას შემოსასვლელ კართან და ხელში უკავია მისთვის ქსოვილის ნაჭერი.

## იბრძოლე როგორც ძალმა

### გაშალეთ თქვენი მოსასხამი

ქარი თქვენს ცხოვრებაშიც უბერავს ხოლმე. მისი დაჭერა შეიძლება ცხოვრების გარკვეულ მომენტებში. გაშალეთ თქვენი მოსასხამი და დაიჭირეთ იმის ნაწილი, რაც გველმა მოგპარათ. მას სძულს ის, რომ თქვენ აღმოაჩინეთ, რომ ღმერთს სურს დაგაკავშიროთ იმ წყაროსთან, რომელიც აღემატება თქვენს მიწიერ შესაძლებლობებს.

ძმა დაბრუნდა და ახლა ჩემი ბიჭები ხარობენ და იცინიან და ცდილობენ უფრო მაღლა ახტენენ ბატუტზე ჩვენს ეზოში. მათი მოსასხამები იმდენად დიდია, რომ ზოგჯერ ბიჭები იხლართებიან მასში. თეთრეულის ეს ნაჭრები გაცილებით დიდია იმ პატარა პირსახოცზე, რომელიც როგორც მე წარმოვიდგენდი ბავშვობაში, მეხმარებოდა ფრენაში. მათი მოსასხამები, რომლებიც მათ ზურგს უკან ფრიალებენ, მათ მფლობელებზე დიდია არის, ისე რომ შეუძლიათ გადაფარონ ბიჭები თავამდე, როცა მაღლა ხტებიან ცისკენ, იცინიან და ყვირიან სიხარულისგან. მაგრამ განა ასე არ უნდა იყოს?

ყოველი ახალი თაობა მოწოდებულია დადიოდეს უფრო მეტ თავისუფლებაში, ვიდრე წინა. ჩვენ უნდა გავზარდოთ ჩვენი მოსასხამები და მივცეთ სულიწმიდას საშუალება მეტად აავსოს იგი თავისი ქარით, რათა შევძლოთ ცხოვრებაში ფრენა და იმის შესრულება, რასაც ჩვენი თაობისგან ელოდება ღმერთი.

მე გულწრფელად ვლოცულობ, რომ ყურადღება მიაქციოთ ამ აღთქმას. შესაძლოა, ახლა თქვენს ზურგს უკან ფრიალებს მხოლოდ პატარა ხელის პირსახოცი. მიეცით სულიწმიდას საშუალება შეცვალოს ეს პატარა ქსოვილის ნაჭერი რაღაცა უფრო მნიშვნელოვანზე. ვფიქრობ, გამჭვირვალე მოსასხამი კარგი იქნება. მიეცით სულიწმიდას საშუალება გაგხადოთ სირცხვილის ყოველი ნაგლეჯი და შეგმოსოთ დიდებული სამოსელი — ის, რომელიც გექნებათ მარადისობაში.

უფლის დღე ახლოს არის. ყოვლისშემძლე ღმერთის ასულების გულში სულ უფრო მეტად და მეტად ანთია მარადისობისაკენ სწრაფვის სინათლე. არაერთხელ მსმენია წლების განმავლობაში, როცა ვიღაც ჩურჩულით მომმართავს და მომინოდებს ლოცვისკენ:

შეჰღალადე იმისათვის, რომ შენში გამოვლინდეს ჩემი ასული. ის უნდა დაენახოს ქვეყნიერებას, გამოთავისფულდეს და

## შენ გაკვირდებიან!

იგრძნოს, რომ მას უყვარს და თავადაც უყვართ სხვებს.

ამ სიტყვებზე ფიქრისას, წარმოვიდგენ ძვირფას ქვას, გახვეულს რამდენიმე ქსოვილის ნაჭერში. ყოველ წელს ქვას აშორებენ შეფუთვის მორიგ ფენას და მისი სილამაზე მეტად და მეტად ვლინდება. ქსოვილის გარე ნაჭრები, რომლებშიც შეხვეული იყო ქვა, უფრო მეტად ჰგავდა უხემ ტილოს, მაგრამ ყოველწლიურად ქსოვილის შიდა ფენები ხდება სულ უფრო და უფრო მშვენიერი. ახლაც კი მე ვხედავ სილამაზის კონტურებს, რომელიც მრავალი წლის წინ დაფარული იყო ქსოვილის ფენებს ქვეშ. ვუყურებ ქვას და ვხვდები, რომ ბოლოს და ბოლოს მისი სილამაზე გაცხადებული იქნება მთელი ქვეყნიერებისთვის. ამ ქვაში ვხედავ თქვენს ანარეკლს. თქვენ ხედავთ მას? დაე, თქვენი სილამაზე გამჟღავნებული იყოს მთელი ქვეყნიერებისთვის.

## ზეციერო მამა,

მოვიღვარ შენთან შენი ძვირსაფი ძის იესოს სახელით. გთხოვ, რომ შენი სული წმიდის სიბრძნემ ამავსოს ამ ლოცვაში. მამა, მე მნამს, რომ შენ შემქმენი პასუხად და არა პრობლემად. ვერ ვხვდები, თუ რამდენად დიდია ეს პრივილეგია — ვიყო ქალი და მქონდეს ქალური ბუნება. მცხე სულით, რათა არა უბრალოდ მონაწილობას ვღებულობდე იმ განუმეორებელ ბრძოლებში, რომლებისკენაც მომიწოდებ, არამედ რომ ვიბრძოდე მათში როგორც ქალი. მინდა ვიყო ასული, რომელსაც აკვირდება ქვეყნიერება და რომელიც მას ასე ძლიერ სჭირდება. მინდა ჩემს გარშემო მყოფ ადამიანებს ვჩუქნიდე შენს სიბრძნეს და ჭეშმარიტებას. მინდა ხალხში ვალვიძებდე მაღალ ზნეობრივ თვისებებს, როგორც ამის გაკეთება მხოლოდ ქალს შეუძლია. მინდა გამოვიყენო ის, რაც ჩემს ხელშია. მინდა ვხედავდე როგორ იღვრება განკურნების მალამო. გამიცხადე, ჩემი დანიშნულება, როგორც შენი ასულისა. გამათავისუფლე ყველა ბორკილისგან. მიწოდე შენი მშვენიერი ასული და მე მოგისმენ. მე მზად ვარ ვიყო ქალი, რომელიც იბრძვის, როგორც ქალი — სიბრძნით, ძლიერებით, და ღირსებით. დაე, შენმა სიტყვის სინათლემ განდევნოს ჩემი ცხოვრებიდან მთელი სიბნელე, რომელსაც შეეძლო ჩემი ცდუნება, რათა ჩამოვეშორებინე სიცოცხლის გზას და მესურვა ღმერთის თანასწორად ყოფნა. მე ვხარობ ჩემი უნიკალური მდგომარეობით და როლით მარადისობაში. დაე, მოვიდეს შენი სუფევა და იყოს ნება შენი ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა. ამინ.





# იბრძოლე როგორც ქალმა ქალურობის ძალა

დღეისთვის არსებული დამახინჯებული აზრი, სხვადასხვა სქესის წარმომადგენლების როლის შესახებ საზოგადოებაში, ზენოლას ახდენს ქალზე და აიძულებს მას დამახინჯებულად აღიქვას საკუთარი თავი. როგორ შეუძლია ქალს იყოს კმაყოფილი საკუთარი თავით, თუ საზოგადოება გამუდმებით განიკითხავს მას თანამედროვე ქალის ყოვლადმიღებული იდეალის შეუსაბამობის გამო? ყოველი ქალი უიმედოდ ცდილობს ამ პრობლემის მოგვარებას.

თავის ახალ წიგნში ლიზა ბევირი მკითხველს ეხმარება სხვადასხვა სქესის წარმომადგენლებს შორის არსებული განსხვავებების დანახვაში და ამავდროულად, არ ცდილობს მათ აღმოფხვრას. ჩვენ ვცხოვრობთ იმ საზოგადოებაში, სადაც ქალებს და კაცებს მოუწოდებენ, რომ დაემსგავსონ ერთმანეთს და მოიშორონ ის თვისებები, რომლებიც განასხვავებთ მათ ერთმანეთისაგან. შედეგად მრავალი ქალის ცხოვრება ყალიბდება საზოგადოების აზრის კარნახით და არა მოსიყვარულე ღმერთის ხელმძღვანელობით.

მოცემული წიგნის ავტორის მიზანია — ასწავლოს ქალებს მიიღონ საკუთარი თავი ისეთებად, როგორებადაც შექმნა ისინი ღმერთმა, და ტკბებოდნენ საკუთარი ქალური ბუნების უნიკალური თვისებებით და ძლიერი მხარეებით. ლიზა ბევირს სურს მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს დაანახოს, რომ ღმერთმა უნიკალურებად შექმნა და ამიტომ უნდა ამაყოფდნენ თავიანთი ხასიათის განსაკუთრებული თვისებებით და არ თამაშობდნენ იმ როლს, რომელიც მათთვის არ არის დამახასიათებელი.



პოპულარული წიგნების ავტორი და ცნობილი ორატორი **ლიზა ბევირი** გთავაზობთ თანამედროვე ქალის იდეალის იმ ალტერნატივას, რომელსაც თავს გვახვევს საზოგადოება.

საჩუქრად ავტორისაგან გამოცემა ვრცელდება უფასოდ

ეს და სხვა რესურსები, ქართულ ენაზე შეგიძლიათ ჩამოტვირთოდ უფასოდ საიტებიდან:

[www.Cloud Library.org](http://www.Cloud Library.org)

Follow Lisa Bevere on  
Facebook & Twitter



**Messenger**  
International.

[www.messengerintl.org](http://www.messengerintl.org)